სამაგისტრო პროგრამა
“სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია”

ბილეთი №1

1.1 ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. ურბანიზაცია. (სახელმძღვანელო “საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები”, 2016 წლის რედაქცია) გვ. 78-86

1.2 მსოფლიო მეურნეობა: ზოგადი დახასიათება, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა (სახელმძღვანელო 2016), გვ. 102-114

1.3 იძულებით მიგრაცია. შიდა მიგრაცია.
გიორგი გოგსაძე, მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო, 2019), გვ. 145-150.

1.4 საერთაშორისო ტურიზმის დინამიკა (კონსპექტი, გვ. 15-19).

სამაგისტრო პროგრამა
“სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია”

ბილეთი №2

2.1 ბუნებრივი რესურსები და მათი ტიპები. (სახელმძღვანელო 2016), გვ. 86-101

2.2 საქალაქო და სასოფლო დასახლებები. (სახელმძღვანელო 2016), გვ. 69-77

2.3 ბუნებრივ მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები.
გიორგი გოგსაძე, მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო), 2019, გვ. 42-47.

2.4 საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები (კონსპექტი, , გვ. 10-15).

სამაგისტრო პროგრამა
“სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია”

ბილეთი №3

3.1 მსოფლიოს სოფლის მეურნეობის გეოგრაფია. (სახელმძღვანელო 2016), გვ. 115-123

3.2 მესამეული და მეოთხეული დარგების გეოგრაფია. (სახელმძღვანელო 2016), გვ. 140-154

3.3 მოსახლეობის მიგრაცია, როგორც საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენა. შიდა მიგრაციები.
გიორგი გოგსაძე, მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო), 2019, გვ. 132-136.

3.4 ტურიზმისა და რეკრეაციის საზოგადოებრივი ფუნქციები (კონსპექტი, გვ. 24-29).

სამაგისტრო პროგრამა
“სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია”

ბილეთი №4

4.1 მრეწველობის გეოგრაფია. მრეწველობის ტიპები და განლაგების ფაქტორები. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა. (სახელმძღვანელო 2016), გვ. 124-139

4.2 რას შეისწავლის პოლიტიკური გეოგრაფია. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. ქვეყნები და მათი დაჯგუფება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. (სახელმძღვანელო 2016), გვ. 155-170

4.3 მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება.
გიორგი გოგსაძე, მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო, 2019), გვ. 202-209.

4.4 ტურიზმის გეოგრაფიული კომპონენტები (კონსპექტი, გვ. 70-80)

ნ ი ნ ო პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი

მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია

კ ო ნ ს პ ე ქ ტ ი

ნაწილი პირველი

2020

შინაარსი

ტურიზმის და რეკრეაციული გეოგრაფია, როგორც მეცნიერება ---------- 3
სასწავლო კურსის „მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია“ კვლევის ობიექტი, მეთოდები და ადგილი სხვა მეცნიერებებს შორის ---------- 4
საკვანძო ტერმინები ---------- 9
ტურიზმის სწრაფი ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები ---------- 11
ტურიზმის განვითარების მოკლე ისტორია ---------- 15
ტურიზმის დინამიკა ---------- 18
ტურიზმისა და რეკრეაციის სოციალურ-ეკონომიკური არსი და ძირითადი ფუნქციები ---------- 24
ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები და მოთხოვნები ---------- 30
ტურიზმის სახეობრივი კლასიფიკაცია ---------- 37
ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა ---------- 43
- დამსვენებელთა ჯგუფი ---------- 44
- ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები (ტრრ) ---------- 47
- ტექნიკური ქვესისტემები ---------- 61
- მომსახურე პერსონალი ---------- 68
- მართვის ორგანო ---------- 69

ტურიზმის გეოგრაფიული კომპონენტები ---------- 70
- ჰავა და ტურიზმი ---------- 76

ტურიზმი და ტრანსპორტი ---------- 81
ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ტურისტული ნაკადების განაწილებაში -- 90
კოვიდ-19 პანდემია და მისი გავლენა ტურიზმზე

რეკრეაციული გეოგრაფია, როგორც მეცნიერება

ადამიანი უძველესი დროიდან შრომობს, ამ დროს ის ხარჯავს ფიზიკურ თუ სულიერ ენერგიას. შრომის პროცესში დახარჯულ ძალებს აღდგენა სჭირდება. ძალების აღდგენის პროცესს რეკრეაციას უწოდებენ (recreatio – ლათ. აღდგენა).

ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობა ადამიანების ნორმალური ცხოვრებისთვის ისევე აუცილებელ ფორმას წარმოადგენს, როგორც საწარმოო თუ საშინაო შრომა და ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

შრომისუნარიან ასაკში მყოფი ადამიანის დღე-ღამის დროის ბიუჯეტი იყოფა **სამუშაო** და **არასამუშაო** დროდ. სამუშაო დრო გამოიყენება საზოგადოებისთვის აუცილებელი მატერიალური და კულტურული დოვლათის შესაქმნელად. არასამუშაო დრო, თავის მხრივ, იყოფა რამდენიმე ფუნქციურ ჯგუფად: ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, საშინაო საქმიანობისთვის, სამუშაო ადგილამდე მისვლისთვის საჭირო და თავისუფალი დრო.

თავისუფალი დრო არის ის დრო, როდესაც ადამიანი ახორციელებს რეკრეაციულ ქმედებებს. ეს დრო იხარჯება ადამიანის ფიზიკური ძალების აღდგენასა და განვითარებაზე, მისი სულიერი შესაძლებლობების ყოველმხრივ განვითარებასა და სრულყოფაზე, ზოგიერთი სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ე.ი. თავისუფალი დრო ეძღვნება აქტიურ საქმიანობას. ამასთანავე, თავისუფალი დრო ის დროა, რომელიც დასვენებისთვისაა განკუთვნილი. აქ არ არის წინააღმდეგობა ცნებებს „აქტიური საქმიანობა“ და „დასვენება“ შორის, ვინაიდან ყველაზე კარგი დასვენება ერთი საქმიანობის სხვა საქმიანობით შეცვლაა.

ამგვარად, **რეკრეაციული საქმიანობა** არის ადამიანის ის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება თავისუფალი დროის მანძილზე ფიზიკური ძალების აღდგენისა და ყოველმხრივი განვითარებისთვის.

რეკრეაციულ საქმიანობად ითვლება ადამიანის მხოლოდ ის ქმედებები, რომლებიც **თავისუფალი დროის** მანძილზე ხორციელდება.



არასამუშაო დრო: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო დრო (ძილი, კვება, პირადი ჰიგიენა – 8-9 სთ) + სამუშაომდე მისვლისთვის საჭირო დრო (1-1,5 სთ) + საშინაო საქმიანობაზე დახარჯული დრო (3-4 სთ) + თავისუფალი დრო.

თავისუფალი დრო სამუშაო (სადაგ) დღეებში – **3 სთ 15 წთ**, დასვენების დღეებში – **6 სთ**, ხოლო კვირის მანძილზე სულ **28 სთ**-ზე მეტი გამოდის.

სასწავლო კურსის „მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია“ კვლევის ობიექტი, მეთოდები და ადგილი სხვა მეცნიერებებს შორის

რეკრეაციისა და ტურიზმის გეოგრაფია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, კიდევ უფრო ახალგაზრდაა, როგორც სასწავლო დისციპლინა.

რეკრეაციული პრობლემატიკის გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური (განყოფილების ხელმძღვანელი – პრეობრაჟენსკი ვ.) და ეკონომიკური გეოგრაფიის (განყოფილების ხელმძღვანელი – მინცი ა.) განყოფილებებმა ერთდროულად დაიწყეს. სასწავლო დისციპლინად რეკრეაციული გეოგრაფია ყოფილ სსრკ სივრცეში 1970-იანი წლებიდან მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე და სიმფეროპოლის ფრუნზეს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე დამკვიდრდა.

საქართველოში აღნიშნული საკითხების კვლევა იმავე პერიოდში საქართველოს მეციერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის რეკრეაციული გეოგრაფიის ლაბორატორიაში (ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი ემილ კობახიძე) დაიწყო. ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა იყო პირველი სასწავლო დაწესებულება, სადაც 1980-იანი წლების დასაწყისიდან ტურიზმისა და რეკრეაციის პრობლემების გეოგრაფიულ შესწავლას მიეძღვნა ახალი სასწავლო დისციპლინა – „ტურიზმის გეოგრაფიის საფუძვლები“.

რეკრეაციული საქმიანობის ორგანიზება კომპლექსურ ხასიათს ატარებს. პროცესში ერთვება ისეთი განსხვავებული სისტემები, როგორებიცაა დამსვენებელთა ჯგუფი (ტურისტები და რეკრეანტები), ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტექნიკური ინფრასტრუქტურა, მომსახურების სფერო და შრომითი რესურსები, მმართველი ორგანო. ამ სისტემების ერთობლიობას **ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა** (ტრს) ეწოდა. სწორედ ეს სისტემა წარმოადგენს რეკრეაციული გეოგრაფიის კვლევის ობიექტს

ანუ იმის შესწავლა, თუ როგორია რეკრეაციული საქმიანობის პროცესში ადამიანთა ქცევისა და რეკრეაციული ობიექტების განლაგების სივრცითი კანონზომიერებები და თავისებურებები. სწორედ ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა არის რეკრეაციული გეოგრაფიის კვლევის ობიექტს.

ტრს-ის შემადგენელი ელემენტები წარმოადგენენ ბუნებრივ და საზოგადოებრივ ჯგუფებს, ამიტომ მათი შესწავლა საჭიროებს როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევის მეთოდებს. თვით ტურისტულ-რეკრეაციული გეოგრაფია წარმოადგენს გეოგრაფიის, ეკონომიკისა და კულტუროლოგიის მიჯნაზე მდგომ დისციპლინათშორის საგანს.

რეკრეაციული გეოგრაფია ფართოდ იყენებს გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში გამოყენებულ საყოველთაოდ ცნობილ კვლევის მეთოდებს, როგორიცაა ისტორიული, შედარების, კარტოგრაფიული, ანალიტიკურ-სტატისტიკური, საექსპედიციო, მათემატიკური მოდელირების. რეკრეაციული გეოგრაფიის საკვლევი საგნის სოციალური ხასიათი განაპირობებს სხვა საზოგადოებრივ და სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებებში ფართოდ დამკვიდრებული მიდგომებისა და მეთოდების (ბალანსური, სოციოლოგიური კვლევის და სხვ.) დანერგვას.

რეკრეაციული გეოგრაფია – საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დისციპლინების ბლოკის ნაწილია. ის მჭიდროდაა დაკავშირებული დანარჩენ საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ, ასევე ბუნებრივ-გეოგრაფიულ და თეორიულ-მეთოდოლოგიურ გეოგრაფიულ დისციპლინებთან. რეკრეაციული გეოგრაფია მრავალი დისციპლინის ინტერესს იწვევს. ამიტომ მას მჭიდრო კავშირი აქვს არაგეოგრაფიულ საგნებთანაც, როგორებიცაა სოციოლოგია, ეკოლოგია, ბუნებათსარგებლობა, ეთნოგრაფია, პოლიტოლოგია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, მედიცინა და ა.შ.

ტურიზმის გეოგრაფია ტურისტებისთვის საინტერესო ქვეყნებსა და რეგიონებს შეისწავლის. ის ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიის სხვა დისციპლინებისგან იმით განსხვავდება, რომ მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს არა რომელიმე ქვეყნის ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის კომპლექსური შესწავლა, არამედ ქვეყნის ბუნების, კლიმატის, ლანდშაფტების, ფლორისა და ფაუნის იმ თავისებურებების აღწერა, რომლებიც მათ ტურისტებისთვის მიმზიდველ ობიექტებად აქცევენ.

ტურიზმის გეოგრაფიაში მნიშვნელოვანია ასევე ისტორიულ-კულტურული კომპონენტი, ვინაიდან მრავალი ქვეყანა ტურისტებს იზიდავს არა იმდენად ხელსაყრელი კლიმატითა თუ ბუნებრივი ლანდშაფტების სილამაზით, არამედ ისტორიული და კულტურული ძეგლებით.

ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ ღირსშესანიშნაობათა გარდა ტურიზმის გეოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი ობიექტები და მოვლენები, რომელთაც შეუძლიათ სრულიად განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნილებების მქონე ადამიანთა მიზიდვა. მაგალითად, როგორიცაა სამკურნალო, სასწავლო, სამეცნიერო დაწესებულებები, სავაჭრო ცენტრები, სასპორტო და სადღესასწაულო ღონისძიებები, სხვადასხვა ბაზრობები, გამოფენები და ა.შ.

ტურიზმის წარმოშობა განპირობებულია მსოფლიო გეოგრაფიული რაიონების მრავალფეროვნებითა და ადამიანთა მხრიდან ამ მრავალფეროვნების გაცნობის სურვილით. მოგზაურობათა მიზნები, სახეობები და ფორმები მჭიდროდაა დაკავშირებული გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონებთან და ობიექტებთან. ამდენად, გეოგრაფიული ფაქტორი ტურიზმში საკვანძო როლს ასრულებს.

ტურიზმის გეოგრაფიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ტურისტებისთვის საინტერესო რეგიონებისა და ქვეყნების, მათი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, ასევე იმ კანონზომიერებების შესწავლა, რომლებიც განაპირობებენ ტურისტული ნაკადების წარმოშობას, მათ მოცულობასა და მიმართულებას.

ტურიზმი მე-20 საუკუნის ფენომენად ითვლება, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში მოხდა საზოგადოების ყველა სოციალური ფენის ჩაბმა ტურისტულ მოძრაობაში. მას შემდეგ ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ინდივიდს ხელეწიფება მისთვის სასურველი ქვეყნის დათვალიერება. შრომის დაძაბული რიტმი აიძულელებს ადამიანებს იზრუნონ ჯანმრთელობაზე, დაისვენონ და აღიდგინონ შრომის პროცესში დახარჯული ძალები.

დასვენება ადამიანის ნებისმიერი საქმიანობაა, რომელიც არ არის მიმართული მისი საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. დასვენების დროს ადამიანთა საქმიანობა შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

1. გარკვეულ ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებული საქმიანობა (სპორტით დაკავება, გასეირნება);
2. სამოყვარულო საქმიანობა (ნადირობა, თევზაობა, სოკოს, კენკრის და ბუნების სხვა ნობათის შეგროვება (არა შემდგომ სარეალიზაციოდ), სხვადასხვა ნივთების კოლექციონირება, ქარგვა, ქსოვა და ა.შ.);
3. ხელოვნების სამყაროს ზიარება (მუზეუმში, თეატრში, კინოში ვიზიტი, კონცერტზე დასწრება და სხვ.);

4. ინტელექტუალური საქმიანობა (თვითგანათლება, ლიტერატურის, ჟურნალ–გაზეთების კითხვა, ტელევიზიით საგანმანათლებლო სიუჟეტების ნახვა, კომპიუტერში სასურველი მასალის მოძიება);
5. ინტერესების შესაბამისი ურთიერთობები (კლუბების, საზოგადოებების, გაერთიანებების მონახულება);
6. გართობა, რომელიც ატარებს აქტიურ (სხვადასხვა თამაშები, ცეკვები) ან პასიურ (სანახაობებზე დასწრება) ხასიათს;
7. მოგზაურობა სიამოვნების მიზნით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოგზაური ტურისტი არ არის. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციას (მტო) მიღებული აქვს მოგზაური ადამიანების დაჯგუფების სქემა, სადაც ნათლად არის განსაზღვრული ამ ერთობლიობიდან ვინ არის ტურისტი ან ექსკურსანტი და ვინ – უბრალოდ მოგზაური (იხ. სქემა 1).

სქემაზე ჩანს, რომ მტო მოგზაურთა მთელ სიმრავლეს ორ ჯგუფად ჰყოფს: პირველ ჯგუფში („ტურიზმის სტატისტიკაში გათვალისწინებული“) გაერთიანებული მოგზაურები კიდევ ორ სიმრავლედ ნაწილდებიან – ღამისთევით ჩამომსვლელები ანუ *ტურისტები* და ერთდღიანი ჩამომსვლელები ანუ *ექსკურსანტები.* მეორე ჯგუფში გაერთიანებული არიან ის მოგზაურები, რომელთა გადაადგილება გართობა-დასვენებასთან არ არის დაკავშირებული, ესენია: ჩვეულ გარემოში მოგზაური ადამიანები, მუდმივი და დროებითი იმიგრანტები, მომთაბარეები, დევნილები, ტრანზიტული მგზავრები, სამხედრო მოსამსახურეები, დიპლომატები და ა.შ.



სურათი 1: მოგზაურთა კლასიფიკაცია, რეკომენდირებული სტო-ს მიერ

1 - ახორციელებენ სულ მცირე ერთ ღამისთევას მიმღები ქვეყნის განთავსების საშუალებებში რემონტისა ან ეკიპაჟის შეცვლის დროს;

2 - ჩადიან ქვეყანაში და ღამეს ათევენ საკრუიზო გემზე;

3 - არ წარმოადგენენ მიმღები ქვეყნის მოქალაქეებს, სადაც ერთი დღის განმავლობაში იმყოფებიან;

4 - ტურისტული მიზნით ტოვებენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს და იმავე დღეს ბრუნდებიან. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებიან ერთდღიანი ტრანზიტული ჩამომსვლელები

5 - ტურისტებად არ ითვლებიან მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არაკანონიერი გზით შესვლისას;

6 - მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან (ქვეყნიდან) სამუშაო ადგილამდე და უკან მგზავრობის, აბრეთვე მანევრების დროს, თანმხლები პირების ჩათვლით;

7 - თანმხლები პირების ჩათვლით

ტურიზმში **გეოგრაფიული ფაქტორი** ძალზე მნიშვნელოვანია – ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორი (რელიეფი, ადგილის კლიმატური და ლანდშაფტური თავისებურებები, ეგზოტიკური და უნიკალური ბუნებრივი ობიექტების არსებობა, ზღვის, ტყის, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს რესურსები, მინერალური წყლები და სამკურნალო ტალახები და ა.შ.), ეკონომიკურ-გეოგრაფიული (ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავს ტურისტების ნაკადს როგორც ამ ქვეყნისკენ, ისე მის გარეთ, ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ტურისტული ბაზრების მიმართ, სატრანზიტო შესაძლებლობები, ტურისტების მიმღები და წარმომქმნელი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ტურისტების მომსახურებისთვის კვალიფიციური კადრების არსებობა, რესურსებზე ფასების დონე, ტრანსპორტის განვითარების დონე). **ეთნიკური ფაქტორები** (პლანეტაზე მცხოვრები ხალხების განსხვავებული ცხოვრების წესი, ისტორია, კულტურა, ტრადიცია, ჩვევები, რელიგია), **კულტურულ-ისტორიული ფაქტორები** (ისტორიული, არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები, გალერეები, გამოფენები), **გეოპოლიტიკური ფაქტორები** (სტაბილურობა, ეროვნებათშორისი კონფლიქტების არარსებობა, ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ჩამოსულებთან და სხვა).

საკვანძო ტერმინები:

ტურისტის პირველი განმარტება ერთა ლიგის სტატისტიკის კომიტეტმა 1937 წელს მიიღო, რომელიც მოგვიანებით გაეროს საერთაშორისო ტურიზმისა და მოგზაურობების რომის კონფერენციაზე (1963) დააზუსტეს, რაც აღიარა მტო-მ.

ტურისტების **აღრიცხვის მეთოდები:** <u>საზღვარზე აღრიცხვა</u> (დაახლოებით 60 ქვეყანაში – აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია და ა.შ.), <u>სასტუმროში რეგისტრაცია</u> (გერმანია, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდი, შვეიცარია) და <u>შერჩევითი გამოკითხვა</u> (ძალიან ძვირი, მაგრამ შედეგიანია).

ძალიან რთულია **ადგილობრივი არაორგანიზებული ტურისტების** აღრიცხვა, რასაც არაპირდაპირი გზით ითვლიან – ტურისტულ სეზონზე საქალაქთაშორისო ტრანსპორტის დატვირთვის ან პურის დანახარჯის მატება (სსრკ-ში 1 ადამიანზე პურის დღე-ღამურ ნორმად 450 გრ ითვლებოდა).

არსებობს ტურიზმის სამი საბაზისო ფორმა – **შემოსვლითი** (inbound, incoming)**, გასვლითი** (outbound, outgoing) და **ადგილობრივი** (domestic); ტურიზმის სამი საბაზისო ფორმა, თავის მხრივ, ქმნის **შიდა** (internal), **ეროვნულ** (national) და **საერთაშორისო** (international) ტურიზმს.

შიდა ტურიზმი გულისხმობს ადგილობრივი და შემოსვლითი ტურიზმის ერთობლიობას, **ეროვნული** არის ადგილობრივი და გასვლითი ტურიზმის, ხოლო **საერთაშორისო** – შემოსვლითი და გასვლითი ტურიზმის ერთობლიობა.

ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტებს შორის თანაფარდობა, ტურიზმის ექსპერტების გათვლით, 2013 წელს 6:1 იყო. თუმცა ბოლო ხანებში ისინი თვლიან, რომ საუკეთესო იქნება თანაფარდობა 4:1.

ექსპორტი და იმპორტი ტურიზმში ამ ტერმინების ჩვენთვის ტრადიციული გაგების საპირისპიროა.

ტურისტული პროდუქტის ექსპორტი არის ქვეყნიდან ტურისტული შთაბეჭდილებების გატანა, რაც დაკავშირებულია ტურისტების მიერ მოცემულ ქვეყანაში ფულის (უცხოური ვალუტის) შემოდინებასთან. ამ შემთხვევაში ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტებს მოაქვთ შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან;

ტურისტული პროდუქტის იმპორტი არის ქვეყანაში ტურისტული შთაბეჭდილებების შემოტანა, რაც დაკავშირებულია ტურისტების მიერ მოცემული ქვეყნიდან ფულის (უცხოური ვალუტის) გადინებასთან. ეს არის ტურისტული მიზნით ქვეყნის მოქალაქეთა გასვლა სახელმწიფოს გარეთ და თანხის დახარჯვა საერთაშორისო ტურიზმზე.

ტურისტული შთაბეჭდილებების ქვეშ იგულისხმება ტურისტის სულიერი მდგომარეობისა და დადებითი ემოციების კომპლექსი, რომელიც მიიღწევა ტურისტის მიერ ტურისტული პროდუქტის მოხმარების შედეგად. ტურისტი, როგორც წესი, გეგმავს შეძენილი ტურიდან მიიღოს დადებითი ემოციები შემეცნების, გაჯანსაღების, თავგადასავლებისა და ა.შ. პროცესში.

ტურისტული ბალანსი არის სხვაობა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალსა და ამავე მიზნით ქვეყნის მოქალაქეების მიერ დახარჯულ თანხას შორის. ტურისტული ბალანსი არის დადებითი და უარყოფითი. უარყოფითი ტურისტული ბალანსი, როგორც წესი, აქვთ ტურისტების გენერატორ (ანუ მათი დიდი რაოდენობით

წარმომქმნელ) ქვეყნებს. ასეთია ჩინეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, რუსეთი, კანადა, კორეის რესპუბლიკა და სხვ. (ცხრ. 1).

ზოგიერთი ქვეყნის ტურისტული ბალანსი, მლრდ $ (2018)

ცხრილი 1

##	ქვეყანა	შემოსავალი	ხარჯი	ტურისტული ბალანსი
1.	ჩინეთი	40	277	**–237**
2.	აშშ	214	144	**70**
3.	გერმანია	43	94	**–51**
4.	გაერთიანებული სამეფო	52	76	**–24**
5.	საფრანგეთი	67	48	**19**
6.	ავსტრალია	45	37	**8**
7.	რუსეთი	12	35	**-23**
8.	კანადა	22	33	**–11**
9.	კორეის რესპუბლიკა	15	32	**–17**
10.	იტალია	49	30	**19**

წყარო: Tourism Highlights, 2019

აქტიური ტურიზმი ნიშნავს მოცემულ ქვეყანაში ტურისტების შემოსვლას საზღვარგარეთიდან, რაც აისახება ქვეყნის ბალანსის აქტივებში. **პასიური ტურიზმი კი** – მოცემული ქვეყნის მოქალაქეების გასვლას საზღვარგარეთ, რაც ასახვას ქვეყნის ბალანსის პასივებში ჰპოვებს.

ტურიზმის სწარფი ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები

მე-20 საუკუნეში ტურიზმმა მასობრივი ხასიათი მიიღო, რასაც მთელმა რიგმა გარემოებებმა შეუწყო ხელი:

1. **თავისუფალი დროის ზრდა**

   სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომლის შედეგად შეიქმნა საწარმოო ძალთა სრულიად ახალი დონე – გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რამაც გამოიწვია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება და თავისუფალი დროის ბიუჯეტის ზრდა. წლის დროის ბიუჯეტი დაახლოებით 9 ათას საათს შეადგენს. მე-19 საუკუნის შუა წლებისათვის ეს დრო შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 5 ათასი სთ სამუშაო დრო იყო, 3 ათასი – ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო დრო, ხოლო 1 ათასი –

არასამუშაო დრო. მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში თითოეულ აღნიშნულ ჯგუფზე დროის თანაბარი რაოდენობა – 3-3 ათასი საათი მოდიოდა. ე.ი. თავისუფალი დრო 3-ჯერ გაიზარდა.

2. **პროგრესი ტრანსპორტის სფეროში**

ტრანსპორტის განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანის მობილურობის ზრდას და გადაადგილებისათვის საჭირო დროის დაზოგვას. საქმე ეხება არა მარტო ტურისტების მიერ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის ზრდას, ასევე მათ სახეობრივ გამრავალფეროვნებას. ახლა ტურისტებს ემსახურება ტრანსპორტის ყველა ტრადიციული სახეობა და მათ დაემატა კოსმოსური რაკეტები. სისწრაფის მატება მკვეთრად ამცირებს გადაადგილებაზე დახარჯულ დროს და შედეგად იზრდება დესტინაციაში დარჩენის ხანგრძლივობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა კერძო მფლობელობაში მყოფი ავტომობილების რაოდენობა. ათასწლეულების მიჯნაზე მსოფლიოში 600 მილიონზე მეტი ავტომობილი აღირიცხებოდა. ავტომობილით მგზავრობა ძალზე აქტუალურია, განსაკუთრებით ოჯახისთვის, რომელსაც საშუალება ექნება, სურვილისამებრ ნებისმიერ ადგილზე გაჩერდეს. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კერძო მფლობელობაში მყოფი ავტომობილების მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება, რაც მოსახლეობის მობილურობას ზრდას იწვევს და, ბუნებრივია, დადებითად აისახება ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაზე. გასათვალისწინებელია ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესამჩნევი გაფართოება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

3. **ურბანიზაციის ზრდის უარყოფითი შედეგები**

მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა და ქალაქებში დიდი რაოდენობით მოსახლეობის თავმოყრას ურბანიზაციას უწოდებენ. დღეისათვის მსოფლიოში ქალაქად მცხოვრებთა რაოდენობამ 56% შეადგინა (2020). ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ურბანიზაცია საშუალოდ 75%-ის (იხ. დანართი 1, რუკა 1), განვითარებადში კი – 25%-ის ფარგლებშია. საქალაქო ტიპის დასახლებებში გაზრდილი მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ერთის მხრივ, მოსახლეობას კომფორტულ გარემოს უქმნის, რისკენაც ყველა მიისწრაფის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამცირებს ფიზიკურ დატვირთვებს ორგანიზმზე, რასაც მოსდევს ჰიპოდინამია – თანამედროვეობის ერთ-ერთი მძიმე სენი, რომელიც მრავალი დაავადების წარმოქმნის წინაპირობაა.

მსოფლიოს ქვეყნები ურბანიზაციის მიხედვით, 2020

რუკა 1



ამავე დროს ქალაქებში გარემო დაბინძურებულია სამრეწველო საწარმოებისა და ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით, მომატებულია ხმაურის დონე, ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე ხშირია სტრესული აშლილობები, ემოციური გადაღლა. ყოველივე ეს უბიძგებს ქალაქელებს, იზრუნონ ბუნებაში ან სხვა რაიონებსა თუ ქვეყნებში დასვენებაზე. აღნიშნულის გამო მაღალურბანიზებული ქვეყნები გამოირჩევიან ტურისტების მნიშვნელოვანი მოძრაობით.

4. **სასაზღვრო პროცედურების შემსუბუქების ტენდენცია**

მსოფლიოში შეინიშნება სასაზღვრო პროცედურების გამარტივების ტენდენცია. მაგალითად, აშშ 30-მდე ქვეყნის მოქალაქეს არ სთხოვს ვიზას; დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის ძირითადად უვიზო მიმოსვლაა, თუმცა საქართველოს ცალმხრივი სავიზო რეჟიმი აქვს რუსეთთან (რუსეთის მოქალაქეები 2012 წლიდან უვიზოდ შემოდიან საქართველოში მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში ჩასასვლელად 2000 წლის დეკემბრიდან ვიზები ესაჭიროებათ); ქვეყნებს შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებები უვიზო მიმოსვლაზე (მაგალითად, საქართველოსა და თურქეთს, საქართველოსა და ისრაელს შორის და ა.შ.);

შ ე ნ გ ე ნ ი ს ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი

რუკა 2

შენგენის ხელშეკრულების 26 წევრ ქვეყანას (ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი) შორის უვიზო მიმოსვლა (იხ. რუკა 2).

5. **კულტურის საერთო დონის ამაღლება**

   რაც მეტი ცოდნა და ინფორმაცია აქვს ადამიანს არსებული ტურისტული დესტინაციებისა და ატრაქციების შესახებ, მით მეტი არჩევანის გაკეთების საშუალება ეძლევა მას.

6. **მსოფლიო კომპიუტერიზაციის დონის ამაღლება**

   ბოლო წლებში ფართოდ განვითარებული საინფორმაციო სისტემები ამარტივებენ მომსახურების მთელი რიგი სახეობების სახლიდან გაუსვლელად შეძენას. შესაძლებელია როგორც სამგზავრო ბილეთების დაჯავშნა, ისე სასტუმროს ნომრის, სხვადასხვა ღონისძიებების ბილეთების, ტურის, ექსკურსიის და სხვა მომსახურებათა შეკვეთა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტურისტების გენერატორი ოთხი ძირითადი ქვეყანა (აშშ, გერმანია, იაპონია და გაერთიანებული სამეფო) ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვითაც გამოირჩევა. მათზე მოდის ტურისტული ბაზრის 2/5 და ინტერნეტით მოსარგებლეთა მთელი რაოდენობის დაახლოებით 80%. ეს მაჩვენებლები ადასტურებენ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული სისტემების მეშვეობით გაყიდვებს აღნიშნული ქვეყნების ტურიზმის განვითარება-გაფართოებაში.

ტურიზმის განვითარების მოკლე ისტორია

თანამედროვე ტურიზმი, ერთი მხრივ, ახალგაზრდა მოვლენაა (მასობრივი ხასიათი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1950 წლიდან მიიღო), მეორე მხრივ, მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.

პირველი ეტაპი – ტურიზმის წინაისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე; პირველყოფილი ადამიანები მკვეთრ განსხვავებას შრომასა და მოცალეობას შორის არ აკეთებდნენ – ისინი საქმეს მაშინ აკეთებდნენ, როდესაც სამუშაო იყო ან აუცილებლობას წარმოადგენდა. ხშირად ამ საქმიანობაში რიტუალები ერთვებოდა. თანდათან ადამიანები მომთაბარეობიდან დაფუძნებულ ცხოვრების წესზე გადავიდნენ, გაიზარდა ადამიანთა ჯგუფების სიდიდე და სიმჭიდროვე. არსებული კლასობრივი სტრუქტურა ითვალისწინებდა ძლიერ დიდგვაროვანთა და დაბალი კლასების არსებობას, რომლებიც განსხვავებულ რეკრეაციულ ქმედებებს ახორციელებდნენ.

ამ ეტაპის უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება პირველი ოლიმპიური თამაშები საბერძნეთში, რომლის მთავარი დამსახურება იყო ის, რომ ოლიმპიადის დღეებში მის მიმდებარე ტერიტორიებზე წყდებოდა საომარი მოქმედებები, მის მიმდინარეობას კი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა ადევნებდა თვალს; ამავე პერიოდში ჩაისახა რომის თერმები, რომლებიც ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანების ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად; ევროპაში ფართოდ განვითარდა მომლოცველობა; ადგილი ჰქონდა კულტურის აღორძინებას (რენესანსი) და განათლების განვითარებას; პერიოდი მე-15 საუკუნის ბოლოდან მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქად ითვლება, რომლის შედეგადაც დედამიწაზე ძალზე ცოტა „თეთრი ლაქები“ დარჩა; ინგლისში კი შეძლებული ოჯახის წევრებისთვის ძალზე მოდური გახდა „გრანდ-ტურები“, რაც გულისხმობდა განათლებამიღებული ახალგაზრდების ორი-სამი წლით ევროპის კონტინენტურ ნაწილში სამოგზაუროდ გაშვება. ახალგაზრდები ლონდონიდან ჩადიოდნენ საფრანგეთში, დიდი ხანი ჩერდებოდნენ პარიზში, შემდეგ მოგზაურობას აგრძელებდნენ იტალიისკენ (გენუა, მილანი, ფლორენცია, რომი), უკან კი ბრუნდებოდნენ შვეიცარიის, გერმანიისა და ჰოლანდიის გავლით.

ამ ეტაპიდან იღებს სათავეს ასევე გართობის მიზნით მოგზაურობა, რისი საშუალებაც, ბუნებრივია, მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენლებს ჰქონდათ. გაჩნდა თანამედროვე სასტუმროების წინამორბედი შენობები – ფუნდუკები განსხვავებული შეძლების (პატრიციები და პლებეები) მოგზაურებისთვის.

პირველი ეტაპის დამახასიათებელი ნიშნები იყო: 1. გადაადგილების საშუალებათა პრიმიტივიზმი; 2. მოგზაურობა თვითმიზანი კი არ იყო, არამედ მიზნის (განათლება, მკურნალობა, ვაჭრობა) მიღწევის პირობა; 3. მოგზაურობა „ელიტარული“ იყო, „პატარა ადამიანი“ განზე რჩებოდა.

მეორე ეტაპზე (მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე) სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ძირეული ცვლილებები განხორციელდა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. წარმოების ფაბრიკული წესის განვითარების შედეგად მოხდა სამუშაო და თავისუფალი დროის მკვეთრი გამიჯვნა, გაჩნდა ორთქლის ენერგიაზე მოძრავი გემები და მატარებლები, რამაც მკვეთრად გააფართოვა ადამიანების მოძრაობის გეოგრაფია. სწორედ ამ პერიოდში შემოიღეს გარანტირებული უხელფასო, მოგვიანებით კი – ანაზღაურებადი შვებულება. იქმნებოდა კეთილმოწყობილი სასტუმროები, ძვირფასი რესტორნები, გართობის დაწესებულებები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში გამოჩნდა თომას კუკი – თანამედროვე გაგებით, პირველი ტუროპერატორი, რომლის მიერ ორგანიზებული პირველი ტურები არ იყო კომერციული, ისინი სოციალურ მიზნებს ემსახურებოდა.

მან თავიდან ინგლისში ამოგზაურა კლიენტები, შემდეგ – კონტინენტზე (შვეიცარიაში), 1868 წელს – აშშ-ში და 1882 წელს მოაწყო მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასვენების ინდუსტრიაში გამოჩნდა მოგზაურობათა პირველი ბიუროები, რომელთა ამოცანაში შედიოდა მოგზაურობათა ორგანიზება და მომხმარებელზე რეალიზება.

კვლავ მაღალი წრის წარმომადგენლები (მონარქები და სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირები, მაღალი სასულიერო წოდების ადამიანები, მდიდარი ვაჭრები) მოგზაურობდნენ, რის გამოც მას „ელიტარული“ ტურიზმის პერიოდი ეწოდა. მისთვის დამახასიათებელია ტურისტულ მომსახურებათა მწარმოებელი სპეციალიზებული საწარმოების ჩასახვა.

მესამე ეტაპზე მოხდა მასობრივი ტურიზმის საწყისების ჩასახვა, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მე-2 მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. ამ დროს ემთხვევა ტრანსპორტის ახალი სახეობების (საავტომობილო და საჰაერო) ფართოდ განვითარება. ტურიზმზე ფიქრის საშუალება უკვე დაბალი კლასების წარმომადგენლებსაც შეძლოთ. მაგრამ ეს აღმოჩნდა მრავალი გლობალური მოვლენის ეპოქა (ოქტომბრის რევოლუცია, ორი მსოფლიო ომი, ეკონომიკური კრიზისი აშშ-ში, რეპრესიები სსრკ-ში), რამაც შეაფერხა ტურიზმის განვითარება.

მეოთხე ეტაპი, იგივე თანამედროვე ანუ **მასობრივი ტურიზმის** ეტაპი მე-2 მსოფლიო ომის დასრულებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა ადამიანთა სხვა ქვეყნებში მოგზაურობის ინტენსივობა და 1950-70-იან წლებში საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლების ზრდის მაჩვენებელი 10%-ს აღემატებოდა. თავდაპირველად, 50-იან წლებში ომგადატანილი ევროპული სახელმწიფოები ორიენტირებული იყვნენ ამერიკელების, იმ ქვეყნის მოსახლეობის მომსახურებაზე, რომლის ტერიტორია საომარი მოქმედებებისგან მნიშვნელოვნად იყო დაცილებული. მასპინძელი ქვეყნები ტურისტების მომსახურებიდან საგრძნობ შემოსავალს იღებდნენ მყარი ვალუტით, რაც ამ ქვეყნებისთვის ეკონომიკური წინსვლის დამატებით წყაროდ იქცა. თანდათანობით მოხდა ომის სავალალო შედეგების აღმოფხვრა და 60-70-იან წლებში სწრაფი ზრდა დაიწყო როგორც შემოსვლითმა, ისე გასვლითმა ტურიზმმა. თავდაპირველად, მასობრივი ტურიზმი ხასიათდებოდა მოგზაურობის ერთგვაროვანი მოტივაციით – დასვენება დახარჯული ძალების აღსადგენად. მას შეესაბამებოდა ტურისტულ მომსახურებათა ნაკრების სტანდარტული ფორმა (*მასობრივ-კონვეიერული ტურიზმი).* მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად მცირდებოდა მოთხოვნა

სტანდარტიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, იზრდებოდა კონკრეტული ადამიანის მიერ შეკვეთილ მაღალხარისხოვან პროდუქციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროდუქტი ადამიანთა მცირე ჯგუფებს უფრო ძვირი უჯდებოდათ, მაინც იმძლავრა ამ ტენდენციამ და 1970-80-იანების ბოლოს მოხდა ე.წ. მასობრივ კონვეიერული ტურიზმიდან *მასობრივ-დიფერენცირებულ ტურიზმზე* გადასვლა. "მწარმოებელთა ბაზარი", მისთვის დამახასიათებელი მწარმოებლის დიქტატით, თანდათანობით იქცა "მომხმარებელთა ბაზრად" – მყიდველის პრიორიტეტული პოზიციით გამყიდველთან შედარებით.

ზღვაზე პასიური დასვენება (მიუხედავად იმისა, რომ ის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის დასვენების საყვარელ ფორმად რჩებოდა) ადგილს უთმობდა ტურისტული ქცევის ახალ ფორმას, რომელიც ძირითადად სინამდვილის შემეცნებაზე იყო ორიენტირებული. თანდათანობით "სამი S" ტიპის დასვენება – ზღვა-მზე-ქვიშა (Sea-Sun-Sand), იცვლება ფორმულით "სამი L", რაშიც იგულისხმება ეროვნული ტრადიციები-პეიზაჟები-მოცალეობა (Lore-Landscape-Leisure). ადამიანები მოგზაურობენ არა მარტო ძალების აღდგენის მიზნით, არამედ ინტერესით ეცნობიან უცხო ხალხების ადგილობრივი ყოფისა და კულტურის თავისებურებებს. ამასთანავე იზრდება იმის შეგნება, რომ ძალების სრულფასოვანი აღდგენა და განვითარება აქტიური დასვენებით სჯობს.

ბოლო ხანებში საუბარია, რომ "4S" (sea, sun, sand, surf) ტიპის დასვენება ხშირ შემთხვევაში იცვლება "4E"-თი – équipement, encadrement, événement, environnement – ლოჯისტიკა და სტუმარმასპინძლობა (სასტუმროები), პროფესიული კადრები, ღონისძიებები (კულტურული ასპექტი) და გარემო – კარგად ორგანიზებული ტერიტორია. იგულისხმება, რომ ტურისტების მისაღებად აუცილებელია მათი კომფორტული განთავსება, პროფესიული თანამშრომლებით მომსახურება, საინტერესო ღონისძიებებითა და სუფთა ეკოლოგიური გარემოთი უზრუნველყოფა.

ტურიზმის განვითარების მეხუთე ეტაპი. 2019 წელს საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლების რაოდენობამ 1,5 მლრდ მიღწია და ზრდის ტემპმა 4% შეადგინა. ყველა ტურისტულ რაიონში ტურისტების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა. ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020 წელს მსოფლიოში ტურისტების რაოდენობის ზრდა კვლავ 3-4%-ის ფარგლებში უნდა ყოფილიყო.

მაგრამ 2020 წელს ტურიზმის ინდუსტრია მძიმე გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა რიგი მოვლენების გამო: გაერთიანებულმა სამეფომ დატოვა ევროკავშირი (31.01.2018), მოვლენა ცნობილი ბრექსიტის სახელით, ადგილი ჰქონდა გეოპოლიტიკურ და სავაჭრო დაძაბულობას, გლობალურ ეკონომიკურ შეფერხებას. წელი ასევე აღინიშნა

მნიშვნელოვანი ძვრებით ტურიზმის სექტორში: დაიხურა მსოფლიოში ცნობილი და დიდი ისტორიის მქონე ტურისტული კომპანია „თომას კუკი“ , გაუქმდა ევროპაში მოქმედი რამდენიმე დაბალბიუჯეტიანი ავიახაზი .

2019 წლის მიწურულს ჩინეთის ვუჰანის პროვინციიდან მსოფლიოს საფრთხე დაემუქრა ახალი ინფექციური დაავადების – კორონას (კოვიდ-19) სახით. დაავადება ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა და 2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ის პანდემიად აღიარა.

2022 წლის დასაწყისისთვის მსოფლიოში კოვიდით დაავადებულთა რაოდენობამ 424 მილიონი შეადგინა, მათგან 5,9 მლნ – გარდაიცვალა. საქართველოში აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 1,6 მლნ და 16 ათასს შეადგენს.

2021 წელს ტურისტული ჩამოსვლების რაოდენობა, პანდემიამდელ 2019 წელთან შედარებით, 72%-ით ნაკლები იყო.

მტო-ს ექსპერტების უკანასკნელი ვარაუდით 2022 წლის მესამე კვარტალი ტურიზმის აღდგენის დასაწყისი იქნება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (64%) თვლის, რომ ტურისტების რაოდენობა 2019 წლის მაჩვენებელს 2024 წელს ან ცოტა მოგვიანებით მიაღწევს.

ტურიზმის დინამიკა

მას შემდეგ, რაც ტურიზმმა მასობრივი ხასიათი მიიღო, საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა. ჩავარდნები დაფიქსირდა 1992, 2003, 2009 წლებში, როდესაც ამას სხვადასხვა მიზეზები განაპირობებდა. ეს იყო პოლიტიკური (მაგალითად, სპარსეთის ყურის ომი) და ეკონომიკური არასტაბილურობა (მ.შ. ნავთობის ფასის ზრდა), ტერაქტების შიში (11 სექტემბერი და სხვა ტერორისტული აქტები), ჯანმრთელობის საფრთხე (ატიპური პნევმონია, ქათმისა და ღორის გრიპის

საერთაშორისო ტურიზმის დინამიკა, 1950-2030

სქემა 2



წყარო:Tourism Highlights, 2019

შემთხვევები უპირატესად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში), ბუნებრივი კატაკლიზმები (მიწისძვრა, ცუნამი და ა.შ.), ბოლო პერიოდის გლობალური ეკონომიკური კრიზისი და სხვა. თუმცა ტურისტულ მოგზაურობას აქვს თვისება, რომ გარკვეული მიზეზის გამო მისი შეფერხების შემდეგ, გამომწვევი ფაქტორის აღმოფხვრისთანავე, ის აღდგენას იწყებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე ტურისტების რაოდენობა. ცნობილია, რომ 1950 წელს 25 მილიონმა საერთაშორისო ტურისტმა 2 მილიარდი დოლარი დახარჯა. 68 წლის შემდეგ, 2018-ში ტურისტების რაოდენობა 56-ჯერ იყო გაზრდილი და მილიარდს გადააჭარბა (1401 მლნ), შემოსავალმა კი 725-ჯერ მოიმატა და 1451 მლრდ დოლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი ქვეყანა, სავალუტო შემოსავლის მიღების მიზნით, ცდილობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას.

21-ე საუკუნის დასაწყისამდე ყველაზე მონახულებადი ტურისტული რაიონები ევროპა და ამერიკა იყო. 1950 წელს მათი წილი საერთაშორისო ტურისტულ მოძრაობაში ერთად 96,4% შეადგენდა (ევროპა 69%, ამერიკა 27,4%). დროთა ვითარებაში ორივეს წილმა კლება განიცადა. ევროპა მაინც სულ პირველ ადგილზე რჩება, თუმცა მისი

წილი ახლა 51%-ია. ამერიკა კი 15%-ით მე-3 ადგილზე აღმოჩნდა. 1950 წელს აზია/ოკეანეთის ტურისტულ რაიონში ჩასული ტურისტების რაოდენობა 1%-საც კი არ შეადგენდა (0,18%), ახლა კი ის 25%-ით მყარად იკავებს მე-2 ადგილს. 1950-იან წლებში ტურისტულ რაიონებს შორის მე-3 პოზიციაზე მყოფი აფრიკა ტურისტების მხოლოდ 0,5% იღებდა, შუა აღმოსავლეთი კი 0,18%. ამ ორივე ტურისტულ რაიონშიც ზრდის ტენდენცია იყო და 2018-ში ისინი დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ტურისტებს მოემსახურნენ – 4,7% და 4,6% შესაბამისად (იხ. ცხრ. 2 და 3).

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მსოფლიო საქონლისა და მომსახურების ექსპორტით მიღებული შემოსავლის დაახლოებით 7%-ია, ხოლო მსოფლიო მომსახურების ექსპორტისა – 30%-ის ფარგლებში. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მრავალი ქვეყნისათვის მათი მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ესპანეთში ეს მაჩვენებელი 10,7%-ია, საფრანგეთის ემთხვევაში 7%-ს აღემატება, იტალიაში – 5,9%, აშშ-სთვის კი 5%-ის ფარგლებშია.

საერთაშორისო ტურისტების დინამიკა, 1950–2019

ცხრილი 2

წლები	საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა, მლნ	შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან, მლრდ დოლარი	საშუალო დანახარჯი ერთ ტურისტზე, დოლარი
1950	25,3	2,1	83,0
1960	71,2	6,8	95,5
1970	165,8	17,9	108,0
1980	285,0	102,0	357,9
1990	458,2	264,7	577,7
2000	698,8	475,8	978,0
2010	940,0	919,0	680,9
2018	1401,0	1451,0	1032,7

წყარო: მტო მასალების მიხედვით

ზრდა: **1950-2019**

56-ჯერ 725-ჯერ 12-ჯერ

საერთაშორისო ტურისტების დინამიკა
ტურისტული რაიონების მიხედვით (1950-2019)

ცხრილი 3

ტურისტული რაიონები	1950		1970		2000		2019	
	ტურისტების რაოდენობა, მლნ	%	ტურისტების რაოდენობა, მლნ	%	ტურისტების რაოდენობა, მლნ	%	ტურისტების რაოდენობა, მლნ	%
ევროპა	17,5	69,0	403,3	57,7	476,6	50,7	742,3	50,8
ამერიკა	6,9	27,4	129,0	18,5	149,8	15,9	220,1	15,1
აფრიკა	0,5	2,0	27,6	4,0	49,4	5,2	71,2	4,9
აღმ. აზია/ოკეანეთი	0,18	0,7	111,9	16,0	203,8	21,7	363,6	24,9
შუა აღმოსავლეთი	0,18	0,7	20,6	2,9	60,3	6,4	63,9	4,4
სამხრეთ აზია[1]	0,05	0,2	6,4	0,9				
სულ, მსოფლიო	25,3	100	698,9	100	940,0	100	1461,1	100

წყარო: მტო მასალების მიხედვით

ტურიზმის განვითარების მასშტაბურობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მნიშვნელოვნად გაფარდოვდა მისი გეოგრაფია – ტურისტები ახალ-ახალ დესტინაციებს ითვისებენ. 1950 წელს მოწინავე ტურისტული ქვეყნების პირველ ათეულში ჩადიოდა საერთაშორისო ტურისტების 91%, 1970-ში – 65%, კიდევ 20 წლის შემდეგ – 57%, 2018-ში კი – მხოლოდ 42%. თავდაპირველად ათეულში შედიოდნენ ტრადიციული

[1]1990-იანი წლებიდან ეს ტურისტული რაიონი აღმ. აზია/ოკეანეთის შემადგენლობაშია და მას აზია/ ოკეანეთის ტურისტული რაიონი ეწოდა.

ტურიზმის სახელმწიფოები – აშშ, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, შვეიცარია. 21-ე საუკუნეში აღნიშნულ ქვეყნებს დაემატა ტურიზმის კუთხით ნაკლებად ცნობილი დესტინაციები – ჩინეთი, ტაილანდი(ცხრ. 4).

მოწინავე ქვეყნების წილი გლობალურ ტურისტულ ნაკადებში, 1950-2018 წწ

ცხრილი 4

	1950		1970		1990		2000		2018	
	ქვეყანა	წილი, %	ქვეყანა	წილი, %	ქვეყანა	წილი, %	ქვეყანა	წილი, %	ქვეყანა	წილი, %
1.	აშშ		იტალია		საფრანგეთი		საფრანგეთი		საფრანგეთი	
2.	კანადა		კანადა		აშშ		აშშ		ესპანეთი	
3.	იტალია	74	საფრანგეთი	43	ესპანეთი	38	ესპანეთი	36	აშშ	28
4.	საფრანგეთი		ესპანეთი		იტალია		იტალია		ჩინეთი	
5.	შვეიცარია		აშშ		უნგრეთი		ჩინეთი		იტალია	
6.	ირლანდია		ავსტრია		ავსტრია		დ.ბრიტანეთი		თურქეთი	
7.	ავსტრია		გფრ		დ.ბრიტანეთი		რფ		მექსიკა	
8.	ესპანეთი	17	შვეიცარია	32	მექსიკა	19	მექსიკა	15	გერმანია	14
9.	გფრ		იუგოსლავია		გერმანია		გერმანია		ტაილანდი	
10.	დ.ბრიტანეთი		დ.ბრიტანეთი		კანადა		კანადა		დ.ბრიტანეთი	
	ათეულის ჯამი, %	91		65		57		51		42
	დანარჩენი ქვეყნები, %	9		35		43		49		58

წყარო: მტო მასალების მიხედვით

დღესდღეობით საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში შემდეგი ტენდენციები შეინიშნება:

- მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ტურისტული ნაკადები გადაადგილდებიან მერიდიანული მიმართულებით, ჩრდილო ნახევარსფეროში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ;
- ტურისტული მოგზაურობის ძირითად მიზანს დასვენება და გართობა წარმოადგენს, რეკრეაციული ტურისტების ხვედრითი წილი ტურისტების საერთო რაოდენობაში 56%-ია;
- გააქტიურდა პილიგრიმული ტურიზმი, რომელიც პოპულარული იყო შუა საუკუნეებში; მისი ხვედრითი წილი (სამკურნალო და ნათესავ-მეგობრების მონახულების ტურიზმთან ერთად) 27%-ს შეადგენს;
- ტურისტების საერთო რაოდენობაში ბიზნეს ტურისტების რაოდენობა 13%-ის ფარგლებშია;
- ტურისტული ნაკადების „საზღვაო ორიენტაცია“ – ტურისტების 2/3 ზღვისკენ მიილტვის;
- ერთი ტურის მანძილზე რამდენიმე ქვეყნის მონახულება;
- ტურისტების სხვა ქვეყნებში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება და ა.შ.

საერთაშორისო ტურიზმის აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული მსოფლიოში ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკოლოგიურ სტაბილურობაზე. ათასწლეულების მიჯნაზე ტურიზმის განვითარებამ უმაღლეს მაჩვენებლებს მიაღწია. მტო-ს ექსპერტების ვარაუდით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ტენდენცია მესამე ათასწლეულშიც გაგრძელდება და 2030 წლისათვის 1,8 მლრდ-ს მიაღწევს.

ტურიზმისა და რეკრეაციის სოციალურ-ეკონომიკური არსი და ძირითადი ფუნქციები

ტურიზმი და რეკრეაცია ამჟამად ადამიანის ნორმალური ცხოვრებისა და საქმიანობის აუცილებელი პირობაა. იგი წარმოადგენს განტვირთვის, ძალებისა და შრომის უნარის აღდგენის პირობას. ამასთან ტურიზმის სხვადასხვა ფორმები ხელს უწყობენ ადამიანთა თვალსაწიერის გაფართოებას, სულიერ და ინტელექტუალურ ზრდას. უცხოური ტურიზმის შემთხვევაში ძირითად ამოცანას ხალხების დაახლოება წარმოადგენს. საინტერესოა, რა როლს თამაშობს იგი საზოგადოების ცხოვრებაში და რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს.

დღეისათვის ტურიზმისა და რეკრეაციის საზოგადოებრივი ფუნქციები ოთხ ძირითად ჯგუფში ერთიანდება: სამედიცინო-ბიოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური.

თითოეული ეს ჯგუფი ადამიანთა საქმიანობის გარკვეულ სფეროსთანაა დაკავშირებული, თუმცა მკვეთრი საზღვარი მათ შორის არ არსებობს, ვინაიდან ბევრი საზოგადოებრივი მოთხოვნილება ურთიერთთან მჭიდრო კავშირშია და განაპირობებს კიდეც ერთმანეთს. ნათელია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება და აღდგენა რეკრეაციული საქმიანობის სამედიცინო-ბიოლოგიური ფუნქციის ფარგლებში განიხილება; ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელია რეკრეაციის სოციალურ-კულტურული ფუნქცია; პოლიტიკური ფუნქციის ძირითადი ამოცანა კი ხალხებს შორის ურთიერთობის გამყარება, ქვეყნის შიგნით კი – პატრიოტიზმის გრძნობის განმტკიცებაა; ეკონომიკური ფუნქციას განეკუთვნება შრომითი რესურსების კვლავწარმოება, მოსახლეობის დასაქმების ზრდა, შემოსავლის მიღება და სხვა.

განიხილავენ რეკრეაციული საქმიანობის **სამედიცინო-ბიოლოგიური ფუნქციის** ორ მხარეს – მკურნალობას და გაჯანსაღებას. სანატორულ-საკურორტო მკურნალობა აუცილებელია იმ ადამიანთა ჯანმრთელობის აღდგენისთვის, რომლებმაც გადაიტანეს დაავადება და ესაჭიროებათ მკურნალობის გაგრძელება. გაჯანსაღების აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ შრომითი და საყოფაცხოვრებო საქმიანობის პროცესში პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანიც კი გრძნობს დაღლილობას, რაც შრომისუნარიანობის დროებით დაქვეითებაში გამოიხატება. აღნიშნულის აღსაკვეთად შრომა დასვენებით უნდა შეიცვალოს, რათა მოხდეს ავადობის თავიდან აცილება. უკანასკნელ პერიოდამდე ეს ფუნქცია მხოლოდ ავადმყოფობის პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო პროცედურებს გულისხმობდა. თუმცა ამჟამად ძალზე აქტუალური გახდა უშუალოდ ავადობის დროს შესაფერისი მკურნალობის შემთავაზებელი დაწესებულებების მოძიება და მკურნალობის პროცესის იქ წარმართვა. ამ შემთხვევაში ტუროპერატორებმა თანმხლები პირების მოგზაურობაც უნდა დაგეგმონ.

სოციალურ-კულტურული ფუნქციები განისაზღვრება საზოგადოების მოთხოვნით – ჩამოყალიბდეს ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება. თუმცა თავისუფალი დროის მანძილზე განხორციელებული ყველა საქმიანობა არ ემსახურება ადამიანის, როგორც პიროვნების, განვითარებას. ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფალი დრო უქმად იფლანგება, ხანდახან კი უარყოფითად აისახება არა მარტო ადამიანსა და მის გარემოცვაზე, არამედ, საბოლოო ჯამში – საზოგადოების ინტერესებზეც. რეკრეაციული საქმიანობის ერთ-ერთ ფუნქციად გამოიყოფა გართობა, შეხამებული

ისეთ ქმედებებთან, რომლებიც საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციებს ასრულებენ. ამ შემთხვევაში საზოგადოების მოთხოვნა (პიროვნების შრომისუნარიანობის აღდგენასა და განვითარებაზე) და ადამიანის პირადი მოთხოვნა დასვენებაზე თანხვედრაშია. თუკი შრომისუნარიანობის აღდგენა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება რეკრეაციული საქმიანობის მიზანია, გართობა ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთისაშუალებაა. ზოგიერთ შემთხვევაში რეკრეაციული მომსახურება ხორციელდება გართობის ინდუსტრიის განვითარების გზით (ლას-ვეგასი, მონტე-კარლო). მაგრამ გართობის როლის ზრდა ხშირად ამცირებს შემეცნებისა და განვითარების ფუნქციას, ბუნებასთან კონტაქტი კი მხოლოდ გართობაში გადაიზრდება. ტურიზმი იძლევა საკუთარი ქვეყნისა და მთელი სამყაროს ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული საგანძურის შემეცნების უდიდეს შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით იზრდება ეროვნული პარკების, როგორც ცოცხალი ბუნების საუკეთესო და გამორჩეული ნიმუშების, შემეცნების დატვირთვა.

ტურიზმი და რეკრეაცია ასრულებენ **პოლიტიკურ ფუნქციასაც**. ადგილობრივ ტურისტებს საკუთარი ქვეყნის ბუნებრივ და ისტორიულ სიმდიდრეთა შემეცნების დროს მეტი წარმოდგენა ექმნებათ სამშობლოზე, წინაპრებსა და მათ დამსახურებებზე, უძლიერდებათ პატრიოტული გრძნობები. საერთაშორისო მასშტაბით კი ტურისტები სხვა ხალხების ისტორიის გაცნობით მეტი პატივისცემით იმსჭვალებიან მათ მიმართ, ხდება ხალხთა დაახლოება, ჩნდება ურთიერთგაცნობისა და თანამშრომლობის სურვილი, რაც მშვიდობის განმტკიცებასა და ხალხთა დაახლოებას ემსახურება.

ეკონომიკური ფუნქცია დაკავშირებულია ადამიანთან, როგორც საზოგადოების ძირითად მწარმოებლურ ძალასთან. მნიშვნელოვანია მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა, მომსახურების სფეროს განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის კეთილმოწყობა, მისი ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების უფრო მაღალ დონეზე დაბალანსება და ა.შ.

ტურიზმისა და რეკრეაციის ეკონომიკური ფუნქციებიდან მთავარია *სამუშაო ძალის უბრალო და გაფართოებული აღწარმოება* – რეკრეაცია აუმჯობესებს ჯანმრთელობას, რაც ამცირებს ავადობას; ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების პირობებში *დაჩქარებულად ვითარდება* ქვეყნის გარკვეული ტერიტორიის სამეურნეო სტრუქტურა, *იზრდება მოსახლეობის დასაქმება* უშუალოდ რეკრეაციულ მომსახურებაში და მასთან არაპირდაპირ (ირიბად) დაკავშირებულ დარგებში; იცვლება ქვეყნის ტერიტორიაზე *მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და გასავლების ბალანსის სტრუქტურა* რეკრეაციული რაიონების სასარგებლოდ; *ტურიზმს მოაქვს სწრაფი მოგება* – დაბანდებული კაპიტალის ანაზღაურება ხშირად 5-

10 წელიწადში ხდება (მძიმე მრეწველობაში ამას ათეულობით წელი სჭირდება);*ხელს უწყობს მომსახურების დარგების განვითარება-გაფართოებას;*

საერთაშორისო ტურიზმის შემთხვევაში *ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდება ისეთი საქონელი, რომლის პირდაპირი საგარეო გაცვლა სხვა დროს ვერ ხერხდება.* იყიდება არა მარტო მომსახურება, არამედ ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ძეგლებიც; ამასთან ისინი არ სწყდებიან ტერიტორიას, როგორც ეს ხდება ტრადიციული ექსპორტის შემთხვევაში; მომსახურებაზე გაწეულო *შრომა ადგილზევე რეალიზდება.* ადგილი აქვს არა საქონლის გადაადგილებას მომხმარებლისაკენ, არამედ მომხმარებელი (ამ შემთხვევაში – ტურისტი) თვითონ მიდის საქონელთან, რაც ამცირებს კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობას, ასევე გამოირიცხება დანახარჯები შეფუთვაზე, ტრანსპორტირებაზე, შენახვაზე; ტურისტების მიმღები ქვეყანა მნიშვნელოვან მოგებას ნახულობს *საცალო და საბითუმო ფასებს შორის შესამჩნევი სხვაობის გამო* – ადგილზე საქონლის საცალო ფასი უფრო მაღალია, ვიდრე იგივე საქონლის საბითუმო ფასი მისი ექსპორტირების შემთხვევაში; *სწრაფად ხდება ვალუტის მიღება*;

ტურიზმი და რეკრეაცია შრომატევადი დარგია. მასში დასაქმებულია 200 მლნ-ზე მეტი ადამიანი (მსოფლიოში დასაქმებულთა დაახოებით 8%). ევროკავშირში სამუშაო ადგილების 4% ტურისტულ ინდუსტრიაშია შექმნილი. თუ მომიჯნავე დარგებსაც (ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა) დავამატებთ, 3-ჯერ მეტი (12%) იქნება; რეკრეაცია და ტურიზმი მოქმედებს რეგიონის კულტურულ-ისტორიულ და ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე, ე.ი. *ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და აღორძინებას*;

ეკოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტურიზმს უწოდებენ „ინდუსტრიას საკვამურების გარეშე“ ან „მწვანე ინდუსტრიას“, ვინაიდან მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ადამიანთა სუფთა ბუნებრივ გარემოში დასვენების ორგანიზება.თუმცა რიგ შემთხვევებში ტურიზმის განვითარებას უარყოფითი ეკოლოგიური შედეგები მოსდევს. მაგალითად, ტურიზმის განვითარება ბრაზილიაში უნიკალური მცენარეების 20%-ის განადგურების ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს გლობალური ექსპორტის 7% და მსოფლიო მომსახურების ექსპორტის 29% (2018);

საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების ურთიერთკავშირი



მომსახურების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ სად, ვინ და როდის წარმოადგენს მას: ერთნაირი კლასის ერთ სასტუმროში უმაღლესი მომსახურებაა, მეორეში (მეზობლად) – უფრო დაბალი; სასტუმროს ერთი მუშაკი ზრდილი და გულისხმიერია, მეორე – უხეში და უკარება; თვით ერთი და იგივე თანამშრომელი დღის სხვადასხვა მომენტში სხვადასხვა დონეზე ემსახურება კლიენტს.

ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები და მოთხოვნები

დასვენების ფორმისა და გეოგრაფიული რაიონის შერჩევის დროს ადამიანთა ჯგუფი ან პიროვნება გარკვეული მიზნებითა და მისწრაფებებით ხელმძღვანელობს. ამ დროს გაკეთებული არჩევანი საკმაოდ დიდ ფარგლებში მერყეობს.

მოთხოვნილება არის რაიმე ქმედებისა თუ ობიექტის საჭიროება ან სურვილი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს. მოთხოვნილება შეიძლება იყოს ფიზიოლოგიური, მატერიალური, სოციალური, სულიერი, ბიოლოგიური, თვითგამოხატვის, შემეცნების, მოთხოვნილება საქმიანობის, შემეცნებისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისადმი. ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილება არის ადამიანის საჭიროება, მისთვის სასურველი რეკრეაციული ქმედებით აღიდგინოს შრომის პროცესში დახარჯული ენერგია. **მოთხოვნა** კი არის პიროვნების მსყიდველობითი უნარით, თავისუფალი დროის ფაქტორით და სხვა შემზღუდავი გარემოებებით დაკონკრეტებული მოთხოვნილება.

ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების ფორმირება ხდება მთელი რიგი ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედებით. მტო-ს ექსპერტებმა 130-ზე მეტი ფაქტორი გამოყვეს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაზე. ფაქტორების აღნიშნულ სიმრავლეს მკვლევარები რამდენიმე ჯგუფში აერთიანებენ. ნიმუშად შესაძლებელია შემდეგი დაჯგუფების განხილვა: სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივ-გეოგრაფიული.

ტურისტულ-რეკრეაციულ მოთხოვნილებათა ჩამოყალიბების ფაქტორები

ეკონომიკური:

- ✓ ქვეყნის ან რაიონის ეკონომიკური განვითარების დონე – რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით მეტი შემოსავალი და თავისუფალი დრო აქვს მის მოსახლეობას, ამიტომ დასვენებისა და მოგზაურობისათვის მეტი ყურადღების დათმოდა შეუძლია;
- ✓ სავალუტო კურსის მდგომარეობა – საერთაშორისო მოძრაობაში გამოკვეთილია ტურისტული ნაკადების ჩასახვა მძლავრი სავალუტო კურსის მქონე ქვეყნებში, რომლებიც მიმართულია უფრო დაბალი სავალუტო კურსის მქონე სახელმწიფოებისაკენ. იგივე ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ტურისტული პროდუქტის ფასი განსხვავებულია – ტურისტი ძირითადად ირჩევს "იაფი" ტურიზმის ქვეყნებს. ამიტომ არის, რომ ჩრდილო ევროპის ტურისტულ ქვერაიონში, სადაც მაღალგანვითარებული ქვეყნებია თავმოყრილი, ფასები ყველა

პროდუქტზე, მათ შორის ტურისტულზე, საკმაოდ მაღალია, ამიტომ ჭარბობს გასვლითი ტურიზმი და ამ ქვეყნებს ძირითადად უარყოფითი ტურისტული ბალანსი აქვთ;

- ✓ მოხმარების საგნებით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონე – როდესაც მოსახლეობა კარგადაა უზრუნველყოფილი ყოველდღიური მოხმარების საგნებით, მას მეტი ყურადღების დათმობა შეუძლია ტურიზმისა და რეკრეაციისათვის;
- ✓ ქვეყნებს შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე – ცნობილია, რომ ტრანსპორტის მდგომარეობა ტურიზმის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია და რაც უფრო ხშირი და მრავალფეროვანია ქვეყნებს შორის სატრანსპორტო ქსელი, მით მეტი ტურისტი გადაადგილდება;
- ✓ მოსახლეობის შრომითი საქმიანობის ხასიათი – იმისდა მიხედვით, რა ტიპის საქმიანობით არის დაკავებული ადამიანი, განსხვავებულია მისი ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები. ფიზიკური შრომით დაკავებულ პირებს უფრო მშვიდი დასვენება იზიდავთ მაშინ, როდესაც გონებრივი შრომის მიმდევრებს ესაჭიროებათ აქტიური დასვენების ფორმები;
- ✓ ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე – ერთის მხრივ, რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა, მით მეტი ბიზნესმენი და მეცნიერი ჩადის ასეთ დესტინაციაში საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, გამოცდილების გასაზიარებლად (ე.ი. ამაზეა დამოკიდებული MICE ტურიზმზე მოთხოვნილება) და მეორეს მხრივ, ასეთი განვითარებული ადგილები მეტ ტურისტს წარმოშობენ;
- ✓ ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური კავშირები – რაც მეტია ამ სახის ურთიერთობები, მით უფრო ინტენსიურია ტურისტების გაცვლა ქვეყნებს შორის;
- ✓ პოლიტიკური მდგომარეობა ტურისტულ ქვეყნებში – ცნობილი ფაქტია, რომ ტურიზმი მყისიერად რეაგირებს ნებისმიერ არასტაბილურობაზე (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო, ეკოლოგიურ და ა.შ.), მით უმეტეს ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა გადამწყვეტია დესტინაციის შერჩევის დროს;

სოციალური და დემოგრაფიული:

- ✓ თავისუფალი დრო – თვით ამ დროის არსებობამ განაპირობა რეკრეაციისა და ტურიზმის წარმოქმნა. დაფიქსირებულია თავისუფალი დროის სხვადასხვა ციკლები: ყოველდღიური (საშუალოდ 3-დან 4 საათამდე), ყოველკვირეული (ძირითადად 2 დღე, თუმცა ზოგიერთი დარგის თანამშრომელებისათვის შესაძლოა 1 ან 3 დღე) და ყოველწლიური (შვებულება, რომელიც ცვალებადია ქვეყნებისა და შრომითი საქმიანობის სახეობების მიხედვით და საშუალოდ 20-დან 30 დღემდე

გრძელდება). აქვე უნდა დაემატოს სხვადასხვა საერო და სასულიერო დღესასწაულები, მოსწავლეებისა და სტუდენტების არდადეგები. თავისუფალი დროის ხანგრძლივობა პირდაპირპროპორციულად აისახებატურისტულ-რეკრეაციულ მოთხოვნილებებზე;

- ✓ სოციალური ხასიათის პრობლემების არსებობა რეგიონში – რომელიმე ტურისტულ დესტინაციაში ნებისმიერი სახის (რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური თუ ისტორიული) უთანხმოება უარყოფითად მოქმედებს ტურისტულ მოძრაობაზე;
- ✓ მოდის გავლენა – ბოლო ხანებში იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას, მაგალითად, ამჟამად იკვეთება ეგზოტიკურ ქვეყნებში მოგზაურობისა და დაივინგის სწრაფი განვითარების ტენდენცია;
- ✓ კულტურული განათლებულობისა და ინტელექტის დონე, მოგზაურობის პრაქტიკა – განათლებულ ადამიანს მეტი ინფორმაცია აქვს მაღალი ღირებულების მქონე ატრაქციების შესახებ და ამიტომ მისი არჩევანიც უფრო ფართოა. მოგზაურობის პრაქტიკა კი ეხმარება მისი გემოვნებისა და შესაძლებლობებისათვის უფრო მისაღები გადაწყვეტილების მიღებაში;
- ✓ დასვენების სფეროს განვითარების დონე – რაც უფრო განვითარებულია ადგილის ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა, არსებობს შესაფერისი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალი, მით მეტი შანსია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მოსახლეობამ ადგილზე დასვენება არჩიოს;
- ✓ მოსახლეობის რეალური ფულადი შემოსავალი გადამწყვეტია ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში – მეტი შემოსავლის მქონე ადამიანები შვებულებას ორ ან რამდენიმე ნაწილადაც ყოფენ, რომ ისარგებლონ როგორც საზაფხულო, ისე ზამთრის კურორტებზე დასვენებით;
- ✓ შვებულებათა ხანგრძლივობაც პირდაპირ კავშირშია ტურისტულ-რეკრეაციულ მოთხოვნილებათა მასის ფორმირებაში;
- ✓ ტურისტული რაიონებისა და მარშრუტების რეკლამირებისა და მათზე ინფორმირებულობის დონე – თუ არ არსებობს შესატყვისი ინფორმაცია ამა თუ იმ ტურპროდუქტისა ან დესტინაციის შესახებ, ასეთი ტურისტული პროდუქტის რეალიზაცია პრაქტიკულად წარმოუდგენელია.
- ✓ მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, რომელიც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში პირდაპირპროპორციულად აისახება ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების მოცულობაზე. რაც შეეხება ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს, მათი მოსახლეობა საერთოდ ძალზე სუსტადაა ჩაბმული ტურისტულ-რეკრეაციულ მოძრაობაში;
- ✓ სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის თანაფარდობა (ურბანიზაციის ხარისხი) – ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის გარემოება, რომ სხვადასხვა ტიპის

დასახლებაში მცხოვრები ადამიანები განსხვავებულ გარემოში საქმიანობენ: სოფლის მკვიდრნი სამუშაო საქმიანობას ძირითადად ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე აწარმოებენ, ხოლო ქალაქელები – დახურულ სივრცეში. აქედან გამომდინარე, ქალაქელებისათვის გადამწყვეტია სუფთა გარემოში, ბუნებასთან სიახლოვე მაშინ, როდესაც სოფლის მცხოვრები, მისი ყოველდღიური ყოფიდან გამომდინარე, სულ ბუნებასთან შეხებაშია;

- ✓ მოსახლეობის ასაკი და სქესი – ახალგაზრდა ტურისტებს უფრო გამოკვეთილი მოთხოვნები აქვთ აქტიური ტურიზმისადმი, ამასთან მათ ნაკლები პრეტენზია აქვთ შეთავაზებული მომსახურების ხარისხისა და კომფორტისადმი. ასაკოვანი ადამიანები კი არჩევენ მშვიდ დასვენებას და აფასებენ კომფორტის ელემენტებს. ამასთან განსხვავებულია ქალებისა და მამაკაცების ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებებიც. მაგალითად, მამაკაცების საყვარელი საქმიანობა – თევზაობა და ნადირობა ქალების ინტერესის სფეროს არ განეკუთვნება, ან ქალებისათვის ყველაზე მიმზიდველი "საყიდლებზე სიარული" (შოფინგი) მამაკაცების უმეტესობას აღიზიანებს;
- ✓ საყოფაცხოვრებო პირობები, მაგალითად, აგარაკითა და კერძო ავტომობილით უზრუნველყოფა – სხვადასხვა შედეგით აისახება ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაზე: აგარაკის ქონის შემთხვევაში, ადამიანები ხშირად დამატებით ხარჯებს არიდებენ თავს და შემოიფარგლებიან იქ დასვენებით. თუმცა ბოლო ხანებში აგარაკის მფლობელები ამჯობინებენ მის გაქირავებას და დასასვენებლად სხვაგან გამგზავრებას; კერძო ავტომობილის არსებობის დროს კი იზრდება ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები, ოჯახი უფრო მობილური ხდება და მეტ დესტინაციას სტუმრობს;
- ✓ ტრადიციები და ხალხთა შორის ისტორიული კავშირები – ამის ნათელი მაგალითია ყოფილ მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის არსებული აქტიური ტურისტული მიმოსვლა;
- ✓ პოტენციური ტურისტის ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის შემადგენლობა და სიდიდე – მარტოხელა ადამიანი სრულიად თავისუფალია არჩევანში მაშინ, როდესაც დაოჯახებულს ზოგიერთ შემთხვევაში უწევს ოჯახში მცხოვრები სხვადასხვა თაობის წევრების სურვილებისა და საჭიროების გათვალისწინება და კონსესუსის მიღწევა;
- ✓ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა – თავისთავად ცხადია, რომ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილება კონცენტრირებულია მკურნალობაზე, ჯანმრთელ ადამიანს კი რეკრეაციული ქმედებების ძალიან ფართო არჩევანი აქვს.

ბუნებრივ-გეოგრაფიული:

- ✓ ადამიანის საცხოვრებლის ბუნებრივი ზონა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ მიმართულებას, საითაც გაემგზავრება ტურისტი, რადგან ჩრდილოეთ განედებში ცივი ჰავის პირობებში მცხოვრები ადამიანები დასვენებას თბილი სამხრეთის დესტინაციებში ამჯობინებენ. ამას ადასტურებს ჩრდილო ნახევარსფეროში გაბატონებული ტურისტული ნაკადების უპირატესი მიმართულება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ;
- ✓ საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებები ზღვის, მთებისა და ა.შ. მიმართ – ზღვისპირეთში მცხოვრები ადამიანისათვის ზღვა მისი ყოველდღიურობის ნაწილია, ამიტომ დასვენება მისთვის უჩვეულო გარემოში (მთაში, დიდ ქალაქში და ა.შ.) ურჩევნია, მაღალ მთაში მაცხოვრებელს კი სითბოსა და ზღვის სანაპიროზე დასვენება ხიბლავს;
- ✓ რეგიონში მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების არსებობა განაპირობებს ამ ადგილისადმი ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების წარმოქმნას და მისკენ ტურისტების მოდინებას;
- ✓ ტერიტორიის ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისაგან დაცულობა განსაზღვრავს მის ტურისტულ-რეკრეაციულ სანდოობას და მასში გამაჯანსაღებელი ან სპორტული კომპლექსის აგების შესაძლებლობას;
- ✓ გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა წარმოადგენს ადგილის ტურისტული ათვისების მნიშვნელოვან მაჩვენებელს, ვინაიდან უსუფთაო გარემოში დასვენებას არავინ ისურვებს, გარდა მოხალისე ეკოტურისტებისა, ვინც თავისი ინიციატივით ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას გარემოს დასუფთავებაში.

ზოგიერთი მკვლევარი ცალკე გამოყოფს *პოლიტიკურ ფაქტორთა ჯგუფს*, რომელშიც იგულისხმება პოლიტიკური მდგომარეობა ტურისტულ რაიონებში, ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები.

ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები იკვეთება ადამიანთა ორგანიზების სამ დონეზე: საზოგადოება – ჯგუფი – ინდივიდი.

წამყვანია საზოგადოებრივი ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები. ეს არის მთელი საზოგადოების საერთო მოთხოვნილება, რომ აღდგეს მის მიერ დახარჯული ენერგია და ასევე ყოველმხრივ განვითარდეს მისი თითოეული წევრი.

საზოგადოებრივი *ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილების* ძირითადი ამოცანაა ადამიანთა ჯანმრთელობის შენარჩუნება, საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების დონის ამაღლება, პიროვნების ფორმირება, სახალხო მეურნეობის განვითარება. სხვადასხვაგვარი რეკრეაციული ქმედებები ფიზიკური და გონებრივი შრომით

დაკავებულთათვის. საზოგადოებრივი რეკრეაციული მოთხოვნილება არის საზოგადოების მოთხოვნილება,მოხდეს ფიზიკური და ფსიქიკური ძალების აღდგენა, მისი წევრების ყოველმხრივ განვითარება, შრომითი რესურსების უბრალო და გაფართოებული აღწარმოება.

ჯგუფური *ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილება* შუალედურია საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს შორის. ისინი ასახავენ მოსახლეობის გარკვეული ასაკობრივი თუ სოციალური ჯგუფის მოთხოვნილებებს. ეს შეიძლება იყოს სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობის, ქარხნისა თუ უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლების მოთხოვნილებები. ქალაქის ან სოფლის მოსახლეობის, ქარხნის ან უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის მოთხოვნილებები. ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახის სპეციფიური ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებები: ბავშვთა აღზრდა და გაკაჟება, მოსწავლეთა დასვენების ორგანიზება არდადეგების დროს, ოჯახის ერთ-ერთი წევრის ჯანმრთელობის აღდგენა, მომუშავე წევრების დასვენების ორგანიზება შვებულების პერიოდში. ოჯახურ მოთხოვნილებათა თავისებურებაა პირადი ინტერესების შეხამება ოჯახის სხვა წევრების ინტერესებთან, ხშირად მათდამი დაქვემდებარებაც. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში განსხვავებული ასაკის ადამიანები ცხოვრობენ. ასეთ ოჯახებში ძირითადია ბავშვთა გაჯანსაღება და ასაკოვანი წევრების ჯანმრთელობის შენარჩუნება.

ინდივიდუალურ *(პირად) ტურისტულ-რეკრეაციულ მოთხოვნილებათა* დიაპაზონი ძალიან ფართოა – ბუნებასთან კავშირი, გაჯანსაღება, დაღლილობის მოხსნა, შემოქმედებითი საქმიანობა, სამყაროს შემეცნება და სხვა. ამასთან ძალიან რთულია მსოფლიოს 7 მილიარდზე მეტ მოსახლეში ერთნაირი მოთხოვნილებების მქონე ადამიანების მონახვა. მათი გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ინდივიდების განწყობა გავლენას ახდენს ჯგუფურ ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მთლიანობაში განსაზღვრავს საზოგადოებრივს.

ტურისტულ-რეკრეაციულ მოთხოვნილებათა ამგვარი დაყოფა (საზოგადოებრივ, ჯგუფურ და ინდივიდუალურად) მკაცრი არ შეიძლება იყოს, ვინაიდან პირადი მოთხოვნილება მჭიდროდაა დაკავშირებული ჯგუფურთან და საზოგადოებრივთან. პირადი თუ ჯგუფური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რაოდენობის გაზრდით ხდება საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უფრო ეფექტური დაკმაყოფილება.

თავისუფალ დროს აქვს 2 ძირითადი ფუნქცია: 1. შრომითი და სხვა საქმიანობის დროს დახარჯული ძალების **აღდგენის** ფუნქცია და 2. სულიერი და ფიზიკური **განვითარების** ფუნქცია.

რეკრეაციული ქმედებების (ცურვა, ფეხით გასეირნება, სოკოს ან კენკრის კრეფა, მუზეუმის ან ძეგლის დათვალიერება, კინოსეანსზე ან სპექტაკლზე დასწრება და სხვ.) ტიპოლოგიაში გამოიყოფა 2 ჯგუფი, რომლებიც თავის მხრივ 2-2 ტიპს მოიცავენ:

რეკრეაციული ქმედებების დაჯგუფება

ცხრილი 5

აღდგენის ჯგუფი	**განვითარების ჯგუფი**
რეკრეაციულ-სამკურნალო	რეკრეაციულ-სპორტული
რეკრეაციულ-გამაჯანსაღებელი	რეკრეაციულ-შემეცნებითი

ტურიზმის სახეობრივი კლასიფიკაცია

ტურიზმის სახეობების გამოყოფა სხვადასხვა ნიშნით ხდება. შესაძლოა დაჯგუფება **ტერიტორიის მიხედვით** (დასახლებული პუნქტის შიგნით, საგარეუბნო, შიდარაიონული, სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო), **ძირითადი რესურსის** მიხედვით (სამთო, საზღვაო, სამდინარო, სატყეო, ქალაქის), ტურისტული **ნაკადის რიტმულობის** მიხედვით (წლიური, სეზონური – ზამთრის, საზაფხულო, სეზონებსშორისი), **გადაადგილების** ნიშნით (სტაციონარული, მომთაბარე), **ტრანსპორტის სახეობის** მიხედვით (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო – განრიგით და ჩარტერული, ქვეითი, საცხენოსნო, ველოტური, არატრადიციული –აქლემი, სპილო, დირიჟაბლი, ძაღლების მარხილი), **მოგზაურობის სიშორის** მიხედვით (შორეული – 3 ათას კმ-ზე მეტი ახლო – 3ათ კმ-ზე ნაკლები), **ხანგრძლივობის** მიხედვით (ხანმოკლე – 7 დღემდე, საშუალო ხანგრძლივობის – 7-დან 15 დღემდე, ხანგრძლივი – 15 დღიდან), **სამართლებრივი სტატუსით** (ეროვნული და საერთაშორისო), **როლით სავალუტო ტრანსფერებში** (შემოსვლითი და გასვლითი), **დაფინანსების წყაროს** მიხედვით (კომერციული და სოციალური), **ქმედების სუბიექტის** მიხედვით (ინდივიდუალური, საოჯახო და ჯგუფური), **ასაკის** მიხედვით (საბავშვო 14 წლამდე, ახალგაზრდული – 15-24 წ, შედარებით ახალგაზრდები – ეკონომიკურად აქტიურები 25-44 წ, საშუალო ასაკის – ეკონომიკურად აქტიურები 45-64, ე.წ. მესამე ასაკის 64 წელზე მეტი, შერეული ასაკის), **ორგანიზების ფორმის** მიხედვით (თვითმოქმედი ანუ არაორგანიზებული და ორგანიზებული) და ბოლოს ძალზე დიდი სეგმენტი – **მიზნის (მოტივაციის)** მიხედვით. ამ შემთხვევაში გამოიყოფა ტურიზმის უამრავი სახეობა და მათი რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ესენია:

დასვენების ტურიზმი (holiday tourism) გულისხმობს მოგზაურობას არდადეგებზე ან დასვენების დღეებში და შედგება შემეცნებითი (ისტორიული ან ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები) და გამაჯანსაღებელი ტურებისგან. **შემეცნებითი ტურიზმი** არის მოგზაურობა კულტურული მემკვიდრეობის, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების, ხუროთმოძღვრული ძეგლების, სხვადასხვა ფოლკლორული ღონისძიებებისა და დღესასწაულების, ასევე ბუნებრივი ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად. **გამაჯანსაღებელი ტურიზმის** დროს კი ბუნებრივი საკურორტო ფაქტორების გავლენით ხდება ტურისტების გაკაჟება, გაჯანსაღება, შრომის პროცესში დახარჯული ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენა.

საქმიანი ტურიზმი (business tourism) მოიცავს ბიზნეს_, კონგრეს_, საგამოფენო და ინსენტივტურებს. ის ტურიზმის ერთ-ერთი ძვირადღირებული სახეობაა. გარდა იმისა, რომ მაღალ შემოსავლებს იძლევა, სეზონზეც არ არის დამოკიდებული და მისი განვითარება ხელსაყრელია ტურიზმში სეზონურობის არასასურველი შედეგების

დასაძლევად. იგი ტურიზმის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი დარგია და 2018 წ. მისი წილი მსოფლიო საერთაშორისო ჩამოსვლებში 13% შეადგენდა და მასზე მოდიოდა შემოსავლების დაახლოებით 60%. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმაც კი უმნიშვნელოდ შეამცირა ტურიზმის ეს სექტორი; მსოფლიოში ყველაზე მეტი საქმიანი ტურისტი აშშ-დან, ესპანეთიდან და იტალიიდანაა.

საქმიანი ტურიზმის სეგმენტს ბოლო ხანებში აღნიშნავენ აბრევიატურით **MICE**, სადაც **M (Meetings)** არის შეხვედრები, **I (Incentives)** – წამახალისებელი ღონისძიებები, **C (Conventions)** – კონფერენციები და **E (Exhibitions)** – გამოფენები, სავაჭრო ბაზრობები. საბოლოო ჯამში, იგულისხმება ადამიანთა მოგზაურობები სხვადასხვა ხასიათის შეხვედრებში, კონფერენციებში, კონგრესებში, სიმპოზიუმებში, სამიტებში, სხდომებში, ყრილობებში, წამახალისებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, გამოფენებისა და სავაჭრო ბაზრობების მოსაწყობად და მათზე დასასწრებად. ინსენტივტურიზმი არის წამახალისებელი ტურიზმი, როდესაც საწარმო წლის მანძილზე კარგად მომუშავე თანამშრომლებს წახალისების მიზნით სთავაზობს ტურისტულ მოგზაურობას ნაწილობრივი ან სრული დაფინანსებით.

ეკოლოგიური ტურიზმი (ecological tourism) არის ტურიზმის სახეობა, რომელიც დაკავშირებულია ბუნების შეცნობასთან, იგი ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს და წვლილი შეაქვს ეკოსისტემების შენარჩუნებაში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების აუცილებელი გათვალისწინებით. უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალურ გავლენას ბუნებაზე. ეკოტურისტები რაოდენობრივად ტურისტების საერთო მასაში ბევრნი არ არიან, მაგრამ მათი ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია (30%-ის ფარგლებში). მასში გამოიყოფა ტურები ბუნებრივ რეზერვაციებში ხელშეუხებელი გარემოს აღსაქმელად, **ფრინველებზე დაკვირვება (bird watching)**, მოხალისეთა მოგზაურობა გაჭუჭყიანებული გარემოს დასასუფთავებლად. ტურიზმის ეს სახეობა ინტენსიურად 1980 წლიდან ვითარდება.

რელიგიური (religious tourism) არის მოგზაურობა რელიგიური მიზნებით, წმინდა ადგილების მოლოცვა (მომლოცველობა) და შემეცნების მიზნით ამა თუ იმ რელიგიური ნაგებობებისა და სიწმინდეების მონახულება. მასში გამოიყოფა პილიგრიმული, შემეცნებითი, სამეცნიერო-კვლევითი, მისიონერული ქვესახეობები. ყოველ ძკიერ რელიგიას წმინდა ადგილები აქვს. მაგალითად, *ქრისტიანებისთვის* ესენია ვატიკანი (ვატიკანი), იერუსალიმი (ისრაელი), ლურდი (საფრანგეთი), სანტიაგო დე კომპოსტელა (ესპანეთი), *მუსლიმებისთვის* – მექა და მედინა (საუდის არაბეთი), იერუსალიმი, *ბუდისტებისთვის* – მოგზაურობა ბუდას ნაკვალევზე, *ინდუისტები* – შივას ტაძრები, მდ. განგში განბანა და ა.შ.

სათავგადასავლო ტურიზმი (adventure tourism) გულისხმობს ეგზოტიკურ ადგილებში (ვულკანი, უდაბნო, ჯუნგლი, ტუნდრა და ა.შ.) მოგზაურობას. ჩვეულებრივ, ეს არის არასტანდარტული ტურები ეგზოტიკურ და ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივ გარემოში, დაკავშირებულია უჩვეულო მოგზაურობებთანდა ტრანსპორტის არატრადიციულ სახეობებთან. მაგალითად, ჩქარ მდინარეზე ტივებით დაშვება (რაფტინგი – rafting), საჰაერო ბურთებით მოგზაურობა, მანქანებით გაუკვალავ გზებზე მგზავრობა, წყალში ყვინთვა (დაივინგი – diving), შვეულმფრენით გასეირნება, კლდეებზე ცოცვა, მყინვარებზე ასვლა, ალპინიზმი, განძის ძიება, სამთო ველოტურიზმი, პარაპლანერიზმი, კანიონინგი, საცხენოსნო ტურიზმი, სპელეომოგზაურობა, კოსმოტურიზმი და ა.შ. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი ტური დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან და სერიოზულ ფიზიკურ დატვირთვებთან, რომლებიც გამბედაობასა და ცოდნას მოითხოვენ.

დაუდგენელია, თუ სად გადის ზღვარი სათავგადასავლო და **ექსტრემალურ ტურიზმს (extreme tourism)** შორის. არადა ტურიზმის აღნიშნულ სახეობებს ხან სათავგადასავლოს უწოდებენ, ხან – ექსტრემალურს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ექსტრემალური ტურიზმის სახეობათა რიგი დღითი დღე იზრდება და ფართოვდება. უკანასკნელ პერიოდში გამოჩნდა შემდეგი ახალი სახეობები: სქაისერფინგი (skyserfing), ფრირაიდი (freeride), ბანგი-ჯამფინგი (bungy jumping), ზორბი (zorb), ტორნადოზე "ნადირობა" (tornado hunting) და სხვა.

სქაისერფინგი არის პარაშუტით გადმოხტომა სერფინგისტის დაფით; ფრირაიდის დროს ხდება თხილამურებით ან სნოუბორდით თავისუფალი დაშვება მთის ფერდობზე მოუმზადებელ ტრასაზე; ბანგი-ჯამფინგი გულისხმობს ხიდიდან თავქვე გადმოხტომას, როდესაც მიწამდე მხოლოდ 10-დან 20 მ-მდე მანძილი რჩება. ბოლო ხანებში ტურისტებს სთავაზობენ ხტომებს კანიონებში ან დაბალ სიმაღლეზე მიმავალი ვერტმფრენიდან; ზორბის დროს ორ დიდ ერთმანეთში ჩამჯდარ სფეროში თავსდება ადამიანი, რომლის ხელ-ფეხი და წელი მაგრდება სფეროს შიდა კედელზე. შემდეგ ხდება სფეროს დაგორება მთიდან, იგი დიდი სიჩქარით მიჰქრის და ხტუნავს ფერდობის კოლბოხებსა და უსწორმასწორობებზე; ტორნადოზე "ნადირობა" – აშშ-ში არსებობს რამდენიმე სპეცსამსახური, რომლებიც ადრენალინის მოყვარულ ტურისტებს აძლევენ "ცოცხალ" ტორნადოსთან შეხვედრის გარანტიას.

ექსტრემალი ტურისტების მსოფლიოში ცნობილი ატრაქციებია ჩერნობილი (უკრაინა), ე.წ. „ეშმაკის მორევი" მდ. ზამბეზზე ჩანჩქერ ვიქტორიას კიდეზე (ზამბია-ზიმბაბვეს საზღვარი), ტური „სიკვდილის გზაზე" (ბოლივია) და სხვ.

სასოფლო ტურიზმი (agritourism, rural tourism) არის დასვენება სოფლად, სოფლის ცხოვრებასთან ზიარება – ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში ცხოვრება, ადგილობრივი წარმოების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით კვება,სოფლის ცხოვრებაში და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობა.

საქალაქო ტურიზმი (urban tourism) საექსკურსიო ტურები ქალაქის კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და ატრაქციების დასათვალიერებლად.ცნობილია, რომ დიდ ქალაქებში ტურისტებისთვის უამრავი მიმზიდველი ობიექტი არსებობს.

კულტურული (cultural tourism) – მოგზაურობები კულტურული ღირსშესანიშნაობების, მუზეუმების, თეატრების, ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ა.შ. მოსანახულებლად.

სამკურნალო ტურიზმი (health tourism) გულისხმობს მოგზაურობას სამკურნალო მიზნებით. SPA არის კურორტი სამკურნალო მინერალური წყლებით. ამ სიტყვით აღნიშნავენ არა მარტო თავად კურორტს, არამედ სპეციალურ გამაჯანსაღებელ ცენტრებში მინერალური წყლების სმისა და პროცედურების, აბაზანების მიღების შესაძლებლობას.

ეთნიკური ტურიზმი(ethnic tourism) არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ცხოვრების სტილით, მათი ადათებითა და ტრადიციებით, ეროვნული კულტურით, რელიგიით, ფოლკლორით, განსხვავებული არქიტექტურითდაინტერესებული ტურისტების მოგზაურობა. ტურისტებისათვის მიმზიდველია ამ ადამიანებთან სტუმრობა და მათი ყოველდღიური ცხოვრების გაცნობა. რამდენიმე წლის წინ მტო ეთნიკურ ტურიზმში გულისხმობდა ადამიანთა გამგზავრებას ყოფილი სამშობლოს ან მათი წინაპრების სამშობლოსაკენ. ამჟამად ტურიზმის ამ სახეობას უწოდებენ **ნოსტალგიურს (nostalgic tourism)**, ხოლო მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად მგზავრობას სავიზიტო ტურიზმი ეწოდება, რაც აღინიშნება აბრევიატურით **VFR (visit friends and relatives)**.

შოფტურიზმი (shoptourism) არის მოგზაურობა სხვადასხვა სახეობის საქონლის შესაძენად მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. იგი ტურიზმის ცალკე სახეობად მოიაზრება, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, იგი შეიძლება საქმიანი ტურიზმის ერთ-ერთ სახეობად განვიხილოთ. ბოლო წლებში გამოიკვეთა ასევე ე.წ. **მსუბუქი შოფტურიზმი**, რომლის დროსაც ტურისტები სხვადასხვა პროდუქციას იძენენ საკუთარი და/ან საოჯახო მოხმარებისათვის.

სპორტული ტურიზმი (sport tourism) არის ტურისტული მოგზაურობა, რომლის დროსაც ტურისტები ძირითადად დაკავებული არიან მათი საყვარელი სპორტის სახეობით (მაგალითად, გოლფი, ჩოგბურთი, ბეისბოლი, სათხილამურო სპორტი, წყალქვეშა ცურვა და სხვ.). ზოგიერთ ლიტერატურაში ამ სახეობას მიაკუთვნებენ ასევე იმ მოგზაურებს, ვისაც მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებზე (მსოფლიო თუ კონტინენტის ჩემპიონატებზე, ოლიმპიადებზე და მისთ.) დასწრება სურთ. თუმცა უფრო სწორი იქნება **საქომაგო ტურიზმის (fan tourism)** ცალკე სახეობად გამოყოფა. ეს გულისხმობს მსხვილ სპორტულ ღონისძიებებზე (მსოფლიო თუ კონტინენტის

ჩემპიონატებზე, ოლიმპიადებზე და მისთ.), ასევე სხვადასხვა სახის ფესტივალებზე დასწრებას. ხოლო **საფესტივალო ტურების (festival tourism)** მონაწილეთა მთავარ მოტივაციას განსხვავებულ ფესტივალებში მონაწილეობა წარმოადგენს.

საგანმანათლებლო (educational tourism) ეფუძნება კვალიფიკაციის ასამაღლებელ, უცხო ენების, კულინარიის, ხელოსნობის, საქმიანობის სხვადასხვა სახეობათა შესწავლის მიზნით მოგზაურობებს.

აზარტული თამაშების ტურიზმი (gambling tourism) – მოგზაურობა სამორინეებითა და სათამაშო ბიზნესით სახელგანთქმულ ქალაქებში. მაგალითად, ლას ვეგასი, ატლანტიკ სითი, მონტე კარლო, მაკაო და ა.შ.

ტურიზმი ნარკოტიკების მიღების მიზნით **(drug tourism) –** ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ნიდერლანდი), სადაც ზოგიერთი ნარკოტიკის ლეგალურად მიღება დასაშვებია. ამიტომ ზოგიერთი ტურისტი ასეთ ქვეყნებს მიზანმიმართულად ნარკოტიკების მოხმარების მიზნით სტუმრობს.

კატასტროფების ტურიზმი (disaster tourism) არის მოგზაურობა უბედურების – ბუნებრივი სტიქიების (მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა), ეკოლოგიური თუ ტექნოგენური კატასტროფების ადგილებში (მაგ., ჩერნობილის აეს-ის ტერიტორიის მონახულება). ამ დროს ტურისტების პირველადი მიზანია გაჭირვებაში მყოფი ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება. თუმცა არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც უბრალოდ ასეთი ადგილების მონახულება ხიბლავთ;

გასტრონომიული ტურიზმი (gastronomic tourism) ადგილობრივი სამზარეულოს დასაგემოვნებლად, გასტრონომიულ ფესტივალებზე დასასწრებად (მაგ., ოქტობერფესტი მიუნჰენში), საინტერესო ტრადიციული კერძის დამზადების ტექნოლოგიის გასაცნობად მოგზაურობაა. აქვე იგულისხმება **ღვინის ტურები (winetourism)**, რომლებშიც იგულისხმება მეღვინეობის ტრადიციულ რეგიონებში მოგზაურობა, ღვინის დამზადების წესებში და მასთან დაკავშირებულ ადგილობრივ ტრადიციებში გარკვევა, საბოლოო პროდუქციის დეგუსტაცია.

სექსტურიზმი (sex tourism) – ტური განსაკუთრებული გართობის მიზნით: ა) ტური მამაკაცებისათვის ადგილობრივ ქალებთან გასართობად, საროსკიპოების მოსანახულებლად. მიღებულია სამხედრო მოსამსახურეთა და სავახტო მუშაკების პრაქტიკაში, იშვიათად ცხადდება ღიად; ბ) ტური, ორგანიზებული ახალგაზრდა ქალებისათვის, როდესაც ისინი გარკვეული დროით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ უძველესი პროფესიით ფულის საშოვნელად. გ) ე.წ. **"გეიტურიზმი" (gaytourism)** იგივე **LGBT ტურიზმი** (**L**GBT – **L**esbian, **G**ay, **B**isexual, **T**ransgender) – არატრადიციული

სექსუალური ორიენტაციის ადამიანებისათვის ორგანიზებული ტურები, რომელთა მიზანია გასართობი ადგილების (რესტორნების, სასტუმროების, ღამის ბარების და სხვ.) მონახულება, სადაც მათ შეუძლიათ მსგავსი შეხედულებების ადამიანებთან შეხვედრა და მათ გარემოცვაში დასვენება, ასევე გეი აღლუმებზე დასწრება და მათში მონაწილეობა.

სამხედრო ტურიზმი (military tourism) ისტორიული ბრძოლების ადგილების, სამხედრო ობიექტებისა და პოლიგონების, სამხედრო და წყალქვეშა გემების დათვალიერება, სამხედრო ტექნიკით გასეირნება, იარაღიდან სროლა, წვრთნებში მონაწილეობა.

საფარი ტურიზმი (safari tourism) არის მოგზაურობა ბუნებაში, დაცულ ტერიტორიებზე ნადირობის (ამისათვის საჭირო ლიცენზიის შეძენის შემთხვევაში), თევზაობის, ფოტონადირობის ან ცხოველებზე დაკვირვებისთვის.

ჰობიტურიზმი (hobby tourism) – ერთნაირი ინტერესების მქონე ადამიანთა მოგზაურობა საყვარელი საქმიანობის ადგილებში. მაგალითად, ცეკვის–, მცენარეთა–, ავტომოყვარულების, ფილატელისტების, და ა.შ. გადაადგილება ამ საქმიანობით ცნობილი დესტინაციებისკენ.

ბნელი ტურიზმი (dark tourism) აღმოცენდა, როგორც სპეციალური ინტერესის ტურიზმი, რაშიც იგულისხმება ისეთი ე.წ. „ბნელი“ ადგილების დათვალიერება, როგორებიცაა საშინელ დანაშაულობებთან ან გენოციდთან დაკავშირებული ადგილები, მაგალითად, საკონცენტრაციო ბანაკები, ცნობილი ციხეები (მაგალითად, ალკატრასი).

უკანასკნელი შანსის ტურიზმი (doomsday tourism) ეს არის ტურიზმის ახალაღმოცენებული სახეობა, რომელიც უკავშირდება იმ დესტინაციების მონახულებას, რომლებსაც გარკვეული საფრთხე ან გაქრობის საშიშროება ემუქრებათ, ვიდრე გვიანი არ არის. ასეთებია, მაგალითად, პატაგონიის მყინვარები, რომლებიც დნება ან დიდი ბარიერული რიფის მარჯნები, რომლებსაც განადგურება ემუქრება, რაც გლობალური დათბობის, ატმოსფეროს დაბინძურების, კლიმატის ცვლილების შედეგია. სამწუხაროდ, ასეთი ადგილების რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა

რეკრეაციული გეოგრაფიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს რეკრეაციული სისტემა. ცნება ამ სისტემის შესახებ რუსმა გეოგრაფმა ვ.პრეობრაჟენსკიმ შემოგვთავაზა, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა რეკრეაციული გეოგრაფიის მეცნიერებად ჩამოყალიბების გზაზე. ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა (ტრს) წარმოადგენს სოციალურ-გეოგრაფიულ სისტემას, რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ქვესისტემებს: დამსვენებელთა ჯგუფი, ბუნებრივი და კულტურული კომპლექსები (ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები), საინჟინრო ნაგებობები, მომსახურე პერსონალი და მართვის ორგანო, რომელთაც ახასიათებთ ფუნქციონალური და ტერიტორიული მთლიანობა.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა

სქემა 3



– სისტემის გარე კავშირები, ქვესისტემებს შორის ორმხრივი კავშირები.

ტრს-ის შემადგენელ სისტემებს შორის ორმხრივი კავშირები არსებობს, ხოლო მართვის ორგანოს,მთელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, კავშირიაქვს ყველა დანარჩენ ქვესისტემასთან.

დამსვენებელთა ჯგუფი

ამ ჯგუფის არსებობა განაპირობებს საერთოდ ტრს-ის არსებობას.

ტურისტი არ შეიძლება დისკრიმინირებულ იქნეს ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ანსქესის ნიშნით (გაეროს ტურიზმის კონფერენცია, 1954).

ამ ჯგუფს ჯერ დაუნაწევრებლად განიხილავდნენ, ჩაღრმავების შედეგად კი ყურადღება მიაქციეს სქესს, ასაკს, პროფესიას, ცოტა მოგვიანებით – სოციალურ და ეროვნულ-ეთნიკურ ჯგუფებს.

ტურისტების გენერალური ერთობლიობის დაყოფა ანუ სეგმენტაცია სხვადასხვა ნიშნით ხდება:

მათი **წარმომავლობის რეგიონის ან ქვეყნის** მიხედვით. ამ შემთხვევაში ერთ ჯგუფში გაერთიანებულ ტურისტებს ქცევის გარკვეული სტერეოტიპი ახასიათებთ. თითოეულ გამოყოფილ ჯგუფს განასხვავებს ქცევის მოდელი და ესაჭიროება განსაკუთრებული მიდგომა.

რეგიონალურ დაყოფას ხშირად ემატება სეგმენტირება ნიშნით *„ქალაქი – სოფელი“ ან ურბანიზაციის დონის* მიხედვით. თუმცა ბოლო ხანებში შეიმჩნევა საქალაქო და სასოფლო მოსახლეობის მოთხოვნებს შორის ზღვარის წაშლა, დიდი თუ მცირე ქალაქების მცხოვრებნი ყველა აქტიურად ებმება ტურისტული გაცვლის სფეროში. თანამედროვე დიდი ქალაქი ორგვარად მოქმედებს ადამიანების საყოფაცხოვრებო და ადაპტაციურ შესაძლებლობებზე: 1. ადამიანი ღებულობს ეკონომიკურ, საყოფაცხოვრებო და კულტურულ უპირატესობებს, 2.სწყდება რა ბუნებას, ადამიანი ხვდება უცხო გარემოში მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით, ცხოვრების დაჩქარებული რიტმით, ჰაერის დაბინძურებით და ა.შ. ურბანიზაცია ადამიანთა ჯანმრთელი ცხოვრებისთვის მომატებული რისკით ხასიათდება, ამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეკრეაციული მოთხოვნილებების ფორმირებაში. რაც დიდია ქალაქი, მით მეტია ეკოლოგიური გარემოსგან გაქცევის სურვილი. დამოკიდებულება დასახლებული პუნქტის სიდიდესა და ქალაქგარეთ დასვენებაზე მოთხოვნილებას შორის მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში შეინიშნება.

ტურისტების **დემოგრაფიული** ნიშნით დაყოფის დროს ხდება მათი გაერთიანება ასაკობრივ, სქესობრივ ჯგუფებად, მათი ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის შემადგენლობის მიხედვით. ეს სეგმენტირების ყველაზე გავრცელებული ფაქტორებია.

მტო-ს რეკომენდაციით გამოიყოფა *5 ასაკობრივი* ჯგუფი:

0-14 წელი. ამ ჯგუფის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, მოგზაურობენ მშობლებთან ერთად, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას მათი დასვენების შესახებ. ბევრ ტურისტულ მომსახურებას ისინი შეღავათიან ფასად ღებულობენ;

15-24 წ – ახალგაზრდები. პირველი ჯგუფისგან განსხვავებით, მშობლების გარეშე მოგზაურობენ. მათ აქვთ საკუთარი, ჩვეულებრივ, ძალზე შეზღუდული სამოგზაურო თანხა;

25-44 წ – შედარებით ახალგაზრდა, ეკონომიკურად აქტიური ადამიანები. აქვთ ოჯახები და მასთან ატარებენ თავისუფალ დროს. მათი ქცევები ყალიბდება ბავშვების ინტერესების გავლენით;

45-64 წ – საშუალო ასაკის, ჯერ კიდევ ეკონომიკურად აქტიური ადამიანები, მაგრამ, წინა ჯგუფისგან განსხვავებით, აღარ ზრუნავენ შვილებზე, რომლებიც გაიზარდნენ და უკვე დატოვეს მშობლების სახლი. დასავლეთში ასეთ ოჯახებს ხშირად „დაცარიელებულ ბუდეებს“ უწოდებენ. აქვთ მაღალი შემოსავლები, ახასიათებთ სწრაფვა კომფორტისადმი, ნაკლები აქტივობა;

65 წელზე მეტი – უფროსი ასაკის ადამიანთა ჯგუფი, ძირითადად პენსიონერები. მათი რიცხვი ბოლო წლებში იზრდება, რადგან მათ აქვთ ბევრი თავისუფალი დრო, სახსრები, კარგი ჯანმრთელობა და სურვილი, მიიღონ მეტი შთაბეჭდილებები.

თითოეულ ასაკობრივ ჯგუფს მკვეთრად გამოხატული ქცევის სტერეოტიპი ახასიათებს და სხვადასხვა ტურისტული პრიორიტეტები აქვს.

<u>*სქესი*</u>. ტურიზმის თვალსაზრისით ქალი და კაცი თანაბარია. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში მკვეთრად ზღუდავენ მარტოხელა ქალების ჩასვლას. სქესი, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია განთავსების საშუალებებში (რ/გ ტრანსპორტშიც), თუ არა ოჯახური წყვილი, ადამიანებს სქესის მიხედვით ანაწილებენ ღამით.

სექსუალური უმცირესობათათვის ეწყობა სპეციალური ტურები ფლორიდაში, ავსტრალიაში, ამსტერდამში, პარიზში და ა.შ.

<u>*რელიგიური ნიშნით*</u> – ქალთა მონასტრებში იზღუდება მამაკაცების შესვლა და პირიქით.

ამ ნიშნით ყურადღება ექცევა ჩაცმულობას, ტურისტების ქცევას, კვებას, საკულტო ღონისძიებებში მონაწილეობას, მარხვას. მაგ., ირანში ქალთა ჩაცმულობისადმი პრეტენზიები უკან სწევს ტურიზმს.

წმინდა ადგილების მონახულებისას გასათვალისწინებელია ჩაცმულობა – ზოგან მამაკაცებს არ უშვებენ შორტებში, ქალებს კი – შარვლებში (მსგავსი შეზღუდვა აუცილებლად უნდა იყოს მოხსენიებული ტურისტულ ბუკლეტში). ზაფხულში ვატიკანში ქალებს შიშველი მხრებით არ უშვებენ. ბევრგან კრძალავენ გადაღებას.

ტურისტების ქცევა არ უნდა ბღალავდეს რელიგიურ ტრადიციებს და მორწმუნეთა გრძნობებს (განსაკუთრებით ეხება ისლამურ ქვეყნებს).

<u>კვება</u> – მუსლიმები, ებრაელები ღორის ხორცს არ მიირთმევენ. ებრაელებს აინტერესებთ ასევე ქოშერული საკვები, რისთვისაც მათ დამატებითი ფასის გადახდა უწევთ.

მარხვისას საჭიროა საკვებისა და გართობის შეზღუდვა. ტურის შედგენისას ეს უნდა იცოდეს ტურისტმაც და ტურაგენტმაც.

ზოგიერთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია ვეგეტარიანული კვება.

დაყოფა **სოციალურ-ეკონომიკური** ნიშნით. ამ შემთხვევაში მთავარია პოტენციური ტურისტების შემოსავლის დონე, სოციალური სტატუსი, საქმიანობის ხასიათი, პროფესია, განათლების დონე. ტურისტული პროდუქტის შექმნისას პასუხი უნდა გაეცეს კითხვას „ვის დააინტერესებს მოცემული ტურისტული პროდუქტი“, „ვის შეეძლება მისი შეძენა“. თუ მოცემულ კითხვებს ისტორიულ ჭრილში შევხედავთ, საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე არსებობდა ერთი ან რამდენიმე სოციალური ფენა, რომელიც განსაზღვრავდა მოგზაურობათა სურათს.

მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ტურიზმი არისტოკრატულ (ელიტარულ) ხასიათს ატარებდა. ტურიზმის სხვადასხვა ფორმის ჩანასახები არსებობდა ანტიკურ ეპოქაში. ძველი ბერძნები და რომაელები (უმაღლესი სახელმწიფო პირები, დიდგვაროვანნი, მსხვილი მიწათმფლობელები, მდიდარი ვაჭრები) პირველები ახორციელებდნენ შორეულ საზღვაო და სახმელეთო მოგზაურობებს.

გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა – ინგლისის არისტოკრატულ წრეებში ახალი მოვლენა ჩაისახა – გრანდ-ტურები: შეძლებული ახალგაზრდა ინგლისელების მოგზაურობა კონტინენტზე განათლების დასასრულებლად (საფრანგეთისა და იტალიის მონახულება, ხელოვნების ქმნილებათა ზიარება). ეს მოგზაურობა გათვლილი იყო 2-3 წელიწადზე და საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება იყო.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საზოგადოების სოციალური სტრუქტურა რთულდება. მის საყრდენსა და სტაბილურობის გარანტს უკვე საშუალო კლასი წარმოადგენს. ამ კლასს ახასიათებს ცხოვრების გარკვეული სტანდარტი, რომელშიც მოგზაურობას ბოლო ადგილი არ უკავია. მოსახლეობის ეს ყველაზე ფართო ფენა ცივილიზებულ სამყაროში გახდა ტურისტული პროდუქტის ძირითადი მომხმარებელი, რამაც კარდინალურად შეცვალა ტურიზმის ხასიათი. ის არისტოკრატიულიდან თანამედროვეობის მასობრივ, დემოკრატიულ მოვლენად იქცა.

ადამიანის სოციალური სტატუსი დამოკიდებულია მის მატერიალურ მდგომარეობაზე. შემოსავლის დონე განსაზღვრავს კუთვნილებას საზოგადოების მაღალი, საშუალო თუ დაბალი ფენისადმი. მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ტურიზმმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები (ტრრ)

ტურიზმი და რეკრეაცია განეკუთვნება მეურნეობისა და ადამიანის საქმიანობათა იმ ჯგუფს, რომელიც მკვეთრად გამოხატული რესურსული ორიენტაციით ხასიათდება, რითიც ჰგავს მომპოვებელ, ტყისა და სოფლის მეურნეობას, მეთევზეობას. ამდენად ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ძალზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები.

ბუნებრივი რესურსები არის ბუნების კომპონენტები, რომლებიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოების საშუალებებად, მოთხოვნილების საგნებად ადამიანთა კულტურული და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

ბუნებრივი რესურსები არის ამოწურვადი და ამოუწურავი. ამოწურვადი რესურსები იყოფა ორად – აღდგენადი და არააღდგენადი. აღდგენადია მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, თუმცა ამ პროცესს საკმაოდ დიდი დრო (ათწლეულები) სჭირდება. არააღდგენადი კი – სასარგებლო წიაღისეულია.

ამოუწურავია მზის, ატმოსფეროს, წყლის რესურსები. თუმცა უკანასკნელ პერიოდში საუბარია ატმოსფერული და წყლის რესურსების „პირობითად ამოუწურაობაზე“, რადგან სახეზეა მათი გლობალური დაბინძურება, რაც ცვლის იმ თვისებებს, რის გამოც ისინი ინტენსიურად გამოიყენება.

ტრრ არის ბუნებრივი, ბუნებრივ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური გეოსისტემები და მათი ელემენტები, რომლებიც არსებული ტექნიკური და

მატერიალური შესაძლებლობების პირობებში შეიძლება გამოვიყენოთ ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის ორგანიზებისთვის (პრეობრაჟენსკი ვ.ს.).

ტრრ შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს: კლიმატი, მინერალური წყალი, სპელეომღვიმე, ეკლესია, ღვინო, მუმიები, ბერლინის კედლის ნარჩენები, კენედის მკვლელობის ადგილი დალასში და სხვა.

წარმოშობის მიხედვით ტრრ იყოფა ბუნებრივ (თავისთავად არსებული) და ანთროპოგენურ (ადამიანის მიერ შექმნილი) რესურსებად. ეს ატის ტრრ **გენეტიკური კლასიფიკაცია**.

ბუნებრივი ტრრ **ისტორიული კატეგორიაა**. ბუნებრივი ელემენტები და კომპლექსები თავდაპირველად რეკრეაციული საქმიანობის პირობებად გვევლინებიან. როგორც ბუნებრივი წარმონაქმნები, ისინი ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებამდეც არსებობდნენ. მოგვიანებით, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სტრუქტურის განვითარებასა და შეცვლასთან, ასევე ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდა მათი შესწავლის, შეფასებისა და საექსპლოატაციოდ გამოყენების აუცილებლობა. შედეგად, ბუნებრივი პირობები გადავიდნენ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის კატეგორიაში. ბუნებრივი პირობების ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებად გარდაქმნაში გადამწყვეტია საზოგადოებრივი შრომის დანახარჯი მათ შესწავლაზე და იმ დონის უზრუნველყოფაზე, რომ მოხერხდეს მათი პირდაპირი გამოყენება ტურისტულ-რეკრეაციულ მეურნეობაში.

ბუნებრივი ტრრ-ებია ჰავა, მინერალური წყალები, სამკურნალო ტალახები, სპელეომღვიმეები, თოვლი, მთა, ტყე, ზღვა და ა.შ.

რესურსების დასახასიათებლად ხშირად ხმარობენ ტერმინებს – ეგზოტიკური ან უნიკალური. **ეგზოტიკურობა** ნიშნავს დასვენების ადგილის კონტრასტულობას მუდმივ საცხოვრებელ ადგილთან, **უნიკალურობა** კი ობიექტისა თუ მოვლენის შეხვედრადობის ან განუმეორებლობის ხარისხს.

ტრრ **ფუნქციური ტიპოლოგია** ნიშნავს რესურსების დაჯგუფებას საზოგადოების ცხოვრებაში მათ მიერ შესრულებული როლის მიხედვით. ფუნქციურ ტიპოლოგიაში გამოიყოფა სამკურნალო (კლიმატი, მინერალური წყალი, სამკურნალო ტალახი, ტყე, სპელეომღვიმე), სპორტულ-გამაჯანსაღებელი (კლიმატი, ზღვა, რელიეფის ფორმები, მდინარეები, სპელეომღვიმე), და კულტურულ-შემეცნებითი (ლამაზი ლანდშაფტი,

ისტორიული ძეგლი, ჩანჩქერი, სპელეომღვიმე) ტრრ. ასეთი ტიპოლოგია პირობითია, რადგან ტრრ შესაძლოა სხვადასხვა მიზნით იქნას გამოყენებული.

ბუნებრივი ტრრ

ბუნებრივი ტრრ არის ბუნებრივი მოვლენები და ობიექტები, რომლებსაც ახასიათებთ რეკრეაციული საქმიანობისათვის კომფორტული თვისებები და მათი გამოყენება შეიძლება ადამიანთა გარკვეული კონტინგენტის დასვენებისა და გაჯანსაღების ორგანიზებისთვის გარკვეული დროის მანძილზე.

ჰავა

ჰავა არის ამა თუ იმ ტერიტორიისთვის დამახასიათებელი ამინდების მრავალწლიანი რეჟიმი. მისი გავლენა ადამიანზე კონკრეტული ამინდით განისაზღვრება. **ამინდი** არის განსაზღვრული ადგილის მეტეოროლოგიური ელემენტების ერთობლიობა მომეცულ მომენტში. ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობა წარმოადგენს ამინდის კომპლექსური ზემოქმედების საპასუხო რეაქციას. ამიტომ ჰავის რეკრეაციული შეფასების დროს მთავარია განისაზღვროს, თუ როგორ გავლენას ახდენენ მეტეოროლოგიური ფაქტორები ადამიანის მდგომარეობაზე. დიდი ხნის მანძილზე მეცნიერები ცდილობდნენ ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობაზე მოქმედი ჰავის ცალკეული ელემენტების გაზომვას. მაგრამ ეს მცდელობები ნაკლებეფექტური გამოდგა, რადგანაც ორგანიზმზე ერთდროულად ზემოქმედებს მეტეოროლოგიური ფაქტორების გარკვეული რაოდენობა. ძიების პროცესში შემუშავდა პირობითი (ეფექტური) ტემპერატურების სისტემა, რომლებიც ახასიათებენ მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, შეფარდებითი ტენიანობა, ქარის სიჩქარე, მზის რადიაცია და გრძელტალღოვანი გამოსხივება) კომლექსურ ზემოქმედებას.

ეფექტური ტემპერატურა (ЭТ) არის ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ზემოქმედების კომპლექსური მაჩვენებელი;

ეკვივალენტურ-ეფექტური ტემპერატურა (ЭЭТ) – ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობისა და ქარის სიჩქარის კომპლექსური მაჩვენებელი;

რადიაციულ-ეკვივალენტური ტემპერატურა (РЭТ) კი – ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობის, ქარის სიჩქარისა და რადიაციის კომპლექსური მაჩვენებელი.

ადამიანის ორგანიზმის **კომფორტის მდგომარეობა** (ფიზიოლოგიური ოპტიმუმი) არის ყველაზე სასიამოვნო სითბური შეგრძნება, როდესაც მას არც სცხელა და არც სცივა. ამ დროს კანის საშუალოშეწონილი ტემპერატურა 31–33^0-ია. თუკი აღნიშნული

ტემპერატურა მეტია ან ნაკლები, ეს ნიშნავს, რომ ამინდი უფრო თბილი ან ცივია და, შესაბამისად, იზრდება თურმორეგულატორული დატვირთვა ორგანიზმზე.

„კომფორტის ზონა“ ადამიანთა უმეტესობისთვის 17–23^0 ЭЭТ ფარგლებშია, თუმცა ის მნიშვნელოვნად იცვლება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დაშორების, წლის სეზონისა და სხვათა მიხედვით. „კომფორტის ზონის“ მიღმა ადამიანს სცივა ან სცხელა. აქტიური რეკრეანტებისთვის ის მერყეობს 12–16^0 ЭЭТ-ის ფარგლებში.

დადგენილია, რომ ადამიანს სასიამოვნო შეგრძნება ტემპერატურისა და შეფარდებითი ტენიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების დროს აქვს. ცხრ. 7 გვიჩვენებს, რომ მაღალი ტემპერატურები შედარებით ადვილი გადასატანია უფრო მშრალი ამინდის პირობებში.

ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის შეხამება ადამიანის
კომფორტული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის

ცხრილი 6

ჰაერის ტემპერატურა, ^{0}C	შეფარდებითი ტენიანობა, %
20	85
25	60
30	44
35	33

ბუნებრივია, ზამთრისა და ზაფხულის რეკრეაციული ქმედებებისთვის ხელსაყრელია სრულიად განსხვავებული ტემპერატურული მაჩვენებლები.

საქართველოში ივანე კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჰავის საკურორტო-ტურისტული დარაიონებისთვის გამოიყენეს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა კანის საშუალო ტემპერატურა, ტანსაცმლის თბოდაცვის უნარი და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის სითბური კომფორტის პირობებს. შედეგად დადგინდა შემდეგი საკურორტო-ტურისტული ზონები:

დაბლობის ზონა (სიმაღლე ზღვის დონიდან 500 მ-მდე) – ძირითადად ბალნეოლოგიური და ზღვისპირა კლიმატური კურორტებია თავმოყრილი (წყალტუბო, ტყვარჩელი, ნაბეღლავი);

დაბალმთიანი ზონა (500-1000მ ზ.დ.) – უპირატესად შერეული (ბალნეოკლიმატური) კურორტები (ზვარე, სურამი, ბორჯომი, საირმე);

საშუალომთიანი ზონის ქვედა სარტყელი (1000-1500მ ზ.დ.) – სამთოკლიმატური (წაღვერი, აბასთუმანი, კიკეთი, ცემი, მანგლისი, კოჯორი) და

საშუალომთიანი ზონის ზედა სარტყელი (1500-2000მ ზ.დ.) – სამთოკლიმატური (შოვი, ლებარდე, ავადჰარა, ბაკურიანი, ბახმარო);

მაღალმთიანი ზონა (2000მზემოთ) კი – არასაკურორტო, მაგრამ სამთო-სათხილამურო სპორტითა და ალპინიზმით გატაცებული ტურისტებისთვისაა მიზანშეწონილი.

სამთო-სათხილამურო ტურიზმის ეფექტიანი განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებად ითვლება მთის კალთის დახრილობა 5-25^0; ფერდობის სიგრძე –1კმ-ზე მეტი; მყარი თოვლის საფარი (30სმ და მეტი) 3 თვეზე მეტ ხანს; წიწვიანი ტყის საფარი (მას აქვს როგორც ესთეტური დატვირთვა, ასევე ახდენს ქარის სიჩქარის შესუსტებას, რაც მნიშვნელოვანია მოთხილამურეებისთვის). ნაკლებ შეფასებას იმსახურებს შერეული ტყე, ყველაზე დაბალია ფართოფოთლოვანი ტყის როლი; გეოფიზიკური პროცესების უსაფრთხოება. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების კარგი პირობებია ბაკურიანში (1650 მ), გუდაურში (2000 მ), მესტიაში (1500 მ), ბახმაროში (1913 მ) და ა.შ.

წყლის რეკრეაციული რესურსები

თანამედროვე ტურისტების ძირითადი რაოდენობა ზღვის (დიდი ტბის, მდინარის ან წყალსაცავის) სანაპიროზე დასვენებაზეა ორიენტირებული, ვინაიდან ამ ზონაში შესაძლებელია მრავალი რეკრეაციული ქმედების განხორციელება: ჰაერის, მზისა და წყლის აბაზანების მიღება, სხვადასხვა საწყლოსნო საშუალებებით გადაადგილება, ყვინთვა, წყალქვეშა სამყაროს ფოტოგრაფირება, თევზაობა, ლამაზი კენჭებისა თუ ნიჟარების შეგროვება, მომხიბლავი პეიზაჟების ხატვა, სანაპიროზე გასეირნება და სხვ.

დასვენების ამ სახეობას ხშირად 3S (sea, sun, sand) ტიპსაც უწოდებენ, რაც გულისხმობს ისეთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ტრიადის აუცილებელ არსებობას, როგორებიცაა ზღვა, მზე და ქვიშა.

ფიზიოლოგები თვლიან, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანების მასობრივი ბანაობა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც ჰაერის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა 15^{0}C და მეტია, ხოლო წყლის ტემპერატურა – 17^{0}C და მეტი. უფრო ცივ წყალში შეიძლება მხოლოდ გაკაჟებული ან ნავარჯიშევი ადამიანების შესვლა.

იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს წყლის ღელვა ადამიანის ორგანიზმზე, ბანაობა იყოფა ჰიდროსტატიკურად (ღელვა 0-1 ბალი), სუსტად დინამიურად (2-3 ბალი) და დინამიურად (3 ბალი და მეტი). 3 ბალის და მეტი ღელვის პირობებში,

გაუვარჯიშებელი ტურისტებისა და დამსვენებლების ბანაობა არ არის მიზანშეწონილი.

მასობრივი ბანაობისთვის წყლის ტემპერატურა უნდა აღემატებოდეს 17^{0}C, ჰაერის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურა – 15^{0}C, ღელვა 3 ბალზე მაკლები უნდა იყოს, აუცილებელია უსაფრთხო იხტიოფაუნისა და ნაკლები მცენარეულობის არსებობა სანაპიროს სიახლოვეს, ასევე საჭიროა მოხერხებული პლაჟები, წყლისაკენუსაფრთხო დახრილობა.

სავარგულების შეფასება ბანაობისთვის

ცხრილი 7

წყალმარჩხი ზონის სიგანე, მ		წყალმარჩხი ზონის ფსკერის გრუნტის ლითოლოგია		ზაფხულის დღეების საშუალო რაოდენობა წყლის დღე-ღამური ტემპერატურით 18-20^{0}C		დინების სიჩქარე, მ/წმ		სანაპირო წყალმცენარეების ფართობი, % წყლის პერიმეტრის 100 მ-ზე	
დახასია-თება	შეფასება, ქულა	დახასიათება	შეფასება, ქულა	დახასია-თება	შეფასება, ქულა	დახასია-თება	შეფასება, ქულა	დახასია-თება	შეფასება, ქულა
5–10	4	ქვიშის	4	80	4	0	4	0	4
10–20	3	წვრილხრეშიანი	3	60-80	3	0–1	3	0–10	3
20–40	2	კაჭრიანი	2	50-60	2	1–2	1–2	10–50	2
40–100	1	თიხიანი	1	30-50	1	2–3	1	50–80	1
>100	0	შლამიანი	0	30	0	3	0	>80	0

რუსმა მეცნიერმა ნ.კორნილოვამ აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზის შედეგად დათვალა მასობრივი ბანაობისთვის ხელსაყრელ დღეთა რაოდენობა დსთ ტერიტორიაზე: ბალტიის სანაპიროზე 60-90 დღე, ყირიმის სანაპირო 120, კასპიის ზღვის სანაპიროზე - 139-150 დღე წელიწადში.

საქართველოს შავიზღვისპირეთში საბანაო სეზონი მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდება და 130-134 დღეს შეადგენს.

შიდა წყლებიდან რეკრეაციისათვის ინტენსიურად გამოიყენება მდინარეები, ტბები და წყალსაცავები, რომლებზეც შესაძლებელია ასევე უამრავი რეკრეაციული ქმედების განხორციელება.

საქართველოში არსებული 25 ათასზე მეტი მდინარიდან სათევზაოდ მხოლოდ 120-მდე გამოიყენება. დაახლოებით 860 ტბიდან კი რეკრეაციისათვის აქტიურად გამოიყენება რიწა, პალიასტომი, ბაზალეთი, ფარავანი. წყალსაცავებიდან დამსვენებლებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს თბილისის ზღვა, სიონის, ჟინვალის, შაორის წყალსაცავები.

მინერალური წყლები.

მსოფლიოში სხვადასხვა შემადგენლობისა და დანიშნულების ბალნეორესურსები არსებობს. მათ თვისებებს შეისწავლის მეცნიერება – ბალნეოლოგია (ლათ. balneum – აბანო, ბერძნ. logos – მოძღვრება). მინერალური წყლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან *იონური შემადგენლობით* (ქლორფიდული, ჰიდროკარბონატული, სულფატური, ნატრიუმიანი, კალციუმიანი, მაგნიუმიანი და ა.შ.), *გაზებისა და სპეციფიური ელემენტების შემცველობით* (ნახშირმჟავა, რკინიანი, დარიშხანიანი, აზოტოვანი, მეთანური, რადონული და სხვ.), *მჟავიანობით* (ნეიტრალური, მჟავე და ტუტე), *მინერალიზაციითა* და *ტემპერატურით.*

ჩვენ მინერალურ წყლებს განვიხილავთ მხოლოდ მინერალიზაციისა და ტემპერატურის მიხედვით. პირველი აღნიშნავს ერთ ლიტრ წყალში გახსნილი მინერალების რაოდენობას (გ/ლ), მეორე კი – ტემპერატურას (^{0}C).

<u>*მინერალიზაციის*</u> მიხედვით მინერალური წყლები შემდეგნაირად ჯგუფდება:

სუსტადმინერალიზებული1–5გ/ლ,

საშუალოდმინერალიზებული 5–15გ/ლ,

მაღალმინერალიზებული 15–30გ/ლ,

ნაჯერი 30–150გ/ლ და

ზენაჯერი ანუ მლაშე >150გ/ლ.

სასმელად გამოიყენება 10-20 გ/ლ მინერალიზაციის მქონე წყლები.

<u>*ტემპერატურის*</u> მაჩვენებლით კი არსებობს მინერალური წყლები:

ძალიან ცივი <4^{0}C,

ცივი 4-20^{0}C,

თბილი (სუბთერმული) 20-36^{0}C,

ცხელი (თერმული) 37-42^{0}C,

ძალიან ცხელი (ჰიპერთერმული) >42^{0}C.

სამკურნალო ტალახები, იგივე პელოიდები (ბერძნ. peloid – თიხა, ტალახი) – წარმოადგენენ სხვადასხვა წყალსატევებისა თუ ჭაობების ნალექს, ან ტალახის ვულკანებიდან ამოფრქვეულ ბუნებრივ მასას, რომელიც შედგება წყლის, მინერალებისა და ორგანული ნივთიერებებისგან. აღნიშნული მასა შემთბარი სახით ტალახსამკურნალოდ გამოიყენება.

წარმოშობის მიხედვით სამკურნალო ტალახები შეიძლება იყოს დანალექი, ვულკანური და ტორფის.

დანალექი ტალახი ტბებსა და ლიმანებში წარმოიქმნება და ორგანული ნივთიერებების რთულ ნარევს წარმოადგენს.

ვულკანური (ფსევდოვულკანური) ტალახი გამოიყოფა სოპკებში ტალახის ვულკანების ამოფრქვევის შედეგად. მისი მყარი ნაწილი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ მიკროელემენტებს (ბრომს, ლითიუმს, იოდსა და სხვ.), ხოლო თხიერი ნაწილი – წყალში გახსნილ მარილებსა და ორგანულ ნივთიერებებს.

ტორფის ტალახი წარმოიქმნება ჭაობიან ადგილებში მცენარეული ორგანული ნივთიერებების ხანგრძლივი ლპობისა და ნიადაგთან შერევის შედეგად.

საქართველოში სამკურნალო ტალახების შემდეგი ტიპებია გავრცელებული (სავლე ჩიხელიძე): ვულკანური (ახტალა), ტბის დანალექი (კუმისი) და მინერალური წყლების გამოსასვლელთან არსებული ტალახები.

ტყის რესურსები.

ტყეს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ადამიანები რეკრეაციისთვის. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ რეგიონებში. 1 ჰა ტყე ზაფხულის თბილი დღის მანძილზე გამოყოფს 40-50 ადამიანის სუნთქვისთვის სამყოფ ჟანგბადს. ის ხელს უწყობს ჰაერის იონური შემადგენლობის შენარჩუნებას. იონიზებული ჰაერი დადებითად მოქმედებს ადამიანზე (ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, ბრონქიალური ასთმა, ფილტვების ტუბერკულოზი, ნერვული სისტემის დაავადებები). ბულგარელი მეცნიერების (ფილიზოვი, პეევი, მინჩევი) მონაცემებით ინდუსტრიული ცენტრის 1$м^3$ ჰაერი 1000-ჯერ მეტ მტვერსა და ჭვარტლს შეიცავს, ვიდრე ტყეში არსებული. მცირე ნარგაობათა ფართობიც კი ქალაქის ცენტრის გაჭუჭყიანებას 30-40%-ით ამცირებს. ამცირებს ხმაურს, არეგულირებს ჰაერის ტემპერატურას, ტენიანობას, ქარის სიჩქარესა და მზის რადიაციას. ხშირფოთლოვანი ტყეები შთანთქავენ ბგერითი ენერგიის 30%-ს, დანარჩენს კი აირეკლავენ და განაბნევენ. 1 ჰა ტყე წელიწადში შთანთქავს 5-10 ტ ნახშირორჟანგს და გამოიმუშავებს 10-20 ტ ჟანგბადს.

ფიტონციდები (ბერძნ. φυτόν – მცენარე და ლათ. caedo – ვკლავ) – აქროლადი ნივთიერებები, რომლებიც თრგუნავენ ბაქტერიების, სოკოებისა და უმარტივესთა ზრდას. მას შეიცავს ხახვი, ნიორი, პირშუშხა და ა.შ. ისინი ასუფთავებენ ჰაერს მტვრისა და სხვა დამაჭუჭყიანებელი ნივთიერებებისგან, ხოცავენ ავადმყოფობათა გამომწვევ მიკროორგანიზმებს. წიწვიანების 1 ჰა გამოიმუშავებს 2,5-ჯერ მეტ ფიტონციდებს,

ვიდრე ფოთლოვანები. ყირიმში ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ 1 ჰა ფოთლოვანი ტყე გამოყოფს 2 კგ-მდე ფიტონციდებს, წიწვოვანი კი – 5 კგ.

ფოთლოვანებიდან ფიტონციდების გამოყოფით გამოირჩევა მუხა, არყის ხე, შოთხვი.

ფიჭვის ტყის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ფისოვანი გამონაყოფის დაჟანგვა ხელს უწყობს ჰაერის მაღალ იონიზაციას.

დღეს, იმ პირობებში, როდესაც ხშირია ტყის ხანძრები, ხეების დაუნდობელი გაჩეხვა, მთელ მსოფლიოში ძალზე აქტუალურია ტყეების დაცვა. ამიტომ მიღებულია პრაქტიკა, გარკვეული ტყის ფართობების დაცულ ტერიტორიებად ორგანიზება.

საქართველოში დაცული ტერიტორიების 5 ძირითადი კატეგორიაა: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი.

საქართველოს დაცული ტერიტორიები კატეგორიის მიხედვით

ცხრილი 8

დაცული არეალი	დაცვის მიზანი
ნაკრძალი	მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარებას
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა)
აღკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით; აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება.
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება

ნაკრძალი არის ბუნებრივი ტერიტორია ანაკვატორია, რომელიც სრულიად გამორიცხულია სამეურნეო მოხმარებიდან ბუნებრივი კომპლექსის დაცვისა და შესწავლის მიზნით. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოცემული ტერიტორიისთვის ეტალონური, ტიპიური ან უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა. ნაკრძალი მასობრივი ტურიზმისთვის არ გამოიყენება. აქვს დაცვის, საინფორმაციო-სამეცნიერო ფუნქცია. დადებითია მოსახლეობის ბუნებისდაცვითი აღზრდისათვის.

ეროვნული პარკი არის ბუნებრივი, განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიებისა და აკვატორიების კატეგორია ნაკლებად დარღვეული ბუნებრივი კომპლექსებით და უნიკალური ბუნებრივი და სხვა ობიექტებით. აქ შეხამებულია ბუნებრივი დაცვის ამოცანები და მკაცრად კონტროლირებადი რეკრეაციული გამოყენება. ის განკუთვნილია ხანმოკლე დასვენებისა და შემეცნებითი ტურიზმისათვის.

სპელეოლოგიური რესურსები

სპელეოლოგიური სიღრუეების გამომუშავება ხდება წყალში ხსნად (მარილი, კირქვა, ცარცი, დოლომიტი და სხვა) ქანებში.

მღვიმეებს გამოყენების დიდი ხნის ისტორია აქვთ. ადრე საცხოვრებლად იყენებდნენ, ახლა – სხვადასხვა მიზნებით: დასათვალიერებლად, საკონცერტო დარბაზებად, ეგზოტიკურ რესტორნებად, სამკურნალოდ (ბრონქიალური ასთმა, ლიმფური ჯირკვლების ზოგიერთი დაავადება, რევმატიზმი, ნეფრიტი, ნევრალგია).

მკურნალობისთვის მნიშვნელოვანია ძირითადი თერმოტენიანობის პარამეტრების სტაბილურობა, მუდმივი ბარომეტრული ველი, იონიზაციის ცოტა მომატებული ფონი, ჰაერის ბუნებრივი რადიოაქტიურობა, ჰაერის სისუფთავე, სიჩუმე, პათოგენური მიკრობებისა და ალერგენების არარსებობა, ეგზოტიკური პეიზაჟების სიუხვე. ტურიზმისთვის ისინი ყველა კონტინენტზე გამოიყენება ანტარქტიდის გარდა.

ახალი ათონის მღვიმე, მასში კვლევების ჩასატარებლად დახურვამდე, წლიურად საშუალოდ 635 ათას ტურისტს ემსახურებოდა. მაგრამ მღვიმეებში ტურისტების გადაჭარბებული რაოდენობით სტუმრობა იწვევს ჰაერის აირადი შემადგენლობის შეცვლას, ტემპერატურისა და ტენიანობის მატებას, რასაც მოსდევს ხავსების გაჩენა, ნაღვენთი ფორმების დაზიანება-განადგურება, ქვათაცვენის პროცესების განვითარება.

ანთროპოგენური ტრრ

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ანთროპოგენურ ტრრ-ს, რომლებიც საზოგადოების განვითარების პროცესში განვლილი ეპოქების მემკვიდრეობას წარმოადგენს. ზოგი მკვლევარი მათ კულტურულ-ისტორიულ რესურსებს ან კულტურულ მემკვიდრეობას უწოდებს. ამ ტიპის რესურსებს განსაკუთრებული შემეცნებითი და აღმზრდელობითი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ.

ანთროპოგენური ტრრ იყოფა *მატერიალურ* და *სულიერ რესურსებად. მატერიალური ტრრ* მოიცავს წარმოების ყველა საშუალებასა და საზოგადოების სხვა მატერიალურ ფასეულობებს მისი განვითარების ყოველ ისტორიულ სტადიაზე, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანების შემეცნებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. *სულიერ* ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს კი განეკუთვნება საზოგადოების ნებისმიერი მიღწევა განათლებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შრომასა და ყოფაში.

ანთროპოგენურ ტრრ-ს განეკუთვნება მხოლოდ ის კულტურულ-ისტორიული ობიექტები, რომლებიც შესწავლილი და შეფასებულია, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე და რომელიც არსებული ტექნიკური და მატერიალური

შესაძლებლობების პირობებში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გარკვეული რაოდენობის ადამიანების ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გარკვეული დროის მანძილზე.

ძირითადი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ანთროპოგენური ტრრ ხუთ მნიშვნელოვან ჯგუფად იყოფა: ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის, ხელოვნების, დოკუმენტურ ძეგლებად.

ისტორიის ძეგლები. მათ განეკუთვნება შენობები, ნაგებობები, სამახსოვრო ადგილები და ნივთები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებთან, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხალხთა ყოფის განვითარებასთან, ქვეყნის ცნობილი ადამიანების ცხოვრებასთან (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმები თბილისში, ყვარელში, საგურამოში, მისი მკვლელობის ადგილი წიწამურში, დიდგორის ველი, პარლამენტის შენობის წინამდებარე ტერიტორია, კენედის მკვლელობის ადგილი – სავაჭრო მოედანი დალასში და სხვა).

არქეოლოგიის ძეგლები. ეს არის ნასახლარები, ყორღანები, სიმაგრეების, არხების, გზების ნარჩენები, ძველი სამარხები და ნასახლარები, ქვაზე კვეთილობანი, კედლის მხატვრობა, ძველებური ნივთები. არქეოლოგიური ძეგლები განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიკოსებისა და არქეოლოგებისთვის, ტურისტებს კი ძირითადად იზიდავს კედლის მხატვრობა, გახსნილი არქეოლოგიური ფენების დათვალიერება, ასევე არქეოლოგიური ექსპოზიციები.

ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის ძეგლები. მათთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია შემდეგი ობიექტები: არქიტექტორული ანსამბლები და კომპლექსები, დასახლებათა ისტორიული ცენტრები, კვარტლები, მოედნები, ქუჩები, საბაღე-საპარკე ხელოვნების ნიმუშები და საგარეუბნო ლანდშაფტები, საზოგადოებრივი, სამრეწველო, სამხედრო თუ კულტურული ნაგებობები, ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები. მაგალითად, წმ.პეტრეს ტაძარი ვატიკანში, გაუდის „საგრადა ფამილია“, „პარკ გუელი“ და საცხოვრებელი სახლები ბარსელონაში, ვერსალის პარკი საფრანგეთში; ყინწვისი, სიონი, სამება, დადიანების პარკი ზუგდიდში, ჭავჭავაძეების პარკი და ძველი ენოთეკა წინანდალში, ძველი თბილისი, სიღნაღი, ახალციხე, გზათა მშენებლობის სამინისტროს ორიგინალური შენობა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (ამჟამად – საქართველოს ბანკის ოფისი).

ხელოვნების ძეგლებს მიეკუთვება სახვითი, დეკორატიულ-გამოყენებითი და ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებები (ცნობილ მხატვართა ტილოები– პრიმიტივისტი ნიკალა თუ იმპრესიონისტი ვინსენტ ვან გოგი; ფაბერჟეს შედევრები –

სააღდგომო კვერცხები და საიუველირო ნაწარმი; ნაქარგები; ჭედურობის ნიმუშები; ნეცკე და ა.შ.).

დოკუმენტური ძეგლები მოიცავენ სახელმწიფო მართვის ორგანოების აქტებს, წერილობით და გრაფიკულ დოკუმენტებს, კინოფოტოდოკუმენტებს, ხმის ჩანაწერებს, ძველ ხელნაწერებს, არქივებს, ფოლკლორულ და მუსიკალურ ჩანაწერებს, იშვიათ ბეჭდვით გამოცემებს. მაგალითად, ვასილ ამაშუკელის პირველი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (1912), გალაკტიონი კითხულობს „მთაწმინდის მთვარეს“, ბულატ ოკუჯავას ან ვლადიმირ ვისოცკის მიერ შესრულებული საავტორო სიმღერები, ვერსალის ისტორიული ხელშეკრულება და სხვა.

ტურიზმისა და რეკრეაციის კულტურულ-ისტორიულ წანამძღვრებად ითვლება ასევე ობიექტები, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიასთან, კულტურასთან, საზოგადოების თანამედროვე ცხოვრებასთან: წარმოების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ორიგინალური ობიექტები, სამეცნიერო დაწესებულებები და სასწავლო დაწესებულებები, თეატრები, სპორტული ნაგებობები, ბოტანიკური ბაღები, ზოოპარკები, ოკეანარიუმები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ობიექტები, კუსტარული სარეწები, სადღესასწაულო წეს-ჩვეულებანი, შემორჩენილი ხალხური ტრადიციები. რესურსების ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ბოლო პერიოდის ძალზე პოპულარული ღირსშესანიშნაობა – თემატური პარკი, რომელიც წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის ატრაქციონებისა და სხვა გასართობების თავმოყრას ერთ ტერიტორიაზე და განკუთვნილია სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის. ამავე დროს, თემატური პარკის კონცეფცია უკავშირდება გარკვეულ თემას, მაგალითად, დისნეის პარკები – უოლტ დისნეის ანიმაციური ფილმების გმირებს, იუნივერსალ სტუდიო – ჰოლივუდის ფილმების სიუჟეტებს, მუმი ტროლების სამყარო ფინელი მწერლის ტუვი იანსენის ზღაპრების პერსონაჟებს, სანტა პარკი – თოვლის პაპას ერთადერთი პარკი ლაპლანდიაში, (ფინეთი, ქ.როვანიემთან), ლეგოლენდი (დანია, ქ.ბილუნდი) – ცნობილი სათამაშოს კონსტრუქტორ „ლეგოთი“ აგებული ობიექტებს და ა.შ. აღნიშვნას იმსახურებს ასევე ძალზე ცნობილი ტურისტული ატრაქციების მინიატურული ასლების შექმნა მასშტაბით 1:25, მაგალითად, მინი-ისრაელი ლატრუნში, მინი-იტალია რიმინიში, მადუროდამი ჰააგაში, მინიათურქი სტამბოლში, მინი საქართველო შეკვეთილში და სხვ.

უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ კინოფესტივალებისა (ლოს-ანჯელესი, კანი, ბერლინი, ვენეცია, სან-სებასტიანი, ტორონტო, სანდენსი, ლოკარნო) და საკარნავალო (რიო-დე-ჟანეირო, ვენეცია, ნოთინგ-ჰილი, კიოლნი) ქალაქები.

რეკრეაციული ბუნებათსარგებლობა და ბუნების დაცვა

ბუნებრივ კომპლექსებზე რეკრეაციული დატვირთვა. ბუნებრივ კომპლექსებზე რეკრეაციული დატვირთვის მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, ერთი რეკრეანტისათვის პლაჟის ნორმატივი 5-15მ^2-ია. თუმცა სეზონის პიკის დროს ირღვევა და ზოგიერთ შემთხვევაში 1მ^2-ზე ნაკლებია.

ნებისმიერი ბუნებრივი კომპლექსისთვის უნდა დადგინდეს მისი დასაშვები დატვირთვა.

რეკრეაციულ რესურსებს გარკვეული მარაგი აქვთ. რეკრეაციული რაიონების დეგრადირების ერთ-ერთი მიზეზია შემთხვევა, როდესაც რეკრეაციული შეთავაზება რეკრეაციულ მოთხოვნილებაზე ნაკლებია. ძალზე მნიშვნელოვანია ტურისტებისა და რეკრეანტების ეკოლოგიური კულტურა – გარემოში ქცევის ნორმების ცოდნა და დაცვა. ამერიკელები განგაშს აცხადებენ ეროვნული პარკების ეკოლოგიური მდგომარეობის გამო.

რიგ ქვეყნებში რეკრეაციის განვითარების პარალელურად ვითარდება ლანდშაფტური არქიტექტურა, რომელიც შეისწავლის ლანდშაფტის მიერ ადამიანზე დადებით ემოციურ-ესთეტურ გავლენას.

ზოგიერთ შემთხვევაში მრეწველობის დარგები წინააღმდეგობაში შედიან რეკრეაციასთან.

ტურისტულ ზონებში ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მაგალითები:

- მშენებლობის მიზნით მდინარეთა ხეობებიდან საპლაჟე მასალის ამოღება, პლაჟების გარეცხვის წინაპირობას ქმნის. 1მლნ მ^3 მასალის ამოღება დაახლოებით 30 კმ რიყნარი ან 60 კმ ქვიშიანი პლაჟის განადგურებას ნიშნავს.
- საქართველოში 35 წლის მანძილზე (1940-75 წწ) 35 მლნ მ^3 მასალა ამოიღეს სახლების, გზების, *ნაპირდამცავი ნაგებობების* (!) ასაგებად. საფრთხე დაემუქრა ბიჭვინთის, გაგრის, ბათუმის, ქობულეთის პლაჟებს.

1961წ პლაჟები ირეცხებოდა 155კმ-ზე (სანაპიროს მთელი სიგრძის 48%), 1972 – 183 კმ (57%), 1981 – 220 კმ (69%). გარეცხვის სიჩქარე სხვადასხვა უბნებზე 2-დან 7 მ-მდე მერყეობდა წელიწადში.

1972 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა ზღვის სანაპირო ზონის მორფოლოგიისა და დინამიკის ლაბორატორია. 1981 წელს ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვა“. ლაბორატორიაში შემუშავებული ნაპირდაცვის

მეთოდით გათვალისწინებული სამუშაობის ჩატარების შედეგად გაგრის მონაკვეთზე 1,5 წლის მანძილზე პლაჟის სიგანე 3-5 მ-დან 20-25 მ-მდე გაიზარდა.

- ❖ ბელგიაში, ლა-მანშის სანაპიროზე (62კმ) მსხვილი სასტუმროების მშენებლობისთვის ზღვაში ააგეს დამცავი დამბები – პლაჟებს დააკლდა ქვიშა და დაირღვა ბუნებაში არსებული წონასწორობა;
- ❖ დიდი რაოდენობის ავტოტურისტების თავმოყრა აბინძურებს ჰაერს, ტურისტული გემების მოძრაობა – წყალს. ამის გამო დასავლეთ ევროპაში ხშირად იხურება პლაჟები დამსვენებლებისთვის;
- ❖ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გიბრალტარიდან სიცილიამდე, კურორტების აგებისა და ეროზიული პროცესების გამო, გაქრა ქვიშის დიუნების თითქმის ¾;
- ❖ კენიაში ტურისტული ობიექტების განვითარებამ გამოიწვია მარჯნის რიფების დაზიანება;
- ❖ ახალი ათონის მღვიმე წელიწადში 600-800 ათას ტურისტს ემსახურებოდა და ფუნქციონირების თითქმის 25 წლის მანძილზე (1961-1988) მან 10 მილიონი ადამიანი მიიღო. ექსპლოატაციის დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში, ტურისტების მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო, ტემპერატურამ მღვიმეში 1,5-2^{0}C-ით მოიმატა, გაჩნდა ხავსები და სხვა მცენარეები, იშლებოდა უნიკალური ნაღვენთი ფორმები, გახშირდა ქვათაცვენა, მოიმატა ნახშირორჟანგის რაოდენობამ და შეიცვალა ჰაერის იონური შემადგენლობა. 1988 წელს საჭირო კვლევების ჩასატარებლად მღვიმე ვიზიტორებისთვის დაიხურა.
- ❖ ტურისტების უარყოფითი ზემოქმედება **კულტურულ ობიექტებზეც** აისახება. მაგალითად, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ბორდოს სიახლოვეს მდებარე პოპულარული მღვიმე ლასკო ცნობილია ისტორიამდელი (25 ათასი წლის წინანდელი) კედლის მხატვრობით. ხანდახან მას „პირველყოფილი ფერწერის სიქსტის კაპელას“ უწოდებენ. თუმცა დიდი რაოდენობის დამთვალიერებლების გამო, კედლებზე გაჩნდა ობი, სოკო. ძეგლის გადასარჩენად გამოქვებული დაიხურა. მისგან 200 მეტრის დაცილებით შეიქმნა „ლასკო-ბის“, სადაც გამოქვაბულის კედლებზე ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული ასლები განთავსდა;
- ❖ რეკრეაციისთვის სერიოზული შედეგები აქვს მრეწველობის ზოგიერთი დარგის (მეტალურგია, ნავთობგადამუშავება, ნავთობქიმის, ცემენტის მრეწველობა და ა.შ.) საზღვაო ორიენტაციას;
- ❖ უმჯობესია პატარა ზომის დიდი რაოდენობით დასვენების ცენტრის შექმნა, მცირე რაოდენობის დიდ ცენტრებთან შედარებით. ასევე არამუდმივი განთავსების საშუალებები – კემპინგები, სახლი-ფურგონები და სხვ.;
- ❖ ბუნებრივი და ნაკლებად სახეცვლილი ლანდშაფტების შენარჩუნება;
- ❖ ეკოლოგიური აღზრდა ბავშვობიდანვე.

ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარებას ბუნებისთვის დადებითი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს. პირველ რიგში, ტურისტებიც და რეკრეანტებიც დასასვენებლად ეკოლოგიურად სუფთა გარემოს ირჩევენ, ამიტომ აუცილებელია გარემოს დაცვა და გაფრთხილება. ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ანალოგის შექმნა, მაგალითად, საგარეუბნო ზონაში ტყის გაშენება, წყალსაცავის შექმნა, ქალაქის ფარგლებში გამწვანების ზოლისა თუ პარკის დაგეგმვა.

ტექნიკური ქვესისტემები

ტექნიკურ ქვესისტემებში შედის **განთავსების საშუალებები**, **საინჟინრო ინფრასტრუქტურის ელემენტები** (ელექტროგადამცემი ხაზები, წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, სითბოგაყვანილობა, კავშირგაბმულობა, გამწმენდი ნაგებობები, გზები და ა.შ.), ე.წ. **კეთილმოწყობის ელემენტები** (პლაჟის დამცავი ნაგებობები, გადმოსახედი მოედნები, საყრდენი კედლები), **სასპორტო ნაგებობები** (კორტები, სათამაშო მოედნები, საცურაო აუზები, სასპორტო დარბაზები), **სასპორტო მოწყობილებები** (ტრენაჟორები, სათამაშო ავტომატები, ველოსიპედები, ბაიდარები, იახტები, თხილამურები, ციგები), **მინერალური წყლების მოპოვების ჭაბურღილები**, **სასმელი ბიუვეტები** (ფრანგ. buvette, სპეციალური ნაგებობა, რომელიც მოწყობილია მინერალური წყლის მისაღებად. ბიუვეტი ეწყობა წყლის დაბინძურებისგან დასაცავად და მისი მოხმარებლისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ხშირად მას სპეციალურ გალერეებში აწყობენ), **ტერენკურები** (ზოგიერთი დაავადების მკურნალობა სპეციალურად შემუშავებულ მარშრუტზე, მანძილის, დროისა და აღმართის კუთხის მიხედვით დოზირებული ქვეითი გასეირნებით), **აბაზანები**, **თავისუფალი დროის ორგანიზების დაწესებულებები** (საზაფხულო ესტრადები, კინოთეატრები, საცეკვაო მოედნები, დისკოთეკები), **საწყობები**, **ნავების სადგურები** და სხვა.

სასტუმრო მეურნეობა

სასტუმრო, ფართო გაგებით, არის სახლი ავეჯით გაწყობილი ოთახებით, რომელიც ხანმოკლე დასვენებისთვისაა განკუთვნილი.

2007 წ მსოფლიოში 360 ათასზე მეტ დარეგისტრირებულ სასტუმროში იყო 12 მლნ ნომერი 40 მლნ საწოლით. ბოლო 20 წელიწადში სანომრე ფონდი ყოველწლიურად საშუალოდ 3-4%-ით იზრდება.

აღნიშნული სასაწოლო ფონდის 45% (12 მლნ) ევროპაშია, 35% (9 მლნ) – ამერიკაში, 14% – აზიაში და 3-3% – აფრიკასა და ავსტრალია/ოკეანეთში.

სასტუმროს სიმძლავრე განისაზღვრება ნომერთა რაოდენობით (აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები) ან საწოლ-ადგილებით, მომსახურების მოცულობა კი – კაც-დღეებით.

სასტუმროს დატვირთვის საშუალო კოეფიციენტი

$$K = \frac{T \times 100}{N \times 365}\%,$$

სადაც Kარის სასტუმროს დატვირთვის კოეფიციენტი, T – წლის მანძილზე ტურისტების მიერ დაკავებული ადგილების რაოდენობა, N კი – საწოლების საერთო რაოდენობა სასტუმროში.

მსოფლიოში სასტუმროების დატვირთვის საშუალო კოეფიციენტი 65-70%-ის ფარგლებში მერყეობს.

დღეს მსოფლიოში ნომრის საშუალო ღირებულება დღე-ღამეში 90 დოლარია.

საშუალო კომფორტულობის სასტუმროში მისი ღირებულების 55% ნომრის გაყიდვაზე მოდის, 25-30% – კვებაზე, 10% – ბუფეტებში, ბარებსა და ღამის კლუბებში სასმელების გაყიდვაზე.

სასტუმროები სიდიდის მიხედვით ასე ჯგუფდება: მცირე 100-150 ნომრამდე, საშუალო – 100-დან 300-400-მდე, დიდი 300-დან 600-1000-მდე, გიგანტი – >1000 ნომერზე.

დიდი და მდიდრული სასტუმროების თავმოყრით გამოირჩევა აშშ, განსაკუთრებით – ქალაქი ლას ვეგასი, სადაც მსოფლიოს უდიდესი 20 სასტუმროდან 11-ია განთავსებული (იხ. ცხრ. 10).

მსოფლიოს უდიდესი სასტუმროები (2018)

ცხრილი 9

№	სასტუმროს დასახელება	მდებარეობა	ოთახების რაოდენობა
1.	First World Hotel	პაჰანგი, მალაიზია	7351
2.	The Venetian and The Palazzo	ლასვეგასი, აშშ	7117
3.	MGM Grand	ლასვეგასი, აშშ	6852
4.	City Center	ლასვეგასი, აშშ	6790
5.	Sands Cotai Central	მაკაო	6000

6.	Izmailovo Hotel	მოსკოვი, რუსეთი	5000
7.	Wynn/Encore	ლასვეგასი, აშშ	4750
8.	Mandalay Bay	ლასვეგასი, აშშ	4750
9.	Luxor	ლასვეგასი, აშშ	4400
10.	Ambassador City Jomtien	პატაია, ტაილანდი	4200
11.	Sheraton Grand Macao	მაკაო	4001
12.	Excalibur Hotel & Casino	ლასვეგასი, აშშ	3981
13.	Caesar's Palace	ლასვეგასი, აშშ	3960
14.	Bellagio	ლასვეგასი, აშშ	3950
15.	Circus Circus	ლასვეგასი, აშშ	3760

წყარო: https://traveltoplist.com/largest-hotels-in-the-world

სასტუმროების სისტემაში არსებობს ნომრებით სარგებლობის შემდეგი მნიშვნელოვანი ფორმები: კონდომინიუმი და თაიმ-შერი. **კონდომინიუმი** (ლათ. con – ერთად და dominium – ფლობა) – ერთი ობიექტის (ყველაზე ხშირად სახლის) ერთობლივი ფლობა. სანომრე ფონდი იყიდება ინდივიდუალურ მფლობელობაში – ან თვითონ ცხოვრობენ ან ტურისტებზე აქირავებენ. აღნიშნულ სისტემაში წარმატებით მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაცია **RCI** – Resorts Condominium International; **თაიმ-შერი** (ინგლ. timeshare – დროის დანაწილება) – მრავალმფლობელიანი საკუთრების ერთ-ერთი მფლობელის უფლება საკუთრების გამოყენებაზე მისთვის გამოყოფილ დროის მონაკვეთში, მარტივად რომ ვთქვათ, იყიდება დასვენების უფლება სასტუმროში ან სასტუმროთა ჯაჭვში. ბაზარზე ყველაზე ხშირად გამოიყენება, როგორც საკლუბო ტიპის საკურორტო სასტუმროების მფლობელთა შორის დასვენების გაცვლის საერთაშორისო სისტემა. სარგებლობის დრო იზომება კვირებით. ამ კუთხით პოპულარული საერთაშორისო ორგანიზაციაა **II** – Interval International.

სასტუმროების კლასიფიკაცია

სასტუმროს დონე (კლასი) სხვადასხვა ნიშნებით გამოისახება, ესენია ვარსკვლავები, გვირგვინები, გასაღებები, ალმასები, მზეები, მთვარეები, ზოგიერთ ქვეყანაში – ასოები, მაგალითად, სსრკ-ში, მ.შ. საქართველოში, 7-საფეხურიანი დაყოფა იყო: ლუქსი, უმაღლესი A, უმაღლესი B და I, II, III, IV კატეგორია. იმხანად თბილისში ყველაზე მაღალი დონის სასტუმროებად „ივერია“ და „აჭარა“ ითვლებოდნენ, რომლებიც უმაღლესი B კატეგორიის იყვნენ და 3-ვარსკვლავიანი სასტუმროს მომსახურების დონეს გაჭირვებით უახლოვდებოდნენ.

კლასიფიკაციის დროს ითვალისწინებენ უამრავ მახასიათებელს, მაგალითად: ნომერთა აუცილებელი მინიმალური რაოდენობა (7 ნომერზე მეტი); ჰოლის ფართობი ნომერთა საერთო რაოდენობის მიმართ; რესტორანი ცალკე შესასვლელით; სამგზავრო, სამსახურებრივი და სატვირთო ლიფტების არსებობა და მათი რაოდენობა; გათბობისა და ჰაერის კონდიცირების პირობები (+5^0-დან +25^0-მდე რეგულირების შესაძლებლობა); იატაკის საფარის ხარისხი; კეთილმოწყობილ ნომერთა რაოდენობა და წილი ნომერთა საერთო ფონდში; ნომერთა უზრუნველყოფა სანიტარული კვანძებით; ნომრების ელექტროაღჭურვილობა (მეტი 15 ვტ/მ^2); ნომერში მომსახურების საშუალებანი; სასტუმროს ავტოსადგომებით უზრუნველყოფა; მდებარეობა ქალაქის ცენტრალური ნაწილისადმი; ოთახების ტიპი – ერთადგილიანი (single), ორადგილიანი (double), სამადგილიანი (triple), აპარტამენტები, ნომერი ლუქსი (suite), მრავალოთახიანი სუპერაპარტამენტი (penthouse), საპრეზიდენტო (presidential); ლოგინის თეთრეულისა და პირსახოცების გამოცვლის პერიოდულობა; სპორტდარბაზების, ჩოგბურთის კორტის, აუზის, ფიტნესცენტრის არსებობა; ანგარიშსწორების ფორმა; ფასდაკლებები ან, პირიქით, დანამატი ფასებზე და სხვ.

არსებობს 30-ზე მეტი კლასიფიკაცია. მაგრამ ისინი არ არიან ერთმანეთის ეკვივალენტური, მაგალითად, გერმანიის 3 ვარსკვლავი არ ნიშნავს საფრანგეთის ან იტალიის 3 ვარსკვლავის იდენტურობას.

ტურისტების 34% მაღალი კლასის სასტუმროებით სარგებლობს, 45% – საშუალო კლასით და 21% – ეკონომკლასით.

უმაღლესი კატეგორიის სასტუმროებში 60-65% საქმიანი ტურისტია, დაბალი კლასისაში კი – შემეცნებითი ტურისტი.

სასტუმროებში არსებობს კვების რამდენიმე სტილი ე.წ. **კვების გეგმა:**

ევროპული გეგმა EP (European plan) გულისხმობს მხოლოდ განთავსებას, **კონტინენტური გეგმა** BB (bed and breakfast) – განთავსებასა და საუზმეს, **ამერიკული გეგმა** FB (full board) – განთავსებასა და სამჯერად კვებას, **სახეცვლილი ამერიკული გეგმა** HB (half board) – განთავსებასა და ორჯერად კვებას (აუცილებლად საუზმე და მეორე კვება, ტურისტის შეხედულებისამებრ, სადილი ან ვახშამი).

სასტუმროების გარდა არსებობს განთავსების საშუალებების სხვა ტიპები:

აკვატელი – სტაციონარული გემი (ამოღებული სატრანსპორტო ექსპლოატაციიდან), რომელიც სასტუმროდ გამოიყენება;

ბოტელი – მცირე ზომის სასტუმრო მდინარეზე;

მოტელი – სასტუმრო ავტოგზის სიახლოვეს. კომფორტული ნომრების გარდა, კლიენტებს სთავაზობენ ავტოსადგომსა და ავტო-ტექმომსახურებას;

ფლაიტელი – სასტუმრო აეროპორტის სიახლოვეს თვითმფრინავით მოგზაურთათვის;

კემპინგი – ავტო–, მოტო–, ველოტურისტების ბანაკი, ჩვეულებრივ, ქალაქგარეთ, სადაც ტურისტებს ათავსებენ კარვებში ან მსუბუქი კონსტრუქციის შენობებში;

როდტელი – მოძრავი სასტუმრო, რომელიც წარმოადგენს ვაგონს ერთ ან ორადგილიანი ნომრებით.

წარმატებული სასტუმროები ქმნიან **სასტუმრო ჯაჭვებს**, რომლებიც მსოფლიო სხვადასხვა რეგიონებში ფუნქციონირებენ. სასტუმრო ჯაჭვი წარმოადგენს სასტუმროების გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც ერთი და იგივე სახელწოდებითა და საფირმო ნიშნით სარგებლობენ. ამჟამად მსოფლიოში 100-მდე სასტუმრო ჯაჭვია ცნობილი 2,2 მლნ ნომრით.

მსოფლიო მძლავრი სასტუმრო ჯაჭვებია: “Best Western”, “Sheraton”, “Ramada”, “Radisson”, “Marriott”, “Hayat” (აშშ), “Holiday Inn”, “Intercontimemtal” (დიდი ბრიტანეთი), “Club Mediterranee”, “Accor” (საფრანგეთი), „Golden Tulip“ (ნიდერლანდი), “Sol Hotels” (ესპანეთი), “Jolly” (იტალია), “Swissotel” (შვეიცარია), “Kempinski” (გერმანია), “Four Seasons” (კანადა).

კვების ორგანიზება ტურიზმში

კვება არის ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება, ამიტომ ნებისმიერი ტურისტის მომსახურებაში ის ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარდა ამისა, ტურიზმში კვება შეიძლება განხილულ იქნეს ასევე როგორც გართობის ან ადგილობრივი კულტურის (კერძოდ, გასტრონომიის) შემეცნების ობიექტი. ეროვნული სამზარეულო ხალხის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, იგი ატარებს მკვეთრ განმასხვავებელ ნიშნებს, წარმოადგენს შემეცნების ელემენტს და სიამოვნების მიღების საშუალებას.

საზოგადოებრივი კვების სისტემას ქმნიან განსხვავებული კლასის რესტორნები, კაფეები, ბარები (ლუდის, გრილ-, სუში-, კოქტეილ-, ფიტო- და ა.შ. ბარები), სასადილოები, ფაბრიკა-სამზარეულოები, ბუფეტები, სასურსათო მაღაზიები, კულინარიის კიოსკები და კვების ეროვნული სამზარეულოს ობიექტები (მაგალითად, სამწვადე, სალობიე, სახაჭაპურე, სახინკლე, პიცერია, საშაურმე და სხვ.). მათი უმეტესობა „ჩაშენებულია“ სასტუმრო ბლოკში და მის ნაწილს წარმოადგენს, სხვები კი ავტონომიურ რეჟიმში მუშაობენ.

კატეგორია არის კვების დაწესებულების განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც მომსახურების ხარისხის დონეს ახასიათებს. კატეგორია აღინიშნება სიმბოლოთი * (ვარსკვლავი) – ერთიდან ხუთის ჩათვლით.

მტო-ს მიერ რეკომენდებული სასტუმროებისა და კვების ობიექტების კლასიფიკაცია ქვეყნდება სასტუმროების, კაფეების ეროვნული ასოციაციების საერთაშორისო კავშირის HOTREC (**Hot**els, **Re**staurants, **C**afes) ე.წ. „თეთრ წიგნში“.

საუზმის, სადილისა და ვახშმის ორგანიზებისას მომსახურების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება:

„ა ლა კარტ“ (a la carte) – კერძებისა და სასმელების მენიუდან სტუმრები ირჩევენ მათთვის სასურველ დასახელებას. შეკვეთა გადაეცემა სამზარეულოს და მაშინვე იწყება მათი მომზადება და გაწყობა. ასეთი მომსახურებისას სტუმარს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს მიმტანის რჩევა.

„ტაბლდოტ“ (table d'hote) – ყველა სტუმრის მომსახურება მსგავსი მენიუთი ფიქსირებულ ფასად ერთსა და იმავე დროს. ყოველი თავი კერძის შეთავაზებული 3-4 ნაირსახეობიდან (3 ან 4 სახეობის წვნიანი, სალათა, ძირითადი ცხელი კერძი და დესერტი) სტუმარი ირჩევს მისთვის სასურველ ნაკრებს (ყოველი თავი კერძიდან თითო ერთეულის შერჩევით).

შვედური მაგიდა (Smörgåsbord) – სტუმრებს სთავაზობენ კერძების ფართო არჩევანს (80 ან მეტი დასახელება). შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობის საკვების აღება ზომიერ ფარგლებში. შესაძლოა იყოს კერძების როგორც საკმაოდ უხვი, ისე მწირი ნაკრები (პური, ყველი, კარაქი, ჩაი, ყავა, წვენი, ჯემი). საერთაშორისო ასპარეზზე მომსახურების ეს ფორმა დამთვალიერებლებს პირველად შესთავაზა "Three Crowns Restaurant"-მა 1939 წელს შვედურ პავილიონში ნიუ-იორკის მსოფლიო ბაზრობაზე.

„ა პარტ“ (a part) – სტუმრებს, წინასწარი შეკვეთის შემდეგ, დროის დადგენილ შუალედში ემსახურებიან. ეს მეთოდი დამახასიათებელია დასასვენებელი სახლებისა და საკურორტო სასტუმროებისათვის.

არის გურმანების სპეცტურებიც – ეროვნული სამზარეულოს რესტორნების მონახულება, განსაკუთრებული კერძების მომზადებისა და გასტრონომიის პრონციპების შესწავლა, პროდუქტების დეგუსტაცია, ღვინის, ლუდის, ძეხვის და ა.შ. ქარხნების მონახულება.

ძალზე დატვირთული საექსკურსიო პროგრამის შემთხვევაში ტურისტებს დღის რაციონს აძლევენ მშრალი საკვების სახით.

გასათვალისწინებელია ტურისტების გარკვეული ჯგუფის შეზღუდვები რელიგიური ნიშნით (მარხვა, ღორის ხორცზე უარის თქმა), ვეგეტარიანელების განსაკუთრებული მოთხოვნილებები, ბავშვთა კვება. ეს განსაკუთრებული მოთხოვნები ტურისტებმა ტუროპერატორს უნდა აცნობონ ტურის შეძენის დროს.

რესტორნების ორი ძირითადი სახეობა არსებობს: **კლასიკური** და **სწრაფი მომსახურების**.

კლასიკური რესტორნების შემთხვევაში მნიშვნელოვანია კერძების რაოდენობა და სირთულე, საფირმო კერძების არსებობა, მომსახურების ხარისხი, შენობის დიზაინი და სხვა.

ცხოვრების თანამედროვე რიტმიდან გამომდინარე, მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა სწრაფი კვების (Fast Food) ობიექტები. მათ შორის ყველაზე პოპულარულია McDonald's, KFC, Subway, Pizza Hut, Burger King, Starbucks და ა.შ. (იხ. ცხრ. 11).

სწრაფი კვების მოწინავე რესტორნების ჯაჭვები (2017)

ცხრილი 10

№№	რესტორნის ჯაჭვი	სეგმენტი	ერთეულების საერთო რაოდენობა
1.	McDonald's	ბურგერი	18710
2.	KFC	ქათამი	11798
3.	Subway	სენდვიჩი	10109
4.	Pizza Hut	პიცა	5890
5.	Starbucks Coffee	საუზმეული	5727
6.	Burger King	ბურგერი	4998
7.	Domino's Pizza	პიცა	4422
8.	Dunkin' Donuts	საუზმეული	3005
9.	Dairy Queen	რძის ნაწარმი და მსუბუქი საუზმეული	802
10.	Papa John's	პიცა	755

წყარო: https://www.forbes.com/pictures/feji45hfkh/top-10-global-fast-food-brands-2/#63ee1ff9580c

სწრაფი კვების რესტორნები, ჩვეულებრივ, რომელიმე კერძზე სპეციალდებიან: მაგალითად, ჰამბურგერებზე – McDonald's, Burger King, Wendy's; პიცაზე – Pizza Hut, Domino, Ponderosa, Little Caeser; ქათამზე – KFC, Church's, Boston Chicken, Popeye, El Polo Loco; მექსიკურ კერძებზე – Taco Bell, El Torino, Chi Chi's; ზღვის პროდუქტებზე

– Red Lobster, Long John Silver's; ბლითებზე – International House of Pancakes, Country Kitchen და ა.შ.

საქართველოში ადგილობრივი კლასიკური რესტორნების რამდენიმე ქსელია, მაგალითად, „შემოიხედე, გენაცვალე", „თაღლაურა".

მომსახურე პერსონალი

მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფს კავშირს დამსვენებლებსა და ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის დანარჩენ ქვესისტემებს (ტრრ, ტექნიკური სისტემები დამართვის ორგანო) შორის.

მომსახურე პერსონალი რამდენიმე ჯგუფისგან შედგება:

I **ეშელონის მომსახურე პერსონალი** იგივე **კონტაქტური ჯგუფია,** რომელიც უშუალოდ ემსახურება დამსვენებლებს, ესენია ექიმი, მედდა, ოფიციანტი, ექსკურსიამძღოლი, ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, ტურისტების ინსტრუქტორი და სხვ.;

II **ეშელონის მომსახურე პერსონალი** დასვენების დაწესებულების ფარგლებში უზრუნველყოფს ბუნებრივ-კულტურული კომლექსების, ტექნიკური ქვესისტემების საქმიანობას (ელექტრიკოსები, სანტექნიკოსები, მზარეულები, სპეცავტოტრანსპორტის მძღოლები, მებაღეები, ბუღალტერიის თანამშრომლები და ა.შ.);

III **ეშელონის მომსახურე პერსონალს** შეადგენენ საერთოსაკურორტო სამსახურების მუშაკები – საწყობების, სამრეცხაოების, კანალიზაციის, წყალგაყვანილობის ქსელების, სასურსათო მაღაზიების, საბავშვო ბაღების, სკოლების, საავტომობილო ქსელის, საპარიკმახეროების და სხვა მომსახურე პერსონალი.

მართვის ორგანო

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ამ ელემენტმა, ყველა მართვის ორგანოს მსგავსად, უნდა უზრუნველყოს: სისტემის სტრუქტურის შენარჩუნება, მისი საქმიანობის რეჟიმის ხელშეწყობა, სისტემის საერთო ფუნქციებისა და მიზნების რეალიზაცია.

ამ სისტემის თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მოიცავს როგორც ეკონომიკის, ბუნებრივი კომპლექსებისა და ტექნიკური სისტემების მართვის ელემენტებს, იმავდროულად გაჯერებულია სოციალური მართვის ელემენტებით.

რეკრეაციულ საქმიანობაში მართვის მინიმუმ 2 დონეა:

I **დონე** – მართვა, განლაგებული თითქოსდა **კონკრეტული სისტემის გარეთ**. იგი აყალიბებს რეგიონის რეკრეაციულ პოლიტიკას, შეისწავლის მოთხოვნებს, გეგმავს და აპროექტებს კონკრეტული ტრს შექმნისა თუ განვითარების გადაწყვეტილებებს, მართავს დამსვენებელთა ნაკადებს და სხვ.

ამ სისტემას განეკუთვნებიან *საკანონმდებლო ორგანოები*, რომლებიც შეიმუშავებენ მოსახლეობის რეკრეაციული უზრუნველყოფის საერთო სტრატეგიას, რეკრეაციულ პოლიტიკას. ისინი უნდა ეყრდნობოდნენ სამეცნიერო ბაზას. სახელმწიფო რეგულირების პრიორიტეტულ მიმდინარეობად ითვლება საშინაო და შემოსვლითი, სოციალური და თვითმოქმედი ტურიზმის ხელშეწყობა.

II **დონე** – **მართვის ორგანო განუყოფელია ნებისმიერი რეკრეაციული სისტემისგან** და უზრუნველყოფს ყველა ქვესისტემას შორის კავშირის ორგანიზებას და, აქედან გამომდინარე, სისტემის საერთო მდგრადობას და მის მიერ თავისი ფუნქციის შესრულების ეფექტურობას.

დღესდღეობით მართვის ორგანოს წინაშე მდგარი სირთულეების განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს: *ბუნებრივი და კულტურული კომპლექსების მდგომარეობაზე გაზრდილი ზრუნვის აუცილებლობა;* მათი *ფუნქციონირების სანდოობის შენარჩუნება;* ტექნიკური ქვესისტემების *საქმიანობის ეკოლოგიური მხარე.*

ტურიზმის გეოგრაფიული კომპონენტები

გენერატორ და დესტინაციურ არეალებს შორის კავშირებს **სხვადასხვა მასშტაბით სწავლობენ**. მაგალითად, *საერთაშორისო მასშტაბით* – ჩრდილო ნახევარსფეროში დომინირებს ნაკადები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, *რეგიონული მასშტაბით* – ქალაქებს შორის მგზავრობა, ან ქალაქებიდან სოფლისკენ, სანაპიროსკენ ან მთებისკენ, *ლოკალური მასშტაბით* – ქალაქის ცენტრისაკენ (შემეცნებითი, ბიზნესტურიზმი) ან პერიფერიებისკენ (დასვენება, პიკნიკი, გაჯანსაღება).

გეოგრაფიული თვალსაზრისით ტურიზმი სამი მთავარი კომპონენტისაგან შედგება: *ტურისტების გენერატორი ქვეყნები, დესტინაციები* და მათ შორის სამოგზაურო *გზები.*

ტურისტების გენერატორი არეალი – ტურისტების სახლია, სადაც იწყება და მთავრდება მოგზაურობა. აქ ხდება ტურისტების მოთხოვნილებათა სტიმულირება (სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, პოლიტიკური მახასიათებლები). ტურიზმის ინდუსტრია აქ წარმოდგენილია ტუროპერატორებით, ტურაგენტებით.

სქემა 4



დესტინაციები – იზიდავს ტურისტებს დროებით დასარჩენად, ახასიათებს ისეთი ნიშნები, რაც არ არის გენერატორ რეგიონებში. ტურისტული ინდუსტრია აქ წარმოდგენილია განთავსების საშუალებებით, კვების, გართობის, რეკრეაციის ობიექტებით.

სამოგზაურო *გზები* – ტრანზირული გზები, რომლებიც ერთმანეთს აკავშირებენ ამ ორი ტიპის არეალებს და სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ, ვინაიდან მათი მახასიათებლები ახდენენ ტურისტული ნაკადების ზომისა და მიმართულების ფორმირებას.

მსოფლიო მასშტაბით. <u>ფიზიკური ნიშნები</u>: მიწისა და წყლის განაწილება დედამიწის ზედაპირზე 510 მლნ კვ.კმ-დან 361 მლნ კვ.კმ (71%) წყალია, ხოლო 149 მლნ კვ.კმ (29%) – ხმელეთი. წყლის მასა (მსოფლიო ოკეანე) შედგება 5 ერთეულისგან: წყნარი, ატლანტის, ინდოეთის, სამხრეთის და ჩრდილო ყინულოვანი. ხმელეთი კი 6 კონტინენტითაა წარმოდგენილი: ევრაზია, აფრიკა, ჩრდილო ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, ანტარქტიდა და ავსტრალია. ჩრდილო ნახევარსფეროში ხმელეთი შეადგენს 39%, სამხრეთში კი – 19%.



<u>ზედაპირის ფორმები</u>. ზედაპირის 4 ფორმა – **დაბლობები** (სიმაღლე ზღვის დონიდან 200 მ-მდე), **მაღლობები** (200–500 მ), **ზეგნები** (500–1000 მ) და **მთები** (1000 მ-ზე მეტი).

დედამიწის ზედაპირის 75% *მთები და მთიანეთებია*, სადაც არის სუფთა, გაიშვიათებული ჰაერი, ლამაზი ხედები, რაც იდეალურია სასეირნოდ, ფოტოგადაღებისთვის, სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისა და ზაფხულში დაბლობების სიცხისგან თავდაცვისთვის. ამ ზონაში მრავალი სამთო კურორტია გაშენებული, რაც, მთების მეჩხერად დასახლების პირობებში, აქაური მოსახლეობის დასაქმებისა და ადგილზე დამაგრების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

მსოფლიო ფიზიკური რუკა

რუკა 4

ამ კუთხით *ზეგნები და ვაკეები* ნაკლებად მიმზიდველია, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა იქ სახლობს;

სანაპირო დაბლობები, სადაც მშენებლობისთვის ხელსაყრელი ბევრი სწორი ზედაპირია, იდეალურია კურორტების განვითარებისთვის, ამავე დროს აქ არის სანაპიროები, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასე მიმზიდველია ტურისტებისთვის და იმავდროულად ადვილად მისადგომია ზღვით.

სანაპირო მთელ მსოფლიოში გამოიყენება ტურიზმისთვის. ქვიშიანი ნაპირები, ყურეები, უსაფრთხო ბანაობა, ლამაზი დიუნები და კლიფები რეკრეაციის მრავალი სახეობის განხორციელების შესაძლებლობას იძლევიან. ასევე ხელსაყრელია კუნძულები, კუნძულთა ჯგუფები, მარჯნის რიფები. თუმცა არსებობს ტურიზმის განვითარების <u>შემაფერხებელი</u> ფაქტორებიც: ზოგიერთ უბანზე ადგილი აქვს მაღალ მოქცევებს, ძლიერ წყალქვეშა დინებებს, გვხვდება სახიფათო იხტიოფაუნა, ქიმიური მრეწველობის ან ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სიახლოვის გამო არასახარბიელო ეკოლოგიური მდგომარეობაა.

შიდა წყლები. წყლის რესურსები ქმნიან როგორც კვანძებს (ტბები, წყალსაცავები), ისე ხაზოვან დერეფნებს (მდინარეები, არხები) ან უბრალოდ – ლანდშაფტურ ნიშნებს (მაგ., ჩანჩქერი ნიაგარა). ტბები უფრო მაღალ განედებშია გავრცელებული (სადაც თავის დროზე გამყინვარება აღინიშნა); ტბებში დაბინძურება შეიძლება პრობლემად იქცეს (არ არსებობს მოქცევის ბუნებრივი გამწმენდი მექანიზმი). ჩრდილო ევროპის ტბების უმეტესობა მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის მისადგომია. კანადის, აფრიკისა და აზიის ტბების უმეტესობა კი მოშორებულია მოსახლეობას. მდინარეები უფრო ფართოდაა გავრცელებული. მდინარეებსა და ტბებზე შესაძლებელია კრუიზების ორგანიზება.

ეროვნული მასშტაბით. ტურიზმის განვითარება მოითხოვს მისთვის ხელსაყრელი რეგიონების აღმოჩენას ან უკვე განვითარებულ არეალებში დაძაბულობის, ან გადაჭარბებული სარგებლობით წარმოქმნილი პრობლემების მოხსნას.

ტურისტული რესურსების კლასიფიკაცია. Clawson-ის კლასიფიკაცია მოიცავს რესურსებისა და მომხმარებლების ურთიერთმიმართების 3 ძირითადი კატეგორიას:

რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია

ცხრილი 11

მომხმარებელზე ორიენტირებული	შუალედური	რესურსზე დამყარებული
ემყარება მომხმარებლის სიახლოვეს განთავსებულ რესურსებს. ხშირია ხელოვნური რესურსი (მაგ., პარკები, სტადიონები და სხვ.). საქმიანობები სეზონზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, იხურება არასეზონზე.	საუკეთესი რესურსები მომხმა–რებლების მისადგომი მანძილის ფარგლებშია. მისადგომობა ძალიან მნიშვნელოვანია. ბუნებრივი რესურსები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მომხმარებელზე ორიენტირებუ–ლი საშუალებები, მაგრამ განიცდის ვიზიტორების ძლიერ ზეწოლას.	გამორჩეული რესურსები. და–მყარებული მათ მდებარეობაზე და არა ბაზარზე. პირველადია რესურსის ხარისხი. ხშირად მომხმარებლებიდან შორსაა, რესურსი განსაზღვრავს საქმიანობას.
აღდგენადი ←		→ **არააღდგენადი**
პირველხარისხოვანია საქმიანობა ←		→ **პირველხარისხოვანია რესურსი**
ხელოვნურობა ←		→ **ბუნებრიობა**
←	**განვითარების ინტენსივობა**	→
სიახლოვე ←	**მანძილი მომხმარებლამდე**	→ **დაშორება**
საქმიანობათა მაგალითები: გოლფი ჩოგბურთი სპორტის საგულშემატკივრო სახეობები ვიზიტები თემატურ პარკებში, ზოოპარკებში, კურორტებზე და ა.შ.	**საქმიანობათა მაგალითები:** იახტინგი ვინდსერფინგი ნავით გასეირნება ჰაიკინგი თევზაობა სპორტის მინდვრის სახეობები თხილამურებით დაშვება სნოუბორდინგი	**საქმიანობათა მაგალითები:** ღირსშესანიშნაობების მონახუ-ლება მთაში ცოცვა თრექინგი საფარი ლაშქრობები სერფინგი რაფტინგი კანიონგი დაივინგი სპელეოლოგია
ტიპიური რესურსი: თემატური პარკი	**ტიპიური რესურსი:** აუთვისებელი ადგილი	**ტიპიური რესურსი:** უნიკალური ისტორიული ძეგლი ეროვნული პარკი

წყარო: Boniface B.G., Cooper C. Worldwide Destinations: The Geography of Travel and Tourism.

1) *მომხმარებლებზე ორიენტირებული არეალები* – საკმაოდ განვითარებული, დასახლების ცენტრის სიახლოვეს არსებული; 2) *რესურსზე დამყარებული არეალები* – რესურსის ტიპი და მახასიათებლები განსაზღვრავენ არეალის გამოყენებას და 3) *შუალედური* კატეგორია.

ადგილობრივი მასშტაბით. მისადგომობა არის სასიცოცხლო პირობა – ხმელთაშუა-ზღვისპირეთი დიდ წარმატებას ტურისტულ ბაზართან სიახლოვეს უნდა უმადლოდეს.

ჰავა და ტურიზმი

რეკრეაციული ქმედების მრავალი ტიპი ჰავაზეა დამოკიდებული (ცურვა, მზეზე გარუჯვა, თხილამურებით სრიალი, სოკოსა თუ კენკრის კრეფა და ა.შ.). ჰავა განაპირობებს ტურისტული სეზონის ხანგრძლივობას. მასზეა დამოკიდებული ტანსაცმლის ტიპი, სასმელებისა და დასასვენებელი აღჭურვილობის გაყიდვა, გაქირავება, სასკოლო არდადეგებისა და შვებულებების ხანგრძლივობა და გრაფიკი.

მსოფლიო კლიმატი. ჰავის ფორმირებას ძირითადად 3 ფაქტორი განაპირობებს: 1. **განედი**, 2. **წყლისა და ხმელეთის განაწილება** და 3. **რელიეფი**.

ჰავის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ადგილის **განედი** ანუ მანძილი ეკვატორიდან. ეკვატორიდან დაშორებასთან ერთად მცირდება მზის სხივების დაცემის კუთხე, რის გამოც დედამიწის ზედაპირი ნაკლებ სითბოს ღებულობს, ჩნდება წელიწადის დროები, იცვლება დღის ხანგრძლივობა სეზონების მიხედვით. აღნიშნული გარკვეულ როლს თამაშობს ტურისტების მიერ დესტინაციების არჩევისას.

სითბოს განაწილება დედამიწის ზედაპირზე

სქემა 5



წყლისა და ხმელეთის ურთიერთგანლაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰავის ფორმირებისათვის, ვინაიდან ხმელეთსა და წყალს განსხვავებული თბოტევადობა ახასიათებთ. ხმელეთი რამდენჯერმე უფრო სწრაფად თბება და ცივდება, ვიდრე წყალი. წყლის სიახლოვეს განლაგებული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელია შედარებით რბილი კლიმატური პირობები, მეტი ნალექები, ვიდრე კონტინენტის სიღრმეში მდებარე ადგილებისთვის. ამ საკითხთან ასევე კავშირშია ზღვის დინებები: თუ ხმელეთთან თბილი დინება გაედინება, სანაპირო ზოლი დიდი რაოდენობით ნალექებს ღებულობს, ცივი დინების არსებობის პირობებში კი – პირიქით, მკვეთრად გამოხატულია მცირენალექიანობა.

ოკეანური დინებები

სქემა 6



ასევე აღსანიშნავია რელიეფი – სიმაღლე ზღვის დონიდან, ფერდობების ექსპოზიცია და დანაწევრების ხარისხი. სიმაღლის მატებასთან ერთად კლებულობს ჰაერის ტემპერატურა (ყოველ 100 მ-ზე 0,5-0,6^{0}C-ით) და წნევა (10 მ-ზე 1 მმ-ით). ამიტომ ზღვის დონიდან სიმაღლე განაპირობებს ადგილის კლიმატურ თავისებურებებს. გარკვეულ სიმაღლეზე ჰაერი გაიშვიათებულია, რაც ზოგიერთ ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემებს უქმნის. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე მთების ფერდობების ექსპოზიცია. ქედების მიმართულება ზოგიერთ შემთხვევაში მოცემულ ადგილზე გაბატონებული ჰაერის მასების გადაადგილებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ქარპირა და ქარზურგა ფერდობებზე ჰავის ელემენტები (ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა) განსხვავებულია.

ჰავის ელემენტები და ტურიზმი. ტემპერატურა განაპირობებს ტურისტულ ქმედებათა სახეობებს, ტანსაცმლის ტიპს, კვების ხასიათს.

წყალი სხეულს 30-ჯერ უფრო სწრაფად აგრილებს, ვიდრე იმავე ტემპერატურის მშვიდი და მშრალი ჰაერი. მაღალი ტემპერატურა ნაკლებად შესაფერისია სხვადასხვა ქმედებებისათვის, მით უმეტეს, თუ ტენიანობაც ემატება. ტურისტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან აკლიმატიზაციის უნარით.

მზის ნათება ძალზე მნიშვნელოვანია ზღვისპირეთში, რადგან პირდაპირ რადიაციას, წყლის ზედაპირიდან და ქვიშიდან არეკლილიც ემატება, ამიტომ აუცილებლად გასათვალისწინებელია მზეზე უსაფრთხოდ ყოფნის პერიოდები და კანის დამცავი საშუალებებით სარგებლობა, რომლებიც კანის გარე ფენას იცავენ მოკლე ულტრაიისფერი სხივებისგან, რომლებიც დამწვრობას იწვევენ და ატარებენ გრძელტალღოვან ულტრაიისფერ სხივებს, რომლებიც ასტიმულირებენ მელანინის წარმოქმნას.

ალპინისტებსა და მოთხილამურეებსაც აქვთ დაწვის რისკი, რადგან მაღალ მთებში ჰაერი ძალიან სუფთა და გაიშვიათებულია, ასევე სხივები ძლიერ ირეკლება თოვლისა და კლდეების ზედაპირიდან.

მზის ნათებასთან მიმართებაში ძალზე მნიშვნელოვანია ოზონის შრის არსებობა, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო ულტრაიისფერ გამოსხივებას აკავებს. თუმცა 1980-იან წლებში მეცნიერებმა ანტარქტიდის თავზე აღმოაჩინეს ოზონის შეთხელებული ფენა, ე.წ. ოზონის ხვრელი, რომელიც, სავარაუდოდ, ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგია. 1985 წელს ოცმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ვენის კონვენციას ოზონის შროს დაცვის შესახებ. კონვენციის ოქმით გათვალისწინებულია ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების ეტაპობრივი გრაფიკი. შემდგომში ამ ხელშეკრულებებს პრაქტიკულად მთელი მსოფლიო შეუერთდა.

„3S“ ტიპის დასვენება, რომელიც მოდური გახდა 1920-იანი წლებიდან, თანდათან კარგავს პოპულარობას კანის კანცეროგენული დაავადებების მატების გამო.

ქარი წარმოიქმნება ატმოსფერულ წნევებს შორის სხვაობის, დედამიწის თავისი ღერძის გარშემო ბრუნვის, ასევე რელიეფის გავლენით. მისი ძირითადი ფორმებია დღე-ღამური, სეზონური და მუდმივი ქარები.

დღე-ღამური ქარები ანუ **ბრიზები** წარმოიქმნებიან ზღვის სანაპიროზე და ორჯერ იცვლიან მიმართულებას: დღისით ქრიან ზღვიდან ხმელეთისკენ, ღამით კი – ხმელეთიდან ზღვისკენ, რაც განპირობებულია სხვაობით წყლისა და ხმელეთის გათბობის დროში (იხ. სქემა 7). **მუსონების** წარმოქმნის მექანიზმი იგივეა, ოღონდ სხვაობა მასშტაბებშია – ამ შემთხვევაში ქარები წარმოიქმნება კონტინენტსა და ოკეანეს შორის, ზაფხულში ქრიან ოკეანიდან ხმელეთისკენ, ზამთარში კი – ხმელეთიდან ოკეანისკენ. **პასატები** კი დაბალი განედების მუდმივი ქარებია, მათი წარმოშობის მთავარი მიზეზია დედამიწის ზედაპირზე მზიდან მოსული სითბოს განსხვავებული განაწილება და დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო. ჩრდილო ნახევარსფეროში პასატები ქრიან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-

დასავლეთისკენ (იხ. სქემა 8). ზღვის ქარები აზომიერებენ ჰავას. ძლიერი ქარები აინტერესებთ სერფინგის მოყვარულებს.

ბრიზების წარმოქმნის მექანიზმი

სქემა 7



A – ზღვის ბრიზი (წარმოიქმნება დღისით), B – კონტინენტური ბრიზი (წარმოიქმნება ღამით).

ქარების წარმოშობის გამომწვევი დედამიწის ცირკულაციური პროცესები

სქემა 8



ნალექები (წვიმა, სეტყვა, თოვლი, თოვლ-წვიმა) შემზღუდავ ფაქტორად ითვლება. თუმცა ეს დამოკიდებულია მის ინტენსივობაზე, ხანგრძლივობასა და სეზონურ განაწილებაზე. ტროპიკებში ორი მკვეთრად გამოხატული სეზონია – „მშრალი“ და „ტენიანი“.

წყლის წრებრუნვა დედამიწაზე

სქემა 9



თოვლი ძვირადღირებული საფრთხეა ტრანსპორტისთვის ან ძვირფასი რესურსი რეკრეაციისთვის. ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში სპორტის ზამთრის სახეობების მონაწილეთა რაოდენობა გაცილებით სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე სხვა რეკრეაციული ქმედებებისა. ფქვილივით თოვლი არ ვარგა, დაბალსიმკვრივიანი კი კარგია მოთხილამურეებისთვის. უარყოფითია, რომ სარბენი ბილიკებისთვის ტყის გაჩეხვა იწვევს შვავების რისკის ზრდას.

ჰაერის ხარისხი – ანტიციკლონური პირობები აფერხებენ ჰაერის მოძრაობას. ხმელთაშუა ზღვა და კალიფორნია ზაფხულში,კონტინენტების შიდა რაიონები (ჩრდილო ამერიკა, ევრაზია) – ზამთარში. ჭუჭყიანი ჰაერი ამცირებს ხილვადობას, აზიანებს ისტორიულ ძეგლებს, ქმნის რესპირატორულ პრობლემებს, იწვევს „მჟავე“ წვიმებს.

ტურიზმი და ტრანსპორტი

ტურიზმი და ტრანსპორტი განუყოფელია. ტურიზმი სხვაგან ყოფნას ნიშნავს და ტრანსპორტი მუდმივ საცხოვრებელ ადგილსა და დასვენების ადგილს შორის დაცილებას ავსებს.

ტრანსპორტის განვითარება ხელს უწყობდა ტურიზმის აღმავლობას და – პირიქით:ტურიზმის გავლენით გაჩნდა ჩარტერული ავიარეისები, კრუიზები, ტურისტული მატარებლები, განსხვავებული საავტომობილო საშუალებები – კარავანი და კემპინგ-კარი.

ტრანსპორტზე საუბრისას გასათვალისწინებელია დესტინაციის მისადგომობა, რომელსაც შეუძლია აღაზევოს არც ისე მნიშვნეოვანიტრრ, მიუდგომლობამ კი შესაძლოა დააქვეითოს ძალზე საინტერესო ადგილის მონახულების დონე.

ტურიზმისა და რეკრეაციისთვის ტრანსპორტის ძირითადი ელემენტებია:

გზა – ხელოვნური (ავტოგზა, რკინიგზა), ბუნებრივი (წყალი, ჰაერი), მათი კომბინაცია (შიდა საწყლოსნო გზები, რაბები);

ტერმინალი – მომხმარებელს აძლევს გზამდე მიღწევის საშუალებას. ის გზის საწყისი და უშორესი წერტილია, გადაჯდომის ადგილიცაა. ტერმინალები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ადგილმდებარეობით, დიზაინით, გაწეული მომსახურებით;

სატრანსპორტო საშუალება – ყოველი გზა განსხვავებულ სატრანსპორტო საშუალებას მოითხოვს;

მამოძრავებელი ენერგია – ბუნებრივი ძალა (ცხენი, ეკიპაჟი, ნავი) და ხელოვნური ენერგია (ორთქლი, შიდა წვის ძრავა, რეაქტიული ძრავა). ტურისტი დესტინაციაში ხშირ შემთხვევაში ბუნებრივ ძალას იყენებს ველოსიპედით, ნავითა თუ ცხენით გასეირნების დროს, რაც მისასალმებელია როგორც ტურისტის ფიზიკური მდგომარეობისთვის, ისე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

მტო-ს მონაცემებით, 2018 წელს საერთაშორისო ტურისტების უდიდესი რაოდენობა (94%) საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობს, საკრუიზო ტურისტებზე მოდის 4%, რკინიგზით კი მათი მხოლოდ 2% მგზავრობს. ეს მაჩვენებლები რიგი მიზეზებითაა განპირობებული. ტრანსპორტის ყოველი ტრადიციული სახეობა ტურისტების მომსახურების კუთხით ხასიათდება როგორც დადებითი, ისე ურყოფითი მხარეებით. ამისათვის თითოეული სახეობას განვიხილავთ ისეთი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა: მოძრაობის სიჩქარე, გადაადგილების სიშორე, ამინდზე დამოკიდებულების ხარისხი, გზების გაყვანის აუცილებლობა და სირთულე, ტევადობა, მობილურობა, კომფორტი.

ტრანსპორტის სახეობების წილი ტურისტულ მოგზაურობებში (2018)

სქემა 11



წყარო: Tourism Highlights, 2019

2018 წელს **საავტომობილო ტრანსპორტით** ისარგებლა საერთაშორისო ტურისტების საერთო რაოდენობის 37%.

დადებითი – მოქნილობა, door-to-door მომსახურება – მისით იწყება და მთავრდება ნებისმიერი მოგზაურობა. კარგია მოკლე და საშუალო მანძილებზე. ნაკლებ დამოკიდებულია ამინდზე.

უარყოფითი – შედარებით ნაკლები სიჩქარე, მცირე ტევადობა (ერთდროულად მგზავრთა მცირე რაოდენობის გადაყვანის საშუალება), ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება (ჰაერის საერთო დაბინძურების 60% და ტრანსპორტისმიერი დაბინძურების 95% ავტოტრანსპორტზე მოდის), კერძო მანქანების რაოდენობის ზრდის გამო მთელ მსოფლიოში მწვავედ დგას პარკინგის პრობლემა.

პირველი ავტოსტრადები აშენდა აშშ-ში (1914), გერმანიაში (1921), იტალიაში (1924). სანაპირო და მთიან რეგიონებში, სადაც ჭარბობს ესთეტური რესურსები, იგება გზები სამზერი მოედნებით.

ტურისტებისთვის ძალზე ხელსაყრელია მომსახურების სახეობა, რომელიც მანქანების დაქირავებას უზრუნველყოფს. მსოფლიოში ავტოგაქირავების ცნობილი კომპანიების წლიური შემოსავალი წელიწადში მილიარდ დოლარს აღემატება, ასეთებია: Hertz, Avis, Budget, Enterprise, Alamo, National.

ტურისტული ავტობუსების საშუალო ტევადობა 54-მდეა და ისინი ძირითადად ტრანსფერსა და ექსკურსიებს ემსახურებიან.

არსებობს სპეციალური რეკრეაციული ტრანსპორტის სახეობები – კარავანი, კემპინგ-კარი (სატრანსპორტო საშუალებები საცხოვრებლად მოწყობილი მისაბმელით).

დღეისათვის მსოფლიოში მილიარდზე მეტი ავტომობილია – 1,32 მლრდ (იგულისხმება როგორც მსუბუქი, ისე სატვირთო მანქანები და ავტობუსები).

რკინიგზის ტრანსპორტი წამყვანი იყო მთელი მე-19 საუკუნის და მე-20 დასაწყისში. 2018-ში მისით ისარგებლა საერთაშორისო ტურისტების საერთო რაოდენობის 2%.

დადებითი – დიდი ტევადობა, შეიძლება სპეციალური ერთეულის შექმნა (ვაგონ-რესტორანი, საძინებელი ვაგონი, კინოდარბაზი, ვაგონი დასათვალიერებელი მოედნით), ამინდზე არ არის დამოკიდებული, აქვს მაღალი სიჩქარე, ეკოლოგიურად ავტოტრანსპორტსთან შედარებით გაცილებით ნაკლებად აჭუჭყიანებს გარემოს, საუკეთესოა მოკლე და საშუალო მანძილებზე (200–500კმ) სამოგზაუროდ.

სქემა 11



უარყოფითი – ძვირია, რთულია გზის მშენებლობა (ქანების მოჭრა, გვირაბების გაყვანა, შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული დახრილობის პირობებში), სხვადასხვა ქვეყნებში რელსებს შორის განსხვავებული მანძილი (ნორმალური, დასავლეთევროპული 1453 მმ, საშუალო სიგანის – 1000-1067 მმ, ვიწროს სიგანე – 600-900 მმ), დამატებითი მომსახურება (კვება, სასმელი, თეთრეული) ფასიანია.

I მატარებლის (1830) სიჩქარე 20კმ/სთ იყო. ჩქაროსნულ მატარებლებს (დაახლოებით 250-300კმ/სთ) საფრანგეთში (TGV), იაპონიაში („სინკანსენი“ – Bullet Train) – შეუძლიათ საავიაციო ტრანსპორტთან კონკურენცია. „ევროსტარი“ 200 ქალაქს – დედაქალაქებსა და დიდ დასახლებებს ემსახურება.

ეკოლოგიური მახასიათებლების გამო, ურბანიზებულ არეალებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „სწრაფი ტრამვაი“. მთიან რაიონებში განვითარებულია სპეცრკინიგზა, მაგალითად, „კუკუშკა“.

2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში თვითმფრინავებით განხორციელებულმა ტერაქტებმა შეარყია საავიაციო ტრანსპორტის უსაფრთხოება და ჩაითვალა, რომ ის ყველაზე სახიფათოა. თუმცა 2004 წლის 11 მარტში მადრიდის რკინიგზის აფეთქებამ ცხადყო, რომ სახმელეთო ტრანსპორტზე გაცილებით უფრო რთულია უსაფრთხოების გარანტირება, ვიდრე საავიაციოზე.

საჰაერო ტრანსპორტით 2018 წელს საერთაშორისო ტურისტების საერთო რაოდენობის 58% ისარგებლა.

დადებითი – სწრაფია, გზა არ სჭირდება, მისთვის რელიეფი (მთა, ჭაობი, ტყე, ზღვა) დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ყველგან მიდის, დიდი ტევადობა აქვს. იდეალურია შორ მანძილებზე – 500კმ-ზე შორს.

უარყოფითი – სჭირდება დიდი ტერიტორია და ტერმინალები (ბევრი და დიდი), საშუალოდ 20-30 კილომეტრითაა დაცილებული მოთხოვნილების ცენტრიდან, ბევრი საწვავის საჭიროების გამო, ძალიან ძვირია, კონტროლის რთული და შემაწუხებელი პროცედურები, გარემოს ხმაურით დაბინძურება, გარკვეულწილად დამოკიდებულება ამინდზე, ბოლო წლებში ბუნებრივ კატაკლიზმებზეც (მაგალითად, ვულკანის ამოფრქვევა). 2010 წლის აპრილში ისლანდიის ერთ-ერთი ვულკანის გააქტიურებამ გამოიწვია ევროპის საჰაერო სივრცის პარალიზება – გადაიდო ასეულობით ავიარეისი, ავიაკომპანიები ყოველდღიურად 150 მლნ ევროს კარგავდნენ, უხერხულობები მილიონობით მგზავრს შეეხო.

საჰაერო ტრანსპორტის სიჩქარე 800-900 კმ/სთ (რეაქტიულისა – 2200კმ/სთ), ფრენის სიშორე 12 ათასი კმ, ფრენის სიმაღლე 10-17 ათასი მეტრი, Boeing-777 ტევადობა 500 კაცია, აერობუსისა – 600-800.

განრიგით გაწერილი ფრენების გარდა, არსებობს ჩარტერული რეისები, რომლებიც შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება დადგენილი სიხშირით გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

აეროპორტს სჭირდება მინიმუმ 3 ათასი მეტრი სიგრძის ასაფრენი ბილიკები (ტროპიკულ და მაღალ ადგილებში – მეტი სიგრძეა საჭირო), სუფთა ჰაერი, შესაფერისი მეტეოპირობები, აეროპორტი ადვილადმისადგომი უნდა იყოს. საერთაშორისო აეროპორტს სჭირდება ტერმინალი მგზავრებისთვის, ტვირთისთვის, მომუშავე პერსონალისთვის, საწყობი, მომსახურების სხვადასხვა საშუალებები, პარკინგი და ა.შ.

შვეულმფრენები მანევრირებადია, მაგრამ ძვირია, ხმაურიანი და მცირე ტევადობის. ჩრდილო ამერიკის გარდა, ფართოდ არ გამოიყენება.

დიდ ქალაქებს, როგორც წესი, რამდენიმე აეროპორტი ემსახურება, მაგალითად, ლონდონს – Heathrow, Gatwick, Luton, Stansted და London City Airport, პარიზს – Orly, Charles de Gaulle, Le Bourget, ნიუ-იორკს – JFK, La Guardia, Newark, ვაშინგტონს – Washington National, Washington Dulles, ჩიკაგოს – O'Hara, Midway, ტოკიოს – Haneda, Narita, რომს – Leonardo da Vinci, Ciampino, მოსკოვს – Внуково, Домодедово, Шереметьево-1, Шереметьево-2, სტამბოლს – Atatürk, Sabiha Gökçen და ა.შ.

მსოფლიოს უდიდესი აეროპორტების ათეულში 6 მაღალგანვითარებული ქვეყნების ქალაქებშია განთავსებული, ამ მხრივ უპირობო ლიდერია აშშ (წარმოდგენილი 3 აეროპორტით), დანარჩენი 4 აეროპორტიდან 3 – ჩინეთს ემსახურება (იხ. ცხრ. 13).

მსოფლიოს უდიდესი სამგზავრო აეროპორტები (2018)

ცხრილი 13

№	აეროპორტი	მდებარეობა	მგზავრთა საერთო რაოდენობა	პოზიციის ცვლილება 2018/2017
1.	Hartsfield-Jackson Atlanta International Airport	ატლანტა, აშშ	107,394,029	–
2.	Beijing Capital International Airport	ბეიჯინგი, ჩინეთი	100,983,290	–
3.	Dubai International Airport	დუბაი, გაერთიანებული არაბული საამიროები	89,149,387	–
4.	Los Angeles International Airport	ლოს ანჯელესი, აშშ	87,534,384	+1
5.	Tokyo Haneda International Airport	ტოკიო, იაპონია	87,131,973	–1
6.	O'Hare International Airport	ჩიკაგო, აშშ	83,339,186	–
7.	London Heathrow Airport	ლონდონი, დიდი ბრიტანეთი	80,126,320	–
8.	Hong Kong International Airport	ჰონ კონგი, ჩინეთი	74,517,402	–
9.	Shanghai Pudong International Airport	შანჰაი, ჩინეთი	74,006,331	–
10.	Paris Charles de Gaulle airport	პარიზი, საფრანგეთი	72,229,723	–

წყარო: Airports Council International (ACI)

საწყლოსნო ტრანსპორტი. 2018-ში მისით ისარგებლა საერთაშორისო ტურისტების საერთო რაოდენობის 4%.

გემი ცივილიზაციის დასაწყისიდან განვითარდა. მე-19 საუკუნემდე ძირითადი მამოძრავებელი ენერგია იყო ცხოველის ან ადამიანის კუნთი. ყველგან ავითარებდნენ, სადაც იყო ამის შესაძლებლობა.

დადებითი – დიდი ტევადობა, მაქსიმალური კომფორტი, გზა თითქმის არ სჭირდება, მგზავრებისათვის მთავარი არის გემზე სიამოვნების მიღება და არა სისწრაფე.

უარყოფითი – დაბალი სიჩქარე – ატლანტიკას თვითმფრინავი 20-ჯერ გადაიფრენს, გემი კი იგივე დროში მხოლოდ ერთ წრიულ მოგზაურობას მოასწრებს (თუმცა საკრუიზო

მგზავრებისთვის ეს არაა მნიშვნელოვანი), დამოკიდებულია ამინდზე, დაბრკოლებას უქმნიან ქვიშის ზვინულები, რიფები, მეჩეჩები, მცურავი ყინულები (აისბერგები).

საწყლოსნო ტრანსპორტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტრატეგიული სრუტეებისა და **არხების** როლი. არხებს შორის წამყვანებია სუეცის არხი (გაიხსნა 1869), რომელმაც გზა ევროპიდან ინდოეთისაკენ დაახლოებით 6 ათასი კმ-ით შეამცირა და პანამის არხი (1914), რომელმაც ლივერპულიდან სან-ფრანცისკომდე მანძილი 8 ათასი კმ-ით დაამოკლა. არხების სიმძლავრეს რაბები ზღუდავენ მათი დაბალი გამტარობის გამო. რაბი არის წყლით შევსებული კამერა, რომელიც უზრუნველყოფს გემის ზემო ან ქვემო მიმართულებით გადაადგილებას.

რ ა ბ ე ბ ი

სქემა 12



საწყლოსნო ტრანსპორტი ძირითადად კრუიზებისთვის გამოიყენება. კრუიზები ძალზე პოპულარულია კარიბის აუზში (კარგი ჰავა, ლამაზი კუნძულები, სანაპიროებზე ექსკურსიების ფართო არჩევანი), შემდეგაა ხმელთაშუა ზღვა. საინტერესოა საზაფხულო კრუიზები ბალტიისა და ნორვეგიის ზღვებში, ბრიტანეთის კოლუმბიასა და ალასკაზე, სამხრეთ ამერიკისკენ. შედარებით ახალია ტურები ანტარქტიდისაკენ (წელიწადში რამდენიმე ათასი ტურისტი) არგენტინის, ჩილესა და ფოლკლენდის პორტებიდან.

ბოლო 20-25 წელია გაიზარდა კრუიზების მოყვარულთა რაოდენობა და ტურიზმის ეს სახეობა ელიტარულიდან მასობრივი ხდება. საკრუიზო ლაინერებს სპეციალურად

აგებენ. ზოგიერთი სუპერლაინერი მრავალსართულიანია და დატევადობა რამდენიმე ათას მგზავრს აღწევს. მაგალითად, სუპერტანკერი Oasis of the Seas 6 ათას მგზავრს და ეკიპაჟის 2 ათას წევრს იტევს.

მსოფლიოს უდიდესი საკრუიზო პორტები (2017)

ცხრ. 14

#	პორტი	ქვეყანა	მგზავრთა რაოდ., მლნ.
1.	Miami	აშშ	4,9
2.	Canaveral	აშშ	4,2
3.	Everglades	აშშ	3,8
4.	Cozumel	მექსიკა	3,6
5.	Nassau	ბაჰამები	3,5
6.	Shanghai	ჩინეთი	2,8
7.	Barcelona	ესპანეთი	2,7
8.	Ports of Out Islands	ბაჰამები	2,5
9.	Civitavecchia	იტალია	2,2
10.	Balearic Islands	ესპანეთი	2,1

წყარო: https://www.worldatlas.com/articles/the-10-busiest-cruise-ports-in-the-world.html

მსოფლიოს 10 უდიდესი საკრუიზო პორტიდან 6 მაღალგანვითარებულ (მ.შ. 3 აშშ-ში, 2 – ესპანეთში და ერთი – იტალიაში), ხოლო 4 – განვითარებად ქვეყანაში მდებარეობს (მ.შ. 2 – ბაჰამებზე, თითო კი მექსიკასა და ჩინეთში).

საჰაერო და საწყლოსნო მოგზაურობების დროს გასათვალისწინებელია სასაათო სარტყლების არსებობა, რათა ადვილად აღსაქმელი იყოს ადამიანის საცხოვრებელი ადგილისა და დესტინაციის დროში არსებული განსხვავება.

სასაათო სარტყლები აშშ-ში 1883-დან შემოიღეს, სსრკ-ში კი – 1919-დან, რომელთა ათვლა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი გრინვიჩის ობსერვატორიიდან (1675) ხდება. სასაათო სარტყლებთან კავშირშია თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი – 180^0-იანი მერედიანი. მის დასავლეთით (აზიაში) კალენდარი ყოველთვის 1 დღით წინ არის, ვიდრე აღმოსავლეთით (ამერიკაში). მოგზაურისთვის თარიღის შეცვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მიმართულებით ხდება ამ ხაზის გადაკვეთა: დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაკვეთის შემთხვევაში, 2-ჯერ ერთი და იგივე დღე იქნება, დასავლეთისკენ მოძრაობის დროს კი – ერთი დღის გამოტოვებაა საჭირო (მაგალითად, თუ თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი სამშაბათს გადაიკვეთა, მეორე დღე იქნება ხუთშაბათი და არა ოთხშაბათი), ვინაიდან როდესაც მოგზაური განუწყვეტლივ გადაინაცვლებს აღმოსავლეთისკენ, იგი ყოველ სასაათო ზოლში

გადასვლისას საათის ისარს წინ სწევს ერთი საათით ისე, რომ, დედამიწის სრული გარშემოვლისას ღერძის გარშემო, ერთი დღე-ღამით „გაუსწრებს“ რეალურ დროს, დასავლეთისკენ მიმავალი მოგზაური, პირიქით, ერთ დღე-ღამეს „კარგავს“.

მსოფლიო სასაათო სარტყლები

სქემა 13

ძირითადი ტენდენციები თანამედროვე ტურისტული ნაკადების განაწილებაში

1. ძირითადი ნაკადების ჩასახვა ხდება მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რაც განპირობებულია ცხოვრების მაღალი დონით, მოსახლეობის დიდი რაოდენობითა და სიმჭიდროვით;
2. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ტურისტულ ნაკადებს ძირითადად მერიდიანული მიმართულება აქვთ, რაც გამოწვეულია ტურისტების გენერატორი და ტურისტული მომსახურების შემთავაზებელი ქვეყნების განლაგებით;
3. ჭარბობს „საზღვაო ორიენტაციის“ ნაკადები – ტურისტების 2/3 მიილტვის ზღვისკენ (ხმელთაშუა ზღვა, კარიბის ზღვის აუზი);
4. ტურისტების ერთი ტურის მანძილზე რამდენიმე ქვეყნის მონახულებას ცდილობენ;
5. შემცირდა ტურისტების სხვა ქვეყნებში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა (შვებულება ორ ან მეტ ნაწილად დაიყო);
6. ტურისტები ძირითადად თავისი რეგიონის შიგნით გადაადგილდებიან (ეს მაჩვენებლი ევროპისთვის 87%-ია, ჩრდილოეთ ამერიკისთვის – 70%); „შენგენლენდი“;
7. მონათესავე ენის მქონე ქვეყნებს შორის ტურისტების აქტიური გაცვლა ხდება;
8. ნებისმიერი ქვეყნისთვის გენერატორი ბაზრების სიაში ყოველთვის არიან მეზობელი ქვეყნები და აუცილებლად ერთ-ერთი მაინც შემდეგი ჩამონათვალიდან: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, აშშ;
9. იზრდება შორეულ მოგზაურობათა ხვედრითი წილი.

გიორგი გოგსაძე

მოსახლეობის გეოგრაფია

მოსახლეობის გეოგრაფია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გოგსაძე

მოსახლეობის გეოგრაფია

მე-2 გამოცემა

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სახელმძღვანელოში განხილულია მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითადი საკითხები – მოსახლეობის დინამიკა, სტრუქტურა, ხარისხი, მიგრაცია, განსახლება, ტერიტორიული განლაგება. ნაშრომში გამოყენებულია მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მოსახლეობის დინამიკის, სტრუქტურის, გადაადგილებისა და განლაგების ამსახველი უახლესი სტატისტიკური მონაცემები. სახელმძღვანელოში მრავლადაა რუკები, დიაგრამები, ცხრილები, ფოტოები. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის გეოგრაფიული და მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტებისათვის და მოსახლეობის გეოგრაფიისა და დემოგრაფიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

სამეცნიერო რედაქტორი: **იოსებ სალუქვაძე**, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი

რეცენზენტები:

გიორგი კვინიკაძე, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი მელაძე, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

რუკების შემდგენელი: **ვლადიმერ ჩხაიძე**, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-13816-4 (pdf)

წიგნი ეძღვნება ჩემი მასწავლებლის,

შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა და პედაგოგის,

ვაჟა გუჯაბიძის, ნათელ ხსოვნას

მადლობას ვუძღვნი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს სახელმძღვანელოს მეორე გამოცემის დაფინანსებისთვის.

უღრმესი მადლობა ჩემს კოლეგას, თსუ-ის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორს, ვლადიმერ ჩხეიძეს, უანგარო დახმარებისთვის – მისი შედგენილია სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პრაქტიკულად ყველა რუკა.

მადლიერების დიდი გრძნობით მსურს მოვიხსენიო ჩემი სტუდენტები, აწ უკვე სოციალური მეცნიერებების ბაკალავრები საზოგადოებრივი გეოგრაფიაში: თეა სიხარულიძე, მირანდა აფაქიძე, თამარ გელაშვილი, ნანა დეისაძე, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სახელმძღვანელოს შექმნაში.

სარჩევი

თავი 1. მოსახლეობის გეოგრაფიის ზოგადთეორიული საკითხები

1.1 მოსახლეობის გეოგრაფიის ცნება, კვლევის საგანი, თემატური მიმართულებები, მეთოდები. 9

1.2 მოსახლეობის გეოგრაფიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია 15

1.3 მოსახლეობის გეოგრაფიის კავშირი გეოგრაფიულ და სხვა მეცნიერებებთან 22

თავი 2. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა

2.1 ძირითადი ცნებები 26

2.2 თეორიები (კონცეფციები) მოსახლეობის დინამიკის შესახებ 30

2.3 მსოფლიო მოსახლეობის დინამიკის ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვე ტენდენციები 35

2.4 ბუნებრივ მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები 42

2.5 ბუნებრივი მოძრაობის რეგიონული ასპექტები 48

2.6 დემოგრაფიული პოლიტიკა 55

2.7 მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება 64

თავი 3. მოსახლეობის სტრუქტურა და ხარისხი

3.1 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა 68

3.2 მსოფლიოს ქვეყნების ტიპოლოგია ბუნებრივი მოძრაობის და მიგრაციის მახასიათებლების მიხედვით 74

3.3 მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 82

3.4 დასაქმების სტრუქტურა 91

3.5 მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა 99

3.6 ლინგვისტური გეოგრაფია და მსოფლიოს
მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა 102

3.7 რელიგიები და მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა 116

თავი 4. მიგრაცია

4.1 მოსახლეობის მიგრაცია, როგორც
საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენა 132

4.2 მიგრაციის თეორიები (კონცეფციები) 137

4.3. იძულებითი მიგრაცია 145

4.4 შიდა მიგრაცია 148

4.5 მიგრაციების ისტორიული მიმოხილვა 151

4. 6 საერთაშორისო მიგრაციების თანამედროვე ტენდენციები 167

4. 7 საერთაშორისო მიგრაციების რეგიონული ასპექტები 171

4.8 შრომითი მიგრაციები 175

თავი 5. განსახლება, ურბანიზაცია, მოსახლეობის
ტერიტორიული განაწილება

5.1 განსახლება 184

5.2 ურბანიზაცია 192

5.3 მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება 202

გამოყენებული ლიტერატურა 209

თავი 1. მოსახლეობის გეოგრაფიის ზოგადთეორიული საკითხები

1.1 მოსახლეობის გეოგრაფიის ცნება, კვლევის საგანი, თემატური მიმართულებები, მეთოდები.

მოსახლეობის გეოგრაფიის ამოსავალ ცნებად უნდა ჩაითვალოს თვით მოსახლეობა. მოსახლეობა გეოგრაფიული მეცნიერების პოზიციიდან არის მოცემულ ტერიტორიაზე მუდმივი (მუდმივად მცხოვრები) ან ფაქტობრივი (სახეზე მყოფი).

ტერიტორიაში იგულისხმება მთელი მსოფლიო, კონტინენტი, მსოფლიოს მსხვილი რეგიონი, ქვეყანა, ქვეყნის მხარე ან რაიონი, ქალაქი, სოფელი.

ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ადამიანები შეიძლება იყვნენ ამ სახელმწიფოს მოქალაქეები და იმიგრანტები (მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები), ხოლო ფაქტობრივი მოსახლეობა შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებიც მოცემულ მომენტში ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან (ე.ი. მოქალაქეები და დროებით ჩამოსული უცხოელები: მიგრანტები, ლტოლვილები).

მოსახლეობა მთლიანად ან ცალკეული ჯგუფების სახით წარმოადგენს მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის საგანს (ობიექტს). მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფში უნდა ვიგულისხმოთ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია ტერიტორიული, დემოგრაფიული, ეთნიკური, რელიგიური, პროფესიული ან რაიმე სხვა სოციალურ-კულტურული ნიშნით. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს:

– *ტერიტორიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი – რომელიმე სოფლის, ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის, ან კონტინენტის მოსახლეობა;*

– *პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი – მასწავლებლები, ექიმები, მაღაროელები, ფერმერები, სტუდენტები, სახელმწიფო მოხელეები და ა.შ.;*

– *ეთნიკური ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი – ეთნიკური ქართველები, ნორვეგიელები, ბრაზილიელები, ჩინელები, თურქები და ა.შ.;*

– *რელიგიური ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი – ქრისტიანები, მუსლიმები, ბუდისტები და ა.შ.;*

– *დემოგრაფიული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი – ქალები და კაცები ან შრომისა და საპენსიო ასაკის ადამიანები და ა.შ.;*

– *სოციალური ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი – დიასახლისები, უმუშევრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ა.შ.*

მოსახლეობის გეოგრაფია არ შეისწავლის ადამიანთა ისეთ გაერთიანებებს, რომელთა შორის არ არსებობს ტერიტორიული, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური კავშირები. ტურისტების მობილობის ტერიტორიული ასპექტების შესწავლა არ წარმოადგენს მოსახლეობის გეოგრაფიის ამოცანას, რადგან ეს ტურიზმის გეოგრაფიის პრეროგატივაა.

მოსახლეობის გეოგრაფია ჩამოყალიბდა და დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა, როგორც ზოგადი გეოგრაფიის ქვედარგი. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც მოხდა საზოგადოებრივი (ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური) გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ფორმირება, მოსახლეობის გეოგრაფია წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილსა და ერთ-ერთ ქვედარგს.

მოსახლეობის გეოგრაფია არის სამეცნიერო დისციპლინა მოსახლეობის განსახლების, მოძრაობისა და სტრუქტურის გეოგრაფიული (ტერიტორიული, სივრცითი) ასპექტების შესახებ. როგორც განმარტებიდან ჩანს, მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითადი ამოცანაა, შეისწავლოს მოსახლეობის განსახლება და მოსახლეობის ორი მნიშვნელოვანი ატრიბუტი – მოძრაობა და სტრუქტურა და გამოავლინოს მათი გეოგრაფიული თავისებურებები და კანონზომიერებები. ამასთან, მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევებში გარკვეული ადგილი ეთმობა მოსახლეობის ქცევასა და დასაქმებას,

თუმცა მათი შესწავლა მოსახლეობის გეოგრაფიის ძირითად დანიშნულებას არ წარმოადგენს. ზოგადად, რთული დასადგენია, თუ სად გადის ზღვარი მოსახლეობის გეოგრაფიასა და სხვა გეოგრაფიულ დისციპლინებს შორის.

მოსახლეობის გეოგრაფიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, გააჩნია საკუთარი თემატური მიმართულებები, რომლებიც პირობითად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. მოსახლეობის გეოგრაფიის თეორიული საკითხები. ეს მიმართულება მოიცავს მოსახლეობის გეოგრაფიის ცნების, კვლევის საგნის, კვლევის მეთოდებისა და თემატური მიმართულებების განსაზღვრას; მის კავშირს სხვა მეცნიერებებსა და გეოგრაფიულ დისციპლინებთან.
2. დემოგეოგრაფია შეისწავლის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირების ტერიტორიულ საკითხებს.
3. მიგრაციების გეოგრაფია იკვლევს ადამიანების გადაადგილებას სივრცესა და დროში.
4. განსახლების გეოგრაფია იკვლევს მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის, კერძოდ, განსახლების სისტემისა და მისი შემადგენელი ნაწილების ფორმირების და განვითარების ტერიტორიულ ასპექტებსა და მათ ფუნქციურ და სტრუქტურულ ასპექტებს.
5. მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ეთნოგეოგრაფიას, ლინგვოგეოგრაფიასა (ენების) და რელიგიათა (კონფესიათა) გეოგრაფიას, ასევე მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის გეოგრაფიული თავისებურებების გამოვლენას.
6. უკანასკნელ პერიოდში სოციალური გეოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამეცნიერო კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოსახლეობის ხარისხის შესწავლამ.

არსებობს მოსაზრება, რომ მოსახლეობის გეოგრაფიის კიდევ ერთი თემატური მიმართულებაა მოსახლეობის კარტოგრაფია. მოსახლეობის გეოგრაფია ფართოდ იყენებს კარტოგრაფირებას, როგორც კვლევის მეთოდს. მოსახლეობის კარტოგრაფიას გააჩნია საკუთარი ამოცანები, მაგრამ ეს ამოცანები - წმინდა კარტოგრაფიული და არა საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ხასიათისაა. აქედან გა-

მომდინარე, ჩვენი აზრით მოსახლეობის კარტოგრაფია უნდა მივიჩნიოთ კარტოგრაფიისა და არა მოსახლეობის გეოგრაფიის ერთ-ერთ თემატურ მიმართულებად.

მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევის ცალკეული მიმართულებები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და გარკვეულწილად ერთმანეთს ფარავს. მიგრაციების გეოგრაფიის საკითხების შესწავლას ლოგიკურად მივყავართ განსახლების გეოგრაფიის ასპექტებამდე და პირიქით. მოსახლეობის დემოგრაფიული ან ეთნიკური სტრუქტურის კვლევა პირდაპირ უკავშირდება მიგრაციულ პროცესებს. მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის საკითხების შესწავლა შეუძლებელია ბუნებრივი მოძრაობის საკითხების გათვალისწინების გარეშე და ა.შ.

ქოროლოგიური[1] თვალსაზრისით მოსახლეობის გეოგრაფიის თემატური მიმართულებები შეისწავლება სამივე გეოგრაფიულ დონეზე. მაკროგეოგრაფიული დონე მოიცავს მთელ მსოფლიოს, ცალკეულ კონტინენტებს ან ქვეყნის ნაწილებს (ევროპა, აზია, და ა.შ.). მეზოგეოგრაფიული დონე – კონტინენტების მსხვილ რეგიონებსა და ცალკეულ ქვეყანას. მიკროგეოგრაფიული დონე – ქვეყნის ცალკეულ რეგიონს, რაიონს, ქალაქს და სოფელს. სამივე დონეზე შეისწავლება მოსახლეობის გეოგრაფიის როგორც კომპლექსური, ისე ცალკეული თემატური საკითხი. მოსახლეობის გეოგრაფიის კომპლექსურ საკითხებში შეიძლება გაერთიანდეს ყველა ან რამდენიმე ძირითადი თემატური საკითხი. კომპლექსური შესწავლის თემა შეიძლება იყოს ზოგადი. მაგ., მსოფლიოს (საფრანგეთის, საქართველოსა და ა.შ.) მოსახლეობის გეოგრაფია, ან უფრო კონკრეტული, მაგ., შრომითი იმიგრაცია დასავლეთ ევროპაში და მისი ზეგავლენა საქალაქო განსახლებაზე. ცალკეული თემატური საკითხის შესწავლის დროს ყურადღება ეთმობა რომელიმე ერთ კონკრეტულ საკითხს. მაგ., მსოფლიოს რელიგიების გეოგრაფია ან საქართველოს განსახლების გეოგრაფია ან იტალიის ქალაქების გეოგრაფია.

ქრონოლოგიური[2] თვალსაზრისით მოსახლეობის გეოგრაფიის თემატური მიმართულებები შეისწავლება ორ დონეზე: სტატიკასა და დინამიკაში. სტატიკური მიდგომა გულისხმობს მოსახლეობის

[1] ქოროლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვა ქოროსიდან, რაც ნიშნავს ადგილს. ქოროლოგია იკვლევს მოვლენების, საგნებისა და ცოცხალი არსებების ტერიტორიული განაწილების ასპექტებს.

[2] ქრონოლოგია მომდინარეობს ბერძნული სიტყვა ქრონოსიდან, რაც ნიშნავს დროს. ქრონოლოგია სწავლობს მოვლენათა დროში განვითარების საკითხებს.

გეოგრაფიული ასპექტების შესწავლას დროის მოცემულ (კონკრეტულ) მომენტში, ხოლო თუ იგივე ამოცანა დროის რამდენიმე პერიოდის მიმართ განიხილება, მაშინ საქმე გვექნება კვლევის დინამიკურ მიდგომასთან.

მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის მეთოდი. მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევებში, ცხადია გვესაჭიროება მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების სტატისტიკური მეთოდის გამოყენების საფუძველზე განაზოგადებენ. ხშირად მარტოოდენ სტატისტიკური მასალა არ იძლევა კვლევის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობას და აუცილებელია არსებული მასალის შემდგომი მათემატიკური დამუშავება და მისთვის გარკვეული სქემატური სახის მიცემა. ამ დროს მეცნიერები მიმართავენ მათემატიკური მოდელირების მეთოდს, რაც თანამედროვე გეოგრაფიულ კვლევებს განსაკუთრებულ მეცნიერულ ღირებულებას სძენს.

ყოველი მეცნიერი თავის კვლევაში ფართოდ იყენებს და ითვალისწინებს კოლეგების სამეცნიერო გამოცდილებას, იდეებს, მიდგომებს, რაც სამეცნიერო ლიტერატურაშია თავმოყრილი. ეს მეთოდი სალიტერატურო მეთოდის სახელითაა ცნობილი. როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის გეოგრაფიის თემატურ შესწავლაში ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის მოძრაობის, განსახლებისა და სტრუქტურის გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა დინამიკაში. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ გეოგრაფები კვლევის ერთ-ერთ მეთოდად იყენებენ ისტორიულ მეთოდს. უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის გეოგრაფიის ისტორიული ხასიათი. ისტორიზმი მოსახლეობის გეოგრაფიის კვლევებს მყარ საფუძველს სძენს.

მოსახლეობის საკითხებთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანების შესასწავლად სამეცნიერო ლიტერატურა და სტატისტიკური მასალები ხშირ შემთხვევებში საკმარისი არ არის. ფაქტობრივი მასალის დეფიციტის აღმოსაფხვრელად მკვლევარ-გეოგრაფებს უხდებათ დამატებითი მასალების მოძიება სოციოლოგიური ანკეტირების ან ინტერვიუირების, ე.ი. სოციოლოგიური მეთოდების გამოყენების გზით. თუ, ეს მეთოდიც არ აღმოჩნდა საკმარისი, მაშინ გეოგრაფი მიმართავს პროცესებზე ან ადამიანების ჯგუფებზე დაკვირვების მეთოდს.

თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების განუყოფელი ნაწილი გახდა შესასწავლი პროცესის შემდგომი განვითარების პროგნო-

ზირება. ამ მიზნის მისაღწევად მეცნიერები მიმართავენ პროგნოზირების მეთოდს.

მოსახლეობის გეოგრაფიული ასპექტების კვლევა გულისხმობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის, ქვეყნისა და სხვა დასახლებულ ტერიტორიათა მოსახლეობის მაჩვენებლების შედარებას. ამ შემთხვევაში გამოიყენება შედარების მეთოდი.

გეოგრაფიულ კვლევაში უმნიშვნელოვანესი ყურადღება ეთმობა მეცნიერული ანალიზის, უპირველეს ყოვლისა კი, სივრცე-დროითი (დრო-სივრცითი) ანალიზის მეთოდს. ეს უკანასკნელი შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების ტერიტორიული და ისტორიული ანალიზის სინთეზს წარმოადგენს.

გეოგრაფიული მეცნიერების მძლავრი იარაღია კარტირების მეთოდი. ის საშუალებას გვაძლევს, ინფორმაცია ერთ ფურცელზე რუკის ან სხვა კარტოგრაფიული პროდუქტის სახით წარმოვადგინოთ. ზოგადად საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ, მათ შორის მოსახლეობის გეოგრაფიის, კვლევებში ფართოდ მოიკიდა ფეხი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის) გამოყენებამ. გეოინფორმაციული ტექნოლოგიები სტატისტიკური ინფორმაციისა და გეოგრაფიულ მონაცემთა ბაზების სრულყოფილი დამუშავებისა და ვიზუალიზაციის (რუკების, დიაგრამებისა და სხვა გრაფიკული გამოსახულებების შექმნა) საშუალებას გვაძლევს.

1.2 მოსახლეობის გეოგრაფიის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

მოსახლეობის შესწავლა ყველა ეპოქაში გეოგრაფების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოგზაურ-გეოგრაფების ნაშრომებში ცენტრალური ადგილი განსახილველი ტერიტორიების მოსახლეობის დახასიათებას ეკავა.

მოსახლეობის გეოგრაფიაში პირველი შრომა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაიწერა. ბერძენმა მოგზაურმა, ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, სტრაბონმა, შექმნა ნაშრომი "გეოგრაფია", რომელიც 17 წიგნისაგან შედგებოდა. ვარაუდობენ, რომ სტრაბონმა კოლხეთსა და იბერიაში იმოგზაურა, ხოლო მათი დეტალური დახასიათება ნაშრომის მე-11 წიგნში გადმოგვცა (*ქსე, 1985: 575-576*). სტრაბონის "გეოგრაფია" მიჩნეულია საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის აღწერის უძველეს სამეცნიერო ძეგლად, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია. მოგვიანებით რომაელმა სახელმწიფო მოღვაწემ და მეცნიერმა, პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსმა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში მოღვაწეობდა, ნაშრომ "გერმანიაში" აღწერა გერმანული ტომების ისტორია და გეოგრაფია (*ქსე, 1985: 671*).

ფეოდალურ ხანაში ვაჭრობისა და ზღვაოსნობის სწრაფმა განვითარებამ უკვე ცნობილი და ახლად აღმოჩენილი ტერიტორიების ახლებური შესწავლა მოითხოვა. ამის შედეგად ევროპელი, არაბი და ჩინელი მოგზაურებისა და მეცნიერების მიერ მრავალი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ნაშრომი შეიქმნა. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იტალიელი მეცნიერის, ლუდოვიკო გვიჩარდინის, წიგნი "ნიდერლანდების აღწერა", რომელიც 1567 წელს გამოიცა. ეს წიგნი სამართლიანადაა მიჩნეული პირველ კომპლექსურ საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ ნაშრომად, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველში მოცემულია ნიდერლანდების (იმ დროს ნიდერლანდები მოიცავდა ბელგიის დღევანდელ ტერიტორიასაც) ზოგადგეოგრაფიული, ხოლო მეორე ნაწილში – ქვეყნის 17-ვე პროვინციის დახასიათება. ამ მონოგრაფიაში ცენტრალური ადგილი ნიდერლანდებისა და მისი ცალკეული მხარისა და ქალაქის მოსახლეობის აღწერას უკავია (*Саушкин, 1973: . 51*).

1650 წელს ნიდერლანდებში გამოიცა გერმანული წარმომავლობის ახალგაზრდა მეცნიერის, ბერნარდ ვარენიუსის, წიგნი "ზოგადი გეოგრაფია". ვარენიუსი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც გეოგრაფია ზოგად და რეგიონულ (სპეციალურ) ნაწილებად დაყო. იგი მიიჩნევდა, რომ რეგიონული გეოგრაფიის შესწავლის მთავარი ამოცანაა ქვეყანათმცოდნეობა, რომელშიც გამოირჩეოდა სამი ქვედარგი: "დედამიწისეული" (ქვეყნის მდებარეობა, საზღვრები, რელიეფი, წიაღისეულის მოპოვება, ფლორა და ფაუნა); "ციური" (ადგილის გრძედი და განედი, სეზონურობა, კლიმატი, ასტრონომიული დაკვირვებები) და "ადამიანისეული". ამ უკანასკნელი მიმართულების ამოცანა იყო, შეესწავლა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, შემადგენლობა, შემოსავლები, განათლება, ასევე – პოლიტიკური მოწყობა და ქალაქები (*Саушкин, 1973: . 52-53*). ვარენიუსის ნაშრომის "ადამიანისეული" ნაწილი საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბების საფუძველი გახდა.

ევროპაში მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც აბსოლუტიზმი[3] განვითარების უმაღლეს სტადიაზე იმყოფებოდა, გამოჩნდა ახალი ეკონომიკური და ფილოსოფიური დოქტრინები. ამ პერიოდში ევროპული სახელმწიფოები ახალი ტერიტორიების ათვისებით იყვნენ დაკავებულნი. ყოველივე ეს მოსახლეობის შესახებ ახალი ფაქტებისა და მასალების მოძიებას მოითხოვდა. შეიძლება ითქვას, რომ ვარენიუსის ნაშრომმა ევროპაში მოსახლეობის შესწავლას ახალი იმპულსი მისცა. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-18 საუკუნეში ევროპაში გავრცელდა მოსახლეობის საკითხების კვლევის მიმართულება, რომელიც კამერალური სტატისტიკის სახელითაა ცნობილი. კამერალური სტატისტიკა განსაკუთრებულად გერმანიასა და რუსეთში განვითარდა და უფრო აღწერილობით ხასიათს ატარებდა ვიდრე ანალიტიკურს, რადგან მიზნად ისახავდა ქვეყნის ან ტერიტორიისა და მისი მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებას. ამ ინფორმაციას მმართველი ელიტა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის მიმართულებით იყენებდა.

ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრი-

[3] აბსოლუტიზმი XV ს.-ის ბოლოს – XVI ს.-ის დასაწყისში ევროპაში აღმოცენდა. აბსოლუტიზმის ხანაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ერთადერთ მატარებლად აღიარებული იყო მონარქი, რომელიც სახელმწიფოს მართავდა ფეოდალური ელიტის დახმარებით. კულტურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას თითქმის მთლიანად მონარქი და მმართველი ელიტა განაგებდა.

ვი მეცნიერებების განვითარებას განსაკუთრებული ბიძგი მისცა. XVIII ს.-ში ვარენიუსის მიმდევრებმა მისი იდეები განავრცეს, რამაც საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, ფორმირების პროცესი დააჩქარა. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი გეოგრაფიის ოთხი ძლიერი სკოლა: გერმანული, ფრანგული, ბრიტანული და რუსული.

XVIII ს.-ში მოსახლეობის გეოგრაფიის ფრანგული სკოლა წარმოდგენილი იყო კომერციული გეოგრაფიით, რომლის დამფუძნებლად ჟან-ჟაკ სავარი მიიჩნევა. 1723 წელს მან კომერციული ენციკლოპედია შექმნა (*Саушкин, 1973: . 58*). 1740 წელს გამოიცა კომერციული გეოგრაფიის პირველი კურსი. 1776 წელს გამოიცა ცნობილი შოტლანდიელი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის, ადამ სმიტის, ნაშრომი "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (*ქსე, 1985, 441*). დიდი ბრიტანეთი კომერციული გეოგრაფიის ცენტრად იქცა. გერმანულმა სკოლამ გააგრძელა კამერალური სტატისტიკის იდეების განვითარება. ამ პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად მიიჩნევა გ. ახენვალი და ა. ბიუშინგი. მოსახლეობის გეოგრაფიის რუსული სკოლა ძირითად აქცენტს აკეთებდა აღწერილობით გეოგრაფიაზე, რაც იმით იყო განპირობებული, რომ XVIII ს.-ში რუსეთის იმპერიაში განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა ახალი ტერიტორიების ათვისება. ამ დროს შეიქმნა და გამოიცა რამდენიმე გეოგრაფიული ნაშრომი, რომლებშიც ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბუნებისა და იქ მცხოვრები ხალხების დახასიათება იყო მოცემული. თუმცა, ამავე პერიოდში რუსეთში განვითარდა თეორიული გეოგრაფია, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რუს მეცნიერებს - მიხეილ ლომონოსოვს და ვასილ ტატიშჩევს. ამ უკანასკნელს რუსული საზოგადოებრივი გეოგრაფიის ფუძემდებლად მიიჩნევენ. ვასილი ტატიშჩევი პირველი რუსი მეცნიერი იყო, რომელმაც პოლიტიკური გეოგრაფია (*თანამედროვე გაგებით ეკონომიკური გეოგრაფია – ავტ.*) გეოგრაფიული მეცნიერების დისციპლინად აღიარა. პოლიტიკური გეოგრაფიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იგი მოსახლეობისა და განსახლების საკითხების შესწავლას მიიჩნევდა (Татищев, 1950: 211). ტატიშჩევის სამეცნიერო ღვაწლი ის არის, რომ თავის ნაშრომებში მან განსაკუთრებული ადგილი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სივრცე-დროით ანალიზს დაუთმო.

XVIII საუკუნე ქართული გეოგრაფიული მეცნიერებისთვის უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. 1745 წელს, ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მეცნიერმა, ვახუშტი ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა),

შექმნა თხზულება "აღწერა სამეფოსა საქართველოსა". ეს ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის პირველ ფუნდამენტურ გეოგრაფიულ დახასიათებას. ვახუშტი ბაგრატიონმა საქართველო 5 პოლიტიკურ-ეთნოგრაფიულ ერთეულად დაყო და მათი ბუნების, მეურნეობისა და მოსახლეობის მეცნიერული აღწერა შემოგვთავაზა. მნიშვნელოვანია, რომ ვახუშტიმ შექმნა საქართველოსა და კავკასიის ატლასები, რომლებითაც ევროპელი მეცნიერები დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ (ქსე, 1979: 339).

მე-18 საუკუნის ბოლოს ინგლისელმა ეკონომისტმა და მღვდელმა, თომას მალთუსმა, შეიმუშავა თეორია, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე პლანეტის საარსებო საშუალებები. მალთუსს მიაჩნდა, რომ, თუ მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდებოდა, მაშინ მსოფლიოს საყოველთაო შიმშილი დაემუქრებოდა. აქედან გამომდინარე, ის დადებითად აღიქვამდა მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას ომების, ეპიდემიების, მოუსავლიანობის მიზეზებით. მალთუსის თეორიას დიდი რაოდენობით მიმდევარი გამოუჩნდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მსოფლიო "დემოგრაფიული აფეთქების" ფაზაში შევიდა (*ДЭС, 1985: 238*).

XIX ს.-ის პირველ ნახევარში გეოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებაში წამყვანი ადგილი ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების შესწავლას ეთმობოდა. ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი მეცნიერები - ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტი და კარლ რიტერი. მათ გეოგრაფიული (ენვაირომენტალისტური) დეტერმინიზმის წარმომადგენლებად მიიჩნევენ. ამ მიმართულების პირველი დებულებები ანტიკურ საბერძნეთში შეიმუშავეს. მისი მიმდევრები მიიჩნევდნენ, რომ კაცობრიობის განვითარებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას გეოგრაფიული გარემო (ჰავა, ნიადაგი, ზღვა, რელიეფი და სხვა) ახდენს. გეოგრაფ-დეტერმინისტები ამტკიცებდნენ, რომ სხვადასხვა კლიმატურ სარტყლებში მცხოვრებ ხალხებს განსხვავებული ხასიათი აქვთ. მათი აზრით, ჩრდილოეთის ხალხები მშრომელი და ფიზიკურად ძლიერები იყვნენ, ხოლო სამხრეთელები – ნაკლებად შრომისმოყვარენი, მაგრამ უფრო ნიჭიერნი. ფრანგი მეცნიერი მონტესკიე უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ სამხრეთელები ჩრდილოეთში მცხოვრები ადამიანებისგან უფრო მაღალი ზნეობით გამოირჩევიან. ამ სკოლის სხვა თვა-

ლსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გერმანელი იოჰან გოტფრიდ ჰერდერი (ტერმინ "ნაციონალიზმის" ავტორი) და ინგლისელი მეცნიერი ჰენრი ტომას ბოკლი. ამ უკანასკნელის ნაშრომში, "ინგლისის ცივილიზაციის ისტორია" ჩამოყალიბებული იდეები შემდგომში ანთროპოგეოგრაფიის განვითარების ქვაკუთხედად იქცა (*Покшишевский, 1978: 14-16*).

ანთროპოგეოგრაფია გეოგრაფიულ კვლევებში XX ს.-ის დასაწყისში გაბატონდა. მის დამაარსებლად გერმანელ მეცნიერ ფრიდრიხ რატცელს მიიჩნევენ. რატცელი თავისი მსოფლმხედველობით ევოლუციის დარვინისეული თეორიის მიმდევარი იყო. მსოფლიოს ისტორიის განხილვისას იგი ემხრობოდა იმ იდეას, რომ ხალხების განვითარებაში გადამწყვეტ როლს გეოგრაფიული გარემო ასრულებს და ამტკიცებდა, რომ ადამიანების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტები: შრომა, ქორწინება, გადაადგილება და სხვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმ კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ადამიანის ცხოვრების წესის განმსაზღვრელ მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად რატცელი კულტურას ასახელებდა და მიიჩნევდა, რომ იქ, სადაც უფრო მაღალია საზოგადოებრივი წარმოების კულტურა, მით უფრო იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე. კულტურა, ხაზგასმით აღნიშნავდა იგი, უფრო თავისუფალს ხდის ადამიანს, ერს. სახელმწიფოს რატცელი განიხილავდა, როგორც მიწიდან ამოზრდილ ცოცხალ ორგანიზმს, შესაბამისად, მას ზრდისთვის სივრცე ესაჭიროება. ამით ხსნიდა რატცელი ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის დაპყრობას. მისი აზრით, ეს ბუნებრივი პროცესი იყო. ფრიდრიხ რატცელმა სახელმწიფოს სივრცობრივი განვითარების 7 კანონი ჩამოაყალიბა. მას არა მარტო ანთროპოგეოგრაფიის, არამედ გეოპოლიტიკის ერთ-ერთ მამამთავრადაც მიიჩნევენ. 1920-30-იან წლებში გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის (ეს პარტია ცნობილია ასევე "ნაცისტური" ან "ფაშისტური" პარტიის სახელით) იდეოლოგებმა რატცელის იდეების არასწორი ინტერპრეტირება მოახდინეს იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინათ გერმანული რასის (ამგვარად ისინი გერმანელ ერს მოიხსენიებდნენ) უპირატესობა სხვა ერების, ხალხების მიმართ.

ანთროპოგეოგრაფიის განვითარების პარალელურად ჩამოყალიბდა ეთნოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. ამას ხელი შეუწყო მორგანის, ბაჰოფენის, ტეილორის, ფრეზერისა და ენგელსის ნაშრომებმა, რომლებშიც, მოსახლეობის გეოგრაფიის

საკითხების გარდა, სხვადასხვა ხალხების ეთნოგენეზის, ოჯახური ურთიერთობების, რიტუალებისა და სხვა სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების ფუნქციონირების საკითხებიც იყო განხილული. ეთნოგრაფიის გამოყოფის შემდგომ საფუძველი ჩაეყარა ეთნოგეოგრაფიის, როგორც მოსახლეობის გეოგრაფიის, ქვედარგის ფორმირებას.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ანთროპოგეოგრაფიის საპირწონედ ჩამოყალიბდა "ადამიანის გეოგრაფიის" ("*La Geographie Humaine*") ფრანგული სკოლა. მისი დამფუძნებელი ვიდალ დე ლა ბლაში იყო. ადამიანის გეოგრაფია თანდათანობით პაპულარული გახდა და მოგვიანებით მის საფუძველზე საზოგადოებრივი გეოგრაფიის ანგლო-საქსონური სკოლა ჩამოყალიბდა. ამჟამად საზოგადოებრივი გეოგრაფია ("*Human Geography*") დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში გეოგრაფიის წამყვანი დისციპლინაა. გეოგრაფიის ამ მიმართულების კვლევის მთავარი ობიექტია საზოგადოება (ხალხი), ხოლო მისი მთავარი ამოცანა - შეისწავლოს, ერთი მხრივ, საზოგადოებისა და მისი ზოგიერთი ატრიბუტის (სტრუქტურისა და ბუნებრივი მოძრაობის) განვითარების სივრცობრივი ასპექტები, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ურთიერთკავშირი ბუნებასთან და ამ პროცესში ადამიანების ქცევის (საქმიანობის ჩათვლით) თავისებურებები. საზოგადოებრივი გეოგრაფიის კვლევის საბოლოო მიზანია დედამიწაზე ან მის ცალკეულ ტერიტორიაზე საზოგადოების მიერ გარემოზე ზემოქმედების ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასება.

ანთროპოგეოგრაფიამ და ადამიანის გეოგრაფიამ მოსახლეობის გეოგრაფიის ფორმირებაზე გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

საბჭოთა კავშირში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოსახლეობის გეოგრაფიის (ზოგადად ეკონომიკური გეოგრაფიის) სფეროში რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა. საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარება აქ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების მკაცრ ჩარჩოებში უნდა წარმართულიყო. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ეკონომიკურ გეოგრაფიას საფუძვლად დაედო "გოელროს" გეგმა[4] , ხოლო ამ მეცნიერების განვითარება ლე-

[4] "გოელროს" გეგმა, რომელიც 1921 წელს მიიღეს, ელექტრიფიკაციის საფუძველზე საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას წარმოადგენდა.

ნინმა ახალგაზრდა მეცნიერ-ბოლშევიკ ნიკოლაი ბარანსკის მიანდო. საბჭოთა პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო რომელიმე დასავლური გეოგრაფიული მიმართულების ან ნაშრომის პოზიტიური შეფასება. დადებითად ფასდებოდა მხოლოდ საბჭოთა ან სხვა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ნაშრომები. ასეთმა მიდგომამ საბჭოთა მეცნიერებას, მათ შორის მოსახლეობის გეოგრაფიას, უდიდესი ზიანი მიაყენა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გეოგრაფიის აღწერილობით ნაწილში საბჭოთა სპეციალისტები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. ამასთან, საბჭოთა იდეოლოგია მათ საშუალებას არ აძლევდა, სრულფასოვანი სამეცნიერო დასკვნები და რეკომენდაციები წარმოედგინათ.

საქართველოში მოსახლეობის გეოგრაფიამ გეოგრაფიულ დისციპლინებს შორის წამყვანი პოზიციები 1970-იანი წლებიდან დაიკავა. მოსახლეობის გეოგრაფიის ქართველი სპეციალისტები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვახტანგ ჯაოშვილი, რომელმაც შექმნა რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი, მათ შორის "საქართველოს ურბანიზაცია" და "საქართველოს მოსახლეობა". 1960-იანი წლების ბოლოს ქართველმა მეცნიერ-პედაგოგებმა - ნოდარ ნაჭყებიამ, ვაჟა გუჯაბიძემ, ალექსანდრე რონდელმა - დიდი როლი შეასრულეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულების ჩამოყალიბებაში, რომელიც მოსახლეობის გეოგრაფიის საკითხების შესწავლას მნიშვნელოვან ადგილს დაუთმობდა.

მოსახლეობის გეოგრაფიის თანამედროვე ქართული სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მოქმედ მეცნიერებს: რევაზ გაჩეჩილაძეს, იოსებ სალუქვაძეს, ზურაბ დავითაშვილს, ვაჟა ნეიძეს, გიორგი ცაგარელს, ია იაშვილს, მეგი შენგელაიას და სხვებს.

1.3 მოსახლეობის გეოგრაფიის კავშირი გეოგრაფიულ და სხვა მეცნიერებებთან

მოსახლეობის გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ჩამოყალიბდა და ვითარდება გეოგრაფიულ და სხვა მეცნიერებებთან მჭიდრო კავშირით. ნახ. №1 ასახავს მოსახლეობის გეოგრაფიის კავშირს ამ მეცნიერებებთან. ნახაზზე ეს კავშირი გვირილის სახით არის წარმოდგენილი. მის ფესვებს ქმნის ფილოსოფია, როგორც ყველა მეცნიერების საფუძველი, ფუნდამენტი. ფილოსოფიის მიერ შემუშავებული ძირეული დებულებებით საზრდოობენ დანარჩენი მეცნიერებები. გვირილის ღეროა ისტორიზმი. ნებისმიერ მეცნიერებას, ისევე, როგორც პროცესს, გააჩნია ისტორია. მეორე მხრივ, ისტორიზმის გარეშე წარმოუდგენელია რომელიმე საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარება. მოცემულ დიაგრამაზე გვირილის გულია მოსახლეობის გეოგრაფია, ხოლო უშუალოდ მის გარშემო მდებარე ექვსი ფურცელი - მისი ძირითადი თემატური მიმართულებები. გვირილის დანარჩენი ფურცლები წარმოდგენილია იმ სამეცნიერო დისციპლინებით, რომლებთანაც მოსახლეობის გეოგრაფიას მჭიდროდაა დაკავშირებული.

მოსახლეობის გეოგრაფია, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის შემადგენელი ნაწილი, ბუნებრივია, უშუალოდ ეხება ამ უკანასკნელის დანარჩენ დისციპლინებს. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სფეროში შესასწავლი საკითხები იმდენად ურთიერთდაკავშირებულია, რომ ხშირად ძალზე ძნელია იმის დადგენა, თუ სად გადის საზღვარი საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ დისციპლინებს შორის. ამის მიუხედავად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის გეოგრაფიას ყველაზე მჭიდრო კავშირი გააჩნია სოციალურ გეოგრაფიასთან. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი კვლევის მთავარი ობიექტი მოსახლეობაა. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალისტთა ნაწილი მოსახლეობის გეოგრაფიას სოციალური გეოგრაფიის ნაწილადაც კი განიხილავს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის წარმოშობის საკითხების შესწავლისას აღმოვაჩენთ, რომ მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მოსახლეობა რთული და მრავალმხრივი ისტორიული

პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა. მოსახლეობის ისტორიული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენაში გვეხმარება ისტორიული გეოგრაფია.

მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაციის კვლევას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ განსახლების ამა თუ იმ სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოცემული ტერიტორიის მეურნეობის სპეციფიკაზე ან, პირიქით, განსახლების სრულყოფილი სისტემის არსებობა ხელს უწყობს ამ სისტემის ფარგლებში წარმოების სხვადასხვა დარგის შექმნასა და განვითარებას. ნათელია, რომ ამგვარი საკითხები შეისწავლება მოსახლეობის გეოგრაფიისა და ეკონომიკური (მეურნეობის) გეოგრაფიის ურთიერთკავშირის საფუძველზე.

თანამედროვე მსოფლიოში ხშირია მოსახლეობის მასობრივი მიგრაციები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები ან ხელისუფლების მიერ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის პოლიტიკური დევნა. მოსახლეობის იძულებითი გადაადგილების გამომწვევი მიზეზების დადგენა შეუძლებელი იქნება, თუ არ შევისწავლით მოცემული ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ასპექტებს.

მოსახლეობის ზოგიერთი ეთნიკური ან სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელია კონკრეტული ხასიათის ქცევა, რაც ზეგავლენას ახდენს განსახლების სისტემის ფორმირების ან ტერიტორიული გადაადგილების პროცესებზე. ამ საკითხების შესწავლისას მოსახლეობის გეოგრაფიის სპეციალისტები იყენებენ ბიჰევიორალური გეოგრაფიის სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგებს.

მოსახლეობის განსახლების ტიპოლოგიის შექმნაში, რაც ითვალისწინებს მსგავსი ტიპის განსახლების რაიონების გამოვლენას, გამოიყენება ეკონომიკური დარაიონების პრინციპები. ეკონომიკური დარაიონება ეკონომიკური გეოგრაფიის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირში. ეკონომიკური დარაიონება, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გარდა, ფართოდ გამოიყენებოდა სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საფრანგეთში, ბრაზილიაში, მაროკოში.

უკვე აღინიშნა, რომ მოსახლეობის გეოგრაფიას მჭიდრო კავშირი აქვს მთელ რიგ საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დემოგრაფია, რომელიც მოსახლეობის გამრავლების (აღწარმოების) კანონზომიერებებს სწავლობს.

მოსახლეობის გეოგრაფიის კავშირი გეოგრაფიულ და სხვა მეცნიერებებთან



1. ფიზიკური გეოგრაფია
2. საზოგადოებრივი გეოგრაფია
3. კარტოგრაფია
4. ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია.
5. ბიჰევიორალური გეოგრაფია.
6. სამართალი
7. ეთნოლოგია
8. ლინგვისტიკა
9. თეოლოგია
10. ეკოლოგია
11. ურბანისტიკა
12. დაგეგმარება
13. სტატისტიკა
14. დემოგრაფია
15. სოციოლოგია
16. შრომის ეკონომიკა
17. მეურნეობის გეოგრაფია

ფილოსოფია

რადღებას ამ პროცესის ტერიტორიული ასპექტების შესწავლაზე ამახვილებს.

მოსახლეობის გეოგრაფიის მომიჯნავე მეცნიერებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციოლოგიას, რომელიც სხვადასხვა ტიპის სოციალურ ერთობათა ჩამოყალიბების, ფუნქციონირების, განვითარებისა და ურთიერთქმედების კანონზომიერებებს სწავლობს. სოციოლოგიური კვლევების, მათ შორის სოციოლოგიური გამოკითხვების, შედეგები ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის გეოგრაფიის სპეციალისტების მიერ ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და მიგრაციების შესწავლის პროცესში.

მიგრაციების საკითხების კვლევისას სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება მოსახლეობის ქცევის თავისებურებებს ეთმობა. ამ საკითხებს, სოციოლოგიის გარდა, ფსიქოლოგია სწავლობს.

მოსახლეობის გეოგრაფიის საკითხების კვლევის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ქალაქების გეოგრაფიას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ქალაქმშენებლობასთან (ურბანისტიკასთან). ეს კავშირი საშუალებას გვაძლევს, ქალაქების დაგეგმარებისა და ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ტერიტორიული თავისებურებები გამოვავლინოთ.

მოსახლეობის დასაქმების გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა მოითხოვს მისი სტრუქტურული ასპექტების ღრმა ცოდნას. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შრომის ეკონომიკის სფეროში შექმნილი შრომების გამოყენება და განზოგადება.

მოსახლეობის ეთნიკური საკითხების კვლევისას დახმარებას გვიწევს ანთროპოლოგია და ეთნოლოგია. ანთროპოლოგია სწავლობს რასებს. ეთნოლოგია (ეთნოგრაფიის ჩათვლით) შეისწავლის ხალხის წარმოშობას, ყოფასა და კულტურულ თავისებურებებს.

მოსახლეობის გადაადგილებასა და განსახლებაზე ზეგავლენას პოლიტიკური პროცესები ახდენს. შესაბამისად, მოსახლეობის გეოგრაფიული კვლევა მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ მეცნიერებასა და საერთაშორისო ურთიერთობებთან.

თავი 2. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა

2.1 ძირითადი ცნებები

მოსახლეობის დინამიკა არის ისტორიულ ჭრილში (დროის მოცემულ პერიოდში) განხილული მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება. მთელი მსოფლიოს ან ცალკეულ ტერიტორიათა მოსახლეობის რაოდენობა ყალიბდება მოსახლეობის გამრავლების (აღწარმოების) პროცესში. **მოსახლეობის გამრავლება (აღწარმოება, კვლავწარმოება) არის თაობათა მუდმივი განახლების პროცესი.**

მოსახლეობის აღწარმოებაზე ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა (მიგრაცია). ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მთელი მსოფლიოს მოსახლეობის აღწარმოება დამოკიდებულია მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე, მისი ცალკეული ტერიტორიის (კონტინენტების, მსხვილი რეგიონების, ქვეყნების, ქალაქების, სოფლების) მოსახლეობის რაოდენობა იცვლება მოსახლეობის როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მოძრაობის საფუძველზე.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა არის ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების პროცესი. *მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა შედგება ორი კომპონენტისაგან, ესენია: შობადობა და სიკვდილიანობა (მოკვდაობა).* მათ რაოდენობრივ მაჩვენებლებს ეწოდება, შესაბამისად, შობადობის კოეფიციენტი და სიკვდილიანობის კოეფიციენტი. სხვაობა ამ ორ კოეფიციენტს შორის არის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი. სამივე სახის კოეფიციენტი, როგორც წესი, გამოისახება პრომილეებში (‰). შობადობის კოეფიციენტით განისაზღვრება ყოველ ათას ადამიანზე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა, სიკვდილიანობის კოეფიციენტით - ყოველ ათას ადამიანზე გარდაცვლილთა რაოდენობა, ხოლო ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ყოველ ათას ადამიანზე რამდენი ადამიანით გაიზარდა ან შემცირდა მოსახლეობა. მაგალითად, თუ ყოველ ათას ადამიანზე იბადება 20 ბავშვი და კვდება 12 ადამიანი, ეს ნიშნავს, რომ შობადობის კოეფიციენტი ტოლია 20‰-ისა, ხოლო სიკვდილი-

ანობის კოეფიციენტი 12‰-ისა და აქედან გამომდინარე, ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი შეადგენს 8‰-ს.

მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, ანუ მიგრაცია არის ადამიანების ტერიტორიული გადაადგილება ბინადრობის ადგილიდან სხვა ტერიტორიაზე (დასახლებაში). ცალკეული ქვეყნის მოსახლეობის აღწარმოებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყანათაშორისი მიგრაციები. მოცემული ქვეყნიდან მოსახლეობის სხვა ქვეყანაში (ქვეყნებში) დიდი ხნით ან სამუდამოდ გადასვლა არის **ემიგრაცია,** ხოლო თუ ხდება საპირისპირო პროცესი, მაშინ ეს არის **იმიგრაცია.** საუკუნეების განმავლობაში საქართველოს იმიგრაციის ქვეყნად მიიჩნევდნენ, რადგან ის უცხოელთა გადმოსახლების კერა იყო. თუმცა 1990-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოს მოსახლეობის მასობრივი გადინება სხვა ქვეყნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ემიგრაციის ქვეყანა გახდა.

მოსახლეობის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მისი რაოდენობის ცვლილების განსაზღვრას. ეს საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის ტენდენცია. მსოფლიოს ცალკეული რეგიონის, ქვეყნის, დასახლებული პუნქტების მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება იზრდებოდეს ან მცირდებოდეს. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რაოდენობა უცვლელია, შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი “ნულოვანი მატება”.

მაჩვენებელს, რომელიც ასახავს მოსახლეობის რაოდენობის ზოგად ცვლილებას, ეწოდება **მოსახლეობის რაოდენობის მთლიანი მატების კოეფიციენტი**. მისი გამოთვლა შეიძლება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta S = \frac{Si}{So} \times 100 - 100$$

ამ ფორმულაში:

ΔS (დელტა ესი) არის მოსახლეობის მთლიანი მატების მაჩვენებელი და გამოისახება %-ში.

So არის მოსახლეობის რაოდენობა მოცემული პერიოდის დასაწყისში.

Si არის მოსახლეობის რაოდენობა მოცემული პერიოდის დასასრულისათვის.

ზემოთ განხილულს გარკვეული ხარვეზი აღენიშნება. მისი გამოყენება არაკორექტულია, თუ ერთმანეთს ვადარებთ სხვადასხვა ხანგრძლივობის პერიოდების მაჩვენებლებს. მაგ. ერთი მაჩვენებელი გვაჩვენებს მატებას, რომელიც აღინიშნა 12 წლის განმავლობაში, ხოლო მეორე – 22 წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ვერ შევძლებთ იმის დადგენას, რომელ პერიოდში იყო მატება უფრო დიდი. სხვადასხვა პერიოდის მაჩვენებლების შედარებისთვის რეკომენდებულია გასაშუალოებული მაჩვენებლის გამოყენება. ასეთი მაჩვენებელია **მოსახლეობის რაოდენობის საშუალო წლიური მატების კოეფიციენტი**, რომელიც გვიჩვენებს, როგორი იყო მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება საშუალოდ 1 წელიწადში.

მოცემულ პერიოდში მოსახლეობის საშუალო წლიური მატება (მატებაში იგულისხმება როგორც ზრდა, ისე კლება) შეიძლება გამოვთვალოთ შემდეგი ფორმულით[1]:

$$\Delta S = \frac{Si - So}{S \times N} \times 100\%$$

ამ ფორმულაში:

ΔS (დელტა ესი) არის მოსახლეობის მთლიანი მატების მაჩვენებელი და გამოისახება %-ით.

So არის მოსახლეობის რაოდენობა მოცემული პერიოდის დასაწყისში.

Si არის მოსახლეობის რაოდენობა მოცემული პერიოდის დასასრულისათვის.

S არის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა მოცემული პერიოდში, ანუ (So+Si) : 2

N არის მოცემული პერიოდში წლების რაოდენობა (ე.ი. სხვაობა პერიოდის ბოლო და საწყის წლებს შორის).

> განვიხილოთ მაგალითი: საქართველოს მოსახლეობა, 1989 წელის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, იყო 5 400 841 ადამიანი, ხოლო 2014 წლის აღწერით - 3 713 804 ადამიანი (მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2016).

[1] საფუძვლად აღებულია ფორმულა, რომელიც მოცემულია შემდეგ წყაროში: წულაძე გ. (2006). დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი: თბილისი. გვ. 126.

ამ შემთხვევაში:

So=5400841 (საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოცემული პერიოდის დასაწყისში, ე.ი. 1989 წელს).

Si=3713804 (საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა მოცემული პერიოდის დასასრულისათვის, ე.ი. 2014 წელს).

S=(3713804 + 5400841) : 2 = 4557322,5 (მოსახლეობის საშუალო რაოდენობა მოცემულ პერიოდში, ე.ი. 2014 და 1989 წლების მოსახლეობის რაოდენობების ჯამი გაყოფილი 2-ზე).

N=25 (წლების რაოდენობა მოცემულ პერიოდში, ე.ი. 2014-1989 = 25).

$$\Delta S = \frac{3713804 - 5400841}{4557322,5 \text{ X } 25} \text{x } 100 = -1,4$$

მიღებული დამრგვალებული მაჩვენებელი ტოლია –1,4%-ის (მინუს 1,4%-ის), რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა 1989-2014 წლების განმავლობაში ყოველწლიურად საშუალოდ იკლებდა 1,4%-ით., ე.ი. დაახლოებით 67,5 ათასი ადამიანით.

2.2 თეორიები (კონცეფციები) მოსახლეობის დინამიკის შესახებ

მოსახლეობის დინამიკის შესახებ თეორიების (კონცეფციების) მიზანია, დაადგინოს კავშირი მოსახლეობის რაოდენობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას შორის. პირობითად, შეგვიძლია გამოვყოთ რაოდენობრივი კონცეფციები: ადრეული დემოგრაფიული კონცეფციები, მალთუზიანიზმი, მოსახლეობის უკმარისობის კონცეფცია, ორგანული თეორია.

ადრეული დემოგრაფიული კონცეფციების საერთო ლაიტმოტივს მოსახლეობის სტაბილური ზრდა წარმოადგენდა. მოსახლეობა სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის ძირითადი წყარო იყო. შესაბამისად, მთავრობები ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდით ფრიად დაინტერესებულნი იყვნენ. ამ საკითხს მერკანტილისტებიც იზიარებდნენ, რადგან მოსახლეობის რაოდენობის განუხრელ მატებაში ქვეყნის სიმდიდრესა და ეკონომიკურ ძალას ხედავდნენ.

XVIII ს.-ის სამრეწველო რევოლუციამ - დიდი რაოდენობის ხელოსანთა, ხოლო აგრარულმა რევოლუციამ გლეხობის უმეტესობის გაღატაკება გამოიწვია. შედეგად, მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. სწორედ ამ დროს გაჩნდა თომას მალთუსის თეორია, რომლის თანახმადაც, მოსახლეობის ზრდა არსებობის საშუალებების (საკვების რაოდენობის) ზრდასთან დაკავშირებითაა განხილული. მალთუსის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა - გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო არსებობის საშუალებები (საკვების რაოდენობა) არითმეტიკული პროგრესიით იზრდება. ამდენად, დედამიწაზე წარმოიშობა ჭარბი მოსახლეობა, რომლის გამოკვებასაც ჩვენი პლანეტა ვერ უზრუნველყოფს. მალთუსის ეპოქაში დემოგრაფიული პრობლემა მწვავედ არ იდგა. მალთუსის დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა წამოჭრა ჭარბმოსახლეობის პრობლემა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის დეპოპულაციის პირობებში, შეიქმნა მოსახლეობის უკმარისობის კონცეფცია, რომლის მიხედვით, უმუშევრობა და წარმოების ზრდის შენელება ზოგადად მთელი მოსახლეობისა და კონკრეტულად შობადობის შემცირების შედეგია. შობადობის ზრდა იწვევს მოთხოვნის ზრდას მთელ რიგ

პროდუქციაზე, რაც ეკონომიკას განვითარების სტიმულს აძლევს. მაგ., ყოველ ახლად დაბადებულს სჭირდება რძე და ეტლი, რაც საბადოებზე ქვანახშირის მოპოვებასა და პირუტყვის მოშენების აუცილებლობას ზრდის. ინგლისელმა ფილოსოფოსმა, პოზიტივისტმა, ჰერბერტ სპენსერმა, დემოგრაფიაში ორგანული თეორია შემოიტანა. მისი აზრით, საზოგადოება გაიგივებულია ორგანიზმთან, რომელშიც ადამიანთა ჯგუფებად გადანაწილება განიხილება, როგორც ცოცხალ ორგანიზმში ფუნქციების განაწილება. სპენსერი საზოგადოებასა და ორგანიზმში განასხვავებდა ორი სახის ფუნქციისა და სამი ტიპის ორგანოებს: კვების ორგანოების სისტემა, განაწილების სისტემა და კონტროლის სისტემა (რეგულაციური). საზოგადოების გარკვეული ჯგუფები წარმოადგენენ საზოგადოების "ტვინს" და ბუნებრივად ახორციელებენ "მართვას", ხოლო სხვები, "თანდაყოლილი თვისებების» შესაბამისად, ფიზიკური შრომით არიან დაკავებულნი. აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში კლასობრივი განსხვავებები გარდაუვალია, ისევე, როგორც კლასებს შორის ურთიერთთანამშრომლობის საჭიროება. სპენსერი არ ეთანხმებოდა მალთუსს და მიიჩნევდა, რომ ჭარბმოსახლეობა მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. საარსებო საშუალებების უკმარისობა გაამძაფრებს "არსებობისთვის ბრძოლას», ხოლო მისი განხორციელებისათვის დახარჯული ენერგია გამოიწვევს შობადობის შემცირებას. სპენსერი რადიკალური და არაჰუმანური მოსაზრებებითაც გამოირჩეოდა. კერძოდ, მას მიაჩნდა, რომ სოციალური ღონისძიებები, მათ შორის, დასაქმებული ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა, "ბოროტებაა, რომელსაც თან დიდი საფრთხე ახლავს» (Студопедия, 2015).

ამ თეორიების განხილვის შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ უკანასკნელ წლებში რადიკალურად შეიცვალა წარმოდგენები მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შესახებ. თუ ადრე მეცნიერები საუბრობდნენ დედამიწაზე ჭარმოსახლეობით გამოწვეული მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, დღესდღეობით სულ უფრო აქტუალური ხდება გლობალური დეპოპულაციის საშიშროება, რომელიც, აფრიკის გარდა, ყველა კონტინენტს მოიცავს. მიმდინარე გლობალური დემოგრაფიული ტენდენციები, კერძოდ, შობადობის დონის მკვეთრი დაცემა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობის რაოდენობის შემცირება კაცობრიობის უპირველეს პრობლემად შეიძლება მოგვევლინოს. ამ პროცესს თავისთავად მივყავართ სოციალური სტრუქტურისა და წესრიგის გარდაქმნისაკენ, სადაც მოხუცებულები სჭარბობენ ბავშვების რაოდენობას და იზრდება არამკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა (მელაძე, 2013: 3).

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები უკვე რამდენიმე ათწლეულია განსხვავებული დემოგრაფიული რეჟიმის პირობებში ცხოვრობენ. ამ განსხვავებებში უკეთ გავერკვევით, თუ ზოგადად განვიხილავთ დემოგრაფიული გადასვლის თეორიას (კონცეფციას). ამ თეორიის პირველი ვარიანტი შექმნა ფრანგმა მეცნიერმა, ადოლფ ლანდრიმ, და მას "დემოგრაფიული რევოლუციის" კონცეფცია უწოდა, ხოლო 1945 წელს ამერიკელმა დემოგრაფმა ფრენკ ნოუთსტაინმა შემოგვთავაზა ლანდრის კონცეფციის მოდიფიცირებული ვარიანტი, დემოგრაფიული გადასვლის თეორიის სახელწოდებით (*McNamara, 1982: 146-7*).

ამ თეორიის მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამის ეტაპზე მოცემული საზოგადოებისათვის გამრავლების სპეციფიკური ტიპია დამახასიათებელი. გამრავლების ტიპი კი დამოკიდებულია შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებზე.

მეცნიერ-დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა საზოგადოებამ თავისი განვითარების განმავლობაში შეიძლება გაიაროს დემოგრაფიული გადასვლის რამდენიმე ფაზა. კაცობრიობის დემოგრაფიული განვითარების ისტორიაში ჯერჯერობით ოთხი ასეთი ფაზაა დაფიქსირებული (იხ. ნახ. №2) .

ნახ. №2

დემოგრაფიული გადასვლის ფაზები



დემოგრაფიული გადასვლის თითოეული ფაზა შობადობისა და სიკვდილიანობის დონეების განსხვავებული კომბინაციებით გამოირჩევა. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომლებმაც დემოგრაფი-

ული გადასვლის რამდენიმე ფაზა გაიარეს, ეს კომბინაციები უფრო მრავალფეროვან ხასიათს ატარებს (იხ. ცხრილი №1).

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულმა და განვითარებადმა ქვეყნებმა ერთდროულად გაიარეს დემოგრაფიული გადასვლის პირველი ფაზა, შემდეგ კი მათი „გზები გაიყო". განვითარებულ ქვეყნებში შობადობის დონის განუხრელი შემცირება მე-19 საუკუნის ბოლოსა და უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. შობადობის მაჩვენებელმა წინა საუკუნის დასაწყისში - 30‰-ზე, ხოლო იმავე საუკუნის 60-იან წლებში 20‰-ზე ქვევით დაიწია. 1990-იანი წლებიდან, როდესაც განვითარებული სამყარო "დემოგრაფიული კრიზისის" ფაზაში შევიდა, შობადობის დონის მაჩვენებელმა 10‰-ზე ნაკლები შეადგინა. რაც შეეხება განვითარებად სამყაროს, აქ შობადობის საშუალო მაჩვენებელი 1990-იან წლებამდე 30‰-ზე მაღალი იყო და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მისი შემცირება, ისიც იმის გამო, რომ შობადობის დონემ შესამჩნევად დაიწია ორ "მილიარდერ" ქვეყანაში – ჩინეთსა და ინდოეთში.

ცხრილი №1

დემოგრაფიული გადასვლის ფაზები: ძირითადი მახასიათებლები

I ფაზა: დასაბამიდან 1850 წ.-მდე	II ფაზა: 1850-1919 წ.წ.	III ფაზა: 1920-1970 წ.წ.	IV ფაზა: 1971 წ.-დან - დღემდე
მოსახლეობა იზრდება ნელი ტემპით; მოსახლეობის ზრდის ტემპი სტაბილურია	მოსახლეობის ზრდის ტემპი ზომიერია; მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად იმატებს	მოსახლეობის ზრდის ტემპი ჩქარია; მოსახლეობის რიცხვი მკვეთრად იმატებს	იწყება დემოგრაფიული კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში. ევროპის დასავლეთში მოსახლეობის მცირედ იმატებს იმიგრაციის ხარჯზე, ხოლო მის აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობა მკვეთრად იკლებს.
შობადობა მაღალია	შობადობა მაღალია	შობადობა ეცემა	შობადობა დაბალია
სიკვდილიანობა მაღალია	სიკვდილიანობა ეცემა	სიკვდილიანობა ძირითადად დაბალია	სიკვდილიანობა ყველგან 15‰-ზე დაბალია

წყარო: გოგსაძე, 2008: 26

სიკვდილიანობის დონის ისტორიული დინამიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ის პრაქტიკულად ერთნაირად იცვლებოდა. სიკვდილიანობის დონის სწრაფი ვარდნა მე-20 ასწლეულის პირველ მეოთხედში დაიწყო და საუკუნის ბოლოს იგი მსოფლიოს ყველა მსხვილ რეგიონში 15‰-ზე დაბალი იყო. დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპამ, დემოგრაფიული გადასვლის სამი ფაზა გაიარა და მეოთხეში იმყოფება.

აფრიკის ქვეყნების ნაწილი, რომელიც 10 წლის წინათ ჯერ კიდევ მეორე ფაზაში იმყოფებოდა, დღეს დემოგრაფიული გადასვლის მესამე ფაზაშია. სიკვდილიანობის დონის მკვეთრად შემცირების გამო, მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა აღარ იმყოფება დემოგრაფიული გადასვლის პირველ ან მეორე ფაზაში.

2.3 მსოფლიო მოსახლეობის დინამიკის ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვე ტენდენციები

მსოფლიო მოსახლეობამ, გაეროს მონაცემების თანახმად, 7,5 მილიარდ ადამიანს გადააჭარბა (UN DESA, 2017). ექსპერტების ვარაუდით, მსოფლიოში ოცი საუკუნის წინ დაახლოებით 150-დან 250 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა. გამოდის, რომ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა უკანასკნელი 20 საუკუნის განმავლობაში დაახლოებით 30-ჯერ მაინც გაიზარდა. თუმცა მოსახლეობის რიცხვი მთელი კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში არათანაბრად იზრდებოდა.

მსოფლიოს მოსახლეობის პირველ გაორმაგებას ჩვენი წელთაღრიცხვიდან დაახლოებით 15-16 საუკუნე დასჭირდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში კი პლანეტის მოსახლეობა სულ რაღაც ორმოციოდე წელიწადში გაორმაგდა. მსოფლიოს მოსახლეობამ 1 მილიარდი შეადგინა XIX საუკუნის 30 წლებში, ხოლო შემდგომი 100 წლის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე უკვე 1 მილიარდით მეტი ადამიანი ცხოვრობდა.

მოსახლეობის წლიური მატების ტემპი ყველაზე მაღალი 1950-60-იან წლებში იყო, კერძოდ 1,9 %, ხოლო იქედან მოყოლებული შეიმჩნევა კლების ტენდენცია. მაგ., 2000 წელს იყო 1,5 %, ხოლო 2015 წელს – 1,2 % (*იხ. ცხრილი №2*). მოსახლეობის ზრდის შენელების მთავარი მიზეზი შობადობის ტემპის საგრძნობი კლებაა.

მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკის ერთიანი პერიოდიზაცია ჯერ არ არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი პერიოდიზაციის მთავარ კრიტერიუმად იყენებს მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ხოლო მეორე ნაწილი პრიორიტეტს ანიჭებს ისტორიულ მიდგომას. საბოლოოდ, მნიშვნელობა არა აქვს, რის საფუძველზე გამოიყოფა მოსახლეობის დინამიკის პერიოდები. მთავარია, გამოვავლინოთ ის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებებზე და განაპირობებდნენ მოსახლეობის აღწა-

რმოების კონკრეტული რეჟიმის ფორმირებას ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში.

ცხრილი № 2

მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის ისტორიული დინამიკა

წელი	მოსახლეობის რაოდენობა (მლნ. ადამიანი)	მოსახლეობის წლიური მატების ტემპი (%-ში)
ჩვ. წელთაღრიცხვის I წელი	150-250	
400	205	0,005
800	224	0,005
1200	400	0,005
1600	545	0,2
1700	610	0,2
1800	905	0,5
1900	1634	0,8
1950	2527	1,9
2000	6071	1,5
2015	7383	1,2

წყარო: (WPP, 2017) The World Population Prospects: The 2017 Revision. https://population.un.org/wpp/DataQuery/

მსოფლიოს მოსახლეობის დინამიკაში შეიძლება 3 ძირითადი პერიოდი გამოიყოს. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ პერიოდიზაციას საფუძვლად დაედო მოსახლეობის რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლები. ზოგადად, ეს მაჩვენებლები სიდიდის მიხედვით შეიძლება იყოს: დაბალი, როდესაც მოსახლეობის რიცხვის წლიური ზრდა არ აღემატება 0,5%-ს; ზომიერი: 0,5%-დან 1%-მდე; მაღალი – 1%-ზე მეტი.

პირველი პერიოდი გრძელდებოდა კაცობრიობის დასაბამიდან მე-19 საუკუნის შუამდე, რაც მოიცავს 3-4 სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციას: პირველყოფილ თემურს, მონათმფლობელურსა და ფეოდალურს, აგრეთვე კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპს. ამ პერიოდში მსოფლიოს მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო ზრდის ნელი ტემპი. მთელი ამ დროის განმავლობაში მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 0,5%-ზე დაბალი იყო, ხოლო გარკვეული

პერიოდების განმავლობაში განუწყვეტელი ომების, განუკურნებელი ეპიდემიების ან ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად მცირდებოდა. მოსახლეობის აღწარმოებისათვის დამახასიათებელი იყო, როგორც შობადობის, ისე სიკვდილიანობის ძალზე მაღალი დონე. ყოველწლიურად ყოველ ათას ადამიანზე იბადებოდა და კვდებოდა საშუალოდ დაახლოებით 55-60 ადამიანი . მაღალი შობადობა განპირობებული იყო ორი ფაქტორით. ჯერ ერთი, მთელ მსოფლიოში ქალები ადრეულ ასაკში თხოვდებოდნენ. გარდა ამისა, მაღალი შობადობა იყო შედეგი ადამიანების ბუნებრივი რეაქციისა ხშირ სიკვდილიანობაზე. სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლის არსებობა, გარდა უკვე დასახელებული ფაქტორებისა, განპირობებული იყო სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობით, რაც უპირატესად მოსახლეობის ფართო მასებისათვის სამედიცინო მომსახურების არარსებობით იყო გამოწვეული.

მეორე პერიოდი მოიცავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს და მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულს. ეს პერიოდი ემთხვევა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას და ისტორიაში ცნობილია, როგორც განვითარებული კაპიტალიზმისა და ინდუსტრიული კაპიტალიზმის ეპოქები. სამრეწველო რევოლუციის შედეგები აისახა არა მარტო წარმოების პროცესზე, არამედ ცხოვრების პირობების ამაღლებაზეც. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჯანდაცვა და სანიტარულ-ჰიგიენური სიტუაცია, რამაც პირდაპირი ზეგავლენა იქონია სიკვდილიანობის, უპირველეს ყოვლისა კი, ჩვილთა სიკვდილიანობის დონის რადიკალურ შემცირებაზე. შობადობის დონე კვლავ მაღალი იყო, შესაბამისად, მოსახლეობის ზრდის ტემპები საგრძნობლად გაიზარდა და საშუალოდ წელიწადში 0,5 – 1%-ს მიაღწია. მთლიანად, ამ პერიოდში მსოფლიოს მოსახლეობის ზრდა ზომიერი ტემპით მიმდინარეობდა. თუმცა მოსახლეობის ზრდის გეოგრაფიაში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები. სიკვდილიანობის დონე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი იყო, რის გამოც განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა განვითარებული სამყაროს ანალოგიურ მაჩვენებელს.

მესამე პერიოდი სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან და დღემდე გრძელდება. ამ პერიოდში მოსახლეობის ზრდა მაღალი ტემპით მიმდინარეობს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა 4-ჯერ გაიზარდა. მოსახლე-

ობის ასეთი სწრაფი ზრდის მთავარი მიზეზი სიკვდილიანობის დონის მნიშვნელოვანი შემცირებაა. მეცნიერებისა და ფარმაცევტიკის მიღწევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მანამდე განუკურნებელი დაავადებების მკურნალობა ან მათი თავიდან აცილება. ბევრ ქვეყანაში ჯანდაცვის კარგი სისტემა ჩამოყალიბდა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დაავადებათა გადამტანი მწერების წინააღმდეგ ქიმიური ნივთიერებების გამოყენებამ, რის გამოც შემცირდა მაგალითად, მალარიის და ტიფის დაავადებების გავრცელება. ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად გაუმჯობესდა სანიტარულ-ჰიგიენური სიტუაცია.

გაეროს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეცადინეობით განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა სახის სამედიცინო პროექტები განხორციელდა და მოსახლეობის ჯანდაცვის უფასო მომსახურების სისტემები შეიქმნა. ამის შედეგად, 1950-1975 წლებში მსოფლიო "დემოგრაფიული აფეთქების" ტალღამ გადაუარა. ამ პერიოდში მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად დაახლოებით 60 მილიონი ადამიანით, ანუ 2%-ით იზრდებოდა (თუ მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 2%-ს შეადგენს, მაშინ მისი რაოდენობა 35 წელიწადში გაორმაგდება). მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მსოფლიოში შობადობის გარკვეულ შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვნად დაეცა სიკვდილიანობის დონეც. შედეგად, მსოფლიოში ყოველწლიურად ყოველ 1000 ადამიანზე საშუალოდ 12-13 ადამიანი კვდებოდა, იმ დროს, როდესაც მე-19 საუკუნეში სიკვდილიანობის მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ მეტი იყო. მოსახლეობის რიცხვის ასეთმა ზრდამ ჩვენი პლანეტის ბევრ ქვეყანაში ჭარბმოსახლეობის პრობლემაც კი შექმნა. საპასუხოდ, განვითარებადი ქვეყნების ნაწილის მთავრობებმა შობადობაზე კონტროლის პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს.

1975 წლის შემდეგ შეინიშნება მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპის განუხრელი შემცირება. მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად იზრდებოდა: 1975-1990 წლებში - 1,6%-ით, 1990-2000 წლებში – 1,4%-ით, ხოლო ჩვენი საუკუნის დასაწყისში ეს მაჩვენებელი 1,2%-მდე დაეცა. ამჟამად, მსოფლიოს რეგიონების მოსახლეობის ზრდაში დიდი განსხვავებები შეინიშნება. თუკი, ევროპის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ძალზე უმნიშვნელოა, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და, განსაკუთრებით, აფრიკაში მოსახლეობა კვლავ საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდება.

ამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლებს (იხილეთ ცხრილი №2). მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი (1,2%) ერთგვარი წყალგამყოფია მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მაღალი და დაბალი მაჩვენებლების მქონე რეგიონებისათვის. ამ მონაცემების ზედაპირული ანალიზიც კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მსოფლიოს ზოგიერთი რეგიონი ჯერ კიდევ "დემოგრაფიული აფეთქების" ფაზაშია, იმ დროს, როდესაც ევროპაში აღინიშნება "დემოგრაფიული კრიზისი", რაც იმას ნიშნავს, რომ აქ სიკვდილიანობა აღემატება შობადობას, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ იმიგრაციის ხარჯზე იმატებს.

ცხრილი №2

მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მოსახლეობის დინამიკისა და ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები (2010-2015 წწ.)

რეგიონები	დაიბადა ‰-ში	გარდაიცვალა ‰-ში	ბუნებრივი მატება ‰-ში	საშუალო წლიური მატება (%-ში)
		საშუალოდ 2010-2015 წწ.-ში		
ევროპა	10,8	10,9	-0,1	0,07
აფრიკა	35,9	9,4	26,5	2,58
აზია	17,7	7,0	10,7	1,05
ლათინური ამერიკა	17,8	5,8	12,0	1,12
ჩრდილოეთ ამერიკა	12,4	8,1	4,3	0,75
ავსტრალია და ოკეანეთი	17,2	6,7	10,5	1,52
მსოფლიო	**19,6**	**7,7**	**11,9**	**1.19**

წყარო: World Population Prospects 2017. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

მოსახლეობის დინამიკის ზრდის შენელების მთავარი მიზეზია შობადობის ტემპის საგრძნობი დაცემა. იმავდროულად, ჯანდაცვისა და მედიცინის დონის განვითარებამ ხელი შეუწყო აფრიკის ქვეყნებში სიკვდილიანობის შემცირებას, მეორე მხრივ, მაღალი სიკვდი-

ლიანობა აღმოსავლეთ ევროპის „დაბერებული“ ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაში ტერიტორიული დისბალანსი კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ცალკეული ქვეყნების მონაცემებს (იხილეთ ცხრილი №3).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2010-15 წლებში მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ყველაზე დიდი ტემპით ახლო აღმოსავლეთისა და სფრიკის ქვეყნები გამოირჩევიან. თუმცა, ამ ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას 3 ფაქტორი განაპირობებდა. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მასშტაბურ იმიგრაციასთან: ყატარი, ქუვეითი, ომანი, ასევე საუდის არაბეთი და ბაჰრეინი შრომითი მიგრაციის ტრადიციულ კერებად იქცნენ. რაც შეეხება მოცემულ პერიოდში ლიბანისა და იორდანიის მოსახლეობის სწრაფ ზრდას, აქ საქმე გვაქვს სირიის სამოქალაქო ომის შედეგად რამდენიმე მილიონი ადამიანის იძულებით გადაადგილებასთან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში გადასახლდა. აფრიკის ქვეყნების მოსახლეობა ტრადიციულად მაღალი ბუნებრივი მოძრაობის ხარჯზე იზრდება.

ევროპა, როგორც აღინიშნა, დემოგრაფიული კრიზისის ფაზაშია. ეს განსაკუთრებულად ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში იგრძნობა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილში მოსახლეობის რაოდენობის კლება მიმდინარეობს. ეს არასასურველი ტენდენცია თავს ძირითადად ევროპაში იჩენს.

ცხრილი №3

მსოფლიოს ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი (საშუალო წლიური) მაჩვენებლებით (2010-2015 წწ.)

	ქვეყნები მოსახლეობის **კლების** ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით	კლება %-ში	ქვეყნები მოსახლეობის **მატების** ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით	მატება %-ში
1	სირია	-2,4	ყატარი	6,65
2	საქართველო	-1,37	ომანი	6,45
3	ლიტვა	-1.27	ლიბანი	5,99
4	ლატვია	-1.23	ქუვეითი	5,44
5	ბოსნია და ჰერცეგოვინა	-1.23	იორდანია	4,86

6	ბულგარეთი	-0,62	ეკვატორიალური გვინეა	4,24
7	რუმინეთი	-0,56	ნიგერი	3,84
8	პორტუგალია	-0.44	ანგოლა	3,52
9	ხორვატია	-0,43	უგანდა	3,37
10	საბერძნეთი	-0,4	კონგოს დემოკ. რესპ.	3,33
11	სერბეთი	-0,4	სამხ. სუდანი	3,32
12	უნგრეთი	-0.29	ჩადი	3.28
13	ესტონეთი	-0,23	გაბონი	3,26
14	ესპანეთი	-0,17	ავღანეთი	3,16
15	მოლდოვა	-0,09	ტანზანია	3,12

წყარო: World Population Prospects 2017. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

სამწუხაროა, რომ მსოფლიოში საქართველო მოსახლეობის რაოდენობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კლებით გამოირჩევა. ეს არ ნიშნავს, რომ XXI საუკუნეში საქართველოში სიკვდილიანობა შობადობას აჭარბებდა. პირიქით, ამ პერიოდში დაფიქსირდა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ბუნებრივი მატება. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საშუალო წლიური კლება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილმა საქართველო დატოვა და სხვა ქვეყნებში სამუშაოდ/ საცხოვრებლად წავიდა.

2.4 ბუნებრივ მოძრაობაზე მოქმედი ფაქტორები

შობადობასა და სიკვდილიანობაზე ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ტიპის ფაქტორები: ბუნებრივ-ბიოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ყოფით-კულტურული, რელიგიური და პოლიტიკურიც კი.

შობადობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა კი, ქალთა რეპროდუქციული ასაკის ხანგრძლივობა. ეს ასაკი მოიცავს ქალის სიცოცხლის იმ პერიოდს, როდესაც მას ბავშვის გაჩენა შეუძლია. რეპროდუქციული ასაკი, როგორც წესი, განისაზღვრება 16-დან 50 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ თბილ კლიმატურ სარტყლებში მცხოვრებ ქალთა რეპროდუქციული ასაკი აღემატება ცივ სარტყლებში მცხოვრებ ქალთა ანალოგიურ ასაკს. ქალმა რეპროდუქციული ასაკის განმავლობაში, როგორც წესი, შეიძლება იმშობიაროს საშუალოდ 10-12-ჯერ. ასეთ პირობებში შობადობის კოეფიციენტმა შეიძლება მიაღწიოს მაქსიმალურ მაჩვენებელს და შეადგინოს 50 60‰ . შობადობის ასეთი მაღალი დონე აღინიშნა და დღესაც აღინიშნება სუსტად განვითარებულ საზოგადოებებში. აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში შობადობის დონე თითქმის 50‰-ს ტოლია (იხილეთ ცხრილი №5). მეორე მხრივ, ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის დამახასიათებელია ისეთი ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს შვილის ყოლის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უშვილობასთან. უშვილო ოჯახები, რომლებიც მთელი ოჯახების 5-10%-ს შეადგენენ, უარყოფით გავლენას ახდენენ შობადობის დონეზე.

მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე დემოგრაფიული ტენდენციები მიუთითებს იმაზე, რომ შობადობის დონეზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს სოციალური (საზოგადოებრივი) ფაქტორები. შობადობაზე მოქმედი სოციალური ფაქტორებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ოჯახში ქალის უფლებრივ მდგომარეობას. ცნობილია, რომ ტრადიციული ტიპის საზოგადოებებში ბავშვთა ყოლაზე გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მამაკაცს. აზიისა და აფრიკის საზოგადოებებში მიღებულია, რომ ოჯახში ერთი ვაჟიშვილი მაინც უნდა იყოს, რადგან ის განიხილება ოჯახის ქონების ძირითად მე-

მკვიდრედ და, გარდა ამისა, თუ მამაკაცს ვაჟიშვილი არ ჰყავს, ეს უარყოფითად აისახება საზოგადოებაში მის სოციალურ მდგომარეობაზე. მაგ., ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთში, თუ მამაკაცს გვარის გამგრძელებელი არ ჰყავს, ის საზოგადოების "არასრულყოფილ" წევრად მიიჩნევა. გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებებში, მამაკაცის მოთხოვნით, ბავშვთა გაჩენა მიმდინარეობს იქამდე, ვიდრე ოჯახს ვაჟი არ შეეძინება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ამაღლდა მისი როლი ოჯახის დაგეგმვის საქმეშიც. დღესდღეობით იმ ოჯახებში, სადაც ცოლ-ქმარი თანაბარი უფლებებით სარგებლობს, სწორედ ქალის ნება-სურვილზეა დამოკიდებული ოჯახში ბავშვთა რაოდენობა. შობადობის დონე დაბალია მაღალგანვითარებულ საზოგადოებებში, ე.ი. იმ საზოგადოებებში, სადაც ოჯახურ ცხოვრებაში ქალი ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც მამაკაცი.

საზოგადოებასა და ოჯახში მამაკაცისა და ქალის უფლებების გათანაბრებას ("ქალთა ემანსიპაციას") თან სდევს განქორწინებების რაოდენობის ზრდა, რაც უარყოფითად მოქმედებს შობადობაზე. განვითარებულ ქვეყნებში ყოველი მესამე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. თანამედროვე მსოფლიოში, კერძოდ კი, განვითარებულ სამყაროში განუხრელად იზრდება მარტოხელა დედათა რაოდენობა. მარტოხელა დედად მიიჩნევა ქალი, რომელსაც ბავშვი (ბავშვები) ჰყავს, მაგრამ არასდროს დაქორწინებულა. ასეთი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანების რაოდენობის ზრდა შობადობის დონის შემცირების კიდევ ერთი მიზეზია.

საზოგადოების სოციალურ-კულტურული და განათლების დონის ამაღლებასთან ერთად შობადობა მცირდება. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შობადობა გაცილებით მაღალი იყო დაბალგანვითარებულ ხალხებში, ვიდრე განვითარებულ საბერძნეთსა და რომში. სოციოლოგიური გამოკვლევებით დადასტურდა, რომ განათლების დონის ამაღლებასთან ერთად საზოგადოებაში მცირდება მოთხოვნილება ბევრი ბავშვის ყოლისა. უმაღლესი განათლების მიღებისა და შემდგომ სამსახურებრივი კარიერის აღმასვლის მიზნით, ახალგაზრდა ადამიანი ქორწინდება 25-30 წლის ასაკში და არა 20 წლამდე ასაკში, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ცნობილია, რომ თვით განვითარებად ქვეყნებშიც კი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს შორის შობადობის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე განათლების

არმქონე საზოგადოების ნაწილში. განვითარებულ საზოგადოებებში "დაგვიანებულმა ქორწინებებმა" მასობრივი ხასიათი მიიღო, რის შედეგადაც შობადობის დონე მინიმუმამდე შემცირდა.

გავრცელებულია აზრი, თითქოს შობადობა ღარიბ, უქონელ ოჯახებში უფრო მაღალია. ეს აზრი სინამდვილეს ყოველთვის არ შეეფერება, რადგან განვითარებულ ქვეყნებში შობადობის მაჩვენებელი დაბალია, როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ოჯახებში. თუმცა, მაგ., აშშ-ში შეძლებული ოჯახები უფრო მრავალშვილიანია, ვიდრე ღარიბი ოჯახები, რადგან მდიდრების ქონებრივი მდგომარობა მათ საშუალებას აძლევს, იყოლიონ მოსამსახურეები და ბავშვების ძიძები. განვითარებად ქვეყნებში მრავალშვილიანობა დამახასიათებელია როგორც მდიდარი, ისე ღარიბი ოჯახებისათვის. განვითარებად საზოგადოებებში შობადობის დაბალი მაჩვენებლით, როგორც წესი, გამოირჩევიან ის ოჯახები, რომლებშიც ცოლსა და ქმარს ერთდროულად მაღალი განათლების ცენზი აქვთ. უმაღლესი განათლების მქონე მეუღლეები ცდილობენ, აქცენტი გააკეთონ არა ბავშვთა რაოდენობაზე, არამედ მათი აღზრდის ხარისხზე, რაც მცირეშვილიანობას განაპირობებს.

საცხოვრებელი ადგილების (ქალაქი და სოფელი) მიხედვით, შობადობის დონის მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ სასოფლო დასახლებებში შობადობა უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქებში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში საქალაქო მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ურბანიზაციის პროცესმა განსაკუთრებული როლი შეასრულა შობადობის დონის შემცირებაში. ქალაქებში შრომათმოწყობის შესაძლებლობები გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლად. შესაბამისად, აქ ქალების დასაქმების პროცენტიც უფრო მაღალია, რაც პირდაპირ აისახება შობადობის დონის შემცირებაზე.

შობადობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმები, კერძოდ, ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისები და, განსაკუთრებით, ომები. ასეთი მოვლენების დროს შობადობის დონე მკვეთრად ეცემა. ცნობილია, რომ შობადობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგ., აშშ-ში "დიდი დეპრესიის" პერიოდში (1929-34 წლები), ასევე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში "პოლიტიკური და ეკონომიკური კოლაფსის" შედეგად (1990 წლების პირველი ნახევარი). ომების დროს შობადობის მაჩვენებლის

მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია ორი მიზეზით. ჯერ ერთი, მამაკაცთა გარკვეული ნაწილი ფრონტზე იმყოფება, რაც ნიშნავს, რომ ისინი ამ პერიოდში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მოსახლეობის აღწარმოების პროცესში. გარდა ამისა, მათი გარკვეული ნაწილი ომში იღუპება, რის შედეგადაც საზოგადოების სქესობრივ სტრუქტურაში წარმოიშობა დისბალანსი, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის ახალი ოჯახების შექმნას. მეორე მსოფლიო ომის დროს დაიღუპა 50 მილიონზე მეტი ადამიანი, უმრავლესობა ახალგაზრდა მამაკაცი იყო, რის გამოც ომის შემდგომ წლებში ვერ შეიქმნა მილიონობით ახალი ოჯახი, შესაბამისად, აღარ დაიბადა ათეულობით მილიონი ბავშვი. ომებში მამაკაცების დაღუპვით გამოწვეული უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენციების აღმოფხვრა მუსლიმურ სამყაროში რელიგიის ჩარევამ განაპირობა. ისლამი უშვებს მრავალცოლიანობის ინსტიტუტის არსებობას. მუსლიმურ საზოგადოებებში ერთ მამაკაცს ოფიციალურად ოთხი ცოლის ყოლა შეუძლია.

შობადობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს რელიგიური მრწამსი და მის შედეგად ჩამოყალიბებული ტრადიციები. მსოფლიოში გავრცელებული ყველა რელიგია მხარს უჭერს საზოგადოებაში მაღალი შობადობის არსებობას და მისი თავიდან აცილების ხელოვნური ხერხების (მაგ., აბორტების) წინააღმდეგ ილაშქრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან ისლამი, ბუდიზმი, კათოლიციზმი. ზოგიერთ ქვეყანაში რელიგიების მიერ მრავალშვილიანობის ინსტიტუტის მხარდაჭერა იმდენად ძლიერია, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკაზეც აისახება. ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ ბევრ მუსლიმურ ქვეყანაში ქალის გათხოვების მინიმალური ასაკი - 9 წლით, ხოლო პერუში, ესპანეთსა და ეკვადორში 14 წლით განისაზღვრებოდა. რაც უფრო ადრეულია ქორწინება, მით მაღალია შობადობის დონე მოცემულ საზოგადოებაში. ევროპაში ქორწინების ასაკი საკმაოდ მაღალია, კერძოდ, ევროპის პროტესტანტულ სახელმწიფოებში ქალის გათხოვების მინიმალური ასაკი - 18 წლით, ხოლო მამაკაცისა - 20 წლით განისაზღვრება. განვითარებულ ქვეყნებში დაფიქსირებულია “არატრადიციული ორიენტაციის” ადამიანების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რაც ამ ქვეყნებში, ბუნებრივია, ხელს უწყობს შობადობის შემცირებას. აშშ-ის ზოგიერთ შტატში ოფიციალურადაც კი არის ნებადართული ამგვარი ორიენტაციის ადამიანების ქორწინება.

სიკვდილიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივი ფაქტორები. დედამიწის მთელ რიგ რეგიონებში (ანტარქტიდა, არქტიკა, უდაბნოები, ტუნდრა), რომლებიც გამოირჩევიან ექსტრემალური ბუნებრივი პირობებით, ადამიანები ან არ სახლობენ, ან ძალზე მეჩხრად არიან დასახლებული. ადამიანები თავს არიდებენ ისეთ ადგილებში ცხოვრებას, სადაც არ არის წყალი, ნაყოფიერი მიწები ან იქ გავრცელებულია დაავადებები და სტიქიური მოვლენები (ვულკანური ამოფრქვევები, მიწისძვრები, ქარიშხლები).

სიკვდილიანობის დონე მეტწილად დამოკიდებულია ფიზიოლოგიურ ფაქტორებზე. ამ ფაქტორებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ასაკობრივი თავისებურებები. ცნობილია, რომ სიკვდილიანობა მაღალია ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში, რადგან ამ ასაკში ბავშვის ორგანიზმს ჯერ კიდევ არ აქვს გამომუშავებული იმუნიტეტი სხვადასხვა დაავადებისა და ინფექციის მიმართ. სიკვდილიანობის დონე მცირდება 4-16 წლის ასაკის მოზარდებში, ხოლო ხანდაზმულ ასაკში ის თავის მაქსიმუმს აღწევს. მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება მამაკაცთა და ქალთა სიკვდილიანობაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ფიზიკურად ქალებზე ძლიერი არიან, ეს უკანასკნელნი გამოირჩევიან სტრესული სიტუაციებისადმი მეტი მდგრადობით. ამის გამო, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ძირითადად მამაკაცებს შორისაა გავრცელებული. გარდა ამისა, ქალებთან შედარებით მამაკაცების ადრეული სიკვდილიანობა გამოწვეულია ომებით, საწარმოო ტრავმატიზმით, საავტომობილო და სხვა სახის ავარიებით, კრიმინალური გარემოებებით. სიკვდილიანობაზე გავლენას ახდენს მემკვიდრეობითი ფაქტორები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის დაავადება მშობლებიდან შვილს გადაეცემა.

სიკვდილიანობის დონის შემცირებაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება და ჯანდაცვის სისტემის განვითარება. საკმარისი იყო აზიისა და აფრიკის ნავთობითა და ბუნებრივი გაზით მდიდარ ქვეყნებში უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილიყო მოსახლეობის კეთილდღეობა, რაც დადებითად აისახა ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაზე, რომ ამ ქვეყნებში მოსახლეობის სიკვდილიანობის დონე უფრო დაბალი გახდა, ვიდრე მაღალგანვითარებულ, განსაკუთრებით ევროპულ საზოგადოებებ-

ში. ამის მიზეზი ისაა, რომ აზია-აფრიკის ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროპაში მიმდინარეობს "მოსახლეობის დაბერება", რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია დაბალი შობადობით, გვიანი ქორწინებებითა და ა.შ. ამჟამად ევროპის რიგ ქვეყნებში მეტი ხანდაზმული (60 წელზე უფროსი ასაკის) ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ახალგაზრდა (18 წლამდე ასაკის).

სიკვდილიანობის დონე მნიშვნელოვნად მატულობს ომების დროს. უკვე აღინიშნა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მსოფლიოში დაიღუპა დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი. საბჭოთა კავშირმა დაკარგა 30 მილიონ მოქალაქეზე მეტი, ხოლო საქართველომ დაახლოებით 320 ათასი ადამიანი.

თანამედროვე მსოფლიოში დიდი რაოდენობით ადამიანი იღუპება საავტომობილო და სხვა სახის ავარიებში. საავტომობილო ავარიებში უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებში. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., აშშ-ში, იაპონიაში, რუსეთში ამგვარ ავარიებით ყოველდღიურად რამდენიმე ასეული ადამიანი კვდება. სიკვდილიანობის ზრდაზე ზეგავლენას ახდენს ტექნოლოგიური ხასიათის კატასტროფები, რომელთა შედეგადაც ბინძურდება გარემო, უპირველეს ყოვლისა, წყალი.

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოში შეინიშნება სიკვდილიანობის დონის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც გამოიწვია:

- სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებამ და ფარმაცევტული ნაწარმის ფართო გავრცელებამ;
- მასობრივი ეპიდემიური და ინფექციური დაავადებების მკვეთრმა შემცირებამ;
- მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური და კვების პირობების გაუმჯობესებამ;
- ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ;
- მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ;
- ადამიანების მასობრივი განადგურების (ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური) იარაღის არგამოყენებამ.

2.5 ბუნებრივი მოძრაობის რეგიონული ასპექტები

ჩვენი საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში საკმაოდ ჭრელი დემოგრაფიული სურათი ჩამოყალიბდა. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს, ერთი მხრივ, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება თვით განვითარებადი სამყაროს ფარგლებში. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ძირითად განსხვავებას შობადობის მაჩვენებლებს შორის რადიკალური სხვაობა განაპირობებს (იხ. ნახ. №3).

(ნახ. №3)

შობადობა მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით



2005 წლის მონაცემებით, განვითარებად სამყაროში შობადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ავღანეთი, რომელიც 2015 წლის ანალოგიურ სიაში ვერ მოხვდა. თუ, 2005 წელს ავღანეთის შობადობის მაჩვენებელი 47.02‰ იყო, 2015 წელს ის 36.2‰-მდე შემცირდა. ათწლიან მონაკვეთში ავღანეთში შობადობის კლებამ 11‰ შეადგი-

ნა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ავღანეთის სიკვდილიანობის მაჩვენებელმა. 2005 წელს სიკვდილიანობა 20.23‰ იყო და ამ მაჩვენებლით ის მსოფლიოში 15 ყველაზე მაღალი სიკვდილიანობის მქონე ქვეყნების სიაში შედიოდა. ათ წელიწადში სიკვდილიანობა 7.5 ‰-მდე დაქვეითდა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავღანეთში თალიბების რეჟიმის დამარცხების შემდგომ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები წარმატებით წარიმართა, რაც პირდაპირ აისახა მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე.

მსოფლიოს ყველაზე დაბალი შობადობის მქონე ქვეყნების, 10 დან 7 ქვეყანა ევროპას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი 3 - აზიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ შედის განვითარებადი ქვეყნების სიაში (*იხ. ცხრილი №4*).

ცხრილი №4

ქვეყნები შობადობის ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლებით (2015 წ.)

ქვეყნები შობადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით	შობადობა (‰-ში)	ქვეყნები შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით	შობადობა (‰-ში)
ნიგერი	49.2	იაპონია	8.4
ჩადი	45.2	პორტუგალია	8.5
მალი	44.7	გერმანია	8.5
სომალი	44.4	იტალია	8.6
კონგოს დემ. რესპ.	44.0	სამხრეთ კორეა	8.9
უგანდა	43.9	საბერძნეთი	9.0
ანგოლა	43.7	ბოსნია და ჰერცეგოვინა	9.1
ბურუნდი	43.3	უნგრეთი	9.1
ნიგერია	40.5	რუმინეთი	9.3
მოზამბიკი	40.4	სინგაპური	9.3

წყარო:World Population Prospects 2015. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://esa.un.org/unpd/wpp/

საინტერესო ტენდენციები შეინიშნება სიკვდილიანობის გეოგ-

რაფიაში (იხ. ნახ. №4). ალბათ ბევრი იფიქრებდა, რომ სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე 10 ქვეყნის სიაში ძირითადად მაღალგანვითარებული ქვეყნები მოხვდებოდნენ. მაგრამ, როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, შობადობის ძალზე დაბალი მაჩვენებლით (5‰ და ნაკლები) ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის არც ერთი წარმომადგენელი არ გამოირჩევა, რაც მათი მოსახლეობის დაბერების ფაქტორით შეიძლება აიხსნას. სამაგიეროდ, აღნიშნულ სიაში მოხვდნენ აზიისა (უპირატესად არაბეთის ნახევარკუნძულის) და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები. ამ სიაში მოხვედრილი არაბული ქვეყნები ენერგომატარებლების სიმდიდრით გამოირჩევიან. ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა პირდაპირი ზეგავლენა იქონია მათი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებასა და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაზე.

მსოფლიოს ქვეყნების სიკვდილიანობის მაჩვენებლების დრო-სივრცითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. თუ, ჯერ კიდევ 2005 წელს მსოფლიოს რეგიონებს შორის სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი დონით სამხრეთ აფრიკა გამოირჩეოდა – მსოფლიოში სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნების სიაში ამ რეგიონის 8 ქვეყანა შედიოდა. გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დიდი ძალისხმევის შედეგად ამ ქვეყნებში ბევრი დაავადებისა და ინფექციის მინიმიზაცია მოხერხდა. შედეგად, 2015 წლის მონაცემებით, მაღალი სიკვდილიანობის სიის ათეულში სამხრეთ აფრიკის რეგიონის მხოლოდ 1 ქვეყანაა.

მაღალი სიკვდილიანობის მქონე ქვეყნების სიაში აღმოსავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყანამ (ბულგარეთი, უკრინა, ლიტვა, ლატვია და რუსეთი) აფრიკის ქვეყნები ჩაანაცვლა. ჯანდაცვისა და მედიცინის დონის განვითარებამ (კონკრეტულად კი აივ-ინფექცია (შიდსის) ვირუსის წინააღმდეგ წარმატებულმა ბრძოლამ) განვითარებადი სამყაროს სიკვდილიანობის დონე რადიკალურად შეამცირა.

სიკვდილიანობა მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით *ნახ. №4*


N
W
E
S
0
3,300
6,600
13,200 კმ
W
E
S
N
W
E
S
N
W
E
S
N

ნიგერია	13.6	საუდის არაბეთი	3.5
ლესოტო	13.6	მალდივები	3.5
ლიტვა	13.5	იორდანია	3.8
რუსეთი	13.4	ლიბანი	4.6

წყარო: World Population Prospects 2015. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://esa.un.org/unpd/wpp/

შობადობისა და მოკვდაობის სფეროში მიმდინარე პროცესები საბოლოოდ მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში აისახება. ზემოთ აღინიშნა, რომ ევროპა უკვე დიდი ხანია ყველაზე დაბალი ბუნებრივი მატების მქონე სუბკონტინენტია. ამის საილუსტრაციოდ მოვიშველიებთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიოს ყველაზე მაღალი და დაბალი ბუნებრივი მატების მქონე 10 ქვეყანა (იხ. ცხრილი №6).

სწორედ ევროპის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი უარყოფითი ბუნებრივი მატება. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით აფრიკა ლიდერობს.

ცხრილი №6

ქვეყნები ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლებით (2015 წ.)

ქვეყნები ბუნებრივი მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით	ბუნებრივი მატება (‰-ში)	ქვეყნები ბუნებრივი მატების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით	ბუნებრივი მატება (‰-ში)
ნიგერი	38.5	ბულგარეთი	-5.6
ანგოლა	34.6	უკრაინა	-4.1
უგანდა	34.5	ლატვია	-4.1
მალი	33.1	უნგრეთი	-3.5
კონგოს დემოკ.რესპ.	33.1	ლიტვა	-3.1
გამბია	32.6	რუმინეთი	-3.1
სომალი	32.1	ხორვატია	-2.8
ტანზანია	31.9	გერმანია	-2.4
ბურუნდი	31.7	პორტუგალია	-1.8
ჩადი	31.2	სერბეთი	-1.8

წყარო:World Population Prospects 2015. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://esa.un.org/unpd/wpp/

ბუნებრივი მოძრაობა მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით *ნახ. №5*



მე-2 თავში წარმოდგენილი ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- XXI საუკუნეში ხდება მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მნიშვნელოვანი შენელება. მსოფლიო მოსახლეობამ, გაეროს მონაცემების თანახმად, 7,5 მილიარდ ადამიანს გადააჭარბა, თუმცა მოსახლეობის მატების ტემპი საგრძნობლად შემცირდა. წინა საუკუნის 50-60-იან წლებში მსოფლიოს მოსახლეობის საშუალოდ წლიურად 1,9 %-ით იზრდებოდა. ამჟამად ეს მაჩვენებელი 1,2 %-ს შეადგენს.
- მოსახლეობის დინამიკის ზრდის შენელების მთავარი მიზეზი შობადობის ტემპის საგრძნობი დაცემაა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში შობადობა აღარ არის 50‰-ზე მეტი. თუმცა, აფრიკის რიგ ქვეყნებში ის ჯერ კიდევ 40‰-ზე მაღალია.
- არც ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შობადობის დონე 15‰-ს არ აღემატება.

- რაც შეეხება სიკვდილიანობას, ამ მიმართულებით რადიკალური ცვლილებები მოხდა. თუ 2005 წ. აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში სიკვდილიანობა 30‰-ს აღწევდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი მსოფლიოში არსად არის 16‰-ზე მეტი.
- სიკვდილიანობის გეოგრაფიაში გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია: ერთი მხრივ, ჯანდაცვისა და მედიცინის დონის განვითარებამ ხელი შეუწყო აფრიკის ქვეყნებში სიკვდილიანობის შემცირებას, მეორე მხრივ, შედარებით მაღალი სიკვდილიანობა ევროპის „დაბერებული“ ქვეყნების (ბულგარეთი, უკრაინა, რუსეთი და ა.შ.) ტრენდი გახდა.

2.6 დემოგრაფიული პოლიტიკა

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ერთი მხრივ, "დემოგრაფიულმა აფეთქებამ", ხოლო მეორე მხრივ, "დემოგრაფიულმა კრიზისმა" ამ ქვეყნებს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები შეუქმნა. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი საშუალება დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა.. **მოსახლეობის დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანია, მოსახლეობის გამრავლების (აღწარმოების) პროცესებზე ზემოქმედების მეშვეობით ხელი შეუწყოს მოსახლეობის რაოდენობის გაზრდას ან შემცირებას.**

ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ხორციელდება, თუმცა ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც. დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, შესაბამისად, მას უნდა გააჩნდეს სამართლებრივი ბაზა და ამ პოლიტიკის განხორციელების გეგმა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ეკონომიკური და სააგიტაციო-პროპაგანდისტული ხასიათის ღონისძიებებს უკავია. ბევრ ქვეყანაში დემოგრაფიული პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია და მისი განხორციელების მიზნით შექმნილია დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურები. დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტები არიან ქვეყნის ან მისი რეგიონის (რეგიონების) მთელი მოსახლეობა ან მოსახლეობის ცალკეული ჯგუფი.

დემოგრაფიულ პოლიტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მთელ რიგ ქვეყნებში წახალისებული იყო შობადობის ზრდა მაშინ, როდესაც ომების ან ეპიდემიების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად მცირდებოდა, და, პირიქით, იმ ქვეყნებში, სადაც თავს ჭარბმოსახლეობა იჩენდა, დემოგრაფიული პოლიტიკა შობადობის დონის შემცირებისაკენ იყო მიმართული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნემდე დემოგრაფიული პოლიტიკა სპონტანურ და არაკომპლექსურ ხასიათს ატარებდა, რის გამოც, მას მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია. მსოფლიოში კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხო-

რციელება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ასეთი პოლიტიკა პირველად საფრანგეთმა განახორციელა, ხოლო მოგვიანებით მას დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა მიჰბაძეს. XX საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებად ქვეყნებში ჭარბმოსახლეობამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა. გაერომ მათი მოგვარების გლობალური კოორდინატორის როლის შესრულება იკისრა. 1967 წელს, გაეროს ინიციატივით, შეიქმნა მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რომელიც განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს შობადობაზე კონტროლის განხორციელების საქმეში დახმარებას უწევს.

დემოგრაფიული სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც წესი, მიმართულია შობადობის შემცირების ან გაზრდისაკენ. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს განვითარებად ქვეყნებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – განვითარებულ ქვეყნებთან.

განვითარებულ სამყაროში დემოგრაფიული პოლიტიკისადმი განსაკუთრებული ყურადღებით ევროპა გამოირჩევა. აშშ-ში დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც ასეთი, არ ხორციელდება. ავსტრალიაში დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტა იმიგრაციის რეგულირებას უკავშირდება, ხოლო ახალ ზელანდიაში – მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესებას. რაც შეეხება ევროპას, უნდა აღინიშნოს, რომ აქ შექმნილი "დემოგრაფიული კრიზისი" თითქმის ყველა ევროპული საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. დემოგრაფების პროგნოზით, ევროპის უმეტეს ქვეყანაში დღეს არსებული დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში დაახლოებით 130-180 წლის შემდეგ მკვიდრი მოსახლეობიდან აღარავინ დარჩება. აშკარაა, რომ ამ ფონზე ევროპული ქვეყნების მთავრობები და საზოგადოებრიობა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ეძებენ.

ევროპის ქვეყნებში დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების ძირითადად ორგვარი მიდგომა გამოიყენება. პირველი მიდგომა, რომელიც პირობითად შობადობის წახალისებაზე ირიბ ზემოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს, ითვალისწინებს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას ბავშვთა აღზრდაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბავშვთა ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდა ოჯახებს, სადაც ორი ან მეტი ბავშვი იზრდება, საშუალება აქვთ, ხელსაყრელი, შეღავათიანი პირობებით საბანკო კრედიტები

აიღონ. დემოგრაფიული პოლიტიკის მეორე მიდგომა მიზნად ისახავს მრავალფეროვანი ღონისძიებების, მათ შორის მატერიალური შეღავათებისა და შემწეობების, მეშვეობით ხელი შეუწყოს შობადობის ზრდას. ამ ღონისძიებებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- დედისთვის ერთჯერადი შემწეობის გაცემა მშობიარობის შემდეგ;
- ოჯახისთვის შემწეობის გაცემა ბავშვის გაჩენიდან 12-18 თვის განმავლობაში;
- მშობლებს ბავშვის გაჩენის შემდეგ ერიცხებათ სახელფასო დანამატი;
- დეკრეტული შვებულება ხელფასის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შენარჩუნებით;
- დედებისათვის მოქმედებს არასრული სამუშაო დღე სრული ანაზღაურებით;
- ახალგაზრდა ბავშვიანი ოჯახებისათვის ან მარტოხელა დედებისათვის დაწესებულია სპეციალური სოციალური მომსახურება;
- ახალგაზრდა ბავშვიანი ოჯახებისათვის ან მარტოხელა დედებისათვის გათვალისწინებულია კომუნალური შეღავათები;
- ახალგაზრდა ბავშვიანი ოჯახებისათვის ან მარტოხელა დედებისათვის გათვალისწინებულია გრძელვადიანი სესხის გაცემა ბინათმშენებლობისთვის.

განვითარებად ქვეყნებში დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანია, შობადობის დონის შემცირება ან არსებული დონის სტაბილიზაცია მაინც. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ოჯახის დაგეგმვის მეთოდიკა, რაც გულისხმობს ოჯახში 3 და ნაკლები ბავშვის არსებობას. მცირეშვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა საშუალებას მისცემს განვითარებად ქვეყნებს, შეიმსუბუქონ ისეთი მწვავე სოციალური პრობლემები, როგორებიცაა სიღარიბე, შიმშილი, ბავშვებს შორის მაღალი სიკვდილიანობა და ა.შ. ამ ქვეყნების მთავრობების სურვილის მიუხედავად, დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება გაცილებით რთულად მიმდინარეობს, ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. არსებობს შობადობაზე კონტროლის დაწესების რამდენიმე ხელშემშლელი ფაქტორი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია - რელიგიური. მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგია, განსაკუთრებით ისლამი და ქრისტიანობა, აბორტების წინააღმდეგი არიან.

ამის გამო, მუსლიმური ქვეყნების დიდ უმრავლესობაში დემოგრაფიული პოლიტიკა საერთოდ არ ხორციელდება. სხვა ხელშემშლელი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მატერიალური რესურსების სიმწირე. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი სახსრები, რომ დემოგრაფიული პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება დააფინანსოს. მოსახლეობის განათლების დაბალი დონე დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისთვის კიდევ ერთი დაბრკოლებაა. განვითარებადი სამყაროს მოსახლეობის დიდი ნაწილი ოჯახის დაგეგმვის ან დემოგრაფიული პოლიტიკის სხვა ღონისძიებების სამომავლო ეფექტს ძალზე რთულად აღიქვამს. ამ ღონისძიებებს ისინი უნდობლობით ეკიდებიან.

განვიხილოთ დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელების ოთხი შემთხვევა ინდოეთის, ჩინეთის, რუსეთისა და ჩეხეთის მაგალითებზე.

ჩინეთში დემოგრაფიული პოლიტიკა, კერძოდ, ოჯახის დაგეგმვა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჩინეთმა დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ჯერ კიდევ 1950-იანი წლებში დაიწყო, თუმცა 1980-იან წლებამდე ეს პოლიტიკა სპონტანურ და არათანამიმდევრულ ხასიათს ატარებდა, რის გამოც მისი ძირითადი მიმართულებები ხშირად იცვლებოდა. 1980-81 წლებში ჩინეთმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი მიიღო. მათ შორის, კანონი "ქორწინების შესახებ", რომლის მიხედვითაც საქორწინო ასაკი გაიზარდა 20-დან 22 წლამდე მამაკაცებისა და 18-დან 20 წლამდე ქალებისათვის. 1981 წლიდან ქვეყანაში შობადობის დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტი ფუნქციონირებს. ოჯახის დაგეგმვის ძირითადი მიმართულებებია: ადრეული ქორწინების პრევენცია, ოჯახში ბავშვების გაჩენას შორის დროის ხანგრძლივობის გაზრდა და ერთშვილიანი ოჯახების წახალისება. ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკამ დადებითი შედეგები გამოიღო. თუ, XX ს.-ის 60-იანი წლების დასაწყისში ჩინეთის მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 2%-ს აღემატებოდა, იმავე საუკუნის ბოლოს ეს მაჩვენებელი 0,9%-მდე შემცირდა. შობადობის შემცირების პროცესმა, გარკვეული დადებითი მხარეების გარდა, დემოგრაფიული პოლიტიკის უარყოფითი მხარეებიც წარმოაჩინა. ჩინელი ერი ჯერ კიდევ 1950-იან წლებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა იყო. მისი საშუალო ასაკი 30 წელს შეადგენდა, ხოლო შობადობაზე კონტროლის დაწესების შედეგად ეს მაჩვენებელი შემდგომი 40 წლის განმავლო-

ბაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამჟამად ჩინეთის მოსახლეობის დაახლოებით 8%-ს ის ადამიანები შეადგენენ, რომელთა ასაკი 60 წელს აღემატება ანუ მიმდინარეობს ერის დაბერების პროცესი. 1980-იანი წლების დასაწყისში ჩინეთის ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ 2000 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თითქმის ნულოვანი გახდებოდა, მაგრამ ამგვარ ოპტიმიზმს განხორციელება არ ეწერა. 1980-იანი წლების ბოლოდან ჩინეთში დაიწყო ეკონომიკური რეფორმა, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება წარმოადგენდა. ამ რეფორმის შედეგად ქვეყნის სასოფლო მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო ან გაიფართოვა მიწის ნაკვეთები. შესაბამისად, გაიზარდა გლეხთა შემოსავალი, რომელიც, ერთი მხრივ, სავსებით საკმარისია მრავალშვილიანი ოჯახის გამოსაკვებად, ხოლო, მეორე მხრივ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის გაცილებით აღემატება მცირეშვილიანი ოჯახებისათვის დაწესებულ მატერიალურ შეღავათებს. ამის შედეგად, ბევრმა ოჯახმა შობადობაზე კონტროლის განხორციელებაზე ხელი აიღო და მრავალშვილიანობის ტრადიციის აღდგენას შეუდგა. როგორც ვხედავთ, ეკონომიკურმა, კერძოდ, მიწის რეფორმამ ჩინეთში დიდი საფრთხის წინაშე დააყენა სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება. ექსპერტების ვარაუდით, ჩინეთში მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში მოსალოდნელია მოსახლეობის რაოდენობის ტემპის შემდგომი ზრდა.

ინდოეთი, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, მსოფლიოში ჯერჯერობით მეორე ადგილზეა, თუმცა სულ მალე ის გლობალური ლიდერი გახდება. ჩვენს პლანეტაზე ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ ინდოეთში იბადება. აქ ყოველდღიურად დაახლოებით 44 ათასი ბავშვი ჩნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ინდოეთის მოსახლეობას დაახლოებით 16 მილიონი ადამიანი ემატება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ინდოეთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რიცხვს არ მიეკუთვნება, ნათელი გახდება, რომ ჭარბმოსახლეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ბევრ დაბრკოლებას უქმნის.

ინდოეთი პირველი განვითარებადი ქვეყანა იყო, რომელმაც შობადობაზე კონტროლი სახელმწიფო რანგში აიყვანა. 1951 წლიდან შობადობაზე კონტროლის განხორციელება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმის ნაწილი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის ხელისუფლება დემოგრაფიული

პოლიტიკის განხორციელებაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ანტიჰუმანურ მეთოდებს იყენებდა. კერძოდ, საქმე ეხება ადამიანთა ძალდატანებით სქესობრივ სტერილიზაციას.[2]

1977 წელს ინდოეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა დემოგრაფიულ პოლიტიკაში. აიკრძალა ძალდატანებითი სტერილიზაცია და იგი ნებაყოფლობითი ფორმით შეიცვალა. გარდა ამისა, მეტი ყურადღება დაეთმო კონტრაცეპტული (ჩასახვის საწინააღმდეგო) საშუალებების გამოყენებასა და მცირეშვილიანობის აგიტაციას. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირება დაიწყო ოჯახის დაგეგმვის ათასობით ცენტრმა. ამ ცენტრების მეცადინეობით ინდოეთში 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული ნებაყოფლობითი სტერილიზაცია ყოველწლიურად უტარდებოდა დაახლოებით 5 მილიონ ადამიანს, ხოლო უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კონტრაცეპტული საშუალება გამოიყენა დაახლოებით 60 მილიონმა ქალმა. დემოგრაფიული პოლიტიკის სხვა ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ქორწინების ასაკის გაზრდა. 1950 წლებში ეს ასაკი შეადგენდა ქალებისთვის 15 წელს, ხოლო მამაკაცებისათვის 22 წელს. 1960-იან წლებში ქალის საქორწინო ასაკი გაიზარდა 17 წლამდე, ხოლო 1970 წლებში – 18 წლამდე.

ზემოთ აღნიშნული დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებმა გარკვეული შედეგი გამოიღო. თუ 1961 წელს შობადობა შეადგენდა 42‰-ს, 2005 წელს იგი 22‰-მდე შემცირდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდოეთმა გაიარა "დემოგრაფიული აფეთქების" ფაზა, თუმცა მოსახლეობის წლიური ზრდის საგრძნობ შემცირებაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. არ გამართლდა ინდოეთის მთავრობისა და საერთაშორისო ექსპერტების ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ქვეყნის მოსახლეობის წლიური ზრდის ტემპი XXI საუკუნის დასაწყისისათვის 1%-მდე შემცირდებოდა. სინამდვილეში ინდოეთის მოსახლეობის საშუალო წლიურმა ზრდამ ახალი ათასწლეულის დასაწყისში 1,5% შეადგინა. ქვეყანაში შობადობის დონის რადიკალურ შემცირებას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის რელიგიური (ინდუისტური იდეოლოგია მხარს უჭერს მრავალშვილიანობას), ინდოელ

[2] სტერილიზაციის დროს ქირურგიული ჩარევის შედეგად ადამიანი კარგავს ბავშვის ჩასახვის უნარს, თუმცა მას სქესობრივი ფუნქციის ჰორმონალური რეგულაციის თვისებები უნარჩუნდება. ძალდატანებითი სქესობრივი სტერილიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გენოციდის ერთ-ერთი ფორმა. მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანია ამ მეთოდს სამხედრო ტყვეების მიმართ იყენებდა.

ქალთა უუფლებო მდგომარეობა საზოგადოებასა და ოჯახში, საზოგადოების განათლების დაბალი დონე, ქვეყნის სუსტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, დემოგრაფიული პოლიტიკის სრულყოფილი განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური საშუალებების ნაკლებობა.

რუსეთი იმ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, სადაც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შობადობის მკვეთრი შემცირება აღინიშნება. ამ პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიძინა. რუსი დემოგრაფების შეფასებით უკვე ჩვენი საუკუნის შუაში რუსეთის მოსახლეობა 50%-ით შემცირდება და მისი მოსახლეობის რიცხვი აღნიშნული დროისათვის 100 მილიონი გახდება. რუსეთი მრავალეთნიკური ქვეყანაა და მასში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისათვის მოსახლეობის გამრავლების განსხვავებული რეჟიმია დამახასიათებელი. იმ დროს, როდესაც რუსეთის მუსლიმების რაოდენობა ბუნებრივი მოძრაობის დადებითი მაჩვენებლის გამო საგრძნობი ტემპით იზრდება, ეთნიკური რუსების რაოდენობა კატასტროფული ტემპით მცირდება. ამ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში დაახლოებით 50 წლის შემდეგ ეთნიკური რუსები მთელი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს შეადგენენ. რუსეთის მთავრობა იმედოვნებდა, რომ შექმნილი რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი გამოსავალი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ეთნიკური რუსების დაბრუნება იქნებოდა. 1990-იან წლებში ისტორიულ სამშობლოში მილიონობით ეთნიკური რუსი დაბრუნდა, თუმცა ეს პროცესი 2000 წლისათვის პრაქტიკულად დასრულდა და მას დიდი დემოგრაფიული ეფექტი არ ქონია, რადგან მრავალშვილიანობა არც რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური რუსებისთვის იყო დამახასიათებელი. შესაბამისად, მათი ჩამოსვლით რუსეთში დემოგრაფიული სიტუაცია რადიკალურად არ შეცვლილა. ამასთან, უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით 15-60 წლის ასაკის ადამიანებში, სიკვდილიანობის დონე მკვეთრად გაიზარდა. ამ ასაკში გარდაცვლილ ადამიანთა შორის 80%-ს მამაკაცები შეადგენენ. მამაკაცთა მზარდი სიკვდილიანობა პირდაპირ აისახა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ქალები საშუალოდ 12 წლით მეტ ხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში დემოგრაფიული სიტუაცია არ გაუმჯობესდება, მაშინ 10-15 წლის შემდეგ ქვეყანა სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი დეფიციტის წინაშე აღმოჩნდება. ამ დეფიციტის აღმოფხვრა კი სხვა ქვეყნებიდან დიდი რაოდენობის

მუშახელის შემოყვანით იქნება შესაძლებელი, რაც ისედაც რთულ ეთნოდემოგრაფიულ სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებს.

ცხადია, რუსეთის ხელისუფლება ცდილობს გარკვეული ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას. 2001 წელს რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებს სიკვდილიანობის დონის შემცირება და შობადობის დონის სტაბილიზაცია წარმოადგენს. ქვეყნის ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია უახლოეს მომავალში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების გარეშე. რუსეთის ხელისუფლებას ამისათვის შესაბამისი ფინანსური საშუალებები გააჩნდა. 2000-იანი წლების პირველ ათწლეულში, ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე ფასის ზრდის ზრდის შედეგად, ქვეყანამ დიდი მოგება ნახა. ენერგომატარებლებით ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავალი რუსეთის სტაბილიზაციის ფონდში იყრიდა თავს, რომელიც 2008 წლისთვის 156 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ამ თანხების სწორი გამოყენების შემთხვევაში რუსეთს შეეძლო თავისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონის ამაღლება და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება. რუსეთში დაწესდა ბავშვის ყოველთვიური შემწეობები, დაახლოებით 3-6 ამერიკული დოლარის ეკვივალენტის ოდენობით, ხოლო ბავშვის შეძენის შემდეგ, ვიდრე ის 18 თვის ასაკის არ შესრულდება, ოჯახი იღებს დაახლოებით 500 რუსულ რუბლს (დაახლოებით 20 ამერიკული დოლარი). მაგრამ, ამგვარი თანხები არასაკმარისია, რომ ახალგაზრდა ოჯახებს ბევრი ბავშვის ყოლის სტიმული გაუჩნდეთ. რუსი მეცნიერები და ექსპერტები სამართლიანად ვარაუდობენ, რომ შობადობის ამაღლების ყველაზე ეფექტური საშუალება იქნებოდა ახალგაზრდა ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესება, კერძოდ, ბინათმშენებლობის მიზნით მათთვის გრძელვადიანი შეღავათიანი იპოთეკური სესხების მიცემა. ამ იდეის ხორცშესხმა საკმაოდ დიდ დაფინანსებასთან არის დაკავშირებული და ის რეალურად შესრულებადი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუკი რუსეთის მთავრობა სტაბილიზაციის ფონდის თანხებს გამოიყენებდა. სინამდვილეში, რუსეთის ხელისუფლება სხვა გზით წავიდა. 2008 წელს სტაბილიზაციის ფონდი გარდაიქმნა, ხოლო არსებული თანხები ძირითადად ქვეყნის შეიარაღების გაძლიერებაში დაიხარჯა.

ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ხელისუფლება საკმაოდ აქტიურ დომოგრაფიულ პოლიტიკას განახორციელებდა. სოციალისტური ბანაკის დაშლისა და ევროპაში კომუნისტური

მმართველობის გაუქმების შემდეგ ამ ქვეყნებმა დემოგრაფიული პოლიტიკის ტრადიციები შეინარჩუნეს. ჩეხეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც სახელმწიფო კომპლექსური ღონისძიებების შედეგად ცდილობს, ხელი შეუწყოს შობადობის დონის ამაღლებას. ჩეხეთის დემოგრაფიული პოლიტიკა მოიცავს, როგორც შობადობის წახალისების პირდაპირ, ისე ირიბ ფორმებს. პირდაპირი ფორმა გულისხმობს იმ მატერიალურ შემწეობებს, რომელსაც სახელმწიფო უხდის დედას ან ორივე მშობელს ბავშვის გაჩენის შემდეგ. კერძოდ, პირველი ბავშვის გაჩენისთანავე ოჯახი (მარტოხელა დედა) იღებს შემწეობას დაახლოებით 150 ამერიკული დოლარის ოდენობით; მეორე ბავშვის გაჩენის შემდეგ ორივე შვილზე – დაახლოებით 500 დოლარს; ხოლო მესამეს გაჩენის შემდეგ სამივე შვილზე – 900 დოლარს; მეოთხე ბავშვის გაჩენის შემდეგ ოთხივე შვილზე – 1 300 დოლარს; ყოველი შემდგომი ბავშვის გაჩენის შემდეგ უკანასკნელ თანხას ყოველთვიურად დაახლოებით 220 დოლარი ემატება. აღსანიშნავია, რომ ბავშვის ოჯახი აღნიშნულ თანხებს ბავშვის დაბადებიდან შემდგომი 15 წლის განმავლობაში ყოველთვიურად იღებს. დედის დეკრეტული შვებულება 28 კვირით განისაზღვრება. ამ ხნის განმავლობაში მას ხელფასის 90% უნაზღაურდება. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მშობელს უფლება აქვს, გაიგრძელოს დეკრეტული შვებულება კიდევ ერთი წლით, თუ მას პირველი შვილი ეყოლა და ორი წლით, თუ მას მეორე შვილი ეყოლა. ამ პერიოდში დედა (მშობელი) სახელმწიფოსგან შემწეობის სახით დღეში 6-8 დოლარს იღებს. გარდა ამისა, ოჯახი შვილის დაბადებიდან შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან ყოველთვიურ, დაახლოებით 80 დოლარის ოდენობის, შემწეობას იღებს. გარდა მატერიალური წახალისებებისა, სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაში შეღავათების არაპირდაპირ ფორმასაც იყენებს. ახალგაზრდა ბავშვიან ოჯახებს, ბინათმშენებლობისა და ავეჯის შეძენის მიზნით, საშუალება აქვთ, ბანკიდან შეღავათიანი სესხები აიღონ. გარდა ამისა, დედას, რომელსაც 15 წლამდე ასაკის შვილი ჰყავს, სამუშაო დრო დღეში ნახევარი საათით უმცირდება.

ჩეხეთში რთული დემოგრაფიული სიტუაციაა, თუმცა მთავრობის მცდელობამ გარკვეული შედეგი გამოიღო – ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა სტაბილური გახდა.

2.7 მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება

მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდის შედეგად მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებსა და ქვეყნებში წარმოიშვა ჭარბმოსახლეობის პრობლემა. მალთუსის თეორიის მიმდევრები დღემდე ამტკიცებენ, რომ მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კატასტროფას უქადის მთელ ჩვენს პლანეტას, განსაკუთრებით კი მის განვითარებად ნაწილს. მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პროგნოზირება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო. დემოგრაფიულმა პროგნოზირებამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს დიდი ნაწილი "დემოგრაფიული აფეთქების" ფაზაში შევიდა.

დემოგრაფიული პროგნოზი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მეცნიერულად დასაბუთებული ვარაუდია, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის მომავალი დემოგრაფიული სურათის დადგენა. დემოგრაფიული პროგნოზის გაკეთებისას მეცნიერები იყენებენ არსებულ ფაქტებს, ციფრებსა და თეორიულ გამოცდილებას, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - სამეცნიერო ინტუიციას. გამომდინარე იქიდან, რომ დემოგრაფიული სიტუაცია მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს, პროგნოზირების დროს განსაკუთრებულად ღირებულია მოვლენების შესაძლო განვითარების კომპლექსური ხედვა.

დემოგრაფიული პროგნოზირება მრავალვარიანტულია. პროგნოზის ვარიანტთა სიმრავლეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ზუსტად არ არის ცნობილი, რომელ კალაპოტში წარიმართება მოსახლეობის აღწარმოების პროცესი. ამდენად, აუცილებელია რამდენიმე ვარიანტის (ვერსიის) შექმნა, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება დემოგრაფიული განვითარების თითქმის ყველა შესაძლო სცენარი. მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლების სიდიდის მიხედვით, როგორც წესი, გამოიყენება დემოგრაფიული პროგნოზის სამი ვარიანტი: დაბალი, საშუალო და მაღალი. დაბალი სახის ვარიანტში იგულისხმება, რომ მომავალში მოსახლეობის ზრდა წარიმართება მოსახლეობის აღწარმოების დაბალი მაჩვენებლების საფუძველზე, შესაბამისად, მაღალ ვარიანტში გათვალისწინებულია აღწარმოების

მაღალი მაჩვენებლები, ხოლო საშუალო ვარიანტი, რომელსაც ყველაზე რეალისტურად მიიჩნევენ, წარმოადგენს წინა ორი ვარიანტის გასაშუალოებულ ვერსიას.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით დემოგრაფიული პროგნოზი შეიძლება იყოს: მოკლევადიანი, რაც მოიცავს პერიოდს 5 წლამდე; საშუალოვადიანი – 30 წლამდე, რაც ემთხვევა ერთი დემოგრაფიული თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობას; და გრძელვადიანი. ეს უკანასკნელი გულისხმობს დემოგრაფიული პროგნოზის გაკეთებას 30 და მეტი წლის პერსპექტივით. დემოგრაფთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გრძელვადიანი პროგნოზი არ შეიძლება აღემატებოდეს 60 წელს (რაც მოიცავს ორ დემოგრაფიულ თაობას). მათივე აზრით, უფრო გრძელვადიანი გათვლა იქნება არა პროგნოზი, არამედ უბრალო ვარაუდი.

1960-იან წლებში "რომის კლუბმა" შეიმუშავა მოსახლეობის "ნულოვანი ზრდის" კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს უნდა განეხორციელებინათ პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც შეაჩერებდნენ მოსახლეობის სწრაფ ზრდას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა "დემოგრაფიული აფეთქების" შედეგად გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების (სიღარიბე, უმუშევრობა, ბუნებრივი რესურსების უკონტროლო გამოყენება, გარემოს დაბინძურება და სხვა) თავიდან აცილებას. აღნიშნული კონცეფციის შემუშავებისას "რომის კლუბი" ეყრდნობოდა "ალარმისტულ" ("საგანგაშო") დემოგრაფიულ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც XXI საუკუნის შუაში მსოფლიოში დაახლოებით 50 მილიარდი ადამიანი იცხოვრებდა. დღევანდელი გადასახედიდან ადვილი მისახვედრია, რომ ამ პროგნოზს განხორციელება არ უწერია.

იმავდროულად, გაეროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა "დედამიწის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციის" კონცეფცია. ეს ნაშრომი ეფუძნებოდა ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც მომავალში მოსახლეობის ზრდა არათუ შენელდება, არამედ შეწყდება კიდეც. ეს კონცეფცია რეალისტურად შეიძლება შეფასდეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში უკვე გამოიკვეთა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანდაცვის, განათლების დონის ამაღლების ტენდენციები. ძირითადი კითხვაა, თუ როდის დადგება მსოფლიოსა და მისი მსხვილი რეგიონების მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციის პერიოდი, კერძოდ კი, როდის დაიწყე-

ბა აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე, ე.ი. "დემოგრაფიული კრიზისის" ფაზა?

ცხრილი №7

მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მოსახლეობის დინამიკა 2018-2050 წლებში (პროგნოზის საშუალო ვარიანტი)

	მოსახლეობის რაოდენობა (მილიონებში)		
	2018	2025	2050
ევროპა	742,6	742,5	715,7
ჩრდილოეთი ამერიკა	363,8	382,5	434,6
ლათინური ამერიკა	652,0	693,3	779,8
აზია	4545,1	4799,9	5256,9
აფრიკა	1287,9	1522,3	2527,6
ავსტრალია და ოკეანეთი	41,3	45,1	57,1
მსოფლიო	**7632,8**	**8185,6**	**9771,8**

წყარო: The World Population Prospects: The 2006 Revision. UN Population Division. www.esa.un.org

ამ მნიშვნელოვან შეკითხვას პასუხი რომ გავცეთ, ჯერ უნდა განვიხილოთ, როგორი დემოგრაფიულ ტენდენციებია მოსალოდნელი მსოფლიოში უახლოესი 50 წლის განმავლობაში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შემდგომი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოსალოდნელია მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ტემპის მნიშვნელოვნად შემცირება, როგორც გლობალური, ისე რეგიონული მასშტაბით. იმ შემთხვევაში, თუ 2000-2005 წლებში მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა 1,2%-ს შეადგენდა, გაეროს დემოგრაფების პროგნოზით, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 40 წელიწადში 0,4%-მდე, ე.ი. სამჯერ შემცირდება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპის ყველაზე საგრძნობი კლება იქნება ლათინურ ამერიკასა და აზიაში. ამ რეგიონებში მოსალოდნელია მოსახლეობის ზრდის საშუალო წლიური მაჩვენებლის მნიშვნელოვანი შემცირება (ლათინურ ამერიკაში შვიდჯერ, ხოლო აზიაში ექვსჯერ), რაც განპირობებული იქნება მათი მოსახლეობის შობადობის დონის მკვეთრი კლებით. მოსახლეობის რაოდენობის შესამჩნევი ზრდა მხოლოდ აფრიკაში შენარჩუნდება (იხ. ცხრილი №7). შემდგომი 50 წლის განმავლობაში

“შავი კონტინენტის” მოსახლეობა თითქმის 2,5-ჯერ გაიზრდება. მიუხედავად ამისა, შობადობის დონის შემცირების ხარჯზე აფრიკაში ბუნებრივი მატების მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად დაეცემა. მიმდინარე საუკუნის შუა პერიოდში აფრიკის მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 1,2%-ით მოიმატებს, რაც ამჟამინდელ ანალოგიურ მაჩვენებელზე თითქმის 2-ჯერ ნაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ყველა რეგიონში საგრძნობლად მცირდება ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის “ნულოვან” ზრდამდე ანუ სტაბილიზაციამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება ხდება როგორც მსხვილი გეოგრაფიული ერთეულების (მთელი მსოფლიოს, ცალკეული კონტინენტების ან ქვეყნების), ისე მცირე გეოგრაფიული ერთეულების (რაიონების ან დასახლებული პუნქტების) დონეზე. საკმაოდ გავრცელებულია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის დინამიკის პროგნოზირება, რასაც ფუნქციონალური პროგნოზირება ეწოდება. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ვიწრო პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში პროგნოზისტების მიზანია, განსაზღვრონ მოსახლეობის იმ ჯგუფების რაოდენობის დინამიკა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტერიტორიული ერთეულის ან ორგანიზაციების, ფირმების, კორპორაციების ან სხვა სტრუქტურების ცხოვრებაში. ამ სახის პროგნოზი გამოიყენება მოსწავლეების, პენსიონერების, წვევამდელების, ამომრჩევლების, დასაქმებულთა, კონკრეტული პროდუქციის ან სერვისის მომხმარებლების სამომავლო რაოდენობის დასადგენად. ფუნქციონალური პროგნოზირების შედეგები ფართოდ გამოიყენება იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც დაკავებული არიან შეიარაღებული ძალების, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, სავაჭრო, სატრანსპორტო, საარჩევნო, ეკონომიკური, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა საკითხების შესწავლითა და გადაწყვეტით.

თავი 3. მოსახლეობის სტრუქტურა და ხარისხი

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა და მიგრაცია უშუალო ზეგავლენას ახდენს მისი სტრუქტურის (შემადგენლობის) და ხარისხის სპეციფიკაზე. მოსახლეობის სტრუქტურის მრავალფეროვნება განპირობებულია მოსახლეობის ბიოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მახასიათებლებით.

მოსახლეობის სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ჭრილში. პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ მახასიათებლებთან, ანუ მოსახლეობის ისეთ ნიშნებთან, რომლებიც საერთოა მსოფლიოს ყველა რეგიონისათვის. მეორე მიდგომა გულისხმობს მსოფლიოს ცალკეული რეგიონის, ქვეყნების მოსახლეობის შემადგენლობაში განსხვავებების გამოვლენას. სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის მიხედვით კი, ადამიანებს განასხვავებენ ბიოლოგიური (რასობრივი) და კულტურული (ეთნიკური, ენობრივი) ნიშნებით.

მეცნიერებაში, მათ შორის გეოგრაფიულ მეცნიერებაში, მოსახლეობის სტრუქტურის დახასიათება, როგორც წესი, ხდება უფრო კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით, კერძოდ, სქესობრივი, ასაკობრივი, განათლების დონის (ცენზის), დასაქმების, რასობრივი, ლინგვისტური, რელიგიური და ა.შ.

სახელმძღვანელოს მოცემულ ნაწილში, ჩვენ გავეცნობით მოსახლეობის სტრუქტურის ზოგად და რეგიონულ თავისებურებებს.

3.1 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მოსახლეობის არა მარტო დემოგრაფიული, არამედ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური მახასიათებელია. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა ყალიბდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის პროცესში. შესაბამისად, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მოცემული საზოგადოების გამრავლების (აღწარმოების) დრო-სივრცითი თავისებურებანი.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა გვიჩვენებს პროპორციას მამაკაცთა და ქალთა შორის. ამ სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ უმნიშვნელოვანესია შემდეგი ორი:

- მსოფლიოში იბადება უფრო მეტი მამაკაცი, ვიდრე ქალი;
- ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები.

ბუნების ამ ორი კანონის თანახმად, გამოდის, რომ მოსახლეობის ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში (20 წლამდე ადამიანებს შორის) მამაკაცები ქალებს ჭარბობენ. ეს მართლაც ასეა, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე საშუალოდ 104-106 ბიჭი მოდის. ქალებთან შედარებით მამაკაცთა მაღალი სიკვდილიანობის გამო ორივე სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა დაახლოებით 30-40 წლის ასაკში თანაბრდება (აფრიკაში სიკვდილიანობის მაღალი დონის შედეგად ეს თანაფარდობა ყალიბდება დაახლოებით 20-25 წლის ადამიანებში, ხოლო ჩრდილოეთ ევროპაში – დაახლოებით 45-50 წლის ადამიანებში). აქედან გამომდინარე, წესით, ხანშიშესული ასაკის ადამიანებში ქალები მამაკაცებს უნდა ჭარბობდნენ. ეს წესი ვრცელდება მსოფლიოს ყველა მსხვილ რეგიონზე, აზიის გარდა *(იხ. ცხრილი №8)*. საქმე ისაა, რომ ქალთა უუფლებო მდგომარეობა ყველაზე თვალსაჩინო აზიაშია. ამ რეგიონში, ქალები ბავშვობიდანვე უაღრესად რთულ სამუშაოებზე არიან დასაქმებულნი, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამცირებს მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას. აზიის ხარჯზე, მსოფლიოში 65 მილიონით მეტი მამაკაცი ცხოვრობს, ვიდრე ქალი.

რაც შეეხება განვითარებულ სამყაროს, აქ მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში ქალთა სიჭარბე ჩვეულებრივი მოვლენაა.

ცხრილი №8

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით (2015 წ.)

რეგიონი	მამაკაცთა რაოდენობა	ქალთა რაოდენობა	ყოველ 100 ქალზე მამაკაცთა რაოდენობა
		მილიონი ადამიანი	
ევროპა	358	383	93,4
აზია	2262	2158	104,8
აფრიკა	596	598	99,7
ლათინური ამერიკა	258	264	97,8
ჩრდილოეთ ამერიკა	154	160	98,0
ავსტრალია და ოკეანეთი	15,5	15,4	100,2
მსოფლიო	**3 724**	**3 659**	**101,8**

წყარო: (WPP, 2017) The World Population Prospects: The 2017 Revision. Total Population by Sex. https://population.un.org/wpp/DataQuery/

რეგიონებისა და ქვეყნების სქესობრივი სტრუქტურების შედარებისათვის ყველაზე მოსახერხებელია ყოველ 100 ქალზე (ან ყოველ 1000 ქალზე) მამაკაცთა რაოდენობის მაჩვენებლის გამოყენება (მსოფლიოს რეგიონების მიხედვით, ეს მაჩვენებლები მოცემულია მე-9 ცხრილის ბოლო სვეტში). ასეთი მიდგომა დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ როგორი ვითარებაა ცალკეულ ქვეყანაში მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის მხრივ. როგორც აღინიშნა, მოსახლეობაში მამაკაცთა რაოდენობის სიჭარბით გამოირჩევიან აზიის ქვეყნები. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ავღანეთი, ინდოეთი, ირანი, პაკისტანი, იორდანია, მალაიზია, ბუტანი, ყოველ 100 ქალზე 103-108 მამაკაცი მოდის. მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურაში დიდი დისბალანსი შეინიშნება იმ ქვეყნებში, სადაც მნიშვნელოვან ბუნებრივ მატებასთან ერთად აღინიშნება ინტენსიურ იმიგრაცია. ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება ახლო აღმოსავლეთის ენერგო-

მატარებლებით მდიდარი ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ ყატარში ყოველ 100 ქალზე 306(!) მამაკაცი მოდის. მოსახლეობის სტრუქტურაში აღნიშნული სქესობრივი დისბალანსი დამახასიათებელია გაერთიანებული არაბული საემიროების, ქუვეითის, ომანისა და ბაჰრეინისთვის (WPP, 2017).

სქესობრივი სტრუქტურა დარღვეულია იმ ქვეყნებშიც, რომელთა მოსახლეობას უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში გამოაკლდა მამაკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი ომის ან მასშტაბური ემიგრაციის გამო, ხოლო ბუნებრივი მატება მათში ნულოვანი ან უარყოფითია. ამ ტიპის ქვეყნებს მიეკუთვნება საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები, სადაც ქალთა მიმართ დაფიქსირებულია მამაკაცთა ყველაზე დაბალი რაოდენობა. რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსში, ესტონეთში, ლატვიაში, სომხეთსა და ლიტვაში ყოველ 100 ქალზე 84-89 მამაკაცი მოდის. საქართველოსათვის ეს მაჩვენებელი 91,3-ის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა არადამაკმაყოფილებელია (WPP, 2017).

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ მოსახლეობის განაწილება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. ასაკობრივი სტრუქტურის ზოგადი დახასიათებისას გამოიყენება მოსახლეობის დაყოფა შემდეგ 3 ასაკობრივ ჯგუფად:

- 0-14 წელი – სამუშაომდელი ასაკის ან ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი;
- 15-59 წელი – შრომის ასაკის ჯგუფი;
- 60 წლის და მეტი – საპენსიო ასაკის ან ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფი.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ფორმირება რიგი ფაქტორების ზეგავლენით ხდება (მიგრაციები, სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, ომები, ეპიდემიები, ბუნებრივი კატაკლიზმები), თუმცა ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს შობადობისა და სიკვდილიანობის დონეების დინამიკა. მაგ., თუ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაღალი ტემპით მიმდინარეობდა, ამ შემთხვევაში მოცემული ქვეყნის (რეგიონის, დასახლების) მოსახლეობაში ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი მაღალი იქნება. მოსახლეობის გამრავლების დაბა-

ლი ტემპის პირობებში მოსახლეობის დაბერება ხდება, შესაბამისად ამ შემთხვევაში სამუშაომდელი ასაკის ჯგუფის ხვედრითი წილი მცირდება, რის შედეგად მთელ მოსახლეობაში საპენსიო ასაკის ჯგუფის პროცენტული მაჩვენებელი იზრდება. მასშტაბური ემიგრაციის არსებობის შემთხვევაში მთელ მოსახლეობაში სამუშაო ასაკის ადამიანების ხვედრითი წილი შემცირდება.

მსოფლიოს მსხვილი რეგიონების ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებლების განხილვა საშუალებას გვაძლევს, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გეოგრაფიული განსხვავებები აღმოვაჩინოთ *(იხ. ცხრილი №9*).

აფრიკა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა რეგიონია, სადაც ახალგაზრდა ასაკის (15 წლამდე) ადამიანები მთელი მოსახლეობის 40%-ზე მეტს შეადგენენ, იმ დროს, როდესაც ევროპისთვის ეს მაჩვენებელი 2,5-ჯერ ნაკლებია. ევროპის მოსახლეობის დაბერებაზე ნათლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ ყოველი მეხუთე ევროპელი საპენსიო ასაკის ადამიანია. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ აფრიკაში 60 წელზე უფროსი ადამინები მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენენ.

ცხრილი №9

მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (2015 წ.)

რეგიონი	ასაკობრივი ჯგუფები (%-ში)		
	0-14 წელი	15- 19 წელი	60+ წელი
ავსტრალია და ოკეანეთი	23,6	60,0	16,4
აზია	24,6	63,8	11,6
აფრიკა	41,0	53,6	5,4
ევროპა	15,8	60,4	23,8
ლათინური ამერიკა	25,6	63,2	11,2
ჩრდილოეთ ამერიკა	18,9	60,4	20,7
მსოფლიო	**26,1**	**61,6**	**12,3**

წყარო: (WPP, 2017) The World Population Prospects: The 2017 Revision. Percentage of Total Population by Broader Age Groups. https://population.un.org/wpp/DataQuery/

მოსახლეობაში ახალგაზრდა ადამიანების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევიან ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ქვეყ-

ნები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანში, კერძოდ, უგანდაში, მალიში, ნიგერში, მალავიში, ლიბერიაში ყოველი მეორე ადამიანი 15 წლამდე ასაკისაა. მოსახლეობაში სამუშაომდელი ასაკის ადამიანების ასეთი მაღალი წარმომადგენლობა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს უქმნის ისედაც ღარიბ აფრიკის სახელმწიფოებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მოზარდი თაობის განათლებით უზრუნველყოფა და მათი შემდგომი დასაქმება. აღსანიშნავია, რომ წერა-კითხვის არცოდნის და უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე სწორედ იმ ქვეყნებშია დაფიქსირებული, სადაც 15 წლამდე ასაკის მოზარდები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ.

საგულისხმოა, რომ მსოფლიოს ყველა მსხვილ რეგიონში სამუშაო ასაკის ადამიანები მთელი მოსახლეობის დაახლოებით 60-65%-ს შეადგენენ (გამონაკლისს მხოლოდ აფრიკა წარმოადგენს). სამუშაო ასაკის და დანარჩენი მოსახლეობის ამგვარი შეფარდება ნორმალურ მოვლენად მიიჩნევა. თუმცა, ზოგიერთი ქვეყანა გამოირჩევა 15-59 წლის ადამიანების გადაჭარბებულად მაღალი წილით. ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, შობადობის მაღალი დონე, ხოლო, მეორე მხრივ, ინტენსიური შრომითი იმიგრაცია. მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში დისბალანსი წარმოიშობა ქვეყანაში დიდი რაოდენობის სამუშაო ძალის შემოსვლის ხარჯზე. ახლო აღმოსავლეთის 2 ქვეყანაში – არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და ყატარში შრომის ასაკის ადამიანები მთელი მოსახლეობის 80%-ზე მეტს შეადგენენ. შესაბამისად, აქ მცირეა საპენსიო ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილი – რაც დაახლოებით 2%-ის ტოლია. ზემოთ აღინიშნა, რომ ხანდაზმული ასაკის ადამიანთა წილი დაბალია აფრიკის ქვეყნებში, თუმცა ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისგან განსხვავებით, ამ კონტინენტზე ეს მოსახლეობის სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობითაა გამოწვეული. საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე ევროპაში. კერძოდ, სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობა და შობადობის დაბალი დონე ევროპული საზოგადოების „გადაბერების“ მთავარი მიზეზია. პენსიონერთა წილი რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანიაში, შვედეთში, ბელგიაში) დაახლოებით 25%-ს აღწევს, რაც ძალზე არასასურველი მაჩვენებელია (WPP, 2017).

3.2 მსოფლიოს ქვეყნების ტიპოლოგია ბუნებრივი მოძრაობის და მიგრაციის მახასიათებლების მიხედვით

მოსახლეობის გამრავლების და მიგრაციული პროცესების სპეციფიკის გამოვლენის კიდევ ერთი საშუალებაა ქვეყნების სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდების[1] შედარება.

მსოფლიოს ქვეყნების ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის მაჩვენებლების ანალიზმა საშუალება მოგვცა, ეს ქვეყნები პირობითად 6 ძირითად ტიპად დაგვეყო, შესაბამისად, შეიქმნა 6 განსხვავებული კონფიგურაციის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა.

აღნიშნული ტიპოლოგია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. პირველი ჯგუფი: აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები (მოდელი - სენეგალი, იხ. *ნახ. №6*). ამ ჯგუფის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია კლასიკური პირამიდის მოდელი. ძირითადი მახასიათებლები:
   - შობადობის დონე მაღალია, თუმცა ის ეტაპობრივად მცირდება.
   - სიკვდილიანობა შედარებით მაღალია, მაგრამ განუხრელად მცირდება.
   - უმეტესად საგარეო მიგრაციების უარყოფითი სალდო.
   - ახალგაზრდა ასაკის ადამიანების მაღალი ხვედრითი წილი.

[1] მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის აგება ხდება სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების მაჩვენებლების გამოყენებით. პირამიდის ერთ გვერდზე წარმოდგენილია - მამაკაცთა, ხოლო მეორე გვერდზე ქალთა რაოდენობა, რომელიც დალაგებულია 5- წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ნახ. №6

სენეგალის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
(2015 წელი)



წყარო : Age-sex pyramid of Senegal.The World Factbook. https://www.cia.gov/index.html

2. აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნები, სადაც დაწყებულია შობადობის შემცირება (მოდელი - ტაილანდი, *იხ. ნახ. №7*).

   ძირითადი მახასიათებლები:

   - მაღალი ბუნებრივი მატება;
   - ამ ჯგუფის ქვეყნებში უმეტესობაში დაბალი სიკვდილიანობა;
   - უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში აღინიშნა შობადობის სწრაფი კლება.

ნახ. №7

ტაილანდის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
(2015 წელი)



წყარო: Age-sex pyramid of Thailand. The World Factbook. https://www.cia.gov/index.html

3. დასავლეთ ევროპის ქვეყნები (მოდელი - ნიდერლანდები, *იხ. ნახ. №8*)

   ძირითადი მახასიათებლები:

   - ბუნებრივი მატების ნულოვანი ან უარყოფითი მაჩვენებლები.
   - საგარეო მიგრაციების მნიშვნელოვანი დადებითი სალდო.
   - საპენსიო ასაკის ადამიანების ძალიან მაღალი ხვედრითი წილი.

ნახ. №8

ნიდერლანდები მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
(2015 წელი)



წყარო: Age-sex pyramid of Nederland. The World Factbook. https://www.cia.gov/index.html

4. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (მოდელი - უკრაინა, *იხ . ნახ №9*).

ძირითადი მახასიათებლები:

- როგორც წესი, ბუნებრივი კლება, ზოგ შემთხვევაში უმნიშ-ვნელო ბუნებრივი მატება, მზარდი სიკვდილიანობის დონე;
- როგორ წესი, საგარეო მიგრაციების უარყოფითი სალდო;
- სქესობრივ სტრუქტურაში ქალთა მაღალი ხვედრითი წილი;
- საპენსიო ასაკის ადამიანების მაღალი ხვედრითი წილი.

ნახ. №9

უკრაინის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
(2015 წელი)



წყარო: Age-sex pyramid of Ukraine. The World Factbook. https://www.cia.gov/index.html

5. ჩრდილოეთ ამერიკისა და ოკეანეთის განვითარებული, ლათინური ამერიკისა და აზიის საშუალოდ განვითარებული ქვეყნები (მოდელი - კანადა, *იხ. ნახ. №10*).

   ძირითადი მახასიათებლები:

   - ზომიერი ბუნებრივი მატება;
   - ამ ჯგუფის მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელია საგარეო მიგრაციების მნიშვნელოვანი დადებითი სალდო.

ნახ. №10

კანადის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
(2015 წელი)



წყარო: CENTRAL INTELLIGENCE AGENCY, https://www.cia.gov/index.html

6. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყნები (მოდელი - გაერთიანებული არაბული საემიროები, *იხ. ნახ №11*).

   ძირითადი მახასიათებლები:

   - დაბალი სიკვდილიანობა, მაღალი ბუნებრივი მატება;
   - საგარეო მიგრაციების მაღალი დადებითი სალდო;
   - სქესობრივ სტრუქტურაში მამაკაცთა ძალზე მაღალი ხვედრითი წილი;
   - საპენსიო ასაკის ადამიანების უაღრესად დაბალი ხვედრითი წილი;
   - სამუშაო ასაკის ადამიანების ძალზე მაღალი ხვედრითი წილი.

ნახ. №11

გაერთიანებული არაბული საემიროების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა (2015 წელი)



წყარო: Age- sex pyramid of United Arab Emirates.The World Factbook. https://www.cia.gov/index.html

ქვემოთ მოცემულ რუკაზე *(იხ. ნახ.№12*) მსოფლიოს ქვეყნები დაყოფილია, ზემოთ აღნიშნული 6 ტიპის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის მახასიათებლების მიხედვით.

ნახ. №12



უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ცალკეული რეგიონის თუ ქვეყნების სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა საკმაოდ დინამიკური მოვლენაა. მისი ცვლილება პირდაპირ უკავშირდება დემოგრაფიულ და მიგრაციულ პროცესებთან. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდების ტიპოლოგია 10-15 წლის შემდეგ ახალ სახეს მიიღებს.

3.3 მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

მოსახლეობის ხარისხი წარმოადგენს მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული, გეოგრაფიული და დემოკრატიული მახასიათებლების პირობით სისტემას. ეს სისტემა მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, მოსახლეობის ჯანდაცვისა და განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, პროფესიული სტრუქტურა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა (Демографический словарь, 1985: 183). მოსახლეობის ხარისხის თანამედროვე დასავლურ კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოცემული საზოგადოების დემოკრატიზაციის დონის შესწავლას.

მოსახლეობის ხარისხი მეტწილად არის დამოკიდებული ქვეყნის (ტერიტორიის, ადგილის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, გარემოს დაცვის ხარისხზე, ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებზე, საზოგადოების ტრადიციებზე, ყოფითი კულტურის დონეზე, ასევე, პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიულობასა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლებაზე.

ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ მოსახლეობის ზოგიერთ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებელზე, კერძოდ, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ჯანდაცვისა ხარისხსა და განათლების დონეზე.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა ადამიანთა სიკვდილიანობის განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს. მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მიუთითებს მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და/ან ჯანდაცვის სისტემის განვითარების დონეზე. ქვეყნის, რეგიონის მოსახლეობის ხარისხის ან დემოგრაფიული სიტუაციის დახასიათებისას ყველაზე ხშირად იყენებენ ტერმინს "სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა", თუმცა სამეცნიერო თვალსაზრისით უფრო კორექტულია "სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა". საქმე ისაა, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი ასახავს არა არსებულ სიტუაციას, არამედ გვაჩვენებს, როგორი იქნება ახლად დაბადებული თაობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. მაგ.,

2010-2015 წლებში შვედეთში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა განისაზღვრა 82 წლით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შვედეთის მოქალაქეები საშუალოდ ამდენ ხანს იცოცხლებენ. ეს მაჩვენებელი გავრცელდება ძირითადად იმ ადამიანებზე, რომლებიც 0-5 წლის არიან ან შემდგომი 5 წლის განმავლობაში დაიბადებიან. ამასთან, ეს მაჩვენებელი ძალაში იქნება იმ შემთხვევაში, თუ მომავალი ათწლეულების განმავლობაში შვედეთში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ან ეკოლოგიური სიტუაცია იმდენად არ შეიცვლება, რომ ეს უარყოფითად აისახოს სიკვდილიანობის დონეზე.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იდეალურ ვითარებაში ადამიანს 110-130 წელი შეუძლია იცოცხლოს, მაგრამ მრავალი ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ეს მაჩვენებელი ვერ მიიღწევა.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა (გამონაკლისს წარმოადგენს მასშტაბური ომებისა და საყოველთაო ეპიდემიების პერიოდები). ანტიკურ ეპოქაში ადამიანები საშუალოდ 25-30 წელს ცოცხლობდნენ. ორი საუკუნის წინ მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 40 წელს შეადგენდა (*Максаковский В., 2004: 113*). 1950 წლიდან დღემდე სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი მსოფლიოში 46-დან 71 წლამდე გაიზარდა. XX საუკუნეში სიცოცხლის ხანგრძლივობის საგრძნობი ზრდის ტენდენცია განაპირობა მეცნიერებისა და ტექნიკის, განსაკუთრებით კი, ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების მიღწევებმა, რამაც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და სანიტარულ-ჰიგიენური დონის გაუმჯობესება გამოიწვია. ეს ტენდენცია 50 წლის განმავლობაშიც შენარჩუნდება. დემოგრაფების პროგნოზით, 2050 წლისათვის მსოფლიოში მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი 75 წლამდე გაიზრდება (WPP, 2017).

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მსოფლიო მაჩვენებლის საგრძნობი ზრდა აღინიშნა XIX ს.-ის მეორე ნახევრიდან XX ს.-ის 80-იან წლებამდე. შემდეგ ეს ზრდა შენელდა და მსოფლიოს რიგ მსხვილ რეგიონებში (ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, აფრიკაში) მისი სტაბილიზაცია მოხდა. აღსანიშნავია, რომ თუ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის შენელება ამ რეგიონების "დემოგრაფიული დაბერებითაა" გამოწვეული. "ახალგაზრდა" აფრიკაში (ჩრდილოეთ აფრიკის გარდა) უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი 9 წლით გაიზარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ კონტინენტზე ვერ

მოხერხდა მოსახლეობის ჯანდაცვის რადიკალური გაუმჯობესება. სამაგიეროდ, უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის წყალობით, სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად (დაახლოებით 20 წლით) გაიზარდა.

ცხრილი №10

მოსახლეობის სიცოცხლის (მოსალოდნელი) საშუალო ხანგრძლივობა მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით

რეგიონი	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა		
	1950-1955 წწ.	1985-1990 წწ.	2010-2015 წწ.
ავსტრალია და ოკეანეთი	60,4	70,9	77,9
აზია	41,4	62,3	71,8
აფრიკა	38,4	51,5	60,2
ევროპა	65,6	73,1	77,2
ლათინური ამერიკა	51,4	66,7	74,7
ჩრდილოეთ ამერიკა	68,8	74,9	79,2
მსოფლიო	46,6	62,9	70,8

წყარო: (WPP, 2017). The World Population Prospects: The 2017 Revision. Life Expectancy at Birth. https://population.un.org/wpp/DataQuery/

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გეოგრაფიაში დიდი განსხვავებებია. ამაზე მეტყველებს ქვემოთ მოცემული მონაცემები (*იხ. ცხრილი №11*). როგორც ცხრილიდან ჩანს, ოკეანეთი და ევროპის 5 ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი 82 წელზე მეტია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 40-მდე ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობამ 80 წელს მიაღწია. ქვეყნები სიცოცხლის მაღალი ხანგრძლივობით გვხვდება ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტზე, გარდა აფრიკისა. ამ მხრივ, სამწუხაროდ, აფრიკა დანარჩენ მსოფლიოს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი აფრიკის 25 ქვეყანაში 60 წელზე დაბალია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აფრიკაში მძიმე მდგომარეობა საჰარის სამხრეთით მდებარე ნაწილშია. ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების წარმატებები მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების სფეროში თვალსაჩინოა. ამ რეგიონში სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი 71 წელზე მეტია, ხოლო ალჟირში, ტუნისსა და მაროკოში ის დაახლოებით 75 წლამდე აღწევს (WPP, 2017).

ცხრილი №11

ქვეყნები მოსახლეობის სიცოცხლის (მოსალოდნელი) საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლებით (საშუალო 2010-2015 წწ.-ში)

ქვეყნები სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით	წლები	ქვეყნები სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით	წლები
იაპონია	83,2	ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა	49,4
შვეიცარია	82,7	სიერა ლეონე	50,2
ავსტრალია	82,3	ჩადი	51,7
სინგაპური	82,3	კოტ დ'ივუარი	51,7
ისლანდია	82,2	ნიგერია	51,8
ისრაელი	80,0	სომალი	54,9
საფრანგეთი	80,0	სვაზილენდი	54,9
შვედეთი	80,0	სამხრეთ სუდანი	54,9

წყარო: (WPP, 2017) The World Population Prospects: The 2017 Revision. Life Expectancy at Birth. https://population.un.org/wpp/DataQuery/

საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2017 წლის მონაცემებით 73,5 წელს შეადგენდა. ეს არ არის ევროპული დონის მაჩვენებელი, თუმცა უფრო მაღალია, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობის ანალოგიური მაჩვენებელი. საქართველოში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 69,2 წლით განისაზღვრება, ქალების – 77,2 წლით (საქსტატი, 2017). 9 წელი განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში ნორმალური მაჩვენებელია. შეშფოთებას უნდა იწვევდეს სიტუაცია, როდესაც ეს სხვაობა 10 წელზე მეტია (მაგ., რუსეთში ის 12 წელს შეადგენს). ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით შედარებით ახალგაზრდა ასაკის ადამიანების, ინტენსიური ემიგრაცია უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დონეზე.

ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაში არსებული მდგომარეობა, როგორც წესი, პირდაპირ აისახება ქვეყნის მოსახლეობის ხარისხზე. ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომელიც ყალიბდება და ვითარდება სოციალურ-ეკონომიკური და

კულტურული ფაქტორების ზემოქმედებით. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, მასში სოციალური დაცვის მექანიზმების ეფექტური სისტემის არსებობაზე, მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობასა და ჯანდაცვის განვითარებაში ხელისუფლების დაინტერესების ხარისხზე. ეს უკანასკნელი ფაქტორი უაღრესად მნიშვნელოვანია. ზოგიერთი ქვეყანა არ გამოირჩევა ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ქვეყნის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ჯანდაცვის განვითარებაზე ხარჯავს. კუბას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ერთ-ერთი ყველაზე კარგად განვითარებული სისტემა აქვს, თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ ის განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.

მოსახლეობის ჯანდაცვის შეფასება შესაძლებელია მრავალი კრიტერიუმის საფუძველზე. ჩვენ გამოვიყენებთ იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტს ანიჭებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს მოსახლეობის ფონდი და მსოფლიო ბანკი.

ქვეყნის ჯანდაცვის დონის საუკეთესო მაჩვენებელია 1 ადამიანის სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯული საშუალო წლიური თანხა. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაზე დანახარჯების გარკვეული ნაწილი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებზე, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი – სამედიცინო დაზღვევაზე. საბოლოოდ, ჯანდაცვის დანახარჯები ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლების ნაწილით იფარება სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული საშემოსავლო და სხვა სახის გადასახადების ან სამედიცინო დაზღვევის პოლისებში გადახდილი თანხის სახით. შესაბამისად, რაც უფრო შემოსავლიანია ქვეყნის მოსახლეობა, მით მეტ თანხას ხარჯავს ის სამედიცინო მომსახურებაზე. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მსოფლიოში ერთი ადამიანის ჯანდაცვაზე საშუალოდ ყველაზე დიდი თანხა აშშ-ში იხარჯება. განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით განვითარებადი სამყაროს ღარიბ მოსახლეობას საკმარისი შემოსავალი არ გააჩნია იმისთვის, რომ დამაკმაყოფილებელი დონის სამედიცინო მომსახურებით ისარგებლოს. როგორც ქვემოთ მოცემული მონაცემებიდან ჩანს *(იხ. ცხრილი №12)*, აფრიკის ბევრ ქვეყანაში ერთი ადამიანის მკურნალობაზე ყოველწლიურად იმაზე ნაკლები თანხა იხარჯება, ვიდრე განვითარებულ ქვეყანაში ექიმთან ვიზიტში.

ცხრილი №12

ქვეყნები 1 ადამიანის ჯანდაცვაზე ყოველწლიური დანახარჯების ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლებით (2014 წ.)

ქვეყნები 1 ადამიანის ჯანდაცვაზე ყველაზე მაღალი დანახარჯებით	1 ადამიანზე წლიური დანახარჯები (აშშ დოლარი)	ქვეყნები 1 ადამიანის ჯანდაცვაზე ყველაზე დაბალი დანახარჯებით	1 ადამიანზე წლიური დანახარჯები (აშშ დოლარი)
აშშ	9 403	მადაგასკარი	44
ლუქსემბურგი	6 812	ერიტრეა	51
შვეიცარია	6 468	ნიგერი	54
ნორვეგია	6 347	ბურუნდი	58
ნიდერლანდები	5 202	გვინეა	68
შვედეთი	5 219	სამხრეთ სუდანი	73
გერმანია	5 182	ეთიოპია	73
ავსტრია	5 039	ტოგო	76

წყარო: (WHO, 2014) World Health Organization. Total Expenditure on Health Per Capita, 2014. http://www.who.int/countries/dnk/en/

ქვეყანაში სამედიცინო მომსახურებისა და ჯანდაცვის განვითარების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ჩვილთა სიკვდილიანობა, რომელიც გვიჩვენებს, ყოველ 1000 დაბადებულზე რამდენი 1 წლამდე ასაკის ბავშვი გარდაიცვალა. მე-13 ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს განსხვავებებს განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. იმ დროს, როდესაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები 2-3‰-ს ტოლია, აფრიკისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი 70‰-ზე მეტია (The World Factbook, 2017).

საქართველოში ჩვილთა სიკვდილიანობა დაახლოებით 10‰-ს ტოლია, რაც მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია (საქსტატი, 2017). დსთ-ის ქვეყნებში უმრავლესობაში ჩვილთა სიკვდილიანობის დონე უფრო მაღალია. ჩვილთა სიკვდილიანობის დაბალი დონე ორსული ქალის, ხოლო მშობიარობის შემდეგ დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მუდმივი ზედამხედველობის გზით მიიღწევა. აფრიკისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის უსახსრობისა და მედიცინის განვითარების დაბალი დონის გამო ჩვილთა სიკვდილიანობა ძალზე მაღალია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკელი ბავშვების უმრავლესობა სამშობიარო სახლებში არ იბადება. აფრიკაში ყოველწლიურად, ფეხმძიმობის ან მშობიარობის პროცესში, დაახლოებით 250 ათასი ქალი კვდება (WHO, 2016).

ცხრილი №13

ქვეყნები ჩვილთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით (2017 წ.)

ქვეყნები ჩვილთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით	ჩვილთა სიკვდილიანობა (‰-ში)	ქვეყნები ჩვილთა სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით	ჩვილთა სიკვდილიანობა (‰-ში)
ავღანეთი	110	იაპონია	2,0
სომალი	95	ისლანდია	2,1
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	86	სინგაპური	2,4
გვინეა-ბისაუ	85	ნორვეგია	2,5
ჩადი	85	ფინეთი	2,5
ნიგერი	81	ბერმუდის კ-ები	2,5
ბურკინა ფასო	72	შვედეთი	2,6
ნიგერია	70	ჩეხეთი	2,6

წყარო: The World Factbook (2017). Infant Mortality Rate: Country Comparison. https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/index.html

მოსახლეობის ხარისხზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს მისი განათლების დონე. მოსახლეობის განათლების დონის დახასიათებისას რამდენიმე კრიტერიუმი გამოიყენება, მაგრამ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის განსაზღვრა.

ცხრილი №14

წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობა მსოფლიოს რეგიონების მიხედვით

რეგიონები	წერა-კითხვის მცოდნე 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა (%-ში)		
	ორივე სქესი	კაცები	ქალები
საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკა	60	69	52
ახლო აღმოსავლეთი და ჩრ. აფრიკა	79	86	72

აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი	95	97	92
სამხრეთ აზია	67	76	57
ლათინური ამერიკა	92	93	92
მაღალგანვითარებული და დსთ-ის ქვეყნები	99	99	98
მსოფლიო	85	89	81

წყარო: UNESCO Institute for Statistics. Education: Adult Literacy Rate. https://data.unicef.org/topic/education/literacy/

მოსახლეობის წიგნიერების მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, როგორი მდგომარეობაა მოცემულ ქვეყანაში (რეგიონში) საწყისი განათლების მხრივ. განათლება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს დონეებს მოიცავს. დაწყებით დონეზე, რომელიც 4-5 წელიწადი გრძელდება, ადამიანები წერა-კითხვის საბაზო უნარებს ეუფლებიან. ბევრ განვითარებად ქვეყანაში, სასკოლო განათლება, როგორც წესი, მხოლოდ დაწყებით დონეს მოიცავს.

ცხრილი №15

ქვეყნები წერა-კითხვის არმცოდნე მოსახლეობის ყველაზე მაღალი წილით

ქვეყნები	წერა-კითხვის არმცოდნე (15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის) %	
	მთელი მოსახლეობა	ქალები
ნიგერი	85	91
გვინეა	75	88
სამხ. სუდანი	73	81
ბენინი	71	82
ბურკინა ფასო	71	78
მალი	69	80
ავღანეთი	68	82
ცენტრ. აფრიკის რესპუბლიკა	63	76
ჩადი	62	71
ეთიოპია	61	71

წყარო: Literacy Rate: List of Countries. https://www.worldatlas.com/articles/the-highest-literacy-rates-in-the-world.html

საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უპირველეს ყოვლისა კი იუნესკომ, უკანასკნელი 50-60 წლის განმავლობაში დიდი შრომა გასწიეს განვითარებად ქვეყნებში უწიგნურობის დაძლევის საქმეში. 1950 წელს მსოფლიოში წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები მთელი მოსახლეობის 44%-ს შეადგენდნენ, ამჟამად, ეს მაჩვენებელი 19%-ზე ჩამოვიდა (UNESCO Institute for Statistics, 2017). მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ცალკეული რეგიონის მოსახლეობის წიგნიერების მაჩვენებელი მისაღები დონისგან შორს არის (*იხ. ცხრილი №15*).

განვითარებად სამყაროში წერა-კითხვის არმცოდნე მოსახლეობის ხვედრითი წილი კვლავ მაღალია. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა მასწავლებლებისა და სკოლების მწვავე დეფიციტს განიცდის. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში ღარიბი ოჯახების ბავშვების უმრავლესობა იძულებულია, ადრეული ასაკიდან ჩაებას შრომით საქმიანობაში, რის გამოც სკოლაში სწავლას ვერ ახერხებს. ამ მხრივ, სავალალო მდგომარეობაში არიან - აფრიკელი, ასევე, დასავლეთ და სამხრეთ აზიელი ქალები. დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია, რომ წერა-კითხვა ნიგერში ქალების მხოლოდ 9% -მა იცის. ამ მხრივ, მძიმე მდგომარეობაა ავღანეთსა და აფრიკის რიგ ქვეყნებში (*იხ. ცხრილი №15*). მათი ნახევარი წერა-კითხვის უცოდინარია, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს საზოგადოებაში მათ უუფლებო მდგომარეობაზე.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში არა მარტო დაწყებითი, არამედ საშუალო განათლებაც კი სავალდებულო იყო, რამაც ამ ქვეყნებში სრული წიგნიერება უზრუნველყო. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა (ეს რეგიონი მოიცავს ყოფილი სსრკ-ის ხუთ ქვეყანას) და დანარჩენ ყოფილ საბჭოთა კავშირში წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი უფრო მაღალია ვიდრე დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

3.4 დასაქმების სტრუქტურა

შრომის უფლება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების განუყოფელი ნაწილია. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის მიხედვით: "ყოველ ადამიანს აქვს შრომის უფლება, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან თავდაცვის უფლება" (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია). სამწუხაროდ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ იძლევა, ყველა მსურველი სამუშაოთი დაკმაყოფილდეს. მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმუშევარია, ხოლო გარკვეული ნაწილი – სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება.

ადამიანების დასაქმების დონე და ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე და მის დემოგრაფიულ მახასიათებლებზე. ასაკობრივი სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომით საქმიანობაში შეიძლება ჩაბმული იყოს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც აკრძალულია მოზარდების, კერძოდ, 15 ან 16 წლამდე ადამიანების შრომის გამოყენება, დასაქმებულია საზოგადოების სამუშაო და საპენსიო ასაკის კონტინგენტი. განვითარებად ქვეყნებში ამ კატეგორიის ადამიანებს ემატებათ დასაქმებული მოზარდები. ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად ადგენს შრომისუნარიანი ასაკის ჩარჩოებს. მაგ., რუსეთში სამუშაო ასაკის მოსახლეობაში შედიან 16-59 წლის მამაკაცები და 16-54 წლის ქალები; აშშ-ში – ორივე სქესის 15-64 წლის ადამიანები; დიდ ბრიტანეთში – 16-64 წლის მამაკაცები და 16-59 წლის ქალები.

მნიშვნელოვანია სამუშაო ასაკის მოსახლეობის შეფარდება სამუშაომდელი და საპენსიო ასაკის მოსახლეობასთან – ეს არის მოსახლეობის **დემოგრაფიული დატვირთვა**. მსოფლიოში ყოველი 100 შრომისუნარიანი ადამიანი საშუალოდ 70 მოზარდსა და ხანდაზმულ ადამიანს არჩენს. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაა-

ხლოებით 50-55-ის ტოლია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 100-ის. რუსეთში, სადაც მოსახლეობის სამუშაო ასაკი 5-10 წლით უფრო მცირეა, ვიდრე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში, მოსახლეობის დატვირთვის მაჩვენებელი დაახლოებით 67-ის ტოლია. მოსახლეობის მაღალი დემოგრაფიული დატვირთვა დამატებით სირთულეებს უქმნის განვითარებადი სამყაროს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

დემოგრაფიული ვითარება და ეკონომიკური განვითარების სპეციფიკა აისახება ქვეყნის შრომითი რესურსების ფორმირებაზე. **შრომით რესურსებს მიეკუთვნება სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობა (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გამოკლებით) და ის კონტინგენტები, რომლებიც ჯერ არ შესულან სამუშაო ასაკში ან გადასცილდნენ მას, მაგრამ ფაქტობრივად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში**.

შრომითი რესურსები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- *სამუშაო ასაკის ადამიანები, ამ ასაკის ინვალიდების გამოკლებით;*
- *სამუშაომდელი ასაკის მომუშავე ადამიანები;*
- *საპენსიო ასაკის მომუშავე ადამიანები.*

შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. გაეროს განმარტებით, **ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას (ეამ) წარმოადგენენ საზოგადოებრივი შრომის პროცესში ჩაბმულ ადამიანები (განურჩევლად მათი ასაკისა) და ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევრები.** ამ კატეგორიაში, როგორც წესი, არ შეჰყავთ დიასახლისები და პირად საკარმიდამო მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა ნაკლებია, ვიდრე შრომითი რესურსების რაოდენობა. განვითარებულ ქვეყნებში მიღებული მეთოდოლოგიით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა **(Economically Active Population)** იგივეა, რაც სამუშაო ძალა **(Labour Force).**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია **დასაქმების დონე.** საერთაშორისო ორგანიზაციები დასაქმების დონის განსაზღვრისას ორგვარ მიდგომას იყენებენ. პირველის

მიხედვით, გამოითვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელი მოსახლეობის მიმართ, ხოლო მეორეს მიხედვით – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი სამუშაო ასაკის მოსახლეობის მიმართ.

დასაქმების საპირისპირო მოვლენაა **უმუშევრობა – საზოგადოებრივ საქმიანობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაუსაქმებლობა.** უმუშევრებს წარმოადგენენ 16 წლისა (რიგ ქვეყნებში 15 წლის) და უფროსი ასაკის ადამიანები, რომლებსაც დასაქმება არ გააჩნიათ. ამ კატეგორიაში არ შეჰყავთ დაუსაქმებელი ინვალიდები, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, პატიმრები და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები. უმუშევრობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებაზე მოთხოვნა აჭარბებს რეალურად არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობას. განარჩევენ რეალურ და ფაქტობრივ უმუშევრობას. ფაქტობრივ უმუშევრად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი დაუსაქმებელი არამოზარდი, ხოლო **რეალური უმუშევრობა** მოიცავს მხოლოდ რეგისტრირებულ უმუშევრებს, ე.ი. მათ, ვინც დაუსაქმებელია და ოფიციალური არხებით ცდილობს სამუშაოს პოვნას. **უმუშევრობის დონე არის დაუსაქმებელ ადამიანთა ხვედრითი წილი ეამ-ში**.

ცხრილი №16

ქვეყნები უმუშევრობის ყველაზე მაღალი წილით

ქვეყანა	უმუშევრობა (%-ში)
ზიმბაბვე	95
ბურკინა -ფასო	77
ჯიბუტი	60
სირია	50
სენეგალი	48
ჰაიტი	41
კენია	40
კონგ.დემოკ.რესპუბლიკა	36
ავღანეთი	35
გრენადა	35

წყარო: The World Factbook. Unemployment: Country Comparison. *https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/index.html*

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labor Organization – ILO) მონაცემებით, 2016 წელს მსოფლიოში დაახლოებით 192 მილიონი უმუშევარი იყო. ILO შეფასების თანახმად, ეს ციფრი მომდევნო წლების განმავლობაში არ შემცირდება ძირითადად სუსტად განვითარებულ ''სამხრეთში'' ეკონომიკური სტაგნაციის გამო (ILO, 2018).

საერთაშორისო ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემები რეალურ უმუშევრობას ასახავს. მიუხედავად ამისა, ქვეყნების შედარება უმუშევრობის დონის მიხედვით რთულია, რადგან მათში უმუშევრობა განსხვავებული მეთოდიკით აღირიცხება. მთელი რიგი ქვეყნები ეამ-ს მიაკუთვნებენ დიასახლისებსა და პირად საკარმიდამო მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს. შესაბამისად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე დაბალი იქნება. მაგ., უზბეკეთის და აზერბაიჯანის ოფიციალური სტატისტიკით უმუშევრობის დონე ამ ქვეყნებში შეადგენს შესაბამისად 0,7 და 1,2%-ს, რაც არ ასახავს არსებულ მდგომარეობას. თუ ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკას ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში შეჰყავს არა საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული, არამედ ნებისმიერი ფორმით დასაქმებული ადამიანი, ასეთ შემთხვევებში ამ ქვეყანაში საქმე გვაქვს ფარულ უმუშევრობასთან, რაც საკმაოდ გავრცელებულია განვითარებად სამყაროში

მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილებას ეკონომიკის სექტორების მიხედვით, რომელიც ასახავს მოცემული რეგიონის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. განვითარებად სამყაროში მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა ხვედრითი წილი, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, სამაგიეროდ დასაქმების დონე აქ მაღალია მომსახურების, ე.ი. ეკონომიკის მესამეულ სექტორში.

ცხრილი №17

დასაქმება ეკონომიკის სექტორებისა და მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით

რეგიონი	დასაქმება ეკონომიკის სექტორის მიხედვით (%-ში)		
	სოფლ. მეურნეობა	მრეწველობა	მომსახურება
აფრიკა	53,2	15	33,3
ლათინური ამერიკა	14,3	22,7	64,4
ჩრდილოეთ ამერიკა	1,7	20,5	79,3
აზია და ოკეანეთი	28,5	25,4	47,1
ევროპა	5,8	27,5	69,4
მსოფლიო	26,5	23,9	51,1

წყარო: Employment by sector – ILO modeled estimates, May 2018. http://www.ilo.org/

როგორც ცხრილი №-17 დან ჩანს, მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის პოსტინდუსტრიული, რადგან მომსახურების სფეროში დასაქმებულთა მხოლოდ ნახევარია ჩაბმული. თუმცა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ამ მხრივ, ბევრი რამ მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჯერ კიდევ 2006 წ. მსოფლიო მასშტაბით მომსახურებაში ჩაბმული იყო დასაქმებულთა 40%, ხოლო სოფლის მეურნეობაში - 38,7% (Global Employment Trends, 2017: 12). აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის ამ ორ სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებელი მესამეული სფეროს სასარგებლოდ შეიცვალა.

ნახ. №13



ეკონომიკურ განვითარებაში მსოფლიოს რეგიონებს შორის დიდი დისბალანსი დასაქმების სტრუქტურაზე აისახება. მსოფლიოს მსხვილ რეგიონებს შორის, მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილის მიხედვით, ჩრდილოეთ ამერიკა გამოკვეთილი ლიდერია. ის ფაქტი, რომ ევროპა აღნიშნული მაჩვენებლით ამერიკას ჩამორჩება, იმით უნდა ავხსნათ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავინდებურად მრეწველობაშია ჩაბმული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლათინურ ამერიკაში მესამეულ სექტორში დასაქმებულია სამუშაო ძალის თითქმის 2/3. აფრიკა კვლავ ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონად რჩება. მსოფლიოში ეს ერთადერთი აგრარული კონტინენტია, სადაც სოფლის მეურნეობაზე დასაქმებულთა ნახევარზე მეტი მოდის.

რაც შეეხება აზიას, თვალსაჩინოა მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა წილის ზრდა წინა პერიოდთან შედარებით, რაც ევროპიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან მრეწველობის საწარმოების გადმოტანამ ან ახალი ობიექტების გახსნამ განაპირობა. აზია მრეწველობის განვითარებისათვის საკმაოდ მიმზიდველი რეგიონია, უპირველეს ყოვლისა, იაფი მუშახელის გამო.

ცხრილ №18-ში მოცემულია მსოფლიოს 15 მოწინავე ქვეყანა მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილით. ამ ქვეყნებში მოსახლეობის ¾-ზე მეტი ეკონომიკის მესამეულ სექტორშია დასაქმებული. როგორც ვხედავთ, მათ დიდ უმრავლესობას შეადგენენ მაღალგანვითარებული სამყაროს ლიდერები (აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები), რომლებიც დიდი ხანია განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში იმყოფებიან.

ცხრილი №18

ქვეყნები მომსახურების სფეროში დასაქმებულთა მაღალი წილით

ქვეყნები	მომსახურების სფეროში დასაქმებულები (%-ში)
ლუქსემბურგი	87,1
ბაჰამები	84,2
ბრუნეი	81,8
ისრაელი	81,6
ნიდერლანდები	81,3
გაერთ. სამეფო	80,5
ისლანდია	79,8
აშშ	79,4
კვიპროსი	79,3
მალტა	78,6
ნორვეგია	78,5
კანადა	78,4
ავსტრალია	78.3
ბარბადოსი	77,9
ბელგია	77,4

წყარო: Employment by sector – ILO modeled estimates, May 2018. http://www.ilo.org/

ამასთან, ამ სიაში ვხვდებით ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ 20-25 წლის მომსახურების სექტორში დასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილით არ გამოირჩეოდნენ. საინტერესოა, რამ განაპირობა აღნიშნულ სფეროში მათი ასეთი წინსვლა?

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბრუნეი. ის ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყანაა. მნიშვნელოვანია, რომ ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები მესამეული სფეროს განვითარებას ხმარდება. გარდა ამისა, ბრუნეის ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. უცხოური კაპიტალისთვის ქვეყანაში საუკეთესო პირობებია შექმნილი. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ტურისტების მოსაზიდად. მთლიანად, ბრუნეი ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ დივერსიფიცირებული ქვეყანა გახდა.

სენტ-ვინსენტსა და გრენადინებში, ბაჰამებსა და ბარბადოსში ეკონომიკის წამყვანი დარგი ტურიზმია. ეს განაპირობა ამ ქვეყნების მიმზიდველმა კლიმატურმა პირობებმა, ეგზოტიკურმა ბუნებამ, პოლიტიკურმა სტაბილურობამ, ეფექტურმა კანონმდებლობამ, კანადასა და აშშ-სთან შედარებითმა სიახლოვემ და იაფი, ამასთან, მაღალი ხარისხის ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობამ. უკანასკნელ პერიოდში, ეკონომიკის ტრადიციული დარგი, შაქრის ლერწამი, უკანა პლანზე ინაცვლებს და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ფინანსური მომსახურების განვითარებას. ეს შესაძლებელი გახადა აღნიშნულ სექტორებში აშშ-დან და კანადიდან უცხოური ინვესტიციების მოზიდვამ. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ჩართვა მომსახურების სფეროში.

3.5 მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა

თანამედროვე მეცნიერებაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს ადამიანის წარმოშობის შესახებ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ორი თეორია – პოლიცენტრული და მონოცენტრული. პირველი თეორიის თანახმად, ადამიანი თითქმის ერთდროულად სხვადასხვა რეგიონებში წარმოიშვა, რის გამოც არსებობს განსხვავებული რასები. მონოცენტრული თეორიის ფუძემდებლის, ჩარლზ დარვინის, მიხედვით, კი ადამიანი ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში წარმოიშვა. შემდგომ, მიგრაციის მეშვეობით, ადამიანთა ჯგუფები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩნდნენ, ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია განიცადეს – შედეგად რამდენიმე რასა ჩამოყალიბდა.

რასა არის გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომლის წევრებისთვის ერთნაირი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნებია დამახასიათებელი. რასა (ადამიანთა ფენოტიპი) ყველაზე მსხვილი ანთროპოლოგიური დაჯგუფებაა.

არსებობს რასების კლასიფიკაციის რამდენიმე მოდელი, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია: 1) ტიპოლოგიური (მორფოლოგიური), 2) მოსახლეობების შერევის და 3) კლინალური (ბიოლოგიური ვარიაციების, უპირატესად ფიზიოლოგიური) მოდელები.

ყველაზე მიღებულია ტიპოლოგიური მოდელი, რომლის თანახმად ადამიანები განსხვავდებიან მორფოლოგიური ნიშნებით, რაც მოიცავს კანის ფერს, ტუჩებისა და ცხვირის ფორმას, ყვრიმალების ფორმას, თმის ფერს და ა.შ. ზოგადი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია განასხვავებს ოთხ ძირითად რასას:

- აფრიკულს,
- ავსტრალოიდურს,
- მონღოლოიდურს და
- კავკასიურს (ევროპეოიდურს)

აფრიკულ რასას ხშირად ნეგროიდული რასის სახელითაც მოიხსენიებენ. ცივილიზებულ სამყაროში გავრცელებული ეთიკური ნო-

რმების გათვალისწინებით სასურველია, ეს ტერმინი არ ვიხმაროთ. კავკასოიდური რასა ჯერ კიდევ საბჭოთა (ამჟამად რუსულ) ლიტერატურაში გარკვეული კულტურულ-პოლიტიკური მოსაზრებებით მოიხსენიებოდა (დღესაც მოიხსენიება), როგორც ევროპეოიდური რასა.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში ინტენსიური მიგრაციული პროცესების საფუძველზე შეიცვალა რასების გავრცელების გეოგრაფია. ამჟამად აფრიკული რასის წარმომადგენლები მრავლად არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ხოლო ავსტრალიასა და ამერიკაში გაცილებით მეტი კავკასოიდი ცხოვრობს, ვიდრე ავსტრალოიდი და მონღოლოიდი. მსოფლიოს მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურის დინამიკაზე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ, გარკვეული შეფასებების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი კავკასიური რასაა, რომლის წარმომადგენლები უმრავლესობას შეადგენენ ორივე ამერიკაში, ევროპაში, აზიის დიდ ნაწილში (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გარდა), ავსტრალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. რაოდენობით შემდეგ ადგილებზე არიან მონღოლოიდები, აფრიკელები და ავსტრალოიდები.

რასები იყოფა სუბრასებად. ანთროპოლოგი რიჩარდ მაკკალოქი მაგ., კავკასოიდურ რასაში 10 სუბრასას გამოარჩევს, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ სახეობებად იყოფა (McCulloch, 2010). რუსი მეცნიერი, ვალერი ტიშკოვი, თავის კლასიფიკაციაში 4 ძირითად და 6 გარდამავალ რასას (Тишков, 2011) გამოყოფს. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ქართველები შედიან ევროპეოიდური რასის სამხრეთული ფორმის ბალკანურ-კავკასიურ ჯგუფში. რასების გარდამავალი ფორმების არსებობა განაპირობა სხვადასხვა რასის წარმომადგენლების შერევამ, რაც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ასე შეიქმნა გარდამავალი რასები, როგორებიცაა სამხრეთ ინდური რასა, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასოიდთა და ავსტრალოიდთა შერევის შედეგად. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დღევანდელი იაპონელები ავსტრალოიდებისა და მონღოლოიდების შთამომავლები არიან. რასების, ხალხების შერევის საკითხის შესწავლა წარმოადგენს მოსახლეობების შერევის სპეციალისტების კვლევის ძირითად საგანს.

აუცილებელი არაა, რომ რასათა შერევის პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდეს. დღევანდელ მობილურ მსოფლიოში სხვადასხვა რასის წარმომადგენლების შერევა უფრო ხშირად

ერთ ან ორ თაობას მოიცავს. ცხადია, ამგვარი შერევის შედეგად მიღებულ შთამომავლობას შესაბამისი ტერმინებით მოიხსენიებენ. მაგ, კავკასოიდისა და აფრიკელის შთამომავალს **მულატი** ეწოდება, ინდიელისა და კავკასოიდის შთამომავალს – **მეტისი,** ინდიელისა და აფრიკელის შთამომავალს – **ზამბო,** ხოლო ადამიანს, რომელიც გაჩნდა სამხრეთ ამერიკაში ან აფრიკაში ამ რეგიონის მკვიდრი წარმომადგენლის ფრანგთან, პორტუგალიელთან ან ესპანელთან ქორწინების შედეგად, **კრეოლს** უწოდებენ.

ზოგადად ხალხების, კერძოდ კი, რასების შესწავლის კლინალური მეთოდის მთავარი მიზანია, გამოავლინოს გენების ის ტიპები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ხალხისათვის, რასისათვის. ამ დარგის სპეციალისტების ძირითადი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა რასის სისხლის შემადგენლობაში განსხვავებების გამოვლენას. ეს განსხვავებები კი, როგორც მათმა კვლევებმა აჩვენა, რეალურად არსებობს. მაგ., ევროპის ხალხებში სისხლში ე.წ. ალელეს შემცველობა იკლებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (Models of Classification, 1988). კლინალური მეთოდით რასების ან ხალხების შესწავლა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ გეოგრაფიულ გარემოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ადამიანების არა მარტო მორფოლოგიურ, არამედ ფიზიოლოგიურ თვისებებზეც.

3.6 ლინგვისტური გეოგრაფია და მსოფლიოს მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა

ენა არის ნიშნების დინამიკური სისტემა, რომელსაც გააჩნია საკომუნიკაციო, აზროვნებისა და შინაარსის გადმოცემის ფუნქციები (ქსე, 1979: 141). ენა წარმოიშვა პირველყოფილი ადამიანების ჩამოყალიბების პროცესში, ხოლო მისი განვითარება და დახვეწა მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ცვლილებების პარალელურად. ენა ადამიანისა და საზოგადოების განვითარების მძლავრი წყაროა. რელიგიასთან ერთად ის კულტურის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ინდივიდებსა და სოციალურ-კულტურულ ერთობებს. ენა კულტურის განვითარებისა და გავრცელების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ენათა და ენობრივი მოვლენების გავრცელება წარმოადგენს გეოგრაფების შესწავლის საგანს. მეცნიერების ის დარგი, რომელიც შეისწავლის ენათა გავრცელების გეოგრაფიულ (ტერიტორიულ) თავისებურებებს არის **ლინგვისტური გეოგრაფია (ლინგვოგეოგრაფია)**.

ლინგვოგეოგრაფიის კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ლინგვისტური არეალი. შეიძლება გამოვყოთ დიდი და მცირე ლინგვისტური არეალები. მათი სიდიდე ხშირად დამოკიდებულია გეოგრაფიული გარემოს ტიპზე. ამერიკელი ლინგვისტი, ჯოჰანა ნიკოლსი, გამოყოფს გავრცობილ (***Spread***) და ჩაკეტილ (***Residual***) ლინგვისტურ არეალებს. ჩაკეტილი ლინგვისტური არეალის საზღვრები, როგორც წესი, გადის ტერიტორიის ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ მსხვილ ერთეულებზე (ოკეანეებზე, მთებზე, მდინარეებსა და ა.შ.). იმ დროს, როდესაც გავრცობილი ლინგვოარეალები დიდ სივრცეზეა გადაჭიმული, რაც ამ ტერიტორიაზე ხელს უწყობს ერთი ენის მრავალი დიალექტის შექმნას. ჩაკეტილ ლინგვისტურ არეალებში კი ვითარდება დამოუკიდებელი ენები. ასეთი არეალების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს კავკასია, ხოლო გავრცობილი ლინგვისტური არეალისას – ევრაზიის სტეპები (Кибрик, 2008).

გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედებით იქმნება ლინგვისტური არეალის გენეტიკური სიმჭიდროვე, რომელიც გვიჩვენებს ენის

გენეტიკური ოჯახების რაოდენობას მოცემული ტერიტორიის ფართობის ერთეულზე. გენეტიკური სიმჭიდროვის მაჩვენებლების შედარებამ საშუალება მისცა მეცნიერებს, გამოეტანათ დასკვნა იმის თაობაზე, რომ ახალი სამყაროსთვის დამახასიათებელია ენათა ოჯახების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე ევრაზიის კონტინენტისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფართობი ევრაზიის ფართობთან შედარებით მცირეა. მსოფლიოში გენეტიკური სიმჭიდროვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი დამახასიათებელია ახალი გვინეისათვის – 88.8. ამის მიზეზად ჯოჰანა ნიკოლსი გეოგრაფიულ ფაქტორებს ასახელებს, ისეთებს, როგორებიცაა დაბალი განედი, ტოპოგრაფიული ბარიერები, რომლებიც განაპირობებენ შედარებით მცირე ტერიტორიაზე მრავალი ლინგვისტური ჯგუფის, შესაბამისად ენობრივი მრავალფეროვნების, წარმოშობას (Кибрик, 2008). გეოგრაფიული გარემოს ტიპი, რომელშიც ვრცელდება ენა, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ფორმირებულ ენებსა და დიალექტებს შორის გენეტიკური კავშირის ხასიათზე. გეოგრაფიული გარემო ხშირად ქმნის ზუსტ საზღვრებს და პირიქით – მკაფიო ლანდშაფტურ-გეოგრაფიული საზღვრების არარსებობის შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. დიალექტების ჯაჭვის წარმოქმნასთან.

გეოგრაფიული ფაქტორი საკმაოდ მნიშვნელოვანია ისეთი ლინგვისტური პროცესებისათვის, როგორებიცაა ენობრივი კავშირი და ენის დიფუზია. ტერმინი "ენობრივი კავშირი" გულისხმობს მოსაზღვრე ტერიტორიებზე გავრცელებული ენების სტრუქტურულ მსგავსებას, ამასთან, ამ ენებს შორის ლინგვისტური ახლონათესაობა არ არის აუცილებელი. მსხვილი ენობრივი კავშირის ყველაზე ნათელი მაგალითია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის იზოლირებული და ანალიტიკური ენები – ეს კავშირი აერთიანებს ენებს, რომლებიც წარმოადგენენ ენათა ოთხ ოჯახს. ენების ურთიერთკავშირის პროცესში ხდება გრამატიკული ურთიერთქმედება, რომელიც ენის მთლიან სტრუქტურაზე ახდენს გავლენას.

ენათა ურთიერთკავშირის შედეგად ხდება „დიფუზია", კერძოდ, ერთი ენა გრამატიკული თვალსაზრისით მეორეზე ზემოქმედებს. ტერმინი „დიფუზია" უფრო ზოგადია, ვიდრე „ენობრივი არეალი". დიფუზიის შედეგად დროის დიდი ინტერვალის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ერთი არეალის არამონათესავე ენები, ტიპოლოგიურად უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე მონათესავე ენებთან, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მდებარეობენ.

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ერთი ენის გავლენას მეორეზე, განსაკუთრებით მეზობელი ტერიტორიებისათვის, გეოგრაფიული საფუძველი გააჩნია. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში არ არის აუცილებელი, რომ ერთი ენის გავლენა მეორეზე გეოგრაფიული ფაქტორებით იყოს გამოწვეული, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რუსული ენა, რომელიც განიცდიდა გავლენას ძველსლავური, გერმანული და ფრანგული ენებისა, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენის გავრცელების არეალი არ ესაზღვრებოდა არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ენის გავრცელების არეალს. ყველა შემთხვევაში ლინგვისტური ზეგავლენა გამოწვეული იყო მოცემული ენების მაღალი სოციალური პრესტიჟით. დღევანდელ მსოფლიოში ინგლისური ენის სხვა ენებზე ზეგავლენა ხდება არა გეოგრაფიული ფაქტორის, არამედ ამ ენაზე მოსაუბრეთა მეშვეობით.

ენობრივი ნიშანი ეროვნულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მისი განუყოფელი ნაწილი. გავრცელებულია შეხედულება, რომ ერი ლინგვისტურ კატეგორიას წარმოადგენს. ამიტომაც ხალხების კლასიფიკაციაში ენობრივი სიახლოვის პრინციპს იყენებენ. ასეთი ნათესაობა, ჩვეულებრივ, რამდენიმე ერის ერთი ფუძიდან წარმომავლობას უკავშირდება. ყოველი ერი საერთო ენაზე საუბრობს, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა არსებობს, როდესაც ერის ცალკეული ნაწილი სხვადასხვა ენაზე საუბრობს. მაგ., მორდვა საუბრობს ორ ძალზე განსხვავებულ – მოშკანურ და ერზიანულ ენებზე. ირლანდიელთა მხოლოდ 1/5 საუბრობს მშობლიურ ენაზე, დანარჩენი კი – ინგლისურ ენაზე. შესაბამისად არსებობს ერთენოვანი სახელმწიფოები, სადაც სახელმწიფო ენის სტატუსი მინიჭებული აქვს იმ ენას, რომელზეც მეტყველებს მოსახლეობის უმრავლესობა. არსებობს მრავალენოვანი სახელმწიფოები, სადაც ეროვნული უმცირესობები, გარდა მშობლიური ენისა, იყენებენ ასევე გაბატონებულ ეროვნულ ენას. ასეთი ორენოვანი ხალხთა ჯგუფები გვხვდება უპირატესად აზიისა და აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებში, სადაც ლოკალურ ენებთან ერთად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და ძალზე ფართოდ ვრცელდება ოფიციალური სახელმწიფო ენები (მაგ.: ინდოეთში – ჰინდი, პაკისტანში – ურდუ, ინდონეზიაში – ბახასა ინდონეზია, ფილიპინებზე – პილიპინო). ორენოვნებას ბილინგუალიზმს უწოდებენ, ხოლო თუ ქვეყანაში ორ ენაზე მეტი არის გავრცელებული – მულტილინგუალიზმი. ორენოვნება, როგორც წესი გავრცელებულია ეთნიკური საზღვრების გასწვრივ. ბილინგუალიზმის მოვლენა დამახასიათებელია აგრეთვე ქვეყნებისთვის, რომელშიც იმიგრანტთა დიდი რაოდენობაა.

ევროპის ბევრი სახელმწიფო ორენოვანი ან მრავალენოვანია (*იხ. ნახ. №14*). შვეიცარიაში გერმანო-შვეიცარიელები ლაპარაკობენ ერთ-ერთ ზემოგერმანულ დიალექტზე, ფრანკო-შვეიცარიელები – საფრანგეთის მოსაზღვრე რაიონების დიალექტებზე, იტალო-შვეიცარიელები – იტალიური ენის ჩრდილოურ დიალექტებზე. გვხვდება მეოთხე ენაც – რეტორომანული, რომელზეც რომაული ლეგიონერების შთამომავალნი საუბრობენ. ქვეყანაში ეს ოთხივე ენა სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული. ორენოვანია ბელგიაც: ფლანდრიაში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს, საუბრობენ ენაზე, რომელიც მეზობელი ჰოლანდიურის მსგავსია, ხოლო ვალონიაში – ფრანგულად. ავსტრიაში ოთხი ოფიციალური ენაა. ესენია: გერმანული მთელ ქვეყანაში, სლოვენიური – კარინთიაში, ხორვატიული და უნგრული – ბურგენლანდში. ესპანეთშიც ოთხი ოფიციალური ენა გვხვდება – ესპანური ოფიციალურია მთელი ქვეყნისათვის, ხოლო კატალონიური, გალიციური და ბასკური ენები ოფიციალურია შესაბამის პროვინციებში.

ნახ. №14



ორენოვნება ხშირი მოვლენაა ასევე აფრიკისა და აზიის, ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოში, იქ, სადაც, რომელიმე ადგილობრივ ენასთან ერთად ოფიციალურად აღიარებულია ყოფილი მეტროპოლიის ენა, რაც ხშირი მოვლენაა. მაგ., აფრიკის 55 ქვეყნიდან 21-ში ოფიციალურად აღიარებულია ფრანგული ენა, მათ შორის 9-ში ინგლისურ და ადგილობრივ ენებთან ერთად, 19-ში კი ოფიციალური ინგლისურია, მათ შორის 9-ში რომელიმე ადგილობრივ ენასთან ერთად. 5 ქვეყანაში ოფიციალური ენა პორტუგალიურია (ნეიძე ვ. და სხვა, 2004: 143). აფრიკის გარდა, ყოფილი მეტროპოლიების ენა ადგილობრივთან ერთად ოფიციალურია აზიისა და ამერიკის სახელმწიფოებშიც. მაგ., პაკისტანში ოფიციალური ენის სტატუსი მინიჭებული აქვს ინგლისურს და ურდუს., ინდოეთში – ინგლისურსა და ჰინდის, შუა აზიის სახელმწიფოებში – ყაზახეთში, ყირგიზეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში ყოფილი მეტროპოლიის ენა – რუსული არა მხოლოდ ფართოდ გამოიყენება, არამედ ყაზახეთსა და ყირგიზეთში ოფიციალური ენის სტატუსიც კი გააჩნია. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში კი ადგილობრივ ინდიელ ტომთა ენებთან ერთად ოფიციალურია ყოფილი მეტროპოლიის ენა – ესპანური.

სახელმწიფო ენები ლინგვისტურად მრავალფეროვან ქვეყნებში "ლინგვა ფრანკას" (Lingua Franca) როლს ასრულებენ. **ლინგვა ფრანკა,** ანუ ნარევი ენა წარმოადგენს სხვადასხვა ენის სინთეზს, რომელიც გამოიყენება ერთაშორისი ურთიერთობის პროცესში. ეს ტერმინი მომდინარეობს ფრანგული ენის დიალექტიდან, რომელიც წმინდა მიწაზე ლაშქრობის დროს ჯვაროსნების ურთიერთობის ენად მოგვევლინა. მოგვიანებით, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ის ვაჭრებისა და მოგზაურების ურთიერთობის ენა გახდა.

ჩვ.წ.აღ-მდე მე-3 და ჩვ. წ. აღ-ის მე-5 საუკუნეებს შორის ხმელთაშუა ზღვის სამყარო იყო ერთიანი და საერთო იყო ენაც, კერძოდ, ბერძნული. მოგვიანებით, რომის ბატონობის დროს, ლინგვა ფრანკა გახდა ლათინური ენა, ვიდრე ევროპულმა რეგიონულმა ენებმა დამოუკიდებელი განვითარება არ დაიწყეს. ანალოგიურ როლს ასრულებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში არამეული ენა, ხოლო ხალიფატის პერიოდში (და საკმაოდ დიდხანს, მომდევნო ხანაშიც) ახლო აღმოსავლეთის ლინგვა ფრანკა არაბული ენა იყო.

არსებობს ენების ტიპოლოგიური და გენეტიკური კლასიფიკაცია. პირველი ეფუძნება მორფოლოგიას, ფონეტიკას, სინტაქსს,

სემანტიკას. გენეტიკური კლასიფიკაცია გულისხმობს ენათა დაჯგუფებას ნათესაობის, ანუ საერთო წარმომავლობის მიხედვით. მონათესავე ენათა ჯგუფი შეადგენს ენათა ოჯახს. **ენათა ოჯახი** არის ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი ერთეული – ერთობლიობა მონათესავე ენებისა, რომლებიც ერთი ფუძეენის დიფერენციაციის შედეგად არის წარმოშობილი. მათში გამოიყოფა შტოები **(ენათა ჯგუფები)** (ქსე, 1979: 145). დიფერენციაციის პროცესი სხვადასხვა დროს რამდენიმეჯერ შეიძლებოდა მომხდარიყო, ამის შესაბამისად, ოჯახი იყოფა უფრო ახლო მონათესავე ენათა შტოებად და კიდევ უფრო მცირე ქვეჯგუფებად. თითოეულ შტოს ან ქვეჯგუფს თავისი ფუძე ენა ჰქონდა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მთელი ოჯახის საერთო ენისაგან მომდინარეობს.

ენათა ოჯახის ფორმირების პროცესი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დედამიწაზე მოსახლეობის განსახლებასთან. ყველაზე ახალი ენები, როგორც წესი, გვხვდება მეზობელ ხალხებს შორის, რაც განპირობებულია საერთო წარმომავლობით ან ერთი რეგიონის შიგნით ხანგრძლივი ერთობლივი თანაცხოვრებით. გარკვეულ შემთხვევებში ენობრივი მსგავსება შეინიშნება იმ ხალხებს შორისაც, რომლებიც ერთმანეთის მოშორებით ცხოვრობენ (მაგ., იაკუტებსა და აზერბაიჯანელებს შორის, უნგრელებსა და მანსებს შორის და ა.შ.) ეს აიხსნება იმით, რომ ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს ან საერთო გენეტიკური ფესვები გააჩნიათ ან შორეულ წარსულში მოსაზღვრე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ენათა ოჯახებისა და ჯგუფების გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები საზოგადოების განვითარების ისტორიის განმავლობაში განუწყვეტლივ იცვლებოდა. მაგ., არაბულ ენაზე, რომელსაც VII საუკუნემდე იყენებდა არაბეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობის მცირე ნაწილი, დღესდღეობით საუბრობს მთელი სამხრეთ-დასავლეთი აზია და ჩრდილოეთ აფრიკის სახელმწიფოების მოსახლეობა, რაც მთელი დედამიწის 10%-ს შეადგენს. საკმაოდ დიდ არეალზეა გავრცელებული თურქული ენების ჯგუფი, რომელიც მოიცავს ტერიტორიას ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირის ჩათვლით.

სხვადასხვა შეფასებით გამოყოფენ 30-დან 100-მდე ენათა ოჯახს. ყველაზე კარგად ინდო-ევროპულ ენათა ოჯახია შესწავლილი. მისი გავრცელების არეალი ყველაზე დიდია და მოიცავს ევროპას, სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ აზიას, ჩრდილოეთ და სამხრეთ

ამერიკას, ავსტრალიას. ინდო-ევროპული ოჯახის ენებზე საუბრობს მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 45%.

ინდოევროპული ენების ოჯახს ორი შტო გააჩნია (აღმოსავლური და დასავლური). აღმოსავლურ შტოს ეკუთვნის ენები ინდოარიული (სანსკრიტი, ჰინდი, ურდუ, ბენგალური, გუჯარათი, ორია და სხვ.) და ირანული ჯგუფისა (დასავლური-სპარსული ანუ ფარსი, ტაჯიკური, ქურთული, ბელუჯური, ტატური, თალიშური და სხვ. აღმოსავლური – დარი, პუშტუ, ანუ ავღანური, ოსური, პამირის ენები – ვახანური, შუგანური, იშკაშიმური და სხვა) ამავე შტოს ეკუთვნის ნურისტანული ენები (აშკუნი, პარუნი), ასევე ბერძნული და სომხური ენები.

დასავლურ შტოს მიეკუთვნება – რომანული, კელტური და გერმანული (გერმანიკული) ენები. რომანული ენები განვითარდა ლათინური ენების დიალექტებიდან, 2000 წლის წინათ ლათინური ენა იყო საერთო მთელ რომის იმპერიაში. მე-5 საუკუნეში კი, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ევროპის ერთიანობა დაირღვა და ლათინური ენის რეგიონალურმა ვარიანტებმა დაიწყეს განვითარება ერთმანეთისაგან იზოლირებულად და შემდგომ საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ენებად. ესენია: ესპანური, ფრანგული, პორტუგალიური, მასთან ახლო მდგომი გალიციური, კატალონიური, ოქიტანური (პრივანსალური), რეტორომანული, იტალიური, სარდინიური, რუმინული. კელტური ენები აერთიანებენ გოიდელური ენებისა (ირლანიდური, გელური, მენური) და ბრიტანული ენების (ბრეტონული, უელსური, თითქმის მკვდარი ენა – კორნუელური) ქვეჯგუფებს. გერმანული ენების ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთ გერმანული (მკვდარი გოთური ენა), ჩრდილოგერმანული ანუ სკანდინავიური (შვედური, ნორვეგიული, ფარერული, ისლანდიური) და დასავლეთ გერმანული ქვეჯგუფი (ინგლისური, ფრიზული ჰოლანდიური, აფრიკაანსი, გერმანული, იდიში).

ზემოთ ჩამოთვლილი ენების გარდა, ინდოევროპული ენების ოჯახში შედის ასევე ბალტიური და სლავური ენები. ბალტიურში შედიან (დასავლეთბალტიური – მკვდარი პრუსიული ენა და აღმოსავლეთბალტიური – ლიტვური და ლატვიური). სლავური ენები, თავის მხრივ, იყოფა აღმოსავლეთ სლავურ (რუსული, უკრაინული, ბელორუსული), დასავლეთ სლავურ (ჩეხური, სლოვაკური, პოლონური, ლეჟიცური) და სამხრეთ სლავურ (ბულგარულ, მაკედონურ, სლოვენურ, სერბოხორვატულ) ენებად.

ევროპაში გვხვდება, აგრეთვე, იზოლირებული ენა – ბასკური, რომელიც არც ერთ ენათა ოჯახში არ შედის. ის გავრცელებულია ესპანეთსა და საფრანგეთში. მისი სინტაქსი და სტრუქტურა სპეციფიკური და რთულია; ყველა მცდელობა, დაეკავშირებინათ ეუსკარა რომელიმე ენობრივ ჯგუფთან, წარუმატებლად დასრულდა. ზოგიერთი ლინგვისტი ცდილობს მის დაკავშირებას კავკასიურ ლინგვისტურ ჯგუფთან, მაგრამ მეცნიერები მიიჩნევენ, რომ, მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი მსგავსებისა, ეუსკარის კარგი ცოდნაც კი ვერ უზრუნველყოფს ძველი იბერიული ენის გაგებას.

ენათა ოჯახების ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით (15 ენობრივი ოჯახი) გამოირჩევა აზია. რიცხობრივად ყველაზე დიდია ჩინურ-ტიბეტური (სინო-ტიბეტური) ოჯახი. რომელიც ლოკალიზებულია აზიის აღმოსავლეთ ნაწილში და შედგება სამი ჯგუფისაგან, ესენია: ჩინური, ცენტრალური და დასავლეთჰიმალაური. აზიაში რიცხობრივად მეორე ადგილზე ინდოევროპული ენების ოჯახია, რომელიც ზემოთ უკვე დავახასიათეთ, და ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები უმთავრესად განსახლებულნი არიან სამხრეთ აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ირანსა და ავღანეთში. მესამე ადგილზეა ავსტრონეზიული ოჯახი, რომელიც ძირითადად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე, თუმცა ავსტრონეზიული ენები, ოკეანეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გარდა, კუნძულ მადაგასკარზეც გვხვდება. რიცხოვნობის მიხედვით, რიგით მეხუთე ოჯახი აზიაში ავსტრაზიული ოჯახია, რომელზეც ლაპარაკობს ინდოჩინეთის ზოგიერთი ხალხი, შესაბამისად, მისი გავრცელების არეალი სამხრეთ აღმოსავლეთი და სამხრეთი აზიაა.

საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალზე გავრცელებული ალტაის ოჯახის ენები – თურქეთიდან აღმოსავლეთით – ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირის ჩათვლით. ალტაის ოჯახს მიეკუთვნება თურქულ, მონღოლურ და ტუნგუსო-მანჯურულ ენათა ჯგუფები. თურქული ენების ჯგუფში გამოიყოფა ენათა შემდეგი ქვეჯგუფები: ჩუვაშური, ოღუზური ანუ სამხრეთ-დასავლური (თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული და სხვა), ჩრდილო-დასავლური ქვეჯგუფი (თათრული, ბაშკირული, ყაზახური, ყირგიზული, ბალყარული, ყარაჩაული), სამხრეთ აღმოსავლური (უზბეკური და უიღურული), ასევე იაკუტური (იაკუტური და დოლგანური) და სამხრეთციმბირული ქვეჯგუფი (ნაკასური, ტუვინური და სხვა).

თანამედროვე მონღოლურ ენებს, რომლებიც გავრცელებულია ცენტრალურ აზიურ რაიონებში, მიეკუთვნება საკუთრივ მონღოლუ-

რი, ბურიატული, ყალმუხური და სხვა ენები. ტუნუგუსო-მანჯურიულ ენებს კი მიეკუთვნება მანჯურიული – ჩინეთში, ასევე ევენკური და მასთან ახლოს მდგომი ევენური და აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სხვა ენები. ტაიური (პარატაიური) ოჯახი ლოკალიზებულია ინდოჩინეთსა და ჩინეთის სამხრეთით.

აფროაზიულ, ანუ სემიტო-ქამიტურ ენათა ოჯახი გავრცელებულია აფრიკის, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ის შედგება 5 ჯგუფისაგან, ესენია: სემიტური, ეგვიპტური, ბერბეროლიბიური, ქუშიტური და ჩადური. ავსტროაზიული ენების ცალკეული ჯგუფი ერთმანეთს შორეულ წარსულში დაშორდა, რის შედეგადაც ნათესაობის ნიშნები უფრო სუსტია, ვიდრე ინდოევროპულ ოჯახში. ეგვიპტური ენების ჯგუფში შემავალი ენები მკვდარი ენების რიცხვში შედის. XVII ს.-დან მისი მემკვიდრე კოპტური ენაა, რომელსაც ღვთისმსახურებაში იყენებს ეგვიპტის ქრისტიანული მოსახლეობა, მაგრამ ბოლო საუკუნეებში სალაპარაკო ენად, კოპტურის ნაცვლად, ეგვიპტის ქრისტიანებიც არაბულის ეგვიპტურ დიალექტს იყენებენ (გაჩეჩილაძე, 2003: 100).

სემიტური ჯგუფი ერთ-ერთი კლასიფიკაციით ორი ძირითადი შტოსაგან შედგება. აღმოსავლური და დასავლური. ეს უკანასკნელიც, თავის მხრივ, იყოფა ჩრდილოურ და სამხრეთულ ჯგუფებად. აღმოსავლური ენების ჯგუფს კი წარმოადგენს ასურეთისა და ბაბილონის მკვდარი აქადური ენები.

დასავლეთ სემიტური ენების შტოს ჩრდილოეთ ქვეჯგუფებს მიეკუთვნება ქანაანური და არამეული ენები. პირველში შედის მკვდარი ენა – ძველქანაანური, ფინიკიური და ასევე ძველებრაული ენა და მისი დღევანდელი ფორმა - ივრითი. საინტერესოა, ის ფაქტი, რომ XX საუკუნემდე ივრითიც მკვდარ ენად იყო მიჩნეული. მას, როგორც „თორას ენას“, იყენებდნენ მხოლოდ იუდაისტური რიტუალების აღსრულებისას და ის არ იყო სალაპარაკო ენა, რადგან ებრაული დიასპორა ამჯობინებდა თავის უფრო მრავალრიცხოვან მეზობლებთან კონტაქტის დამყარებას მათსავე ენაზე. სალაპარაკო ენად დიასპორის ებრაელებისათვის იქცა მათი მიმღები ქვეყნის ენა. მაგ: ესპანეთში ეს იყო კასტილიური, რომელიც ესპანეთიდან განდევნის შემდეგ ებრაელებმა ოსმალეთშიც შეინარჩუნეს “ლადინოს” სახელწოდებით. არაბულ სამყაროში ებრაელები საუბრობდნენ არაბულ დიალექტებზე და ა.შ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს – ისრაელის წარმოშო-

ბისთანავე, სახელმწიფო ენად გამოცხადდა ივრითი. ამჟამად არაბეთის ნახევარკუნძულზე არაბულის შემდეგ ის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სემიტური ენაა (გაჩეჩილაძე, 2003: 103-104).

ჩრდილოურ ქვეჯგუფს, დასავლეთ სემიტური ენების ჯგუფს, ქანაანურის გარდა, როგორც უკვე ვახსენეთ, მიეკუთვნება არამეული ენა, იგივე სირიული ან აისორული ენა. არამეულს ფართო გავრცელება ჰქონდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულში და ის ერთაშორისი ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ენა იყო (გაჩეჩილაძე, 2003: 125-126). იესო ქრისტე თავის მოწაფეებს არამეულ ენაზე ესაუბრებოდა. აღმოსავლეთის ქრისტიანები თავისი ტექსტების ჩასაწერად არამეულის ედესურ დიალექტს – სირიულს იყენებდნენ. ამჟამად ეს ენა მხოლოდ ჩრდილოეთ ერაყშია შემორჩენილი.

დასავლეთ სემიტური ენების სამხრეთულ ქვეჯგუფს კი მიეკუთვნება არაბული ენა (რომელიც სახელმწიფო ენაა აზიისა და აფრიკის 20-ზე მეტ ქვეყანაში და მასზე 250 მილიონ ადამიანზე მეტი ლაპარაკობს). მთელი მუსლიმური სამყარო არაბულს ლოცვებისა და რელიგიური რიტუალების ენად იყენებს.

აფრაზიულ ენათა ოჯახის დანარჩენი ჯგუფები – ბერბერული, ქუშიტური და ჩადური გავრცელებულია ჩრდილოეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკაში. (ბერბერული – საჰარის ოაზისებში და მის ჩრდილოეთით, ქუშიტური – საჰარის აღმოსავლეთით, ხოლო ჩადური ენები საჰარის სამხრეთით) (Брук, 1989: 386).

აზიაში სხვა ენობრივი ოჯახებიდან გვხვდება – ქართველურ ენათა ოჯახი, რომლის შემადგენლობაში შედის ქართული, მეგრულ-ჭანური (ლაზური) და სვანური ენები. ყველა ამ ენაზე საუბრობენ ქართველები საქართველოს ტერიტორიაზე და ასევე მის ფარგლებს გარეთაც, სადაც მათი განსახლების უპირატესი არეალია თურქეთის შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილი. შავიზღვისპირეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, მარმარილოს ზღვისპირეთში ქართულ და ლაზურ ენებზე ლაპარაკობენ XIX-XX საუკუნეებში თურქეთის აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გადასახლებული ქართველებისა და ლაზების შთამომავალნი, რომელთა რაოდენობა დღესდღეობით ნახევარ მილიონამდეა. ქართულ ენაზე ირანშიც ლაპარაკობენ, კერძოდ, იმ რეგიონებში, სადაც XVII ს.-ში კახეთიდან ქართველები გადაასახლეს. ამჟამად, ქართული ენა გავრცელებულია ისპანეთის პროვინციის 14 სოფელში (ფერეიდანში) და იმ ქალაქებში, სადაც ფერეიდნელი ქართველები ცხოვრობენ (გაჩეჩილაძე, 2003: 107-110).

ჩრდილოკავკასიურ ოჯახს მიეკუთვნება აფხაზურ-ადიღეურ და ნახო-დაღესტნურ ენათა ჯგუფები. პირველში შედის აფხაზური, ადიღეური, ყაბარდოული, ჩერქეზული, აბაზინური, უბიხური, ხოლო მეორე ჯგუფი ორ ქვეჯგუფად იყოფა: ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბიური) და დაღესტნური რომელშიც შედის დაღესტნის 30-მდე ენა, ასევე ავარო-ანდური ენები, ცეზური, ლაკო-დარგინული და ლეკური ენები. ჩრდილოკავკასიური ოჯახის ენები სამხრეთ დასავლეთ აზიაშიც არის გავრცელებული, ამ ენის მატარებლები არიან ახლო აღმოსავლეთში გადასახლებული ჩრდილოეთ კავკასიელები, რომლებიც სახლობენ თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში.

ურალის ენები ძირითადად გავრცელებულია რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთში, ასევე უნგრეთში, ბალტიისპირეთში, ფინეთსა და სკანდინავიაში. ენათა ეს ოჯახი ორი ჯგუფისაგან შედგება: ფინო-უგორული და სამოდური.

ესკიმოსურ-ალეუტური ენების გავრცელების არეალებია აზიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთი, ასევე ამერიკის არქტიკული ნაწილი. ამ ოჯახის ენებს მიეკუთვნება ესკიმოსური და მასთან ახლო-მონათესავე ალეუტური ენები.

კიდევ ერთი ენათა ოჯახი, რომელიც წარმოდგენილია უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთ აზიაში, აერთიანებს ჩუკოტკურ, კორიაკულ, იტელმენურ და სხვა ენებს.

განსაკუთრებულ ოჯახს ქმნიან რიცხობრივად უმნიშვნელო ანდამანური ენები (ჩრდილოანდამანური, ჯერვა, ონგიო და სხვ. ენები), რომლებიც ანდამანის კუნძულებზეა გავრცელებული (ინდოეთის ოკეანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში).

როგორც აღინიშნა, აფრიკელთა 1/3 აფროაზიულ ენათა ოჯახის ენებზე საუბრობს, ხოლო ამ კონტინენტის მოსახლეობის ნახევარი – საჰარის სამხრეთით გავრცელებულ სამ ენათა ოჯახის ენებზე. ესენია: ნიგერო-კორდოფანული (კონგო-კორდოფანული), ნილოს-საჰარული და კოისანური. ყველაზე მრავალრიცხოვანია პირველი, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: ნიგერ-კონგო და კორდოფანული. ნიგერ კონგოს ჯგუფში გამოიყოფა ქვეჯგუფები: ბენუე-კონგო, რომელშიც შედის ბანტუს ენები (სუაჰილი, კინიარუანდა, კირუნდი, კიკონგო, კილუბა, ლუგანდა, ლინგალა, სხვა). ბანტუს ენებიდან ყველაზე გავრცელებულია სუაჰილი, რომელზეც საუბრობს 35-50 მლნ ადამიანი (მაქსაკოვსკი, 2002: 182). ის კენიისა და ტანზანიის ოფიციალური ენაა, ასევე გავრცელებულია უგანდაში, მოზამბიკში, ზაირში, მალაკში, ზამბიასა და კონგოში.

ნილოს-საჰარის ენათა ოჯახი გავრცელებულია აღმოსავლეთ აფრიკაში და 6 ჯგუფისაგან შედგება. მათ შორის ყველაზე მსხვილი შარი-ნილოსურია.

კოისანურ ენათა ოჯახი, რომელიც გვხვდება აფრიკის სამხრეთ-დასავლეთში, აერთიანებს ბუშმენურ და ჰოტენტონურ ენებს.

ამერიკის მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობა, ევრაზიისა და აფრიკისგან განსხვავებით, უფრო ერთგვაროვანია. ევროპული კოლონიზაციის შედეგად იქ გავრცელდა ესპანური, პორტუგალიური, ინგლისური, ჰოლანდიური და სხვა ევროპული ენები. ამერიკის 18 ქვეყანაში სახელმწიფოო ენაა ესპანური, რომელზეც 230-240 მლნ კაცი ლაპარაკობს (მაქსაკოვსკი, 2002: 275). თუმცა მოსაუბრეთა რაოდენობის თვალსაზრისით პირველ ადგილზე ინგლისური ენაა. ინგლისური ოფიციალური ენაა აშშ-ში, კანადაში, იამაიკაში, ტრინიდადსა და ტობაგოში, გაიანაში, ბარბადოსში და ა.შ. რიცხოვნობით პორტუგალიური ბრაზილიის სახელმწიფო ენაა. ფრანგული სახელმწიფო ენაა კანადაში, ჰაიტში, გვადელუპესა და საფრანგეთის გვიანაში, ხოლო ჰოლანდიური – სურინამსა და ნიდერლანდების ანტილიის კუნძულებზე.

მექსიკაში, პერუში, ბოლივიასა და პარაგვაიში ესპანურთან ერთად ოფიციალურ ენებად ინდიელთა ენებიც ითვლება. ინდიელთა ენებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კეჩუა, რომელიც გვხვდება პერუში, ეკვადორში, ბოლივიაში, არგენტინასა და ჩილეს სასაზღვრო ზოლში, ასევე, ენა გუარანი, რომელიც გავრცელებულია პარაგვაიში, ბრაზილიაში, ბოლივიასა და არგენტინაში. კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული ინდიელთა ენაა – აიმარა, რომელზეც საუბრობენ ბოლივიაში, პერუსა და ჩილეში, ხოლო აცტეკურ ენაზე – მექსიკაში.

ავსტრალიაში სახელმწიფო ენაა ინგლისური, რომელზეც მოსახლეობის 97% საუბრობს (The World Factbook, Australia,2017). აქვე სხვა ევროპულ ენებთან ერთად გვხვდება ავსტრალიელ აბორიგენთა ენები, რომელთაც არ გააჩნიათ საერთო არც ერთ სხვა ენათა ოჯახებთან, და რომლებიც ლინგვისტებმა გააერთიანეს ავსტრალიურ ენათა ოჯახში.

რაც შეეხება ოკეანეთში გავრცელებულ ენათა ოჯახებს, ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, ავსტრონეზიული ოჯახი ზემოთ უკვე ვახსენეთ. ხსენებული ოჯახის გარდა, რეგიონში გვხვდება პაპუასების ენები, რომლებიც ახალ გვინეასა და მასთან ახლოს მდებარე კუნძულებზეა გავრცელებული. მათ სხვა ენებისაგან იზოლირებული

მდგომარეობა უკავიათ, პაპუასების ენათა რაოდენობა ათასზე მეტია და ისინი არამონათესავე 11 ენის ჯგუფს ქმნიან. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია ტრანსახალგვინეური, დასავლეთ პაპუასური, სეპიკ-რამუ, ტორიჩელისა და აღმოსავლეთ პაპუასური ენათა ოჯახები.

ცხრილი №19

მსოფლიოს ძირითადი ენათა ოჯახები და ჯგუფები

***ინდოევროპულ ენათა ოჯახი*:**

ენის ჯგუფი	ეთნოსი, ხალხი
გერმანული	გერმანელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრიზები (ნიდერლანდები), ფლამანდიელები (ნიდერლანდები და ბელგია), ავსტრიელები, დანიელები, შვედები, შოტლანდიელების ნაწილი, გერმანოშვეიცარიელები, ნორვეგიელები, ელზასელები (საფრანგეთი), ოლსტერელები (ჩრ. ირლანდია), ისლანდიელები, ლუქსემბურგელები, აშშ-ის ამერიკელები, ანგლოკანადელები, აფრიკანერები (სამხ. აფრიკის რესპუბლიკა), ლიხტენშტეინელები, ანგლოავსტრალიელები, ანგლოახალზელანდიელები
სლავური	რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, პოლონელები, ბულგარელები, ჩეხები, სლოვაკები, სლოვენები, სერბები, ხორვატები, ბოსნიელები, მონტენეგროელები, მაკედონიელები
რომანული	იტალიელები, ფრანგები, ესპანელები, პორტუგალიელები, კატალონიელები, ვალონები (ბელგია), გალიციელები (ესპანეთი), ფრანკოშვეიცარიელები, რეტორომანები (შვეიცარია), კორსიკელები (საფრანგეთი), იტალოშვეიცარიელები, რუმინელები, მოლდოველები, ლათინური ამერიკის ხალხების დიდი უმრავლესობა
ბალტიური	ლიტველები, ლატვიელები
კელტური	ირლანდიელები, ბრეტონელები (საფრანგეთი), უელსელები, გელები (შოტლანდიელების ნაწილი)
ინდოარიული	ჰინდუსტანელები, ბენგალიელები, პენჯაბელები, ბიხარელები (ყველანი ძირითადად ინდოეთი)
ალბანური	ალბანელები, კოსოვოელები
ბერძნული	ბერძნები, კვიპროსელი ბერძნები
ირანული	ირანელები, ავღანელები, ტაჯიკები, ოსები, ქურთები
სომხური	სომხები

ალტაის ენათა ოჯახი:

ენის ჯგუფი	**ეთნოსი, ხალხი**
თურქული	თურქები, თურქმენები, უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, აზერბაიჯანელები, თათრები, იაკუტები, ბაშკირები, ჩუვაშები, ყარაჩაეველები, ბალყარები (ბოლოს დასახელებული 6 ეთნოსი რუსეთში ცხოვრობს)

სემიტო-ქამიტურ ენათა ოჯახი:

ენის ჯგუფი	ეთნოსი, ხალხი
სემიტური	არაბები, ებრაელები

სინო-ტიბეტური ენათა ოჯახი:

ენის ჯგუფი	**ეთნოსი, ხალხი**
მანდარინი (ჩინური)	ჩინელები, დუნგანელები

ურალის ენათა ოჯახი:

ენის ჯგუფი	**ეთნოსი, ხალხი**
ფინო-უგორიული	ფინელები, უნგრელები, ესტონელები, უგორიელები (რუსეთი)

კავკასიურ ენათა ოჯახი:

ენის ჯგუფი	**ეთნოსი, ხალხი**
აფხაზურ-ადიღეური	აფხაზები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, აბაზინები, ადიღეელები
ნახო-დაღესტნური	ჩეჩნები, ინგუშები, ლეკები, ავარელები, დარგინელები

კორეული ენის ოჯახი:

კორეელები

იაპონური ენის ოჯახი:

იაპონელები

ბასკური ენის ოჯახი:

ბასკები

ქართული ენის ოჯახი:

ქართველები, ქართველი ებრაელები

3.7 რელიგიები და მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა

რელიგიის ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი განსაზღვრების მოცემა ალბათ შეუძლებელია. მეცნიერებაში განმარტებათა დიდი რაოდენობა არსებობს. მათი ხასიათი დამოკიდებულია იმ მეცნიერთა მსოფლმხედველობაზე, რომლებიც მათ ფორმულირებას უკეთებენ. კითხვაზე - რა არის რელიგია? - ადამიანი უმეტესად გვპასუხობს: "ღმერთის რწმენა".

სიტყვა რელიგია ეტიმოლოგიურად მოდის ლათინური "რელიგარე"-დან, რაც ქართულად გაერთიანებას, რაიმესთან ხელმეორედ დაკავშირებას ნიშნავს. შესაძლებელია, რომ თავდაპირველად იგი ადამიანის რაიმე წმინდასთან, მუდმივთან, უცვლელთან მიჩვევას ნიშნავდა. ეს სიტყვა პირველად ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში გამოიყენა ცნობილმა რომაელმა ორატორმა და პოლიტიკოსმა, ციცერონმა. იგი რელიგიას სხვა ცნებას, კერძოდ კი, ცრუმორწმუნეობას უპირისპირებს. ტერმინ "რელიგიის" ფართო გამოყენება ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში დაიწყო და აღინიშნებოდა, რომ ახალი რწმენა იყო ღრმად ფილოსოფიური და ზნეობრივი სისტემა და არა ველური ცრურწმენა.

ბუდიზმი – პირველი მსოფლიო რელიგია ინდოეთში წარმოიშვა. სამხრეთ აზიის რეგიონის რელიგიების განვითარებაზე დიდი ზეგავლენა იქონია მისმა გეოგრაფიულმა და სოციალურ-დემოგრაფიულმა თავისებურებებმა. ინდოსტანის ნახევარკუნძული კლიმატურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილი იყო. ამის გამო აქ უძველესი დროიდან სახლობდა სხვადასხვა ხალხი. ინდოსტანზე არ ხორციელდებოდა მონების იმპორტი. მუშა ძალის ნაკლებობა აქ არასდროს იგრძნობოდა. ევროპისაგან განსხვავებით, სადაც ხდებოდა კლასების ჩამოყალიბება, აქ საზოგადოება კასტებად დაიყო. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში აზიაში გავრცელება დაიწყო "დისიდენტურმა" რელიგიებმა - ბუდიზმმა და ჯაინიზმმა, რომლებიც საზოგადოების კასტობრივი სტრუქტურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ალბათ, ამიტომაც ამ რელიგიებმა ინდოსტანზე ფეხი ვერ მოიკიდეს. მოგვიანებით, ფეოდალური ურთიერთობების განვითარების დროს, ოფიციალურმა რელიგიამ

- ბრაჰმანიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა და ჩამოყალიბდა ინდუიზმის სახით. ინდუიზმმა მაკონსოლიდირებელი როლი შეასრულა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალხების ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ როგორც ბრაჰმანიზმი, ისე ინდუიზმიც წინააღმდეგი იყო სხვა ხალხების დაპყრობისა. შესაბამისად არასდროს განხორციელებულა ამ რელიგიის ექსპორტი სხვა რეგიონებში.

სამაგიეროდ, ბუდიზმი შექმნიდან სულ მალე გასცდა ინდოეთის ფარგლებს და მოიცვა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ბუდიზმის ძირითადი დებულება ასეთია: ყოველივეს საფუძველი არის მარადიული, შეუცნობელი სულიერი საწყისი, რომელიც იმყოფება აბსოლუტურ მყუდროებაში – "ნირვანაში". ხილული მატერიალური სამყარო მხოლოდ ილუზია და მოჩვენებაა. ცხოვრება, რომელიც ამ მოჩვენებით სამყაროში მიმდინარეობს, ბოროტება და ტანჯვაა. ამიტომ ადამიანი მუდამ უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი ტანჯვის ქვეყანას. აქედან გამომდინარე, ბუდიზმი ქადაგებს ასკეტიზმსა და პასიურობას. იგი ადამიანს მოუწოდებს, უარი თქვას ცხოვრების ყველა სიკეთეზე, დათრგუნოს ყველა ცდუნება, რათა მიაღწიოს ხსნას – "ნირვანას".

ბუდისტური რელიგიის ფუძემდებლად გადმოცემა ასახელებს შაკიების მეფეთა გვარის შვილს - გაუტამას, რომელმაც 29 წლისამ მიატოვა მეფური ცხოვრება და მკაცრი ასკეტური ყოფით დაასრულა სიცოცხლე; ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდამ შეიცნო ჭეშმარიტება, ადამიანის ცხოვრების ნამდვილი აზრი, რომელიც ოთხი ჭეშმარიტების სახით ჩამოაყალიბა. ამის შემდეგ მას ეწოდა ბუდა – გასხივოსნებული. მეოთხე ჭეშმარიტებაში ბუდა ადამიანს ასწავლის გზას, თუ როგორ დაძლიოს სურვილები და მოთხოვნილებანი რვასაფეხურიანი ცხოვრების გზის გავლით. ეს საფეხურებია: ჭეშმარიტი ფიქრი, ჭეშმარიტი მოძღვრება, ჭეშმარიტი მისწრაფება, ჭეშმარიტი სიტყვა, ჭეშმარიტი ჭვრეტა, ჭეშმარიტი ჩაღრმავება, ჭეშმარიტი ცხოვრება, ჭეშმარიტი ქცევა. ისევე, როგორც სხვა რელიგიები, ბუდიზმიც ადამიანის ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფს: სააქაოდ – სანსარად და საიქიოდ – ნირვანად. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ბუდიზმი ორ მიმდინარეობად გაიყო: თჰერავადად და მაჰაიანიად. პირველის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სიკვდილის შემდეგ ნირვანაში პირდაპირ ხვდებიან მხოლოდ უმაღლესი კასტის წარმომადგენლები. მაჰაიანელებს, კი მიაჩნიათ, რომ ნირვანაში შეიძლება დაუბრკოლებლად მოხვდეს ყველა ჭეშმარიტი ბუდისტი, განურჩევლად მისი კასტობრივი კუთვნილებისა.

ერთ-ერთი უძველესი მონოთეისტური რელიგიაა **იუდაიზმი**[2], რომელიც ძვ. წ-ის II ათასწლეულში შექმნეს მომთაბარე ებრაულმა ტომებმა. იუდაიზმი ჩაისახა გვაროვნული წყობილების დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო კლასები. ისტორიული განვითარების მსვლელობაში, როცა გაჩნდა კლასობრივი საზოგადოება, ცვლილებები განიცადა იუდაიზმმაც. მონათმფლობელური საზოგადოების გაჩენის პერიოდში ათასგვარი სულებისა და წინაპართა კულტის რწმენამ თანდათან დაუთმო ადგილი ჯერ ადგილობრივ, შემდეგ კი ერთიანი ღმერთის რწმენას.

იუდაიზმის ძირითადი დოგმატი არის ერთი ღმერთის რწმენა. ეს დოგმატი იმ ქვეყნად ადამიანის პირადი ხსნის პირობად ცხადდება. იუდაიზმში ერთი ღმერთის რწმენას უშუალოდ უკავშირდება დოგმატი მესია-მხსნელის მოსვლის შესახებ. ამ დოგმატის მიხედვით, მესია მოვა იმისთვის, რომ ადამიანები გაასამართლოს დამსახურების მიხედვით. მიწიერი სამყარო, იუდაიზმის მიხედვით, არის მზადება მარადიული მომავლისათვის. იუდაური რელიგიის დოგმატიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იდეას ძველი აღთქმის, როგორც ღვთიური გამოცხადებისა და უმაღლესი ჭეშმარიტების შესახებ. აქ, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფენ მოსეს ხუთწიგნეულს – თორას. იუდაიზმის საფუძველს თორასთან ერთად ქმნის თალმუდი, რომელიც არის ამ რელიგიის ეთიკური და სამართლებრივი კოდექსი.

ქრისტიანობა ოც საუკუნეს ითვლის. ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა პირველ საუკუნეში რომის იმპერიაში. დაპყრობილი ხალხები სასოწარკვეთამდე მივიდნენ, რადგან ღმერთებისა და საკუთარი ძალით თავის გადარჩენის იმედი დაკარგეს, რის გამოც სწრაფად მოიკიდა ფეხი მესიანიზმის იდეამ. იესო ქრისტეს გამოჩენის შემდეგ ის სწრაფად გავრცელდა პალესტინაში. მისმა მოვლინებამ გამოაცოცხლა რომის იმპერიის ერთი ნაწილი. ქრისტიანობა ილაშქრებდა წარმართული რელიგიის წინააღმდეგ, მინიმუმამდე ამარტივებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა სისტემას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობა ოპოზიციაში ედგა, როგორც წარმართულ, ისე მონოთეისტურ იუდაიზმს.

---

[2] მეცნიერულ წრეებში დღემდე დავობენ იმის თაობაზე, თუ რომელი რელიგია უნდა ჩაითვალოს პირველ მონოთეისტურ რელიგიად, იუდაიზმი თუ ზოროასტრიზმი. სავარაუდოა, რომ მონოთეიზმი უფრო ადრე იყო წარმოდგენილი ზოროასტრიზმში, ვიდრე იუდაიზმში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერ-თეოლოგთა ნაწილი ზოროასტრიზმს არ მიიჩნევს მონოთეისტურ რელიგიად.

V ს.-ში ქრისტიანობა ორ მიმართულებად გაიყო, როდესაც შეიქმნა დასავლეთ რომის იმპერია სატახტო ქალაქ რომითა და აღმოსავლეთ რომის იმპერია სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლით. ამ ორი იმპერიის ეკლესიებს შორის დაწყებული დავა მხოლოდ 1054 წელს დასრულდა, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები. XVI ს.-ში კათოლიციზმს გამოეყო პროტესტანტიზმი, რომელიც ამჟამად მრავალი სუბრელიგიის სახით გვევლინება.

მართლმადიდებლობა თავიდანვე დაექვემდებარა ბიზანტიის იმპერატორის ხელისუფლებას. მასში ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიები. დღეისათვის მსოფლიოში 15 ავტოკეფალური (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, საბერძნეთის, საქართველოს, რუმინეთის, ბულგარეთის, რუსეთის, კვიპროსის, ელადის, ალბანეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და ამერიკის) და 3 ავტონომიური (სინაის, ფინეთის და იაპონიის) მართლმადიდებლური ეკლესიაა.

მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურა მკაცრად ცენტრალიზებულია. მისი ცენტრი ვატიკანში მდებარეობს. კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას ბევრი საერთო აქვთ, თუმცა სარწმუნოებისა და კულტის გაგებაში არსებობს ცალკეული მნიშვნელოვანი განსხვავებები. კათოლიკური ეკლესია კანონიკურად თვლის ბიბლიას მხოლოდ ლათინურ ენაზე, იმ დროს, როდესაც მართლმადიდებლურ ქვეყნებში გამოიყენება შესაბამისი ქვეყნის ენებზე ნათარგმნი ბიბლია. განსხვავებით მართლმადიდებლობისაგან, რომელიც ამტკიცებს, რომ სულიწმინდა მამა ღმერთიდან გადმოდის, კათოლიკეები კი მიიჩნევენ, რომ სულიწმინდა გადმოდის, როგორც მამა ღმერთიდან, ისე ძე ღმერთიდან. მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, კათოლიკეები სამოთხისა და ჯოჯოხეთის გარდა აღიარებენ სალხინობელს, სადაც უნდა განიწმინდოს სამოთხისათვის არასაკმარისად განწმენდილი სული. კათოლიციზმის ერთ-ერთი თავისებურებაა რომის პაპის უცოდველობისა და პირველობის აღიარება.

ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველია ბიბლია (წმინდა წერილი, წიგნი) ანუ ძველი და ახალი აღთქმა. ქრისტიანული მოძღვრებისა და კულტის ერთ-ერთი მთავარი წყაროა სახარება (ევანგელე). სახარება წარმოადგენს ახალი აღთქმის პირველ ოთხ წიგნს, რომლებიც შეიცავენ ხარებას ქრისტეს შობის, ცხოვრების, ვნებისა და

აღდგომის შესახებ. არსებობს ოთხი კანონიკური სახარება: მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი.

ისლამი[3] მსოფლიო რელიგიათა შორის ყველაზე ახალგაზრდაა, აღმოცენდა არაბეთის ნახევარკუნძულზე, ახალი წელთაღრიცხვის მე-7 ს.-ის დასაწყისში. ამ დროისთვის არაბების ნაწილი ქრისტიანობას ეზიარა, მაგრამ უმრავლესობა წარმართულ რწმენაზე რჩებოდა. არაბები უდიდეს პატივს მიაგებდნენ მექას ოაზისში მდებარე ტაძარს, სადაც ინახებოდა ქააბა – მათთვის უწმინდესი "შავი ქვა".

ისლამის ფუძემდებელი, მუჰამედი (არაბულად მისი სახელი გამოითქმის, როგორც "მოჰამად"), მექის ერთ-ერთი შეძლებული და წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი იყო. ადრე დაობლებული მუჰამედი სხვადასხვა დროს მწყემსად, აქლემების გამყოლად, ვაჭრადაც კი მუშაობდა. როგორც პატიოსანმა ადამიანმა დაიმსახურა მეტსახელი "ალ-ამინ" (სანდო).

40 წლის მუჰამედს (მიჩნეულია, რომ ეს 610 წელს მოხდა) ჰქონდა ხილვები, რომლის დროსაც მას ჩაესმა ალაჰის ქადაგებანი. მუჰამედი წერა-კითხვის არმცოდნე იყო, ამდენად ყურანის ტექსტს იგი ზეპირად გადასცემდა მის მიმდევრებს. მისი გამონათქვამები ჩაიწერეს და იმისათვის, რომ არ ყოფილიყო კითხვათსხვაობა, ჩანაწერების სხვადასხვა ვერსია მოსპეს. არაბული ენა, რომელზეც ყურანი არის შესრულებული, ისლამის ერთადერთ ენადაა მიჩნეული. წესით, ის არც უნდა ითარგმნებოდეს სხვა ენებზე, რადგან შესაძლოა, ჭეშმარიტი აზრი დაიკარგოს.

მუჰამედი კარგად იცნობდა იუდაიზმისა და ქრისტიანობის პრინციპებს, რაც გარკვეულწილად ყურანშიც აისახა. ყურანში მრავლადაა ნასესხები იდეები ბიბლიიდან, რაც სრულებითაც არ ამცირებს მის თვითმყოფადობას.

ყურანი ქრისტიანებსა და იუდეველებს მიიჩნევს "აჰლ ალ-ქითაბ"-ად ("წიგნის ხალხად") და მუსლიმებისგან მოითხოვს, რომ მათ მიმართ ტოლერანტობა გამოიჩინონ. ისლამი წინასწარმეტყველებად სცნობს იმავე პირებს, რომლებსაც იუდაიზმი და ქრისტიანობა, კერძოდ, ნოეს, აბრაამს, იესოს, მოსეს, ადამს. ყურანი მოწიწებით მოიხსენიებს მარიამს, როგორც წინასწარმეტყველ იესოს დედას.

---

[3] ინფორმაცია ისლამის წარმოშობის შესახებ აღებულია შემდეგი წყაროდან: გაჩეჩილაძე რ. (2003). ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი. გვ. 138-145

მაგრამ ყველაზე მაღლა ყურანი აყენებს ისლამისთვის უდიდეს წინასწარმეტყველს, მოციქულთა მოციქულს – მუჰამედს. მაგრამ არც იუდეველები და არც ქრისტიანები მუჰამედს ღმერთის მოციქულად და წინასწარმეტყველად არ მიიჩნევენ.

ისლამის საფუძველს ყურანთან ერთად ქმნის შარიათი, რომელიც მისი რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებულია. ისლამი საკმაოდ მალე ჩამოყალიბდა მწყობრ რელიგიურ სისტემად. წარმართულ არაბული საზოგადოებაში სიკვდილი არსებობის დასასრულად იყო მიჩნეული, ხოლო მუჰამედმა დაარწმუნა არაბები, რომ ჭეშმარიტი მორწმუნენი სიკვდილის შემდეგ სამოთხეს ეზიარებიან, ხოლო ცოდვილნი ჯოჯოხეთში მოხვდებიან. ისლამის მიმდევართათვის ეს დიდი სტიმული იყო, ებრძოლათ "ჭეშმარიტი რწმენისათვის" და შემდგომი ცხოვრება სამოთხეში გაეტარებინათ.

ისლამი, როგორც რელიგია, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა იასრიბში, ქალაქში, სადაც მუჰამედმა რვა წელი გაატარა მას შემდეგ, რაც იძულებული იყო, მექა მიეტოვებინა. მუჰამედის გადასახლებას მექადან იასრიბში (სავარაუდოდ, ეს მოხდა ქრისტიანული კალენდრით 622 წლის 16 ივლისს) მუსლიმებმა უწოდეს ჰიჯრა და თავისი წელთაღრიცხვა სწორედ ამ თარიღიდან დაიწყეს. მუჰამედმა, თავისი მექელი თანამოაზრეების ("მუჰაჯირების") მხარდაჭერით, იასრიბში საფუძველი ჩაუყარა მუსლიმთა პირველ სახელმწიფოს. მოგვიანებით იასრიბს დაერქვა მედინა, რომელიც მუსლიმთათვის მექას შემდეგ მეორე წმინდა ქალაქია.

630 წელს მუჰამედმა მოკავშირეთა ლაშქრით აიღო მექა. გამარჯვებულებმა გაანადგურეს წარმართული კერპები, მაგრამ შეინარჩუნეს ქააბა. ის ამჟამად მდებარეობს მუჰამედის მიერ დაფუძნებული მექის მთავარი მიზგითის - ალ-მასჯიდ ალ-ჰარამ-ის ეზოს ცენტრში. ეს ადგილი მუსლიმთა მთავარი სალოცავი და ყველაზე წმინდა ადგილია.

მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა, ხალიფამ, მუჰამედის ნაცვალმა. შემდეგი 29 წლის განმავლობაში ხალიფატს მართავდნენ აბუ-ბაქრი, ომარი, ოსმანი და ალი. ისლამი ამ ოთხ ხალიფას უმწიკვლოდ ან "მართლმორწმუნედ" ("არ-რაშიდუნ") მიიჩნევს, ხოლო მათი მეფობის პერიოდი მიჩნეულია მუსლიმთა "ოქროს ხანად".



661 წელს სამოქალაქო ომში დაიღუპა მეოთხე ხალიფა - ალი, რომლის სიკვდილის შემდეგ ისლამში განხეთქილება წარმოიშვა. ალის მომხრეების აზრით, ხალიფას ტიტული უნდა გადასულიყო მისი ქალიშვილის შთამომავალ ჰასანზე (ჰუსეინზე). მაგრამ ისიც მოკლეს და ხალიფა გახდა უმიანთა გვარის წარმომადგენელი - უმავია, რომელმაც სატახტო ქალაქად დამასკო გამოაცხადა. ალის მომხრეებმა მისი გამეფება არალეგიტიმურად აღიარეს და ისლამი ორ – სუნიტურ და შიიტურ შტოებად გაიყო. სუნიტები ყურანთან ერთად წმინდა წიგნად აღიარებენ სუნას, სადაც მუჰამედის ცხოვრებაა აღწერილი. შიიტები სუნას მხოლოდ ნაწილობრივ ცნობენ.

ისლამი მთელ მსოფლიოს კულტურული თვალსაზრისით ორ ნაწილად ჰყოფს. პირველი არის დარ ალ-ისლამი (ისლამის სახლი, მხარე), ე.ი. ტერიტორია, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ. მეორე კი დარ ალ-ჰარბი (ომის სახლი, მხარე) ანუ მსოფლიოს ის ნაწილი, რომელშიც ისლამი არ არის გავრცელებული. ისლამის მიხედვით მუსლიმები უნდა შეეცადონ, რომ მთელი მსოფლიო “დარ ალ-ისლამად” იქცეს.

ნახ. №15

ისლამის გავრცელების არეალი XVI ს-ის მიჯნაზე

ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დღიდან ხალიფატის შექმნისა დაიწყო არაბული დაპყრობები, რომელთა მიზანი იყო არა მხოლოდ ახალი მიწების დაპყრობა, არამედ ამ ტერიტორიებზე ისლამის გავრცელება. უნდა ითქვას, რომ სამხრეთელი ხალხების დიდი უმრავლესობისათვის ისლამი მისაღები აღმოჩნდა, რადგან იგი კარგად პასუხობდა ამ ხალხების მოთხოვნილებებს და შეესაბამებოდა მათ ადათ-წესებს. ისლამის განვითარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ არაბული კულტურა იშვიათი გამონაკლისის გარდა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მათ მიერ დაპყრობილი ხალხების კულტურა. არაბებმა დაპყრობილ ტერიტორიებზე, ისლამის გარდა, გაავრცელეს დამწერლობა. ისლამმა და არაბულმა დამწერლობამ ფეხი ვერ მოიკიდა ევროპაში, იქ, სადაც უკვე არსებობდა ქრისტიანობა და საკუთარი დამწერლობა, კერძოდ, ესპანეთში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, საქართველოსა და სომხეთში. XIII საუკუნეში ისლამი გავრცელდა წინა აზიაში, იქ, სადაც თურქული ტომები სახლობდნენ. ამ დროისათვის თურქომანებმა, რომლებიც სამხრეთ ციმბირისა და

შუა აზიის მკვიდრებად ითვლებოდნენ, დაიპყრეს შუა აზიის, ირანისა და წინა აზიის ტერიტორიები. მრავალრიცხოვანმა თურქომანმა, ანუ ოსმალომ დაიწყო ჯერ ჩრდილოელი მეზობლების, ხოლო შემდეგ არაბების შევიწროებაც. საბოლოოდ მათ გაანადგურეს ბიზანტიის იმპერია და არაბთა ხალიფატი. ამასთან, ოსმალოებმა დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ნაწილი, სადაც გაავრცელეს ისლამი, მაგალითად, ალბანეთში, ბოსნიაში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში. არაბებისა და ბიზანტიელებისგან განსხვავებით ოსმალოები არ გამოირჩეოდნენ კულტურის განვითარების მაღალი დონით. ამის გამო ისლამურ სამყაროში დაიწყო კულტურული სტაგნაცია, რამაც უარყოფითად იმოქმედა ამ ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაზე.

ნახ. №16

მსოფლიოს 4 ძირითადი რელიგიის გავრცელება



წყარო: www.slidplayer.com

რელიგიების (კონფესიების) თანამედროვე გეოგრაფია უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დიდი სტაბილურობით გამოირჩევა. რელიგიების ექსპანსიური განვითარება ფაქტობრივად შეჩერებულია, მაგრამ, ამავე დროს, განსაკუთრებით XX-XXI საუკუ-

ნეებში, ტრადიციულ რელიგიათა გვერდით იქმნება მრავალი ახალი, არატრადიციული რწმენა, რომელთა დიდი ნაწილისთვის დამახასიათებელია მიმდევართა რაოდენობის განუხრელი ზრდა.

მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის დადგენა საკმაოდ რთულია და არსებული მონაცემები მხოლოდ მიახლოებით სურათს იძლევა. ყოველივე ეს გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყანაში სტატისტიკური აღრიცხვის განსხვავებული მეთოდების გამოყენებით (ცალკეულ ქვეყანაში აღრიცხვა წარმოებს საეკლესიო ორგანიზაციებში და საკმაოდ არაზუსტად) და ზოგში კი მათი სრულიად არარსებობით. რეალურ სურათს ცვლის ის ფაქტიც, რომ აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანი ერთდროულად რამდენიმე რელიგიის მიმდევარი იყოს და ის რამდენიმე განსხვავებული რელიგიის მიმდევრების სიაში შეიძლება აღმოჩნდეს.

2015 წლის მონაცემებით, აღმსარებელთ რაოდენობის მიხედვით, პირველობას ქრისტიანობა ინარჩუნებს. მას მსოფლიოში დაახლოებით 2,3 მილიარდი მიმდევარი ჰყავს. მეორე ადგილზეა ისლამი – 1,8 მილიარდი მიმდევარი. შთამბეჭდავია არამორწმუნეთა (ათეისტების, სეკულარების, აგნოსტიკოსების) რაოდენობაც – 1,2 მლრდ., ბუდიზმი – 500 მლნ. ეთნიკურ რელიგიებში მიმდევართა რიცხვით გამოირჩევა ინდუიზმი – 1,1 მლრდ. ადამიანი.

ნახ. №17

ძირითადი რელიგიების მიმდევრები



წყარო: The Changing Global Religious Landscape http://www.pewforum.org/2017/04/05/the-changing-global-religious-landscape/

ზემოთ აღნიშნული, მოსახლეობის კონფესიური შემადგენლობის დადგენასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საკმაოდ ძნელია ცალკეულ რელიგიათა მიმდევრების დინამიკის განსაზღვრა. არსებული სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ 1987-2015 წლებში სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა რაოდენობის დინამიკა. აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა მუსლიმების (17%-დან 23%-მდე) და ინდუისტების (12%-დან 15%-მდე) ხვედრითი წილი ყველა რელიგიის აღმსარებელთა რაოდენობაში. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც დასახელებული რელიგიებია გავრცელებული, აღინიშნება მოსახლეობის ყველაზე დიდი ბუნებრივი მატება.

რამდენადმე შეიცვალა ცალკეულ რელიგიათა და მათ მიმდინარეობათა თანაფარდობა მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით. ასე მაგალითად, აფრიკაში (საჰარიდან სამხრეთით) მისიონერების მოღვაწეობისა და რიგი პოლიტიკური ფაქტორების გავლენით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქრისტიანთა და მუსლიმთა რაოდენობა, ადგილობრივ ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრების შემცირების ხარჯზე. ლათინურ ამერიკაში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ კათოლიციზმის ციტადელია, იზრდება პროტესტანტთა რიცხვი.

ქრისტიანობა მსოფლიოში ყველაზე ფართო გავრცელებული რელიგიაა. პირველ ყოვლისა, ეს ეხება კათოლიციზმს. კათოლიკეები ბევრ ქვეყანაში მორწმუნეთა უმრავლესობას, ხოლო ზოგიერთში - მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან რელიგიურ ჯგუფებს ქმნიან (*იხ. ნახ №18*).

ნახ №18

მსოფლიოში ძირითადი რელიგიების გავრცელების არეალები

აზიაში ისინი მხოლოდ ფილიპინებზე შეადგენენ აღმსარებელთა უმრავლესობას, თუმცა მათი ცალკეული ჯგუფი წარმოდგენილია ბევრ სხვა ქვეყანაშიც. აფრიკაში კათოლიკური რწმენა ძირითადად ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილ კოლონიებში შემორჩა. ავსტრალიაში ისინი მორწმუნეთა დაახლოებით 1/3-ს წარმოადგენენ. მაგრამ მათი გავრცელების ყველაზე ფართო არეალი ლათინურ ამერიკაშია, სადაც ისინი ყველა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან. ეს ესპანური და პორტუგალიური კოლონიზაციის შედეგია. კათოლიკეები საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილი ჩრდილოეთ ამერიკაშიც.

გავრცელების ფართო გეოგრაფიული არეალი დამახასიათებელია, აგრეთვე, პროტესტანტიზმისათვის, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩრდილოეთ, ცენტრალურ და ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კონფესიურ შემადგენლობაში. პროტესტანტები ქმნიან მორწმუნეთა ძირითად ჯგუფებს სამხრეთ და დასავლეთ აფრიკაში; ისინი მრავლად არიან ავსტრალიასა და ოკეანეთში, ხოლო აშშ-სა და კანადაში შეადგენენ მორწმუნეთა შესაბამისად ნახევარს და მესამედს.

მართლმადიდებლობის გავრცელების არეალი გაცილებით უფრო შეზღუდულია. ყველაზე დიდი რაოდენობით მართლმადიდებ-

ლები ყოფილ საბჭოთა კავშირში (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო) და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებშია (საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, მაკედონია, სერბეთი, ჩერნოგორია) წარმოდგენილი (იხ. დანართი, ნახ. №19).

ისლამი, მიმდევართა რაოდენობით მეორე ადგილზეა. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ქრისტიანობისაგან განსხვავებით მისი გავრცელების არეალები აზიისა და აფრიკის ტერიტორიებით შემოისაზღვრება. მუსლიმების კონცენტრაციის ძირითადი რეგიონებია სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური აზია, ჩრდილოეთი აფრიკა და ნაწილობრივ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ისლამი ჭარბობს ყველა ქვეყანაში, გარდა ისრაელისა და კვიპროსისა, სამხრეთ აზიაში – პაკისტანსა და ბანგლადეშში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში – ინდონეზიაში, ცენტრალურ აზიაში – ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. ისლამი დომინანტი რელიგიაა ჩრდილოეთ აფრიკის - ყველა, ხოლო ცენტრალურ-აღმოსავლეთ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ევროპაში მუსლიმები უმრავლესობას მხოლოდ ალბანეთსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში შეადგენენ.

დღესდღეობით მსოფლიოში 50-ზე მეტი ისლამური სახელმწიფოა. მათ შორის 28-ში ისლამი სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული. ყველაზე მრავალრიცხოვანი ისლამური სახელმწიფოებია: ინდონეზია, პაკისტანი, ბანგლადეში, ნიგერია, ირანი, თურქეთი, ეგვიპტე.

ბუდიზმი რელიგიების მსოფლიო რუკაზე გაცილებით კომპაქტურად არის წარმოდგენილი და მოიცავს ცენტრალურ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ზოგიერთ რაიონს. ამასთანავე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჭარბობენ თჰერავადასა და მაჰაიანას აღმსარებლები, ხოლო ცენტრალურ-აღმოსავლეთ ნაწილში ლამაიზმის მიმდევრები. მნიშვნელოვანია ბუდიზმის გავლენა იაპონიაში, ჩინეთსა და კორეის რესპუბლიკაში.

ეთნიკური და რეგიონული რელიგიების გავრცელების არეალები, როგორც წესი, კიდევ უფრო შეზღუდულია. ასე რომ, ინდუიზმის ადეპტების 99% მოდის აზიაზე, უპირატესად კი ინდოეთსა და ნეპალზე. კონფუციონიზმმა გავლენა თავის სამშობლოში – ჩინეთში შეინარჩუნა, ხოლო სინტოიზმი წმინდა იაპონურ რელიგიად რჩება. სრულიად განსხვავებული გეოგრაფია აქვს იუდაიზმს, რომელიც

რამდენიმე ქვეყანაში, მეტწილად ისრაელსა და აშშ-შია, წარმოდგენილი. ადგილობრივი ტრადიციული რელიგიები უმეტესწილად - აფრიკაში, ფრაგმენტულად კი აზიაში, ამერიკასა და ოკეანეთშია შემორჩენილი.

კონფესიათა გეოგრაფიის ერთ-ერთი ამოცანაა ქვეყნების შესწავლა იქ გავრცელებული რელიგიის (რელიგიების) მიხედვით და მსოფლიოს კლასიფიკაცია მონო-, ბი- და პოლიკონფესიურ ქვეყნებად. მსოფლიოში ქვეყანათა უმრავლესობა განეკუთვნება მონოკონფესიურ სახელმწიფოთა რიცხვს, ანუ მათი მოსახლეობის 70%-ზე მეტი ერთი რელიგიის აღმსარებელია. ბიკონფესიური და პოლიკონფესიური ქვეყნების რაოდენობა თითქმის თანაბარია. პოლიკონფესიური ქვეყნების უმრავლესობა აფრიკაში მდებარეობს. ეს განპირობებულია იმით, რომ აფრიკა ისტორიულ წარსულში ახლო აღმოსავლური და ევროპული კოლონიალიზმის ობიექტი იყო, რის შედეგადაც აქ არსებულ ადგილობრივ ტრადიციულ რელიგიებთან ერთად ფართოდ გავრცელდა ისლამი და ქრისტიანობა.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოს რელიგიური სურათი საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია საკმაოდ კონსერვატიული სოციალურ-კულტურული ფენომენია, მასში მიმდინარე პროცესებს გარკვეული ცვლილებები შეაქვს მსოფლიოს კონფესიათა გეოგრაფიაში.

ცხრილი №20

მსოფლიოს რელიგიური შემადგენლობა

ქრისტიანები
მართლმადიდებლები:
ქართველები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ბულგარელები, მაკედონიელები, რუმინელები, მოლდოველები, ჩერნოგორიელები, კვიპროსელი ბერძნები, ოსები, აფხაზების ნახევარი.
მონოფიზიტები:
ეთიოპელების უმრავლესობა, ლიბანელი არაბების 1/3, ასირიელები *სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიმდევრები (გრიგირიანელები)*: სომხები.
კათოლიკეები:

ლათინური ამერიკის ხალხები, ავსტრიელები, გერმანელების ნახევარი, ვალონები, ფლამანდიელების უმრავლესობა, ირლანდიელების უმრავლესობა, უნგრელების უმრავლესობა, ხორვატები, სლოვენიელები, პოლონელები, ესპანელები, ბასკები, კატალონიელები, გალიციელები, ლიტველები, კორსიკელები, ლიხტენშტეინელები, ლუქსემბურგელები, მალტელები, პორტუგალიელები, ფრანგები, სლოვაკების უმრავლესობა, ჩეხების უმრავლესობა, ფრანკოშვეიცარიელების უმრავლესობა, იტალოშვეიცარიელები, ფილიპინელები

პროტესტანტები:

ინგლისელები (ანგლიკანები), შოტლანდიელების უმრავლესობა (პრესბიტორიანები), უელსელების უმრავლესობა (ანგლიკანები), გერმანელების ნახევარი (ლუთერანები), ფინელები (ლუთერანები), დანიელები (ლუთერანები), ნორვეგიელები (ლუთერანები), ისლანდიელები (ლუთერანები), ჰოლანდიელების უმრავლესობა (კალვინისტები), შვედები (ლუთერანები), გერმანოშვეიცარიელების უმრავლესობა (კალვინისტები), სამხრეთ კორეელთა მეოთხედი (ანგლიკანები და პრესბიტორიანები), ესტონელები (ლუთერანები), ლატვიელების უმრავლესობა (ლუთერანები).

მუსლიმები

მუსლიმი შიიტები:

ირანელები, ბაჰრეინელთა უმრავლესობა, ერაყელთა უმრავლესობა, იემენელთა უმრავლესობა, აზერბაიჯანელები, იორდანელების 10%, ავღანელების 10%, სირიელების 20%.

მუსლიმი სუნიტები:

არაბები (წინა პუნქტში ჩამოთვლილი შიიტი არაბებისა გარდა), ქურთები, ინდონეზიელები, ავღანელები, მალაიზიელების 2/3, თურქები, პაკისტანელები, კვიპროსელი თურქები, დაღესტნელები, ჩეჩნები, ინგუშები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარები, ყარაჩაველები, თათრები, ბაშკირები, თურქმენები, უზბეკები, ყირგიზები, ყაზახები, ტაჯიკების უმრავლესობა, ალბანელები, ბოსნიელები, აფხაზების ნახევარი

ბუდისტები

ბირმელები, ვიეტნამელები, ჩინელები, კორეელების უმრავლესობა, ლაოსელები, მალაიზიელების 1/3, ტაილანდელები, შრი-ლანკელების უმრავლესობა, იაპონელები
ინდუისტები
ინდოელთა უმრავლესობა, ნეპალელები
იუდეველები
ებრაელები

4.1 მოსახლეობის მიგრაცია, როგორც საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენა

მოსახლეობის მიგრაცია ანუ მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა კაცობრიობის ისტორიაში უძველესი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენაა. მიგრაცია (*Migratio*) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადასახლებას. უხსოვარი დროიდან ადამიანები ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადაადგილდებოდნენ საკვების მოპოვების, საცხოვრებლის პოვნის, დასაქმების, ვაჭრობის, მკურნალობის, განათლების მიღების, მოგზაურობის, ახალი ტერიტორიების ათვისების ან დაპყრობის, კულტურული იდენტობისა და სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით.

აქედან ნათელია, რომ მიგრაციები სხვადასხვა, მათ შორის ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, საომარი, პოლიტიკური, კულტურული (მათ შორის რელიგიური და ეთნიკური), სოციალური მიზეზებით და ფაქტორებითაა გამოწვეული. ადამიანების მიგრაცია ერთი ან ერთდროულად რამდენიმე ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული.

მიგრაციებზე მოქმედი ფაქტორებიდან უძველესია *ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორი*. თავისი განვითარების ადრინდელ ეტაპზე ადამიანების გადასახლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად გვევლინებოდა ბუნებრივი კატაკლიზმები, კერძოდ, ვულკანური ამოფრქვევები, მიწისძვრები, წყალდიდობა, ზვავები, ქარიშხლები და ა.შ. გარდა ამისა, ანტიკურ ეპოქაში ადამიანი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, თუ მისი ნათესები გვალვის ან სხვა ბუნებრივი მოვლენის შედეგად ნადგურდებოდა. საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ადგილის გეოგრაფიულ მდებარეობასა და მის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს ენიჭებოდა. ადამიანები ცდილობდნენ, ეცხოვრათ, ერთი მხრივ, თბილ კლიმატურ სარტყლებში, მეორე მხრივ კი, წყალთან ახლოს, კერძოდ, ზღვის ან მდინარის სანაპიროზე. მოსახლეობის გადაადგილება, ასევე დაკავშირებული იყო ნიადაგების ნაყოფიერებასთან, რის გამოც მთის მოსახლეობა საცხოვრებლად ბარში ჩადიოდა.

ომები ადამიანების მასობრივი ტერიტორიული გადაადგილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ომების შედეგად იცვლებოდა არა მარტო ქვეყნების საზღვრები, არამედ მათი მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა. დაპყრობილი ხალხი ხშირად იძულებული იყო, დაეტოვებინა თავისი ბინადრობის ადგილები და სხვაგან გადასახლებულიყო. სწორედ ომებისა და მოსახლეობის მასობრივი გადასახლების შედეგად მიიღო დღევანდელი ეთნოდემოგრაფიული სახე ჩრდილოეთ ამერიკამ და სამხრეთ ამერიკამ, ავსტრალიამ, ჩრდილოეთ აფრიკამ, ციმბირმა, რუსეთის შორეულმა აღმოსავლეთმა და ა.შ. თვით ევროპის ქვეყნების უმეტესობაში მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ ის ხალხები, რომლებიც აქ დაპყრობითი ომების შედეგად ჩასახლდნენ. თანამედროვე მსოფლიოში, რეგიონული ომების ან შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზით, ასეულობით ათასი ადამიანი იძულებული იყო, მიეტოვებინა საცხოვრებელი და სხვაგან გადასახლებულიყო. ასე მოხდა ყოფილ იუგოსლავიაში, საქართველოში, აზერბაიჯანში, რუანდაში და ა.შ.

თანამედროვე მიგრაციულ პროცესებში უმნიშვნელოვანესი ადგილი *ეკონომიკური ფაქტორით* გამოწვეულ ტერიტორიულ გადაადგილებას უკავია. მაღალგანვითარებული ქვეყნები, ბუნებრივი მატების დაბალი დონის გამო განიცდიან სამუშაო ძალის დეფიციტს და მისი აღმოფხვრა, როგორც წესი, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანების ხარჯზე ხდება. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პროცესს აშკარად გამოხატული სოციალურ-გეოგრაფიული მიმართულება გააჩნია, რადგან განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა დასაქმების მიზნით მიემართება ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ან განვითარებად, მაგრამ ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებში. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურმა ემიგრაციამ მასშტაბური ხასიათი მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც მიიღო. ეკონომიკურად განვითარებული ერთი ქვეყნიდან მეორეში სამუშაოდ მაღალი დონისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მიემგზავრებიან. მათ ემიგრაციას აშკარად გამოხატული მატერიალური ხასიათი აქვს, რადგან იგი დაკავშირებულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღებასთან. აღნიშნული სახის მიგრაცია აღინიშნება ევროპის ფარგლებში და ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ან კანადასა და აშშ-ს შორის.

დემოგრაფიული სიტუაცია გარკვეულ გავლენას ახდენს მიგრაციულ პროცესებზე. ცნობილია, რომ ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ჭარბმოსახლეობა უმუშევრობის ზრდაზე პირ-

დაპირ აისახება, რის გამოც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იძულებულია, სამუშაო სხვა ქვეყნებში ეძებოს. შესაბამისად, მოსახლეობის ემიგრაცია, როგორც წესი, მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონით.

ქალაქებში შრომათმოწყობის მაღალი პოტენციალის არსებობამ ხელი შეუწყო მათი მოსახლეობის სწრაფ ზრდას სოფლის მოსახლეობის მიზიდვის ხარჯზე. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობს განვითარებად ქვეყნებში, სადაც ჭარბმოსახლეობის და აქედან გამომდინარე დასაქმების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სასოფლო დასახლებებში დგას.

ადამიანს, რომლებიც მიგრაციულ პროცესებში მონაწილეობს ზოგადად **მიგრანტი** ეწოდება. ამასთან, მიგრაციის გამომწვევი მიზეზების მიხედვით განასხვავებენ მიგრანტების რამდენიმე კატეგორიას. ჩვენი სახელმძღვანელოს მე-2 თავში მოცემულია ემიგრაციისა და იმიგრაციის განმარტებები. ამ განმარტებებიდან ჩანს, რომ ადამიანი, რომელიც ტოვებს სამშობლოს და სამუდამოდ ან დიდი ხნით მიემგზავრება სხვა ქვეყანაში, არის **ემიგრანტი,** ხოლო ეს ადამიანი მის მიმღებ ქვეყანაში იქნება **იმიგრანტი.**

სხვაობა იმიგრაციისა და ემიგრაციის მაჩვენებლებს შორის არის **მიგრაციის სალდო**. მიგრაციის სალდო გამოისახება როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ისე პროცენტებით ან პრომილეებით. თუ იმიგრაცია ემიგრაციას აჭარბებს, ამ შემთხვევაში ქვეყნისათვის დამახასიათებელია მიგრაციის დადებითი სალდო, ხოლო, თუ საწინააღმდეგო მოვლენა ხდება, მაშინ მიგრაციის სალდო უარყოფითი იქნება.

სამართლებრივი თვალსაზრისით მიგრაციები, კერძოდ კი, საერთაშორისო მიგრაციები შეიძლება იყოს ლეგალური ან არალეგალური ხასიათის. თუ ერთი ქვეყნის მოქალაქე მეორეში შეაღწევს ამ ქვეყნის იმიგრაციის დადგენილი წესების დარღვევით, ამ შემთხვევაში მისი მიგრაცია არალეგალურად ჩაითვლება.

დროის ხანგრძლივობის მიხედვით მიგრაციები შეიძლება იყოს სამუდამო, დროებითი, სეზონური და ქანქარისებური.

- მიგრაცია სამუდამოა, თუ ადამიანი სამუდამოდ ტოვებს თავის საცხოვრებელ ადგილს და სხვაგან მიემგზავრება.
- მიგრაცია დროებითია, თუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხდება გარკვეული ვადით. დროებითი მიგრაციების ყველაზე

გავრცელებული ფორმაა ტურიზმი. გარდა ამისა, დროებითი მიგრაცია შეიძლება გამოწვეული იყოს დასაქმების, მკურნალობის ჩატარების ან განათლების მიღების მიზეზით.

- სეზონური მიგრაციის დროს ადამიანი სეზონური დასაქმების მიზნით მოკლე ვადით ტოვებს თავის საცხოვრებელ ადგილს. სეზონური მიგრაციის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა მწყემსების მიერ პირუტყვის გადადენა საზაფხულო ან საზამთრო იალაღებზე. ეს პროცესი რამდენიმე თვე გრძელდება ხოლმე. მეორე მაგალითია "სეზონური მუშების" მიგრაცია სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მოსავლის აღებისა და დაბინავების პერიოდში. სეზონური მიგრაციების ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია, მაგალითად, სამხრეთ ევროპის ქვეყნებში – ესპანეთში, იტალიასა და საფრანგეთში, როდესაც ყურძნისა და ციტრუსების მოსავლის აღების პერიოდში იქ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან სეზონური მიგრანტები ჩადიან.
- ქანქარისებური მიგრაცია გულისხმობს, რომ მიგრანტი ყოველდღიურად მიდის სამუშაოზე ერთი პუნქტიდან მეორეში და სამუშაოს დამთავრების შემდეგ თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ბრუნდება. ქანქარისებური მიგრაცია საკმაოდ გავრცელებულია იმ პატარა ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებში, რომლებიც მსხვილი ქალაქების მახლობლად მდებარეობენ. ამ სოფლებისა და პატარა ქალაქების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დასაქმებულია მსხვილი ქალაქის საწარმოებში ან იქ სავაჭროდ მიემგზავრება. ქანქარისებური მიგრაცია განვითარებულია ერთმანეთთან ახლოს მდებარე ორ მსხვილ ქალაქს შორისაც (მაგალითად, თბილისი და რუსთავი). ამგვარ გადაადგილებას ყოველდღიური ან თითქმის ყოველდღიური ხასიათი აქვს.

XX ს.-ში საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა მიგრაციის ერთ-ერთმა სახეობამ, რომელსაც რეპატრიაცია ეწოდება. რეპატრიაცია გულისხმობს ადამიანის მიერ თავისი მოქალაქეობის ქვეყნის დატოვებას და წინაპრების სამშობლოში სამუდამოდ გადასვლას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც შეიქმნა ისრაელი, მასში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მილიონობით ებრაელი ჩავიდა. 1960-იან წლებში სომხეთში საცხოვრებლად გაემგზავრა ათასობით ეთნიკური სომეხი, ძირითადად ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებიდან. 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში

ასეულობით ათასმა ეთნიკურმა გერმანელმა დატოვა საბჭოთა კავშირი და გერმანიაში საცხოვრებლად წავიდა. საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ინტენსიური რეპატრიაცია, რომელმაც ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა მოიცვა და მასში მილიონობით ადამიანი მონაწილეობდა. ამ პროცესში რეპატრიანტთა დიდ უმრავლესობას ეთნიკური რუსები შეადგენდნენ, რომლებიც ძირითადად რუსეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

მოსახლეობის მიგრაციები ყოველთვის უაღრესად აქტუალური მოვლენა იყო. მიგრაციული პროცესების შედეგები დადებითად აისახა კაცობრიობის ცხოვრების მრავალ ასპექტზე. კერძოდ, მიგრაციები ხელს უწყობს (უწყობდა):

- ახალი ტერიტორიების ეკონომიკურ ათვისებას;
- სამუშაო ძალის რაციონალურ გამოყენებას;
- ადამიანებს შორის ურთიერთკავშირს, რის შედეგადაც ხდება აკულტურაცია (აკულტაცია) ე. ი. ხალხებს შორის კულტურის მიღწევების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ურთიერთგაცვლას;
- მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების საერთაშორისო გავრცელებას;
- ვაჭრობის განვითარებას;
- ტურიზმის განვითარებას;
- სპორტის განვითარებას;
- დასაქმებას, შესაბამისად ადამიანის მატერიალური დონის ამაღლებას;
- განათლების, კულტურული და პროფესიული დონის ამაღლებას;
- ჯანდაცვის განვითარებასა და ადამიანების მკურნალობას.

4.2 მიგრაციის თეორიები (კონცეფციები)

მიგრაციას, როგორ უძველეს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ მოვლენას, სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მიგრაციის სფეროში მაინც არ არსებობს ერთი უნივერსალური თეორია, რომელიც მეცნიერების მიერ ერთხმად არის აღიარებული, რადგან მიგრაციის არსი და მისი კვლევა ინტერდისციპლინარულ საკითხად რჩება. მიგრაციის არსი, სტრუქტურა, შედეგები და მათი ანალიზი საჭიროებს ისეთი დარგების კვლევას, როგორებიცაა გეოგრაფია, დემოგრაფია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, სამართალი, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, კულტურა და სხვა. (Brettel C. & Hollified J. 2000).

ერნსტ რავენსტეინის მიგრაციის თეორია

ერნსტ რავენსტეინი (*Ernst Ravenstein*) მიჩნეულია მიგრაციის ერთ-ერთ პირველ თეორიტიკოსად. ის ინგლისისა და უელსის მონაცემებს აგროვებდა და შემდეგ მათ აანალიზებდა. შედეგები წარმოდგენილი იყო მიგრაციის კანონის თავში, წიგნში „ამერიკაში ჩამოსვლა“ (Laws of Migration in Coming to America). რავენსტეინმა დაასკვნა, რომ მიგრაცია მჭიდროდ უკავშირდება სხვადასხვა ფაქტორთან, რომლებიც მოსახლეობას უბიძგებს, დატოვონ საკუთარი ქვეყანა და / ან გაემგზავრონ საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში. როგორც წესი, **მიგრაციის პირველადი მიზეზი უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობებია**. (Daugherty H. & Kammeyer K. 1995).

რავენსტეინმა შეიმუშავა მიგრაციის თეორია, რომელიც მორგებული იყო 1834-1913 წლების პერიოდს. ეს თეორია გულისხმობს :

- ყველა მიგრაციული ნაკადი იწვევს უკან დაბრუნებას ან საპირისპირო მიგრაციას;
- მიგრანტების უმეტესობა მოკლე მანძილებზე გადაადგილდება;
- ის მიგრანტები, რომლებიც დიდ მანძილებზე გადაადგილდებიან, გეზს ძირითადად დიდი ინდუსტრიული ქალაქებისკენ იღებენ;

- მიგრაცია ვითარდება სოფელი-ქალაქის მიმართულებით. ქალაქის მაცხოვრებლები უფრო ნაკლებად ხასიათდებიან მიგრაციებით, ვიდრე სოფლის;
- ქალებს უფრო გააჩნიათ მიგრაციისადმი მიდრეკილება, ვიდრე კაცებს. თუმცა ქალები უფრო მოკლე მანძილზე მიგრირებენ, ვიდრე კაცები.
- მიგრაციას ძირითადად ეკონომიკური მიზეზი განაპირობებს.

მიგრაციის მიზეზი ხდება ბუნებრივი გარემო და საცხოვრებელი პირობები. ადამიანები ძირითადად გეოგრაფიულად მიმზიდველი ლოკაციებისკენ გადაადგილდებიან.

- მიმზიდველი რეგიონები გულისხმობს თბილ კლიმატს და ზღვის სანაპიროს.
- მიგრანტები საკუთარ საცხოვრისს არასახარბიელო პირობების გამოც ტოვებენ. წყალი, ბევრი თუ ცოტა, გარემო პირობების ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბევრი ადამიანი იძულებულია, გადაადგილდეს წყალთან დაკავშირებული პრობლემების გამო, როგორებიცაა, მაგალითად, წყალდიდობა, რომელიც ხშირად წლების განმავლობაში მუდმივ ხასიათს იღებს.
- გვალვა ასევე ხშირად გამხდარა მიგრაციის მიზეზი. მაგალითად, 1930 წელს აშშ-ში მტვრის ქარიშხლების (Dust Bowl) სერიის შემდეგ, რომელსაც რამდენიმეწლიანი გვალვა მოჰყვა, ათასობით ოჯახმა დატოვა თავისი ფერმა და საცხოვრებლად კალიფორნიაში გადავიდა.
- მიგრაციის პროცესში ხანდახან თავს იჩენს ხელისშემშლელი შუალედური სირთულეები, გარემოს ან კულტურული ხასიათის დაბრკოლებები. ბევრმა ამერიკელმა, რომელიც კალიფორნიის ოქროს ციებ-ცხელებით იყო მოხიბლული, დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია ისეთი ბარიერების გამო, როგორებიცაა კლდოვანი მთები და უდაბნოები.

მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები (Push-Pool Factors)

მიგრაციის ფენომენის არსი წარმოდგენილია მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორების (Push-Pool Factors) თეორიაში, რომელიც ევერეთ ლიმ (Everett S. Lee) 1966 წელს შეიმუშავა. ამ თეორიის თანახ-

მად, **ყველა ადამიანი პოტენციური მიგრანტია, ვინაიდან ხალხი აფასებს თავიანთი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების ხელ-საყრელობას და მათ სხვა ადგილების ანალოგიურ პირობებს ადარებს**.

მიგრაცია გულისხმობს ადამიანის საცხოვრებელი ადგილის მუდმივ ან გრძელვადიან ცვლილებას. მიგრაცია შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, რომლებიც შეიძლება იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ხასიათის და ასევე დამოკიდებული იყოს გარემო პირობებზე. ადგილი, სადაც ადამიანი ცხოვრობს ან მუშაობს, შეიძლება იყოს არასასურველი, ანუ უარყოფითი, ხოლო ადგილი სადაც წასვლას აპირებს - მიმზიდველი. ორივე, მასტიმულირებელი ფაქტორი დაკავშირებულია საწყის და დანიშნულების ადგილებთან. მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორების აღქმა განსხვავებულია თითოეული მიგრანტის შემთხვევაში. ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და განათლების დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ამ ძირითადი ფაქტორების გარდა, არსებობს შუალედური სირთულეები, როგორებიცაა კანონიერი ბარიერები, მიგრაციის ხარჯები, მანძილი, რომელთაც შეუძლია, შეაფერხოს მიგრაცია. ზოგიერთ გარემოებას, როგორებიცაა მიგრანტთა კავშირები (ეთნიკური თანამეგობრობები, დიასპორა), აქვს უნარი, მთლიანად მართოს მიგრაციული ნაკადების მიმართულებები, რითაც შეუძლია, შეასუსტოს შუალედური სირთულეების გავლენა და შეამციროს გადაადგილების ხარჯები. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილება მიგრაციის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, ინდივიდუალურად ან ოჯახთან შეთანხმებით უნდა იქნეს მიღებული, დამოკიდებულია საწყის და დანიშნულების ადგილებზე არსებული ფაქტორების ბალანსზე, ისევე როგორც შუალედურ სირთულეებსა და პირად გარემოებებზე (King, 2013: 12–13).

მიგრაციული ციკლის მოდელი

მიგრაციული ციკლის მოდელის მიხედვით, ეროვნული მიგრაციული რეჟიმი დემოგრაფიული დინამიკისა და შრომის ბაზრის სტრუქტურების საპასუხოდ ყალიბდება. ეს კონცეფცია დაფუძნებულია იდეაზე, რომ საზოგადოება და ქვეყნის სხვადასხვა სისტემა ახალი მიგრაციული გარემოებების შესაბამისად იცვლება და ვითარდება.

მაგ., ემიგრაციის ქვეყანა იმიგრაციის ქვეყნად გარდაიქმნება, თუ იწყება ეკონომიკური აღმავლობა და შრომის ბაზარი ფართოვდება (Fassmann and Reeger 2012: 67).

მოდელის სპეციფიკური ელემენტია ახალ გარემოებებთან ეტაპობრივი შეგუება. საწყისი პოზიციები შეიძლება მეტ-ნაკლებად სტაბილურად დახასიათდეს. ამ ეტაპზე ემიგრაცია უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე იმიგრაცია, ან მიგრაციის სალდო ნულის ტოლია. შუალედური, ანუ გარდამავალი ეტაპის დროს ყოფილი ემიგრაციის ქვეყანა ეტაპობრივად იმიგრაციის ქვეყნად გარდაიქმნება. ამას მოსდევს საკანონმდებლო ხასიათის ცვლილებები, რომლებიც მოწოდებულია, მიგრაციისა და ინტეგრაციის საკითხები დაარეგულიროს.

„მიგრაციული ციკლის მოდელი“ ქვეყნების მიგრაციების გრძელვადიანი განვითარების გეგმაა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ქვეყანა განვითარების ანალოგიურ ციკლს გადის ან ცალკეული ეტაპები ყველასათვის თანაბრად გრძელდება. პირიქით, ამ ციკლის სხვადასხვა მოდელისა და ტრაექტორიების განვითარების დიდი ალბათობა არსებობს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მოდელის არსი ხშირად ეხმარება მეცნიერებს ემიგრაციისა და იმიგრაციის დინამიკური პროცესის შესწავლაში.

მსოფლსისტემათა მოდიფიცირებული თეორია

მიგრაციების მსოფლსისტემური მიდგომის თეორია დამოკიდებულების თეორიის საფუძველზე აღმოცენდა და XVI ს.-დან დღემდე გლობალური კაპიტალისტური სისტემის უფრო სრული და რთული განვითარებისა და გაფართოვების ისტორიული ანალიზი ჩამოაყალიბა (Wallerstein 1974, 1979). ამ მსოფლიო კაპიტალისტურმა სისტემამ კოლონიალურ ნიღაბში თავის აპოგეას 1900 წლისთვის მიაღწია. ომის შემდგომ, დეკოლონიზაციის ეპოქაში, ის ნეოკოლონიალიზმითა და კორპორაციული კაპიტალიზმით საზრდოობდა.

მსოფლსისტემების თეორია მაკროდონის თეორიათა რიცხვს მიეკუთვნება. **ის საერთაშორისო მიგრაციის გადამწყვეტ ფაქტორად ასახელებს არა ცალკეული ინდივიდისა და ოჯახების გადაწყვეტილებებს, არამედ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ფუნქციონირებას, ასევე, ეკონომიკისა და სოციალური სისტემების მდგომარეობას**.

საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების კვალი მკაფიოდაა გამოხატული მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის ურთიერთო-

ბის პროცესში. სწორედ ამ კავშირებმა შექმნა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული რგოლები, ლინგვისტური და კულტურული საზოგადოებები. მსოფლიოს მასშტაბით კოლონიალიზმის პერიოდის დროს მეწარმეები საწარმოებს პერიფერიულ ქვეყნებში ხსნიდნენ, რათა იაფი მუშახელის, ნედლეულისა და რესურსების საშუალებით მეტი მოგება მიეღოთ. სწორედ ამის გამო ემიგრაცია ხშირად ყოფილი კოლონიებიდან იმ ქვეყნებისკენ იყო მიმართული, რომლებთანაც კავშირები კოლონიალიზმის პერიოდში დამყარდა – მაგალითად, პაკისტანელები და ინდოელები მიემგზავრებიან უმეტესად დიდ ბრიტანეთში, ალჟირელები – საფრანგეთში, ფილიპინელები – ამერიკის შეერთებულ შტატებში და ა.შ.

მსოფლსისტემების თეორია მეტწილად ემანუელ უოლერსტეინის (1974 და 1979 წლების) ნაშრომებს ეფუძნება. ის მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკაციას მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში მათი პოზიციების მიხედვით ახდენდა. დომინანტი კაპიტალისტური რეგიონები და ქვეყნები (ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია) წარმოადგენდნენ ბირთვს, ხოლო განვითარებადი ქვეყნები - პერიფერიას. ახალ საერთაშორისო შრომის დანაწილებაში, სიმდიდრისა და სტატუსის თვალსაზრისით, შუალედური ადგილები საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებს – ნახევარპერიფერიას ეკავა. მსოფლსისტემების თეორიამ წინ წამოსწია შრომა და მიგრაციები. კაპიტალიზმმა შეაღწია პერიფერიულ რეგიონებში და მოიცვა აგრობიზნესი და საექსპორტო ზონები, რომლებმაც სასოფლო საქმიანობა და დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ტრადიციული მოდელები უკან გადასწია და შრომითი მიგრაციისთვის მობილური არეალები შექმნა. ამ პროცესმა ბირთვის ქვეყნებს საშუალება მისცა, დაბალი ანაზღაურებისა და დაბალი სტატუსის მქონე მუშები „გამოეძახებინათ“ იქ, სადაც ამის საჭიროება იქმნებოდა.

მსოფლსისტემების თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ, როდესაც ემიგრაცია ტრადიციული და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან მდიდარი და განვითარებული ქვეყნებისკენ მიემართება, ხოლო მიგრანტები იწყებენ სამშობლოში ფულადი დახმარებების გაგზავნას, მიგრანტების სამშობლო ქვეყანა უფრო მეტად ერთვება საბაზრო ურთიერთობებში, რაც კიდევ მეტად უწყობს ხელს მიგრაციის დონის ზრდას (King, 2013: 18–19).

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, სავარაუდოდ, ყველაზე ცნობილი მიდგომაა საერთაშორისო მიგრაციის მიზეზების ასახსნელად. ის საერთაშორისო შრომით ემიგრაციას როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეებზე განიხილავს.

ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორიის თანახმად, შრომითი მიგრაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ეკონომიკური განვითარების არათანაბარი დონეა. შრომითი მიგრაციების ძირითადი მიზეზი ემიგრაციისა და მიმღებ ქვეყნებში შრომის ანაზღაურებაში მკვეთრი სხვაობებია. ამ თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ მომავალში შრომის ანაზღაურებაში სხვაობის მინიმუმამდე შემცირება საერთაშორისო შრომით მიგრაციას წერტილს დაუსვამს. (D. S Massey, 2005).

მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, და ეს გადაწყვეტილება ეფუძნება რაციონალურ გათვლებს, რაც დაკავშირებულია იმ მატერიალურ შემოსავალთან, რომელსაც მიგრანტი უცხო ქვეყანაში დასაქმების შედეგად მიიღებს.

შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია

შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური (New Economics of Labour Migration) თეორია მიკრო დონის თეორიებს მიეკუთვნება. სხვაგვარად, ამ თეორიას შიდა ან საოჯახო მეურნეობის ეკონომიკას (Household Economics) უწოდებენ. შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკის (ინგლისური აბრევიატურა NELM) თეორიის წარმოშობა დაკავშირებულია ამერიკელი მეცნიერის, ოდედ სტარკის (Oded Stark), სახელთან (იხ. Stark, 1991 და Stark & Bloom, 1985).

1980-იანი წლებიდან მოყოლებული, NELM-მა მიგრაციის შესწავლაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ამ თეორიის დახასიათებისას 2 ინოვაციური ასპექტი უნდა გამოვყოთ. **NELM-ის თანახმად, მიგრაციულ პროცესებში ჩაბმა კოლექტიური და არა ინდივიდუალური (პიროვნული) გადაწყვეტილებაა**. კოლექტიურ გადაწყვეტილებში იგულისხმება, რომ ის მიიღება, როგორც წესი, ოჯახის დონეზე, თუმცა რიგ შემთხვევებში სცდება ოჯახის ფარგლებს და შეიძლება

მოიცვას უახლოესი სანათესავო ან თვით თემიც კი. **NELM-ის მეორე მნიშვნელოვანი დებულების თანახმად, მიგრანტისა და მისი ოჯახისთვის გადამწყვეტია არა იმდენად მიგრაციიდან მიღებული შემოსავლის სიდიდე, არამედ შემოსავლების დივერსიფიკაცია.**

თუ ორივე დებულებას გავაერთიანებთ, დავასკვნით, რომ ოჯახი ან შიდა მეურნეობა შრომითი რესურსების დივერსიფიკაციის მეშვეობით სათანადოდ აკონტროლებს საკუთარ მატერიალურ კეთილდღეობას. ოჯახის წევრთა ნაწილი ჩაბმულია შიდა მეურნეობაში, მეორე ნაწილი – შიდა მიგრაციაში, ხოლო მესამე ნაწილი – საერთაშორისო მიგრაციაში. NELM იმითაც არის საინტერესო, რომ ის მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიის საპირისპიროდ საერთაშორისო მიგრაციას არ განიხილავს, როგორც უცხოეთში სამუდამოდ დარჩენას. მეტიც, NELM აქცენტს უკუმიგრაციაზე აკეთებს (King, 2013: 22–23).

სოციალური კაპიტალის თეორია

სოციალური კაპიტალის თეორია ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილება ემიგრაციის შესახებ მხოლოდ ეკონომიკური გამოთვლების საფუძველზე არ მიიღება. ეს თეორია წამოსწევს სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობას მიგრაციის პროცესში. ეს თეორია საეჭვოს ხდის მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორების როლს საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. **სოციალური კაპიტალის თეორიის თანახმად, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად იმ სოციალური კავშირების ზემოქმედებით ხდება, რომლებიც საზღვარგარეთ წასულ ემიგრანტებსა და მათ სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს შორის ყალიბდება**.

მოცემული თეორიის მიხედვით:

- გლობალური კავშირები იმდენად ფართო და მჭიდროა, რომ ემიგრაციის მსურველს შეუძლია, ყოველგვარი სირთულის გარეშე დატოვოს ქვეყანა.
- საერთაშორისო შრომის ბაზარი ორად არის გაყოფილი (მაღალანაზღაურებადი და დაბალანაზღაურებადი). ასეთი სეგმენტაცია განაპირობებს მოთხოვნას იაფ სამუშაო ძალაზე, რაც მიგრაციული ნაკადების გაფართოებას გადამწყვეტ სტიმულს აძლევს.

- მიგრაციის კონტროლი ძალიან რთულია, რადგან მიგრანტთა ქსელი იქმნება ქვეყნის გარეთა და ვითარდება მიგრაციის მართვის პოლიტიკის დამოუკიდებლად. **მიგრანტთა ქსელის არსებობა მიგრაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა**.

სოციალური კაპიტალის თეორია საკმაოდ კარგად ასახავს მშრომელ მიგრანტთა ყოფასა და ცხოვრებაში არსებულ თანამედროვე რეალობებს. ძალიან ბევრი მიგრანტის გადაწყვეტილებაზე - სამუშაოდ საზღვარგარეთ გაემგზავროს, მნიშვნელოვან როლს მიგრაციის სოციალური ქსელი ასრულებს. სწორედ ამ ქსელის მეშვეობით იღებს პოტენციური მიგრანტი პრაქტიკულად ამომწურავ ინფორმაციას მიმღებ ქვეყანაზე (ქალაქზე), სამუშაო და საცხოვრებელ პირობებზე, ანაზღაურებაზე და ა.შ.

4.3. იძულებითი მიგრაცია

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადამიანთა ტერიტორიული გადაადგილება ყოველთვის ნებაყოფლობით არ არის. მსოფლიოს ისტორიაში დაფიქსირებულია იძულებითი მიგრაციების მრავალი შემთხვევა. იძულებითი მიგრაციის კლასიკურ მაგალითად ითვლება ევროპელების მიერ მილიონობით აფრიკელის დატყვევება და ამერიკაში მათი მონებად გაყიდვა. ცალკეული ადამიანის, ისევე, როგორც ადამიანთა ჯგუფების იძულებითი გადაადგილება შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკური, ეთნიკური ან რელიგიური დევნით. ასეთი სახის მოვლენებიც მრავლად იყო კაცობრიობის ისტორიაში. მაგ., ოსმალეთის იმპერიაში რელიგიური შევიწროების შედეგად საქართველოში გადმოსახლდნენ ქურთი იეზიდები, ბერძნები და სომხები. იმავე მიზეზით, არაბული ქვეყნებიდან საქართველოში ჩამოსახლდნენ ასირიელი ქრისტიანები. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ნახევარი მილიონი ადამიანი იძულებული იყო, დაეტოვებინა ნაცისტური გერმანია, იტალია, ესპანეთი, სადაც ისინი განიცდიდნენ დევნას პოლიტიკურ და განსაკუთრებით ეთნიკურ (უპირველეს ყოვლისა ებრაელები) ნიადაგზე. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთი გენიალური ადამიანები, როგორებიც იყვნენ ალბერტ აინშტაინი, ლიონ ფოიხტვანგერი, თომას მანი, ენრიკო ფერმი. საბჭოთა კავშირის არსებობის ადრეულ ეტაპზე ათეულობით ათასმა ადამიანმა, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, მიატოვა ეს ქვეყანა და ძირითადად ევროპაში იპოვა თავშესაფარი. მათი ემიგრაცია დროული აღმოჩნდა, რადგან მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებმა შეიწირა ასი ათასობით "პოლიტიკურად არასანდო პირის" სიცოცხლე, ხოლო მილიონობით ადამიანი გადაასახლეს ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და ყაზახეთში.

ომების, ადამიანებით ვაჭრობის, პოლიტიკური დევნის, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით შევიწროების, ბუნებრივი მოვლენების და ეკოლოგიური კატაკლიზმების მიზეზით გამოწვეულ მიგრაციას ადამიანთა იძულებით გადაადგილებას უწოდებენ. იძულებით გადაადგილებული პირები შეგვიძლია დავყოთ ხუთ შე-

მდეგ კატეგორიად: ლტოლვილებად, დევნილებად, ეკოლოგიურ მიგრანტებად, პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლებად და ტრეფიკინგის მსხვერპლად.

- **ლტოლვილი:** თუ ომმა ან ბუნებრივმა კატაკლიზმებმა გამოიწვია ადამიანის გადასახლება სხვა ქვეყანაში.
- **დევნილი**: საომარი მოქმედებების შედეგად თავისი ქვეყნის სხვა რეგიონში გადასახლებული პირი.
- **ეკოლოგიური მიგრანტი**: ადამიანი, რომელმაც ბუნებრივი მოვლენების ან ეკოლოგიური კატასტროფის მიზეზით საკუთარი ქვეყნის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა.
- **პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელი**: პირი, რომელიც საკუთარ ქვეყანაში განიცდის დევნას პოლიტიკური მრწამსის, რელიგიური აღმსარებლობის ან ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე და ამ მიზეზით სურს სამშობლოს დატოვება და სხვა ქვეყანაში გადასახლება.
- **ტრეფიკინგის მსხვერპლი:** ადამიანი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების შედეგად გახდა ადამიანებით არალეგალური ვაჭრობის ობიექტი.

საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის (International Labour Organization, 2014, შემოკლებით ILO,) 2014 წლის მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 21 მილიონი ადამიანი იძულებით ექსპლუატაციას განიცდის. ეს გულისხმობს ადამიანთა იძულებით შრომას, მათი ნების საწინააღმდეგოდ. იძულებით შრომით მსხვერპლთა დასაქმების სექტორსა და ფორმებს წარმოადგენს: სოფლის მეურნეობა, ნარკობიზნესი, მშენებლობა, შინამოსამსახურეობა, მათხოვრობა, კვებითი მომსახურეობა, სამთო-მოპოვებითი მრეწველობა.

იძულებითი შრომის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მეტად საყურადღებო თემაა სექსუალური ექსპლუატაცია, რომელიც ადამიანთა ტრეფიკინგის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მსოფლიოში. ამ სახის ტრეფიკინგის მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი ჯერ კიდევ დაუდგენელია.

იძულებითი შრომის შემთხვევათა ნახევარზე მეტი აზია-ოკეანეთის რეგიონისთვისაა დამახასიათებელი – 11.7 მლნ, აფრიკა – 3.7 მლნ, ლათინური ამერიკა – 1.8 მლნ, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა – 1.6 მლნ. აღსანიშნავია, რომ მოცემული ციფრები რეალობას სრულად არ ასახავს. დიდი ალბათობით, ტრეფი-

კინგის მსხვერპლთა რაოდენობა მსოფლიოში გაცილებით მეტია. მსხვერპლთა მესამედი არასრულწლოვანია, უმრავლესობას კი - ქალები, მათ შორის ახალგაზრდა გოგონები წარმოადგენენ (11.4 მლნ). სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევაშიც მსხვერპლთა 98%-ს ქალები და გოგონები შეადგენენ. საპირისპიროდ, შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი კერძო ეკონომიკაში ძირითადად მამაკაცები არიან (14.2 მლნ-დან 60%). ყოველწლიურად არალეგალური შრომითი ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალი 150 მილიარდ დოლარს შეადგენს. თითოეული "მუშა" ყოველწლიურად საშუალოდ 3.900-დან 34.800-მდე აშშ დოლარს გამოიმუშავებს. (International Organization for Migration ; Global Migration Data Analysis Centre GMDAC, 2015)

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში 2014 წელს ტრეფიკინგის მსხვერპლი 40 ათასზე მეტი ადამიანი (United States of America - Departament of State, 2015) იყო. ტრეფიკინგის ყველაზე მეტი შემთხვევა ევროპაში დაფიქსირდა (11,910), შემდეგ მოდის აფრიკა (9 523), ჩრდილოეთ ნახევარსფერო (8 414), აღმოსავლეთ აზია და ოკეანეთი (6 349), სამხრეთი და ცენტრალური აზია (4 878), ახლო აღმოსავლეთი (3 388). (International Organization for Migration; Global Migration Data Analysis Centre GMDAC, 2015) აშშ-ში ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებიან ძირითადად მექსიკის, იამაიკის, ფილიპინების, სამხრეთ აფრიკის, პერუს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ დროებით ვიზებს (B-1, G-5, J-1), დასაქმებულები არიან სოფლის მეურნეობაში, სასტუმროსა და მასპინძლობის ბიზნესში, რესტორნებში და ა.შ. შრომით ექსპლუატაციას ხშირად ახლავს სექსუალური შევიწროებაც. (Labor Trafficking in the U.S., 2014).

4.4 შიდა მიგრაცია

ადამიანების ტერიტორიული გადაადგილების მასშტაბის მიხედვით, მიგრაციები იყოფა შიდა და საგარეო (საერთაშორისო) მიგრაციებად. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანების ტერიტორიული გადაადგილება აღინიშნება ერთი ქვეყნის ფარგლებში, საქმე გვაქვს შიდა მიგრაციასთან, ხოლო თუ ასეთი გადაადგილება აღინიშნება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ეს საგარეო ანუ საერთაშორისო მიგრაციაა.

შიდა მიგრაციები ოთხი შემდეგი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს:

- სოფელი-სოფელი;
- სოფელი-ქალაქი;
- ქალაქი-ქალაქი;
- ქალაქი-სოფელი.

შიდა მიგრაციების ყველაზე გავრცელებული მიმართულებებია სოფელი-ქალაქი და ქალაქი-ქალაქი. სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში ყოველთვის დიდი აქტუალობით გამოირჩეოდა. მთლიანად ეს დადებითი და ბუნებრივი პროცესია. თავის დროზე, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ და სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა ხელი შეუწყო წარმოების, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ინტენსიფიკაციას. ხელით შრომა მანქანური შრომით შეიცვალა, რის შედეგადაც სოფლად დიდი რაოდენობით სამუშაო ძალა გამოთავისუფლდა. სოფლის ჭარბი მოსახლეობა ქალაქებში გადასახლდა, სადაც ჯერ მრეწველობის, ხოლო შემდგომ მომსახურების სფეროს სწრაფმა განვითარებამ მოითხოვა დამატებითი შრომითი რესურსების არსებობა. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ეს პროცესი მეტ-ნაკლებად ჰარმონიულად და თანამიმდევრულად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით წინმსწრები ტემპით იზრდება, ვიდრე ეკონომიკა, რის გამოც ჭარბმოსახლეობის პრობლემა ერთნაირად მწვავეა დგას როგორც სასოფლო დასახლებების, ისე ქალაქების წინაშე.

შიდა მიგრანტების გარკვეული ნაწილი გარკვეული დროის შემდეგ თავისი მუდმივი ბინადრობის ადგილზე ბრუნდება. ეს შიდა მიგრაციების კიდევ ერთი გავრცელებული ფორმაა, რომელსაც "უკუმიგრაცია" ეწოდება. მასში ძირითადად ჩაბმული არიან სოფლებისა და პატარა ქალაქების მცხოვრებნი, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში მსხვილ ქალაქებში იმყოფებოდნენ განათლების მიღების ან დასაქმების მიზნით. სოფლის მოსახლეობის უკუმიგრაცია დადებით გავლენას ახდენს სასოფლო რაიონების განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებაზე, ასევე მათ ეკონომიკურ განვითარებაზე.

ხშირია, როდესაც სოფლის მოსახლე ჯერ პატარა ქალაქში გადადის საცხოვრებლად, შემდეგ კი - მსხვილ ქალაქში. ისეთ მიგრაციას, რომლის დროსაც მიგრანტი რამდენჯერმე იცვლის საცხოვრებელ ადგილს და ამასთან, თანმიმდევრულად გადადის მცირე დასახლებული პუნქტიდან უფრო დიდ დასახლებულ პუნქტში, საფეხურებრივი მიგრაცია ეწოდება.

შიდა მიგრაციები დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის ცალკეული რეგიონის ან დასახლებული პუნქტის დემოგრაფიულ სიტუაციაზე. თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შიდა მიგრაციული პროცესები ძირითადად ორგანიზებულ ხასიათს ატარებს და ხელს უწყობს ქვეყნის ცალკეული ტერიტორიის ათვისება-განვითარებას, განვითარებად სამყაროში ამგვარი გადაადგილებები, როგორც წესი, უკონტროლოდ, სპონტანურად მიმდინარეობს.

მიგრაციულ პროცესებში ძირითადად შრომის ასაკის ადამიანები მონაწილეობენ. შიდა მიგრაციული უმთავრესი ნაკადები მიემართება სასოფლო დასახლებებიდან ქალაქებისაკენ. სოფლებიდან ქალაქებში მოსახლეობის გადინება დადებითად აისახება იმ ქვეყნების სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლებშიც არსებობს ჭარბმოსახლეობის პრობლემა. მაგრამ, იმ ქვეყნებში, სადაც დემოგრაფიული კრიზისია, ეს პროცესი მძიმე უარყოფითი შედეგების მომტანია. ის, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის დაბერებას, რაც, თავის მხრივ, იწვევს სასოფლო რეგიონებში სამუშაო ძალის დეფიციტს.

სუსტად განვითარებული ქვეყნების ქალაქებში შრომათმოწყობის შესაძლებლობები უაღრესად ლიმიტირებულია, მით უფრო არაორგანიზებული მიგრაციების პირობებში. შესაბამისად, მსხვილ ქალაქებში იზრდება უმუშევრობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, აისა-

ხება სოფლებიდან ან პატარა ქალაქებიდან ჩამოსულ ადამიანებზე. საბოლოოდ, ეს პროცესი იწვევს ქალაქის კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებას. უკონტროლო მიგრაციების შედეგად განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში წარმოიშობა სხვა სახის სოციალური პრობლემები, მათ შორის არასრულწლოვანთა არალეგალური დასაქმება, სიღატაკე, ანტისანიტარია, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ჩვილთა სიკვდილიანობის ზრდა.

4.5 მიგრაციების ისტორიული მიმოხილვა

მიგრაციები ყველა ისტორიულ ეპოქას ახასიათებდა, ამასთან, ადამიანების ტერიტორიული გადადგილება ყოველ კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში გამოირჩეოდა შესაბამისი ფორმით, მასშტაბით, გეოგრაფიული მიმართულებითა და შედეგებით.

ადამიანების ტერიტორიული გადაადგილების ისტორიაში პირობითად შეიძლება გამოვყოთ 7 პერიოდი:

- უძველესი ხანა, რომელიც სათავეს იღებს დაახლოებით 700 ათას წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და გრძელდებოდა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე. ეს ხანა მოიცავს ორ ისტორიულ ეპოქას - პირველყოფილ თემურ წყობილებასა და მონათმფლობელობის თითქმის მთელ პერიოდს;
- IV-IX საუკუნეები - ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქა;
- X-XV საუკუნეები - განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქა;
- XVI-XVIII საუკუნეები - გვიანდელი ფეოდალიზმისა და ადრეული კაპიტალიზმის ეპოქები ("აბსოლუტიზმის ხანა");
- XIX საუკუნე – განვითარებული კაპიტალიზმის პერიოდი;
- XX საუკუნის პირველი ნახევარი – მსოფლიო ომების პერიოდი;
- თანამედროვე პერიოდი - XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.

უძველესი ხანის, კერძოდ კი, პირველყოფილი თემური წყობილების, მიგრაციებზე შეიძლება მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ვიმსჯელოთ. ეს ინფორმაცია კი იმდენად მწირია, რომ მეცნიერებს დღემდე უჭირთ ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგალითად, დაუდგენელია, რა მიზეზით გადმოვიდნენ ადამიანები საცხოვრებლად თბილი აფრიკიდან შედარებით ცივ ევროპაში[1]. ეს გადასახლება დაახლოებით 700 ათასი წლის წინ მოხდა. პირველი ევროპელები წარმოადგენდნენ

[1] ამ თავში ევროპა განხილულია მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებში, შესაბამისად, მის შემადგენლობაში არ უნდა ვიგულისხმოთ მცირე აზია და კავკასია.

ადამიანთა იმ მოდგმას, რომლებიც ჰომო ერექტუსის სახელით არიან ცნობილი. მსოფლიოს სხვა რეგიონებში მიმდინარეობდა ჰომო საპიენსის გავრცელება. ამ უკანასკნელის წარმომადგენლები ევროპაში შემოვიდნენ ახლო აღმოსავლეთიდან დაახლოებით 35 ათასი წლის წინათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ადამიანების ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნადირობას. ევროპის ტერიტორიაზე მათი მიგრაცია ხორციელდებოდა გარეული ცხოველების ჯოგების გადაადგილებასთან ერთად. ამასთან, მიმდინარეობდა ევროპის ახალ-ახალი მიწების ათვისება და გარკვეული ტერიტორიების დასახლება. ადამიანების განსახლებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ბუნებრივ-კლიმატური პირობები. გამყინვარებებმა დიდად შეცვალა ევროპის მოსახლეობის გადაადგილება. მეოთხეული და მეხუთეული გამყინვარებების გამო ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპაში ბინადარი ტომები იძულებული გახდნენ, სამხრეთ ევროპაში გადასახლებულიყვნენ. 12 ათასი წლის წინათ ევროპაში დაიწყო კლიმატური პირობების სტაბილიზაცია. ამ დროისათვის უკვე განვითარებული იყო მიწათმოქმედება და შინაური ცხოველების მოშენება, რის შედეგადაც იქმნებოდა დასახლებები.

მსოფლიოს სხვა რეგიონებში, კერძოდ, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ადამიანთა მიგრაციები და პირველი დასახლებების შექმნა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ევროპაში.

უძველეს ხანაში მსოფლიოს რეგიონებში აღინიშნა მნიშვნელოვანი ტერიტორიული გადაადგილებანი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-7 ათასწლეულში უკვე დასახლებული იყო მსოფლიო ცივილიზაციის უძველესი კერა – მესოპოტამია, იგივე შუამდინარეთი (თანამედროვე ერაყის ტერიტორია). სამხრეთ მესოპოტამია დასახლებული იყო შუმერებით, ხოლო ჩრდილოეთ მესოპოტამია - აქადიელებით. იმავე პერიოდის მე-3 ათასწლეულის ბოლოს ეს ტერიტორიები არამეელებმა დაიკავეს, რომლებიც აქ სამხრეთიდან მოვიდნენ.

დაახლოებით 40 ათასი წლის წინათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრებმა ტომებმა სამხრეთის მიმართულებით დიდი მანძილი გაიარეს და ავსტრალიაში დასახლდნენ (*Страны и народы, 1981: 11*).

ჩვენს ერამდე მე-4 ათასწლეულში ეგვიპტეში, მდინარე ნილოსის ნაპირებზე, საკმაოდ კომპაქტურად სახლობდნენ ბერბერული, პროსემიტური და კუშიტური ტომები. ვარაუდობენ, რომ მოგვიანებით ბერბერები გავრცელდნენ დასავლეთით, ხოლო პროსემიტური და კუშიტური ტომები – აღმოსავლეთით.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-3 ათასწლეულის შუაში ინდოეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ არიული ტომები. მათ დასაბამი მისცეს ინდოარიული ტომების გავრცელებას დასავლეთით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მიგრაციას და განსახლებას ირანში, სადაც ისინი დომინირებდნენ დაახლოებით 15 საუკუნის განმავლობაში, სპარსელებისა და მიდიელების გამოჩენამდე.

უძველეს ხანაში დაიწყო ჩრდილოეთ ამერიკის დასახლება, მას შემდეგ, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან, ბერინგის სრუტის გავლით, განხორციელდა ინდიელი ტომების მიგრაცია.

დაახლოებით 9-10 ათასი წლის წინათ ფილიპინების კუნძულებიდან იაპონიაში გადასახლდნენ აინები, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ იაპონიაში განსახლება დაიწყეს კორეული წარმოშობის ტომებმა (Брук С. 1986: 446-447). დაახლოებით ამავე პერიოდში ავსტრონეზიური, პროატლანტიკური, ჩინურ-ტიბეტური და ავსტროაზიური ტომების მიგრაციების შედეგად მოხდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიის ათვისება (Брук С. 1986: 372).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 8 ათასი წლით ადრე ევროპის ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი დასახლებები. ამ პერიოდში ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში გადმოსახლდნენ აზიური წარმომავლობის ტომები. მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5 ათასი წლით ადრე, დუნაისპირა ტომებმა მოახდინეს ჯერ დღევანდელი ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, სლოვაკეთისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის, ხოლო შემდგომ დღევანდელი საფრანგეთის, ნიდერლანდებისა და ბელგიის კოლონიზაცია. იმავე პერიოდში მცირე აზიის მოსახლეობამ დაიწყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ბალკანეთის სამხრეთ ნაწილის დასახლება. აღნიშნული პროცესები დაახლოებით ათასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამავე პერიოდს ემთხვევა იბერიული ტომების განსახლება ევროპის ტერიტორიაზე. იბერთა წარმოშობის შესახებ ორი მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, ისინი ევროპაში, კერძოდ, ესპანეთის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ აფრიკიდან მოვიდნენ და მათ არაფერი აქვთ საერთო საქართველოს იბერებთან. მეორე ვერსიის მიხედვით, იბერები ესპანეთში საქართველოდან გადასახლდნენ. იბერები ევროპაში, ესპანეთის გარდა, სახლობდნენ იტალიაში, საფრანგეთსა და ბრიტანეთშიც კი.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-V სს.-ში მომთაბარე ტომების მიერ მიმდინარეობდა ევროპის მნიშვნელოვანი ტერიტორიების და-

პყრობა და ათვისება. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო გერმანული ტომების გავრცელება ცენტრალურ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში. ასევე, აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში (დღევანდელი რუსეთის ტერიტორია) მცხოვრები მომთაბარეების, უპირველეს ყოვლისა სკვითების, განსახლება დღევანდელი უკრაინის, მოლდოვისა და სლოვაკეთის ტერიტორიებზე. მოგვიანებით ისინი იძულებულნი გახდნენ, ეს ადგილები სარმატებისათვის დაეთმოთ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში გამოჩნდნენ და შემდგომი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იქ დომინირებდნენ კელტები.

მონათმფლობელური ეპოქის განმავლობაში ევროპის პოლიტიკაში ლიდერობდა ჯერ საბერძნეთი, ხოლო შემდეგ კართაგენი და რომი. ისინი მიზნად ისახავდნენ დაპყრობილ ტერიტორიებზე გაევრცელებინათ თავიანთი ენა, რელიგია და კულტურა. ამის შედეგად ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიებზე შეიქმნა არაერთი პოლისი (ქალაქი). მაგ., დაარსდა ქალაქები კართაგენი, ალექსანდრია, მარსელი. რომაელებმა ევროპის დიდ ტერიტორიაზე გაავრცელეს ლათინური ენა, რომლის მოდიფიცირებული ვარიანტები ბევრი ხალხებისთვის (მათ შორის ფრანგებისთვის, ესპანელებისთვის, რუმინელებისთვის) მშობლიური ენა გახდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ეგეოსის ზღვისპირეთის, ჩრდილოეთ აფრიკის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიის, ესპანეთის, სიცილიის, კორსიკის, მალტის მნიშვნელოვანი ტერიტორიების დასახლება და ათვისება. რომაელებმა ჩრდილოეთ საფრანგეთიდან ბრიტანეთში გადაასახლეს ათასობით გალი, ხოლო ამ უკანასკნელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის საფუძველზე შეიქმნა უელსელი ერი. საბერძნეთისა და რომის წყალობით, დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ნაწილი ევროპულ კულტურას ეზიარა.

მონათმფლობელურ ეპოქაში, გადაადგილების მასშტაბის თვალსაზრისით, რეკორდულად შეიძლება ჩაითვალოს ჰუნების მიგრაცია. ჰუნების მიგრაცია დაიწყო ჩინეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში, მიმდინარეობდა ექვსი საუკუნის განმავლობაში და დასრულდა შავი ზღვის მიმდებარე ჩრდილოეთ ტერიტორიებზე. ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ანალოგიური გზა გაიარეს ავარებმა, კიდევ ერთმა თურქულენოვანმა ტომმა. ისინი იმ ტერიტორიებს დაეუფლნენ, სადაც ოთხი საუკუნით ადრე ჰუნები ცხოვრობდნენ. ავარებმა, ისევე, როგორც ჰუნებმა, დუნაისპირეთში თავიანთი ადგილი ვერ დაიმკვიდრეს და სხვა ხალხებს შეერწყნენ.

ევროპის მოსახლეობის ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა იქონია გოთების მიგრაციამ ჩვენი წელთაღრიცხვის 4-5 საუკუნეებში. გოთები გადმოვიდნენ შვედეთიდან ცენტრალურ ევროპაში და დროთა განმავლობაში ორად - ოსტგოთებად (ოსტგუთებად) და ვესტგოთებად (ვესტგუთებად) - გაიყვნენ. ოსტგოთები დასახლდნენ მდინარე დონსა და მდინარე დნეპრს შორის, ხოლო ვესტგოთები განსახლდნენ მათგან დასავლეთით, მდინარე დუნაის მიმდებარე ტერიტორიებზე. ამით გოთების მიგრაციები არ დამთავრებულა. 378 წელს ვესტგოთები შეიჭრნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე რომმა ვერ გაუძლო მათ გამუდმებულ თავდასხმებს, თანდათანობით სუსტდებოდა და 476 წელს ეს იმპერია საბოლოოდ დაიშალა (ქსე, 1984: 436). მე-5 საუკუნის დასაწყისში ვესტგოთებმა იტალიის გავლით შეაღწიეს და დაიკავეს ჩრდილოეთ და ცენტრალური ესპანეთი. ოსტგოთებმა კი 488 წელს დაიპყრეს იტალიის მნიშვნელოვანი ტერიტორია და ჩამოაყალიბეს სამეფო, რომლის დედაქალაქი გახდა რავენა. 554 წელს ეს სამეფო გაუქმდა ბიზანტიელებთან გადამწყვეტ ბრძოლაში მარცხის შედეგად (ქსე, 1979: 296). ოსტგოთთა ნაწილი ცენტრალურ ევროპაში დაბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას შეერია

VI ს.-ში იწყება სლავების, რომლებიც მანამდე დუნაის შესართავს, მდინარების დნეპრსა და ვისლას შორის მდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მასობრივი მიგრაცია ევროპაში. შემდგომი ოთხი საუკუნის განმავლობაში მათი მიგრაცია სამი ძირითადი მიმართულებით განხორციელდა. სლავების ერთი შტო დასახლდა ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავდა დღევანდელი რუსეთის ევროპული ნაწილის და უკრაინის მნიშვნელოვან არეალს, სადაც მოგვიანებით შეიქმნა კიევისა და ნოვგოროდის სლავური სამთავროები. მეორე შტო გაემართა დასავლეთით და დასახლდა ბალტიის ზღვის სანაპიროზე, ბოჰემიასა (დღევანდელი ჩეხეთის ტერიტორია) და აღმოსავლეთ ალპებში. ხოლო, მესამე შტო გადაადგილდა სამხრეთისაკენ და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილი დაიკავა. XII ს.-ის ბოლოსა და VIII ს.-ის დასაწყისში, ბულგარელებმა დუნაის სამხრეთით მდებარე ტერიტორია დაიპყრეს, ხოლო ხაზარები ვოლგასა და სამხრეთ ურალს შორის გაბატონდნენ. ამას მოჰყვა მათ მიერ სლავების შევიწროება. 885 წელს კიევისა და ნოვგოროდის სამთავროებს შვედეთიდან მოსული ვარიაგები დაეპატრონნენ. შედეგად, აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები სლავების მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში გადასახლდა.

VIII ს.-ში არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის გავრცელებისა და არაბთა ხალიფატის შექმნასთან ერთად იწყება არაბთა მიერ ჩრდილოეთ აფრიკის, სამხრეთ-დასავლეთ აზიისა და კავკასიის დაპყრობა. მათ განსაკუთრებით წარმატებით მოახერხეს ჩრდილოეთ აფრიკის ნაკლებად დასახლებული ტერიტორიების დაპყრობა და აქ დასახლება. მანამდე ჩრდილოეთ აფრიკაში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ეგვიპტელები (კოპტები) და ბერბერები. შემდგომი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის ისლამიზაცია და არაბიზაცია. არაბებმა აგრეთვე დაიპყრეს თითქმის მთელი ესპანეთი, სადაც ოთხი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ, თუმცა აქ დასახლება ვერ მოახერხეს, ისევე, როგორც ვერ მოახერხეს ეს სიცილიაში, ბიზანტიაში, საქართველოსა და სომხეთში.

IX ს.-ში დასავლეთ ევროპაში სკანდინავიიდან ნორმანები (ვიკინგები) შეიჭრნენ. ორი საუკუნის განმავლობაში ნორმანებმა დაიპყრეს და დასახლდნენ ჩრდილოეთ საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ფარერის კუნძულებზე, ინგლისში, ისლანდიაში, გრენლანდიაში. ინგლისში ნორმანებისა და ანგლო-საქსების შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბდა ინგლისელი ერი და ინგლისური ენა (*დავითაშვილი, 2001: 64*).

მე-10 საუკუნეში სამხრეთ ურალიდან ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში შემოვიდნენ და განსახლება დაიწყეს ფინო-უგორიულმა ტომებმა. უნგრელები (მადიარები) დასახლდნენ პანონიის დაბლობზე, ხოლო მოგვიანებით ფინური ტომები – დღევანდელი ფინეთისა და ესტონეთის ტერიტორიაზე.

ზემოთ განხილული მიგრაციების შედეგად დასრულდა დასავლეთ ევროპის მოსახლეობის ძირითადი ეთნოსების ფორმირება. შემდგომ საუკუნეებში მოსახლეობის მნიშვნელოვანმა გადაადგილებებმა გამოიწვია ჩამოყალიბებული ეთნოსების შემდგომი განახლება-განვითარება, მაგრამ ამ მიგრაციების შედეგად დასავლეთ ევროპის ეთნიკური პორტრეტი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ევროპაში ეთნოსების ჩამოყალიბების პროცესი უფრო ადრე დასრულდა ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში, შესაბამისად, აქ უფრო ადრე დაიწყო სახელმწიფოების ფორმირება. გარდა ამისა, ევროპა მსოფლიოს ყველაზე დასახლებული რეგიონი გახდა. მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩეოდა მისი დასავლეთ ნაწილი, იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპა შედარებით დაუსახლებელი იყო. დასავლეთ

ევროპის ხალხებისათვის შემდგომი ტერიტორიული გაფართოების საშუალებას მხოლოდ ახალი ტერიტორიების შემოერთება წარმოადგენდა. ამის რეალიზაცია კი შესაძლებელი იყო ახლო აღმოსავლეთისა და რუსეთის მიწების დაპყრობისა და ათვისების შედეგად.

XI-XV ს.-ები ევროპის, კერძოდ კი, დასავლეთ ევროპის ისტორიაში ცნობილია, როგორც "ჯვაროსნული ლაშქრობების" ხანა. 8 ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, მცირე აზიაში, კვიპროსზე და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დაახლოებით 250 ათასი ევროპელი, უპირატესად ფრანგი, დასახლდა. დღევანდელი ლიბანის ტერიტორიაზე ევროპელებმა დააარსეს ტამპლიერების სამეფო, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ თურქებისა და არაბების შემოტევების შედეგად დაეცა.

გერმანული წარმოშობის ხალხებმა დაიწყეს აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიების დალაშქვრა. დაახლოებით 300-400 ათასი გერმანელი დასახლდა სილეზიის დაბლობზე, პომერანიაში, ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ფინეთის უბის სანაპიროზე და პრუსიაში. მანამდე აქ მცხოვრები სლავები იძულებული იყვნენ, აღმოსავლეთში გადასულიყვნენ ან შერეოდნენ ახლად მოსულ გერმანულ მოსახლეობას.

XI-XV ს.-ებში ინგლისში გადასახლდა 100 ათასი ფრანგი. მათი უმრავლესობა იქ ამ ორ ქვეყანას შორის 100-წლიანი ომის შედეგად მოხვდა.

XIV ს.-ში კათოლიკური ეკლესიის მიერ წამოწყებული კამპანიის შედეგად მოხდა ებრაელების განდევნა ინგლისიდან, საფრანგეთსა და განსაკუთრებით ესპანეთიდან. შემდგომი 2-3 საუკუნის განმავლობაში ასი ათასობით ებრაელი აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად, პოლონეთსა და ლიტვაში გადასახლდა.

XIII ს.-ში რუსეთი თათარ-მონღოლთა შემოსევის ობიექტი გახდა. მათი ბატონობა თითქმის სამი საუკუნე გაგრძელდა. ამის შედეგად თათრულმა ტომებმა თავიანთი პოზიციები განიმტკიცეს ვოლგისპირეთში, სადაც დღემდე კომპაქტურად სახლობენ.

მეორე ათასწლეულის დასაწყისში ყველაზე მნიშვნელოვანი მიგრაცია აღინიშნა აზიაში. ამ პერიოდში ციმბირის სამხრეთ ნაწილიდან და ცენტრალური აზიიდან თურქულმა ტომებმა დაიწყეს მიგრაცია სამხრეთ-დასავლეთით. მათ ჯერ სპარსეთი დაიკავეს, ხოლო

შემდეგ განსახლება დაიწყეს მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის (დღევანდელი სტამბოლი) აღებით დასრულდა ბიზანტიის იმპერიის ისტორია და საფუძველი ჩაეყარა ოსმალეთის იმპერიას.

ამერიკის აღმოჩენის შემდეგ მიგრაციების ისტორიაში ახალი ერა დადგა. XVI-XIX საუკუნეების განმავლობაში მოსახლეობის ყველაზე მასშტაბური გადაადგილება სწორედ ამერიკის მიმართულებით მიმდინარეობდა. ევროპელთა მიგრაცია ამერიკაში განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო ეკონომიკური, რადგან ამერიკის ათვისება დაკავშირებული იყო მაღალი შემოსავლების მიღებასთან. გარდა ამისა, ევროპელების მნიშვნელოვან ნაწილს სჯეროდა, რომ ამერიკაში შესაძლებელი იქნებოდა ისეთი სახელმწიფოების შექმნა, სადაც დამკვიდრდებოდა სოციალური სამართლიანობა, რის შედეგადაც აღმოიფხვრებოდა წოდებრივი განსხვავებები და, რაც მთავარია, დაკანონდებოდა სიტყვის, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება. აზიელთა და ჩრდილოეთ აფრიკელთა (არაბთა) ამერიკაში მიგრაცია ძირითადად ეკონომიკური მოტივებით იყო განპირობებული.

მოდერნული და პოსტმოდერნული (XVII საუკუნიდან დღემდე) ეპოქების მიგრაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტური ურთიერთობების აღმოცენებისა და განვითარების პირობებში მიმდინარეობდა და პირობითად 4 პერიოდად შეიძლება დაიყოს.

პირველი ტალღა: 1607-1790 წწ.

ამერიკის ათვისება თავდაპირველად ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ზოგადად, ახალ სამყაროში ევროპელთა ემიგრაციაში შეინიშნებოდა მკაფიოდ გამოხატული გეოგრაფიული კანონზომიერებები. დღევანდელი აშშ-სა და კანადის ტერიტორიების ათვისებაში მონაწილეობდნენ ძირითადად ბრიტანელები, ფრანგები და გერმანელები, იმ დროს, როდესაც ესპანელებმა და პორტუგალიელებმა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის კოლონიზაცია მოახდინეს. ამ წესიდან გამონაკლისს ჰოლანდიელები წარმოადგენდნენ, რადგან მათ ემიგრაციას ამერიკაში მკაფიო გეოგრაფიული მიმართულება არ ჰქონდა. ისინი ცდილობდნენ, კოლონიები შეექმნათ ყველგან, სადაც ამის საშუალება მიეცემოდათ.

აშშ-ის ტერიტორიის ათვისება მისი აღმოსავლეთ სანაპიროდან დაიწყო. იმიგრაციის თავდაპირველი კერები გაჩნდა იქ, სადაც დღეს მსხვილი ქალაქები - ფილადელფია და ბალტიმორი, ასევე მერილენდისა და სამხრეთ კაროლინას შტატები მდებარეობს. ამ პერიოდის იმიგრაციაში მნიშვნელოვან როლს „კოლონისტები“ ასრულებდნენ. მათი მეცადინეობით, სამხრეთში განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხოლო აღმოსავლეთ სანაპიროზე – მანუფაქტურული (გადამამუშავებელი) მრეწველობა. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ევროპიდან მუშახელის მოზიდვა დაიწყო. აშშ-ში იმიგრაციის პირველ პერიოდში ყველაზე მეტი ადამიანი ბრიტანეთიდან (ირლანდიის ჩათვლით), ჩრდილო გერმანიიდან და საფრანგეთიდან ჩამოვიდა (Shirey, 2015). ადამიანები ამერიკაში მხოლოდ ეკონომიკური მიზნებით არ ჩადიოდნენ. აღნიშნულ პერიოდში, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა „პურიტანების“ მიგრაციას. XVII საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკაში ათასობით ინგლისელი კალვინისტი გადასახლდა. ისინი აპროტესტებდნენ, ზოგადად რომის პაპის, კონკრეტულად კი კათოლიკური დოგმატების ძლიერ ზეგავლენას ინგლისურ ეკლესიასა და მათ პროტესტანტულ მრწამსზე.

1776 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქვეყანაში დაახლოებით 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა (*Wayne, 2015*).

მეორე ტალღა: 1790-1870 წწ.

აღნიშნულ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა აშშ-ში ევროპელთა მასობრივ იმიგრაციას. იმიგრანტთა ძირითადი მასა დასავლეთ ევროპიდან ჩამოვიდა. ინგლისიდან იმიგრაციამ დაიკლო, სამაგიეროდ „გერმანული“ ტალღა გაძლიერდა. „გერმანული“ მიგრაცია მოიცავდა არა მარტო ეთნიკურ გერმანელებს, არამედ სკანდინავიელებს, ჰოლანდიელებსა და ავსტრიელებს. აღსანიშნავია, რომ გერმანულ მიგრაციაში ძირითადად შეძლებული ადამიანები მონაწილეობდნენ. აშშ-ში მათ მიწის დიდი ნაკვეთები შეიძინეს და სოფლის მეურნეობას მიჰყვეს ხელი. მათმა იმიგრაციამ ქვეყნის თითქმის მთელი ცენტრალური დასავლეთი (Midwest) მოიცვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ირლანდიელთა იმიგრაცია. 1840-იან წლებში კარტოფილის მოუსავლიანობამ აშშ-ში ირლანდიელთა მასობრივ გადასახლებას მისცა ბიძგი. XIX ს.-ში და XX ს.-ის დასაწყისში ამერიკაში 4 მილიონზე მეტი ირლანდიელი გადასახლდა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ აშშ-ში მეტი ირლანდიელი ცხოვრობდა, ვიდრე თვით ირლანდიაში.

გერმანელებისგან განსხვავებით, აშშ-ში ჩასული ირლანდიელები და იტალიელები ღარიბი ადამიანები იყვნენ, შესაბამისად ისინი დიდ ქალაქებში სახლდებოდნენ, სადაც შრომათმოწყობის მეტი შესაძლებლობა არსებობდა. ამან, ხელი შეუწყო ირლანდიური დიასპორის სწრაფ ზრდას მასაჩუსეტსში, კერძოდ, ბოსტონში, ასევე ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში.

1848 წელს კალიფორნიაში ოქროს აღმოჩენა აშშ-ს დასავლეთ რეგიონების სწრაფი ათვისებისა და განვითარების მნიშვნელოვანი სტიმული აღმოჩნდა. აღმოსავლეთ-დასავლეთის რკინიგზისა და წყნარი ოკენის სანაპიროზე პორტების მშენებლობამ ჩინელთა მრავალათასიანი იმიგრაცია გამოიწვია. თუმცა, აშშ-ის მთავრობამ, 1881 წლისთვის მათი იმიგრაცია მაქსიმალურად შეზღუდა და ჩინელთა დიდი ნაწილი სამშობლოში დააბრუნა (*Wayne, 2015*).

ამერიკაში ევროპელთა და აზიელთა მიგრაციას ძირითადად ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით აქ პატიმართა გადასახლებას საფრანგეთიდან და ბრიტანეთიდან. მაგრამ, ამ პერიოდში მასშტაბური ხასიათი მიიღო ამერიკაში აფრიკელების ჩაყვანამ და მათმა მონებად გაყიდვამ. 1600-1900 წლებში მხოლოდ აშშ-ში 12,5 მილიონი აფრიკელი ჩაასახლეს, რომელთა უმრავლესობა გვინეის უბის მიმდებარე ტერიტორიებისა და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენდა.

მესამე ტალღა: 1870-1924 წწ.

ევროპული ემიგრაციის მთავარი კერა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპა გახდა. აღნიშნულ პერიოდში აშშ-ში 15 მილიონზე მეტი ადამიანი ჩავიდა. მასობრივი იყო ებრაელთა იმიგრაცია. აღნიშნულ პერიოდში კანადაში 7 მილიონი ადამიანი ჩავიდა, მაგრამ მათგან 6 მილიონი მომდევნო 2-3 ათწლეულის განმავლობაში საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა.

XX საუკუნე, მიგრაციის მართვის თვალსაზრისით, ძალზე განსხვავებული აღმოჩნდა. დიდმა დეპრესიამ, ორმა მსოფლიო ომმა და აქედან გამომდინარე ეკონომიკურმა დაღმავლობამ დიდი დაღი დაასვა აშშ-ის საიმიგრაციო პოლიტიკას. შეიზღუდა იმიგრაციის მასშტაბი, გაჩნდა მტრული დამოკიდებულება კათოლიკეების, ებრაელების, აზიელების მიმართ. 1960-იან წლებამდე აშშ-ში იმიგრაცია ძალზე შეზღუდულ და კონტროლირებად ხასიათს ატარებდა (*Wayne, 2015*).

მეოთხე ტალღა: 1965 წლიდან დღემდე

აშშ-ში იმიგრაცია უახლეს ხანაში თვისებრივად განსხვავდება წინა პერიოდებისგან. ევროპიდან აშშ-ში მობილობა იმდენად უმნიშვნელო გახდა, რომ მასზე თითქმის აღარ საუბრობენ. წინ წამოვიდა ლათინოამერიკელებისა („ლათინოსების“) და აზიელების იმიგრაცია.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აშშ-ში 59 მლნ ადამიანი ჩავიდა. 1965 წელს ამერიკაში ცხოვრობდა 9,6 მლნ ადამიანი, რომლებიც უცხოეთში იყვნენ დაბადებულნი. 2015 წელს ამ კატეგორიის ადამიანების რიცხვმა 45 მლნ-ს მიაღწია. შედეგად, აღნიშნულ პერიოდში აშშ-ის მოსახლეობაში უცხოეთში დაბადებული ადამიანების წილი 5%-დან 16%-მდე გაიზარდა. 1965 წ. თეთრი (ევროპული წარმოშობის) ამერიკელები მთელი მოსახლეობის 84%-ს შეადგენდნენ, ხოლო 2015 წ. მათი წილი 62%-მდე შემცირდა (*Immigration Numbers Update, 2014*).

ამერიკელი სპეციალისტების აზრით, თუ მოცემული ტენდენცია შემდეგი 50 წლის განმავლობაში შენარჩუნდება, ამერიკელი საზოგადოების ეთნიკური (რასობრივი) სტრუქტურა ძირეულად შეიცვლება. მოსალოდნელია, რომ 2065 წლისთვის მთელ მოსახლეობაში თეთრი ამერიკელების წილი 20%-მდე შემცირდეს, ხოლო აზიელებისა და ლათინოსების წილი საგრძნობლად გაიზრდება, შესაბამისად 38% და 31%. თუკი, დღესდღეობით თანამედროვე ამერიკული საზოგადოება ძირითადად ევროპული წარმოშობისაა, ნახევარი საუკუნის შემდეგ ის ლათინურ-აზიური გახდება (*Modern Immigration Wave, 2015*).

ევროპელთა ემიგრაცია სამხრეთ ამერიკაში ნაკლებად მასშტაბურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში, თუმცა ის მაინც მნიშვნელოვანი იყო. 1820-1924 წლებში ევროპულმა იმიგრაციამ სამხრეთ ამერიკაში დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი შეადგინა. ამ კონტინენტზე ევროპელთა იმიგრაციის მთავარ კერებს წარმოადგენდა ბრაზილია და არგენტინა. არგენტინაში ჩასული ევროპელების უმრავლესობას ესპანელები შეადგენდნენ, თუმცა მიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაკადი იტალიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან, ჰოლანდიიდან ჩადიოდა. კოლონიური პერიოდის ბრაზილია ძირითადად პორტუგალიური იმიგრაციის კერა იყო, ხოლო ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იქ ჩასვლა დაიწყეს უპირატესად იტალიელებმა, ხოლო პორტუგალიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ ამერიკაში ინტენსიური ხასიათი ჰქონდა აზიელთა, კერძოდ, იაპო-

ნელთა, ჩინელთა, ინდოელთა და არაბთა (უპირატესად ალჟირელთა) იმიგრაციას. აფრიკელი მონებით ვაჭრობის პროცესის შედეგად სამხრეთ ამერიკაში 2,5 მილიონი შავკანიანი გადაასახლეს. მათი უმრავლესობა ბრაზილიის პლანტაციებში დაასაქმეს.

XVII-XIX ს.-ებში, ამერიკის გარდა, ევროპული კოლონიზაცია შეეხო აფრიკას, აზიას და ავსტრალია-ოკეანეთს, რამაც ხელი შეუწყო ახალ ინტენსიურ მიგრაციულ მოძრაობას.

მაღრიბის ქვეყნების (ალჟირი, მაროკო, ტუნისი) კოლონიზაციის შედეგად ამ რეგიონში მილიონზე მეტი ფრანგი ჩავიდა.

1788-1868 წლებში ინგლისიდან და ირლანდიიდან ავსტრალიაში და კუნძულ ტასმანიაზე 162 ათასი მსჯავრდებული გადაასახლეს. ავსტრალიის მთავარი ქალაქი, სიდნეი, პატიმრებმა ააშენეს და მისი პირველი მოსახლეებიც ისინი გახდნენ.

XIX ს.-ის მეორე ნახევარში იტალიასა და საბერძნეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო დაიწყო ამ ქვეყნების მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ავსტრალიაში. 1820-1924 წლებში ავსტრალიაში 3 მილიონზე მეტი იტალიელი და ბერძენი ჩავიდა.

XIX ს.-ის საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა სამხრეთ აფრიკის კოლონიზაცია, რის შედეგადაც XX ს.-ის დასაწყისში აქ 1 მილიონზე მეტი ინგლისელი და ბური (პოლანდიელი) ცხოვრობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის კოლონიზაციაში გერმანელებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ისინი ვერ შეეგუვნენ ადგილობრივ პირობებს და უკან დაბრუნდნენ.

XIX ს.-ის განმავლობაში მიმდინარეობდა ბუნებრივი და მინერალური რესურსებით მდიდარი ციმბირის ათვისება რუსეთის იმპერიის მიერ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ რეგიონში უკვე 10 მილიონ ადამიანზე მეტი ცხოვრობდა.

XIX ს.-ის მეორე ნახევარში რუსეთმა დაასრულა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა. რუსეთის იმპერიამ აქედან გაასახლა ათეულობით ათასი ადამიანი, მათ შორის ჩერქეზები, აფხაზები, ჩეჩნები, ინგუშები. მათ თავშესაფარი ოსმალეთის იმპერიაში მიიღეს. რუსეთის იმპერიის ადმინისტრაცია ცდილობდა, კავკასიის და ვოლგისპირეთის ტერიტორია რუსებით და გერმანელებით დაესახლებინა. ამ მიზნით, გერმანიიდან ამ რეგიონებში საცხოვრებლად გადმოვიდა ათეულობით ათასი ადამიანი. საქართველოში გერმანელები ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დაასახლეს.

ზემოთ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის მნიშვნელოვანი მიგრაციები განხორციელდა ევროპის ფარგლებშიც. როგორც აღინიშნა, XIX ს.-ის მეორე ნახევარში საბერძნეთი და იტალია მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ეს ქვეყნები დატოვა მილიონობით ადამიანმა. მათგან, 2 მილიონი იტალიელი ევროპის სხვა სახელმწიფოებში, ძირითადად საფრანგეთში, გადასახლდა, ხოლო ბერძენთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმების მიზნით ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ჩრდილოეთ ნაწილში გაემგზავრა.

XX ს.-ის 10-იან წლებში თურქეთის ტერიტორიაზე სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შედეგად მილიონზე მეტი სომეხი იძულებული იყო, თავშესაფარი ევროპის ქვეყნებში ეპოვა, ძირითადად რუსეთსა და საფრანგეთში, ასევე ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებსა და აშშ-ში.

პირველმა მსოფლიო ომმა დიდი ზეგავლენა იქონია მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, ევროპას შეეხო.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად გერმანელი მოსახლეობა იძულებული იყო, დაეტოვებინა ის ტერიტორიები, სადაც მანამდე ცხოვრობდა. კერძოდ, 1,8 მილიონი გერმანელი პოლონეთიდან, რუსეთიდან, ელზას-ლოტარინგიიდან (აღმოსავლეთ საფრანგეთი), ასევე აზიისა და აფრიკის კოლონიებიდან გერმანიასა და ავსტრიაში დაბრუნდა.

საფრანგეთიდან გერმანელთა ემიგრაციისა და ომით მიყენებული ადამიანური ზარალის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა სამუშაო ძალის დეფიციტი, რომლის აღმოფხვრაც სხვა ქვეყნებიდან ათი ათასობით მუშის შემოყვანის ხარჯზე მოხერხდა. ომის შემდეგ საფრანგეთში სამუშაოდ ჩავიდა 300 ათასი არაბი მაღრიბის ქვეყნებიდან, 46 ათასი პოლონელი, 33 ათასი ჩეხი, 67 ათასი რუსი და ამდენივე სომეხი.

ოსმალეთის იმპერიის დაშლისა და თურქეთის რესპუბლიკის შექმნის შედეგად საბერძნეთსა და თურქეთს შორის მოხდა მოსახლეობების "გაცვლა". 1923 წ. საბერძნეთი დატოვა და თურქეთში გადასახლდა 500 ათასი თურქი, ხოლო 1,3 მილიონი ბერძენი თურქეთიდან საბერძნეთში წავიდა.

რუსეთის იმპერიის ნგრევასა და მის ტერიტორიაზე საბჭოთა დიქტატურის დამყარების შედეგად ჯერ კიდევ XX ს.-ის 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების დასაწყისში ასობით ათასი ადამიანი, რომლებიც იმპერიის არსებობის დროს მაღალ ან საშუალო ფენას მიეკუთვნებოდნენ, იძულებული გახდა, თავშესაფარი სხვა ქვეყნებში ეპოვა. რუსეთიდან წასული ადამიანების უმრავლესობა საფრანგეთში ან აშშ-ში გადასახლდა. 1917-1926 წლებში რუსეთიდან მხოლოდ საფრანგეთში 64 ათასი ადამიანი ჩავიდა. წინა საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა შეძლებული ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც საბჭოთა კავშირში დარჩა. 1932 წელს ციმბირსა და საბჭოთა კავშირის სხვა ნაკლებად ათვისებულ ადგილებში 5 მილიონი შეძლებული გლეხი ("კულაკი") გადაასახლეს. გარდა ამისა, ქვეყანაში დაწყებულმა ინდუსტრიალიზაციის პროცესმა მოითხოვა მსხვილ ქალაქებსა და ინდუსტრიულ ცენტრებში დიდი რაოდენობის მუშახელის არსებობა. ამ მიზნით, საბჭოთა ხელისუფლებამ 1929-39 წლებში ქვეყნის ევროპული ნაწილის სასოფლო რეგიონებიდან დიდ ქალაქებში, ასევე დონბასსა და ურალში 18 მილიონი ადამიანი გადაასახლა.

XX ს.-ის 30-იანი წლების დასაწყისში ევროპის რიგ სახელმწიფოებში, მათ შორის გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში, ხელისუფლების სათავეში დიქტატორული რეჟიმები მოვიდნენ. ამ ქვეყნებში დაიწყო ადამიანთა დევნა პოლიტიკური მრწამსისა და ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე. ეთნიკურ ებრაელთა და ბოშათა დიდი ნაწილი, აგრეთვე ფაშისტური იდეოლოგიის მოწინააღმდეგეები იძულებულნი გახდნენ, ეს ქვეყნები დაეტოვებინათ. მათი უმეტესობა საცხოვრებლად გაემგზავრა საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

ესპანეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად 30-იანი წლების ბოლოს ქვეყანა 200 ათასმა ადამიანმა დატოვა. მათი უმრავლესობა (140 ათასი ადამიანი) საცხოვრებლად საფრანგეთში წავიდა, ხოლო დანარჩენები – სამხრეთ ამერიკასა და ჩრდილოეთ აფრიკის ფრანგულენოვან ქვეყნებში.

მსოფლიოში მიგრაციული მოძრაობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ ომის განმავლობაში ნაცისტებმა მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან გერმანიაში გადაასახლეს დაახლოებით 9-10 მილიონი ადამიანი. მათი ერთი ნაწილი

დასაქმებული იყო მრეწველობასა და მშენებლობებზე, მეორე ნაწილი კი საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს. 1942-45 წლებში გერმანიისა და პოლონეთის ტერიტორიებზე მდებარე საკონცენტრაციო ბანაკებში მილიონობით ადამიანი, მათ შორის 5,2 მილიონი ებრაელი და 400 ათასი ბოშა, იმყოფებოდა.

იმავე პერიოდში საბჭოთა კავშირში განხორციელდა სხვადასხვა ეთნოსების დეპორტაცია (ძალდატანებით გასახლება) მათი ბინადრობის ადგილებიდან ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე. საბჭოთა ხელისუფლებას ეშინოდა, რომ, თუ გერმანიის მოკავშირე თურქეთი საბჭოთა კავშირში შემოიჭრებოდა, მას მხარს დაუჭერდნენ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მუსლიმები. ამ მიზეზით, 1943-44 წლებში იქედან ყაზახეთსა და შუა აზიაში გაასახლეს ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაეველები, ბალყარები და საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხები.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, რამაც პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის მიგრაციებზე. აღმოსავლეთ ევროპიდან 10 მილიონი გერმანელი გადაასახლეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინში (*Максаковский, 2004: 137*). იმავდროულად, 2 მილიონამდე პოლონელი გერმანიიდან პოლონეთში დაბრუნდა (*ჯაოშვილი, 1983: 106*).

მეორე მსოფლიო ომის დროს განხოციელებულმა ებრაელთა დევნამ გამოიწვია ევროპიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან მათი მასობრივი ემიგრაცია ჩრდილოეთ ამერიკასა და პალესტინაში. 1947 წელს ისტორიული პალესტინის ტერიტორიაზე შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. თუ ომამდე იქ რამდენიმე ათეული ათასი ებრაელი ცხოვრობდა, 1966 წელს მათმა რიცხვმა ისრაელში უკვე 2,5 მილიონი შეადგინა. მეორე მხრივ, ისრაელის შექმნის შემდეგ არაბულ ქვეყნებში გადასახლდა დაახლოებით 700 ათასამდე პალესტინელი არაბი (*Алисов & Хорев, 2000: 152*).

მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად დაახლოებით 6 მილიონმა იაპონელმა დატოვა ჩინეთის, კორეისა და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და სამშობლოში დაბრუნდა (*ჯაოშვილი, 1983: 106*).

1947 წ. პაკისტანის ინდოეთიდან გამოყოფის შედეგად დაახლოებით 7-8 მილიონი ადამიანი გადაადგილდა ამ ქვეყნებს შორის. იმავდროულად, ეს ქვეყნები დატოვა ასეულობით ათასმა ბრიტანელმა და სამშობლოში დაბრუნდა (*Алисов & Хорев, 2000: 152*).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო აფრიკისა და აზიის დეკოლონიზაციის პროცესი, რომელიც განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა 1950-იანი წლების მეორე ნახევარსა და 1960-იან წლებში. აფრიკისა და აზიის ქვეყნების განთავისუფლებას მოჰყვა დაახლოებით 2 მილიონი ევროპელი კოლონისტის რეპატრიაცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ეკონომიკურმა აღმშენებლობამ და აზიისა და აფრიკის დეკოლონიზაციამ ახალი იმპულსი მისცა განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას ევროპის მიმართულებით. ქვემოთ საუბარი გვექნება თანამედროვე მიგრაციულ პროცესებზე.

4. 6 საერთაშორისო მიგრაციების თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო მიგრანტების[2] რაოდენობა დაახლოებით 258 მლნ ადამიანს შეადგენს. 2017 წელს მიგრანტების საერთო რაოდენობის 57% მსოფლიოს განვითარებულ რეგიონებში ცხოვრობდა. აქ მცხოვრები 143 მლნ მიგრანტიდან, 89 მლნ (61%) - წარმოშობით განვითარებადი ქვეყნებიდან, ხოლო 57 მლნ (39%) განვითარებული ქვეყნებიდან იყო. ამასთან, 112 მლნ საერთაშორისო მიგრანტიდან რომლებიც განვითარებად სამხრეთში ცხოვრობდნენ, 98 მლნ (87%) განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობას წარმოადგენდა და მხოლოდ 14 მლნ (13%) წარმოშობით განვითარებადი სამხრეთიდან იყო (UN DESA, 2017).

ნახ. №19



რუკა შესრულებულია The World Factbook, 2017 მონაცემების მიხედვით.https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/

---

[2] საერთაშორისო მიგრანტად მიიჩნევა სხვა ქვეყანაში დაბადებული პირი ან სხვა ქვეყნის მოქალაქე.

მიგრაციის სალდო, სხვაობა იმიგრაციისა და ემიგრაციის მაჩვენებლებს შორის, მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, ეს მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნისთვის დადებითია, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის – უარყოფითი. მაღალი დადებითი სალდო აქვთ იმიგრაციის ისეთ ტრადიციულ ქვეყნებს, როგორებიცაა აშშ, კანადა, ავსტრალია; საგულისხმოა, რომ აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა იმიგრაციის კერა გახდა. აფრიკაში, 2017 წლის მონაცემებით, დაახლოებით 25 მლნ მიგრანტი ჩავიდა. აფრიკული იმიგრაციის მნიშვნელოვან ქვეყნები იყო ლიბია, სამხრეთ სუდანი.

1990-2017 წლებში საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა 105 მლნ-ით, ანუ 69%-ით გაიზარდა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში მიგრანტთა რაოდენობა ყოველწლიურად 2.5 მლნ ადამიანით იზრდებოდა, ხოლო ამ საუკუნეში – საშუალოდ 5 მლნ-ზე მეტით. მთლიანად, 1990-2017 წწ. მსოფლიო მასშტაბით მიგრანტების რაოდენობა 105 მლნ ადამიანით, ანუ 60%-ით გაიზარდა. მათ შორის განვითარებულ სამყაროში მიგრანტთა რაოდენობამ 65 მლნ-ით მოიმატა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 40 მლნ-ით.

ცხრილი №21

საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა (2017 წ.)

რეგიონი	**მიგრანტთა რაოდენობა (მლნ ადამიანი)**
მსოფლიო	**257.7**
განვითარებული რეგიონები	146.0
განვითარებადი რეგიონები	111.7
ლათინური ამერიკა და კარიბები	9.5
ჩრდილოეთ ამერიკა	57.7
აფრიკა	24.7
აზია	79.6
ევროპა	77.9
ოკეანეთი	8.4

ცხრილი შედგენილია: UN Migration Report 2017. http://www.un.org/en/development/desa/population/ migration/publications/migrationreport/docs/MigrationReport2017.pdf

მიგრანტთა მატების ტემპი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის განსხვავდებოდა: თუ 2010-2017 წლებში განვითარებულ ჩრდილოეთში მიგრანტთა წლიური მატება 2,3%-ს შეადგენდა, განვითარებადი სამხრეთისთვის ეს მაჩვენებელი 1,6% იყო. საერთაშორისო

მიგრანტების რაოდენობის ზრდა განვითარებულ რეგიონებში განპირობებული იყო მიგრანტების რაოდენობის ზრდით როგორც განვითარებულ ჩრდილოეთში, ისე განვითარებად სამხრეთში. 1990-2017 წლებში 64 მლნ საერთაშორისო მიგრანტი დაემატა ჩრდილოეთ რეგიონს, აქედან 48 მლნ (76%) წარმოშობით იყო განვითარებადი სამხრეთიდან, დანარჩენი 16 მლნ მიგრანტი (24%) დაბადებული იყო განვითარებადი სამხრეთის რეგიონის ქვეყანაში. განვითარებად ქვეყნებში მიგრანტი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა სამხრეთ რეგიონში დაბადებული მიგრანტების რაოდენობის ზრდის შედეგს წარმოადგენდა. 1990-2017 წლებში მიგრანტი მოსახლეობა, რომელიც წარმოშობით სამხრეთის რეგიონიდან იყო, 57 მლნ-დან 97 მლნ-მდე , ანუ 70%-ით გაიზარდა.

ცხრილი №22

საერთაშორისო მიგრაციები მაღალგანვითარებული და განვითარებადი რეგიონების მიხედვით (2017 წ., მლნ. ადამიანი)

	საიდან მიემგზავრება			
სად მიემგზავრება	ინდუსტრიული	განვითარებადი	სულ	წილი
ინდუსტრიული	56.9	89.0	146.0	56,7%
განვითარებადი	14.4	97.4	111.7	43.3%
სულ	71.3	186.4	**257.7**	100%
წილი	27.7%	72.3%	100%	

ცხრილი შედგენილია: UN Migration Report 2017 (pg.2). http://www.un.org/ en/development/ desa/population/ migration/publications/migrationreport/docs/ MigrationReport2017.pdf

მსოფლიოში, საერთაშორისო მიგრანტები მსოფლიოს მოსახლეობის მცირე ნაწილს წარმოადგენენ. 1990 წელს მიგრანტები მსოფლიოს მოსახლეობის 2.9% შეადგენდნენ, 2017 წელს კი მათი რაოდენობა 3.4%-მდე გაიზარდა. 2017 წელს განვითარებულ ჩრდილოეთში მიგრანტები მთლიანი მოსახლეობის 11,6%-ს შეადგენდნენ, განვითარებად რეგიონებში კი - მხოლოდ 1,8%-ს. 1990-2017 წლებში საერთაშორისო მიგრანტების რიცხვი (მსოფლიო მოსახლეობის წილში) იზრდებოდა განვითარებულ ჩრდილოეთში, ხოლო სამხრეთში ეს მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო.

ნახ.№20

საერთაშორისო მიგრაციები მსოფლიოს რეგიონების მიხედვით
(2017 წ., მლნ. ადამიანი)



ნახაზი შედგენილია: UN Migration Report2017highlights(pg11). http://www.un.org/en/development/desa/ population/ migration/publications/migrationreport/docs/MigrationReport2017_Highlights.pdf

მიგრანტების უმრავლესობა კონტინენტის ფარგლებში, ევროპიდან ევროპაში, გადაადგილდება შედარებით განვითარებული ქვეყნებისკენ. ასევე, საყურადღებოა მიგრაციები აზიიდან აზიაში, რაც ძირითადად მიმართულია აზიის ნავთობმომპოვებელი რეგიონებისკენ.

4. 7 საერთაშორისო მიგრაციების რეგიონული ასპექტები

საერთაშორისო მიგრანტები, მსოფლიოს მსხვილი რეგიონების მიხედვით, არათანაბრად არიან განაწილებულნი. 2017 წ. მიგრანტების დაახლოებით ნახევარი (51%) 10 ქვეყანაში ცხოვრობდა. ამ მხრივ, გამოირჩევა აშშ, სადაც 50 მლნ მიგრანტია თავმოყრილი ანუ ამ ქვეყანაში ჩვენი პლანეტის ყოველი მეხუთე დამიანი მიგრანტია. აღნიშნული მაჩვენებლით, მეორე ადგილზეა გერმანია (12.2 მლნ მიგრანტი). მიგრანტების დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ასევე რუსეთის ფედერაციაში (11.7 მლნ), გაერთიანებულ სამეფოში (8.8 მლნ), გაერთიანებულ არაბულ საემიროებში (8.3 მლნ) (United Nations, 2017).

1990–2017 წლებში მიგრანტთა რაოდენობა 169 ქვეყანაში გაიზარდა, ხოლო 60 მათგანში შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი მიგრანტი (26.5 მლნ) აშშ-მა მიიღო. ეს მაჩვენებელი, ასევე მაღალი იყო საუდის არაბეთში (7.2 მლნ), გაერთიანებულ არაბულ საემიროებში (7.0 მლნ), გერმანიაში (6.2 მლნ), გაერთიანებულ სამეფოში (5.2 მლნ).

2017 წელს მსოფლიოში საერთაშორისო მიგრანტების დაახლოებით ნახევარს (48.4%) ქალები წარმოადგენდნენ. მსოფლიოს 100 ქვეყანაში ისინი საერთაშორისო მიგრანტების ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. მიგრანტების საერთო რაოდენობაში ქალების წილი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია. ჩრდილოეთში ისინი მთელი მიგრანტების 51.8%-ს წარმოადგენენ, ხოლო სამხრეთში - 43.9%.

2000-2017 წლებში სამხრეთ ნახევარსფეროში ქალთა პროცენტული მაჩვენებლის შემცირება დასავლეთ აზიის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში მიგრანტ მამაკაცებზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდით იყო განპირობებული. საერთაშორისო მიგრანტებს შორის ქალების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა ევროპა (52%), ჩრდილოეთ ამერიკა (51.5%) და ოკეანეთი (51%). (United Nations , 2017)

მსოფლიოში ყოველი მეშვიდე საერთაშორისო მიგრანტი 20 წლამდე ასაკის ადამიანია. ახალგაზრდა მიგრანტების უდიდესი ნაწილი განვითარებადი რეგიონიდანაა, ხოლო 65 წელს გადაცილებულ მიგრანტთა კატეგორიაში ქალების აშკარა სიჭარბეა.

1950 წლიდან დღემდე მსოფლიოს განვითარებული რეგიონების მოსახლეობა ძირითადად მიგრაციების ხარჯზე იზრდება. შესაბამისად, განვითარებადი რეგიონები მოსახლეობის გარკვეულ რაოდენობას კარგავს.

ცხრილი №23

ქვეყნები იმიგრაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით

ქვეყანა	იმიგრანტთა რაოდენობა (ათასებში, საშუალოდ 2010-2015 წლებში)
აშშ	900
გერმანია	355
თურქეთი	325
საუდის არაბეთი	318
ლიბანი	250
კანადა	229
რუსეთის ფედერაცია	204
გაერთიანებული სამეფო	198
იორდანია	195
ავსტრალია	183

ცხრილი შედგენილია: UN Migration Report 2017 (pg15). http://www.un.org/en/development/desa/ population/migration/publications/migrationreport/docs/MigrationReport2017.pdf

ქვეყნები, სადაც მიგრაციების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, მოიცავს იმიგრაციის 4 ტრადიციულ ქვეყანას: ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, აშშ. მიგრანტთა მნიშვნელოვანი მიმღები ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება რამდენიმე ევროპული სახელმწიფო, კერძოდ, გერმანია, იტალია, რუსეთი ფედერაცია. აზიაში შრომით მიგრანტებზე დიდი მოთხოვნაა ისეთ სწრაფად განვითარებად ეკონომიკებში, როგორებიცაა: ყატარი, სინგაპური, გაერთიანებული არაბული საემიროები.

ცხრილი №24

ქვეყნები ემიგრაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით

ქვეყანა	ემიგრანტთა რაოდენობა (ათასებში, საშუალოდ 2010-2015 წლებში)
სირია	832
ინდოეთი	516
ბანგლადეში	505
ჩინეთი	340
პაკისტანი	236
ინდონეზია	167
ფილიპინები	130
სუდანი	118
ესპანეთი	114
შრი-ლანკა	97

ცხრილი შედგენილია: UN Migration Report 2017 (pg.15). http://www.un.org/en/development/desa/ population/ migration/publications/migrationreport/docs/MigrationReport2017.pdf

ქვეყნები, სადაც 2010-2015 წლებში მიგრაციების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ემიგრაციის ტრადიციული ქვეყნები არიან, კერძოდ, ბანგლადეში, ჩინეთი, ინდოეთი, მექსიკა, ფილიპინები. ამ ქვეყნების უმრავლესობას იმიგრაციის ტრადიციულ ქვეყნებთან, მათ შორის კანადასთან, გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-თან, მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და/ან კულტურული კავშირები აქვს დამყარებული. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილების გამო რამდენიმე ქვეყანა, კერძოდ, ირლანდია, პორტუგალია, ესპანეთი მიგრანტთა მიმღები ქვეყნებიდან ემიგრაციის ქვეყნები გახდა.

დაახლოებით მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა ორმხრივი მიგრაციული დერეფნები[3]. 1990-2017

[3] მიგრაციული დერეფანი – ძირითადი გზა, რომელსაც მიგრანტები გადიან დესტინაციის ქვეყნის მიმართულებით.

წლებში აშშ 10-დან 5 უდიდესი მიგრაციული დერეფნის დესტინაციას წარმოადგენდა. მექსიკა-აშშ მსოფლიოში ყველაზე დიდი მიგრაციული დერეფანია. ყოველწლიურად, აშშ-ის მოსახლეობა დაახლოებით 280 ათასი მექსიკაში დაბადებული ადამიანით ივსება. (United Nations , 2017)

მნიშვნელოვანი მიგრაციული დერეფანი გვხვდება აზიაში, ესენია: მალაიზია–სინგაპური, მიანმარი–ტაილანდი, პალესტინა–იორდანია, ბანგლადეში–გაერთიანებული არაბული საემიროები, ინდოეთი–საუდის არაბეთი, ინდოეთი–გაერთიანებული არაბული საემიროები. სირიის სამოქალაქო ომმა განაპირობა 3 დიდი მიგრაციული დერეფნის წარმოშობა, რომლებმაც მოიცვეს იორდანია, ლიბანი და თურქეთი.

4.8 შრომითი მიგრაციები

საერთაშორისო მიგრაციებში ცენტრალური ადგილი შრომით მიგრაციებს უკავია. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში დაახლოებით 150 მილიონი მშრომელი მიგრანტი იმყოფება. მათ უმრავლესობას განვითარებად ქვეყნებში დაბადებული ადამიანები შეადგენენ (*ILO, 2015*).

თანამედროვე შრომითი მიგრაციების მასშტაბური ხასიათი განაპირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასაქმების ახალი ბაზრების გაჩენამ ან არსებული შრომის ბაზრების გაფართოებამ. თუ XX ს.-ის პირველ ნახევარში საერთაშორისო მიგრაციული ნაკადები ძირითადად ამერიკისკენ მიემართებოდა, 1950-იანი წლებიდან ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

ევროპაში „საერთო ბაზრის“ (მოგვიანებით ის ევროკავშირად გარდაიქმნა) შექმნამ დასაქმების დიდი შესაძლებლობები მისცა განვითარებადი სამყაროს წარმომადგენლებს. ამით თავდაპირველად ევროპის ქვეყნების ყოფილი კოლონიების, განსაკუთრებით ინდოეთის, პაკისტანის, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების, მოქალაქეებმა ისარგებლეს. თანდათანობით გაჩნდა შრომითი ემიგრაციის ახალი კერები: თურქეთი, კვიპროსი, ფილიპინები, სამხრეთ კორეა, ბანგლადეში. აღსანიშნავია, რომ 1950-60-იან წლებში ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში დიდი რაოდენობით ჩადიოდნენ მშრომელი მიგრანტები შედარებით ჩამორჩენილი სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან, კერძოდ, ესპანეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან და პორტუგალიიდან. ახლო აღმოსავლეთის (საუდის არაბეთი, ქუვეითი, ირანი, ბაჰრეინი), ლათინური ამერიკის (ვენესუელა), ჩრდილოეთ აფრიკის (ლიბია, ალჟირი) ქვეყნებში ნავთობის მოპოვების გაფართოებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნების სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, რომელთა დიდი ნაწილი უცხოეთიდან ჩამოსულმა მიგრანტებმა დაიკავეს.

შრომითი მიგრაციები, მათი მართვის თვალსაზრისით, შეიძლება იყოს ორგანიზებული და სპონტანური. ორგანიზებულ მიგრაციებს განახორციელებენ სახელმწიფო ორგანიზაციები და/ან მშრომელი

მიგრანტების დაქირავების ლიცენზირებული კერძო სააგენტოები. თავდაპირველად ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ მიმღები ქვეყნის კომპანიების, ფირმებისა წარმომადგენლებთან, რომლებსაც სურთ უცხოელი მუშების დაქირავება. მათთან მიიღწევა შეთანხმება მიგრანტების რაოდენობაზე, მათ პროფესიონალურ შემადგენლობასა და კვალიფიკაციაზე, ასევე შრომითი კონტრაქტის პირობებზე. ამის შემდგომ საკონკურსო ან სხვა სახის პროცედურით მიმდინარეობს საზღვარგარეთ წამსვლელთა შერჩევა. მიმღები ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები შერჩეული პირებისთვის გასცემს ქვეყანაში შესვლისა და დასაქმების ნებართვას. ის სააგენტო, რომელიც მონაწილეობდა მშრომელ მიგრანტთა შერჩევაში, უზრუნველყოფს მათ საზღვარგარეთ გამგზავრებასა და დაბინავებას. შრომითი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ მშრომელი მიგრანტი ბრუნდება სამშობლოში ან მიმართავს დამქირავებელ სააგენტოს შრომითი კონტრაქტების განახლების შესახებ ან თვითონ აგვარებს ქვეყანაში დარჩენისა და დასაქმების საკითხებს.

მსოფლიოში ოცამდე ქვეყანაა, რომლებსაც შრომითი მიგრაციის სისტემა სათანადოდ აქვთ აწყობილი. ემიგრაციის ქვეყანათა დიდ უმრავლესობაში (მათ შორის საქართველოშიც) მშრომელ მიგრანტთა საზღვარგარეთ გამგზავრება არაორგანიზებულ და სპონტანურ ხასიათს ატარებს.

შრომითი მიგრაციების გეოგრაფია მრავალმხრივია, ამასთან, ნათლად იკვეთება გეოგრაფიული ხასიათის თავისებურება. შრომით მიგრაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე. განვითარებადი ქვეყნების მშრომელი მიგრანტებისთვის მიმღები ქვეყნის ტერიტორიული სიახლოვე მეტად სასურველია. ამ შემთხვევაში მათ გაუადვილდებათ როგორც მიმღებ ქვეყანაში მოხვედრა, ისე სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. ამის კარგი მაგალითია მექსიკა, რომლის მშრომელ მიგრანტთა თითქმის მთელი კონტინგენტი აშშ-შია კონცენტრირებული. რუსეთში თავმოყრილია ყოფილი საბჭოთა კავშირის მშრომელ მიგრანტთა დიდი უმრავლესობა. ქუვეითსა და საუდის არაბეთში სამუშაოდ ძირითადად მეზობელი არაბული ქვეყნების მოქალაქეები ჩადიან.

ნახ. №21

მშრომელი მიგრანტების განაწილება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით (2013 წ.)



ნახაზი შედგენილია: ILO global estimates on migrant workers, Results and Methodology (pg.17). *http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/documents/publication/wcms_436343.pdf*

მსოფლიოს მასშტაბით დასაქმებული მშრომელი მიგრანტების უმრავლესობას (56%) მამაკაცები შეადგენენ, თუმცა ქალთა შრომითი მიგრაცია უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. მშრომელი მიგრანტების უმრავლესობა ცდილობს, განვითარებულ სამყაროში დასაქმდეს. მათი დაახლოებით 58% ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაშია კონცენტრირებული. მშრომელი მიგრანტების სხვა მიმღები რეგიონებიდან აღსანიშნავია ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნები (11%) (*ILO, 2015*).

შრომით მიგრაციებში მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირი. იმიგრაციის ქვეყნებში ჩასულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მათი ყოფილი კოლონიების მოქალაქეები არიან. ისინი კარგად ფლობენ მიმღები ქვეყნის ოფიციალურ ენას, რის გამოც მათთვის ადვილია ამ ქვეყანაში ადაპტაცია და ინტეგრაცია. ეს კანონზომიერება კარგად ვლინდება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და

რუსეთის მაგალითებზე. ისტორიულად დამკვიდრებული მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გერმანიაში დასაქმებულ უცხოელთა უმრავლესობას თურქი, იტალიელი, ხორვატი იმიგრანტები შეადგენენ. განვითარებულ ქვეყნებს განსხვავებული პოლიტიკა აქვთ შრომითი იმიგრაციის მიმართ. ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და ოკეანეთის ქვეყნები ტრადიციულად დიდი რაოდენობით მიგრანტებს იღებენ იმ დროს, როდესაც აზიის განვითარებულ ქვეყნებში (იაპონია, სამხრეთ კორეა) იმიგრაცია ძალზე შეზღუდულია. მსოფლიოში უცხოელები მშრომელი მიგრანტების (სხვა ქვეყანაში დაბადებული ადამიანები) ყველაზე მაღალი წილით არაბეთის ნახევარკუნძულის ენერგომატარებლებით მდიდარი ქვეყნები გამოირჩევიან, კერძოდ, გაერთიანებული არაბული საემიროები (83,7%), ყატარი (73,8%), ქუვეითი (70%) (*10 Countries, 2017*). ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია სხვა ქვეყნებშიც, მაგ., ლუქსემბურგში (43,7%), შვეიცარიაში (28,3%), ავსტრალიაში (27,7%), ისრაელში (22,7%), კანადაში (20%) (*Foreign-born population, 2013*).

შრომითი მიგრაციების პროცესში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაა ჩაბმული. განვითარებულ ქვეყნებს შრომითი იმიგრაციის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დიდი გამოცდილება აქვთ. ამ ქვეყნების მთავრობები პრაქტიკულად ყოველწლიურად ადგენენ საიმიგრაციო კვოტას. ამ კვოტით განისაზღვრება მისაღები მიგრანტთა რაოდენობა და მათი პროფესიული შემადგენლობა.

იმიგრაციის კვოტა და იმიგრანტთა პროფესიული შემადგენლობა შეიძლება წლიდან წლამდე იცვლებოდეს და დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ კონიუნქტურაზე. იმიგრაციის ქვეყნის მთავრობა, როგორც წესი, პრიორიტეტს ანიჭებს ორგანიზებულ ჯგუფურ მიგრაციას. მიუხედავად ამისა, ვერც ერთი ქვეყანა ვერ ახერხებს არალეგალური იმიგრაციის თავიდან აცილებას. აშშ-ში ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონამდე იმიგრანტი ჩადის, რომელთა ¾ იქ არალეგალური გზებით ხვდება.

ცხრილი №25

შრომითი მიგრაციის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები ემიგრაციის ქვეყნისთვის

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
• უმუშევრობის დონის შემცირება • მშრომელი მიგრანტის ფულად გზავნილთა ხარჯზე, ქვეყნის სავალუტო მარაგის შევსება; • ქვეყანაში დარჩენილი მშრომელი მიგრანტის ოჯახის წევრების მატერიალური უზრუნველყოფა; • მშრომელი მიგრანტების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საზღვარგარეთ მიღებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკაში; • მშრომელი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების ზოგადი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება. • მიმღები ქვეყნის ოფიციალური ენის დაუფლება;	• ქვეყნიდან ახალგაზრდა ადამიანების გადინება, შესაბამისად მოსახლეობის დემოგრაფიული „დაბერება“; • ერთ-ერთი მეუღლის მიგრაციის შემთხვევაში სოციალური დანაკარგები; საოჯახო ურთიერთობების დასუსტება. • მაღალკვალიფიციური კადრების ემიგრაცია; • საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეების პოლიტიკური და სოციალური დაუცველობა; • მიმღებ ქვეყანაში მშრომელი მიგრანტების დასაქმება მძიმე და ნაკლებად ანაზღაურებად სამუშაოებზე; • მიმღებ ქვეყანაში მშრომელი მიგრანტების მეორე და შემდგომი თაობების სოციალურ-კულტურული ასიმილაცია; • არალეგალური ემიგრაცია, ტრეფიკინგი.

წყარო: გოგსაძე გ. (2008). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.107

ნებისმიერი ქვეყნის მიზანია, ხელი შეუწყოს შრომითი მიგრაციების დადებითი მხარეების გაძლიერებას და მაქსიმალურად აიცილოს თავიდან მათი უარყოფითი ზემოქმედება. შრომითი მიგრაციები მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ, ეთნოდემოგრაფიულ და პოლიტიკურ ზეგავლენას ახდენენ როგორც იმიგრაციის, ისე ემიგრაციის ქვეყნებზე. ემიგრაციის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია დაიცვას საზღვარგარეთ მყოფი მისი მოქალაქეების უფლებები, ხელი შეუწყოს მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას და შრომითი ემიგრაციიდან მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ მხრივ, გადამწყვეტია, რომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მისი მოქალაქეების

საზღვარგარეთ დასაქმების პოლიტიკა და ამ პოლიტიკის აღმასრულებელი სტრუქტურები.

სასურველია, ქვეყანაში არსებობდეს სპეციალური სააგენტო, რომელიც სხვა სახელმწიფოს სტრუქტურებთან ურთიერთკავშირით წარმართავს საზღვარგარეთ დასაქმების სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებს. მნიშვნელოვანია, ემიგრაციის ქვეყნის დიპლომატიური სამსახურები აქტიურად მონაწილეობდნენ მიმღებ (იმიგრაციის) ქვეყანაში საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვაში. ემიგრაციის ქვეყანა ხელს უნდა უწყობდეს, ერთი მხრივ, მშრომელი მიგრანტების ექსპორტის ზრდას, მეორე მხრივ კი, ცდილობდეს, გააფართოვოს თავისი მოქალაქეების იმპორტიორი ქვეყნების გეოგრაფია, ე.ი. მათი მიმღები ქვეყნების რიცხვი.

ეს უკანასკნელი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან შრომითი ემიგრაციის განხორციელება ერთი ან თუნდაც ორი ქვეყნის მიმართულებით შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს. საქმე ისაა, რომ იმიგრაციის ქვეყნები გარკვეული პერიოდის განმავლობაში რადიკალურად ცვლიან საემიგრაციო პოლიტიკას, კერძოდ, ნაწილობრივ ან მთლიანად ზღუდავენ ემიგრაციას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად ზარალდებიან ის ქვეყნები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია შრომითი ემიგრაციის ვიწრო გეოგრაფია. შექმნილ ვითარებაში ის ქვეყანა აღმოჩნდება მომგებიან პოზიციაში, რომლის მთავრობასაც მოქნილი საემიგრაციო პოლიტიკა აქვს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, შრომითი ემიგრაციის გარკვეული ნაკადები სხვა ქვეყნებისკენ მიმართოს.

შრომითი ემიგრაციიდან საგრძნობი ეკონომიკური ეფექტის მიღების მიზნით, ემიგრაციის ქვეყნისთვის სასურველია, რომ მშრომელმა მიგრანტებმა ფულადი დანაზოგები თავიანთი ქვეყნის სავალუტო ანგარიშებზე გადარიცხონ და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეს თანხები გარკვეული დროის განმავლობაში ანაბრებზე დატოვონ. სანაცვლოდ, ქვეყნის მთავრობამ მშრომელ მიგრანტებს გარკვეული სახის დაინტერესება უნდა შესთავაზოს. ტრადიციული ემიგრაციის ბევრი ქვეყანა (მაგ., პაკისტანი, ფილიპინები, სამხრეთ კორეა, თურქეთი) წარმატებით იყენებს მშრომელი მიგრანტების მატერიალური დაინტერესების ხერხებს. მათ შორის ყველაზე ეფექტურია მიგრანტების ბიზნესის გათავისუფლება საბაჟო გადასახადისგან. საზღვარგარეთ მყოფი მიგრანტები სამშობლოში, ფულის გარდა, აგზავნიან ისეთი სახის საქონელს (მაგ.: ავტომობილებს, ელექტროტექნიკურ ნაწარმს), რომელთა შემდგომი რეალიზაცია მათთვის საკმაოდ სარფიანია. შემოტანილი საქონლის საბაჟო გადა-

სახადისგან გათავისუფლების შემთხვევაში მიგრანტების შემოსავალი იზრდება, რაც მათთვის სამშობლოში კაპიტალის ინვესტირების მნიშვნელოვანი სტიმულია.

ცხრილი №26

შრომითი მიგრაციის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები იმიგრაციის ქვეყნისთვის

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
• სამუშაო ძალის დეფიციტის აღმოფხვრა; შრომითი იმიგრაცია წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს; • მშრომელი მიგრანტების დასაქმება მძიმე და ნაკლებად ანაზღაურებად სამუშაოებზე; • უცხოელების წარმატებული სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია ქვეყნის ცხოვრებაში. მშრომელი მიგრანტების მეორე და შემდგომი თაობების სოციალურ-კულტურული ასიმილაცია; • მიგრანტების წარმოშობის ქვეყნებთან ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოება; • მაღალკვალიფიციური კადრების იმიგრაცია.	• ქვეყნის ეთნოდემოგრაფიული ბალანსის დარღვევა; • არალეგალური იმიგრაცია, ტრეფიკინგი; • უცხოელთა სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის დაბალი დონე; • მშრომელ მიგრანტებს შორის უმუშევრობის ზრდა; მშრომელი მიგრანტების უფლებების დარღვევა და ამის შედეგად ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური ფონის გაუარესება. • მშრომელი მიგრანტების კომპაქტურად სახლობის არეალებში სოციალური, კერძოდ, კრიმინოგენული სიტუაციის გართულება; • ქვეყნის ეროვნული ვალუტის სხვა ქვეყნებში გადინება.

წყარო: გოგსაძე გ. (2008). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.108

ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის შრომითი მიგრაციებით მიღებული თანხები - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ხოლო ზოგიერთი მათგანისთვის უცხოური კაპიტალის შემოდინების უპირველესი წყაროა. იმიგრანტების მიერ სამშობლოში გადარიცხული ფულადი სახსრების ხარჯზე მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 10%-ით იზრდება, მაგ: ჩინეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 70% ჩინური დიასპორის ხარჯზე ხორციელდება.

ნახ.№22

ფულადი გზავნილები რეგიონების მიხედვით (მლრდ აშშ დოლარი)



ნახაზი შედგენილია: Global Migration Trends 2015 Factsheet (pg. 15). https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/Global-Migration-Trends-2015-Factsheet.pdf

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2015 წელს მიგრანტებმა თავიანთ წარმოშობის ქვეყნებში $601 მლრდ-ზე მეტი გადარიცხეს. ეს კოლოსალური ციფრია. აღსანიშნავია, რომ გადარიცხული თანხის 2/3 ($441 მლრდ) განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა (IOM, 2015). ფულადი გზავნილების მიმღები უდიდესი ქვეყნები არიან ინდოეთი ($72 მლრდ), ჩინეთი ($64 მლრდ), ფილიპინები ($29 მლრდ) და მექსიკა ($25 მლრდ). ეს ის ქვეყნებია, რომლებიც მსოფლიოში მრავალრიცხოვანი დიასპორით გამოირჩევა. ფულადი გზავნილების წარმოშობის წამყვანი მხარე განვითარებული ჩრდილოეთია. აქედან, 2014 წელს მთელი რემიტანსების 76% ($580 მლრდ) გაიგზავნა, თანაც თანაბრად, როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. სამხრეთზე მთელი ფულადი გზავნილების დაახლოებით მეოთხედი მოდის. 2014 წლის მონა-

ცემებით, რემიტანსები ძირითადად აშშ-დან ($56 მლრდ), საუდის არაბეთიდან ($37 მლრდ) და რუსეთიდან ($33 მლრდ) იგზავნებოდა.

ფულადი გზავნილების რეგიონულ დონეზე განხილვა გვიჩვენებს, რომ 2015 წელს ყველაზე დიდი ბენეფიციარი აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანეთის ($129 მლრდ) რეგიონი იყო, შემდეგ მოდიოდნენ სამხრეთ აზია ($123 მლრდ), ლათინური ამერიკა ($67 მლრდ), ევროპა და ცენტრალური აზია ($37 მლრდ). რაც შეეხება იმ რეგიონებს, საიდანაც რემიტანსები გაიგზავნა, აქ ლიდერობენ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები ($98 მლრდ), რაც ენერგომატარებლებით მდიდარ ამ რეგიონებში უცხოელი მუშახელის დიდი რაოდენობის კონცენტრაციით იყო განპირობებული (IOM, 2015).

თავი 5. განსახლება, ურბანიზაცია, მოსახლეობის ტერიტორიული განაწილება

5.1 განსახლება

განსახლება მოსახლეობის გეოგრაფიის შესწავლის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური საკითხია. განსახლება დაკავშირებულია მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების, გარემოსთან ურთიერთკავშირისა და ბუნებრივი რესურსების ათვისების პროცესში დასახლებული ადგილების ფორმირება-განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ განსახლება უაღრესად რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ-გეოგრაფიული და საზოგადოებრივი პროცესების ერთობლიობა.

განსახლება არის დასახლებების ერთობლიობა ე.ი. საზოგადოების ორგანიზაციის ტერიტორიული ფორმა (ჯაოშვილი, 1983: 156 და Хорев, 1975: 3). განმარტებიდან ჩანს, რომ განსახლების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს დასახლებები, კერძოდ, მათი ერთობლიობა განსახილველ ტერიტორიაზე.

დასახლება არის ადგილი, სადაც ადამიანი ცხოვრობს (ჯაოშვილი, 1983: 156). დასახლებას გააჩნია საზღვრები, მაგრამ, რიგ შემთხვევებში სასოფლო დასახლებებს შესაძლოა, არ ჰქონდეს ზუსტად გამიჯნული და ადმინისტრაციულად დადგენილი საზღვრები. ნებისმიერ დასახლებაში გვხდება შენობა-ნაგებობები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასახლების ძირითადი ნიშნებია: მოსახლეობა, საზღვრები და მატერიალური ელემენტები (Ковалев, 1963: 9). ეს ნიშნები საერთოა მსოფლიოს ნებისმიერი დასახლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ დასახლებული ადგილები ერთმანეთისგან განსხვავდება გეოგრაფიული მდებარეობით, განაშენიანების ტიპით, მოსახლეობის რაოდენობით, ადმინისტრაციული სტატუსითა და ფუნქციებით. დასახლების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის არსებობა. ინფრასტურქტურა წარმოადგენს საცხოვრებელი, საწარმოო და სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და საკომუნიკაციო ქსელის ერთობლიობას.

სივრცე-დროითი ორგანიზაციის მიხედვით, განასხვავებენ მუდმივ და დროებით დასახლებებს. დროებითი ხასიათის დასახლებები იშვიათობაა და მათ სპეციფიკური ფუნქციები გააჩნიათ. ისინი შეიძლება იყოს მოძრავი, სეზონური და მოკლევადიანი.

მოძრავი დასახლებების არსებობა დაკავშირებულია მომთაბარეობასთან. მოძრავი დასახლებები დღესაც გვხდება აზიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ჩრდილოეთ აფრიკის იმ რეგიონებში, სადაც მომთაბარე მეცხოველეობაა გავრცელებული. მოძრავი დასახლებები, აგრეთვე იქმნება მეჩხრად დასახლებულ ადგილებში სამეურნეო და სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობისას. ტურიზმისა და რეკრეაციის სფეროსთვის დამახასიათებელია მოძრავი ტურისტული ბანაკების არსებობა. მოძრავ დასახლებებს, სხვა ტიპის დასახლებებისაგან განსხვავებით, არ გააჩნიათ ადმინისტრაციული სტატუსი.

სეზონური ხასიათის დასახლებები წლის გარკვეულ პერიოდში ფუნქციონირებენ. ასეთი ტიპის დასახლებები შედგება უძრავი შენობა-ნაგებობისგან, რომელთა უმრავლესობა ძირითადად სააგარაკო და ტურისტული დანიშნულებისაა. გარდა ამისა, სეზონური დასახლებული პუნქტები ფუნქციონირებენ მოსავლის აღების პერიოდში და თევზჭერის სეზონის დროს.

მოკლევადიანი დასახლებები იქმნება სატყეო მეურნეობებში, მცირე მოცულობის სამთო-მოპოვებით ცენტრებში, გეოლოგიური საძიებო სამუშაოების ადგილებში. შესაბამისი სამუშაოების დასრულების შემდეგ ადამიანები ამ დასახლებებს ტოვებენ, თუმცა შენობა-ნაგებობები შესაძლოა, არ განადგურდეს.

ტერიტორიული ორგანიზაციის თვალსაზრისით, განარჩევენ დისპერსიულ და ჯგუფურ (კომპაქტურ) განსახლებებს. დისპერსიული ხასიათის განსახლება გვხვდება სასოფლო დასახლებებში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ფერმერულ და ხუტორულ დასახლებებთან. განსახლების ასეთი ფორმა, უპირატესად განვითარებული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი.

განსახლების ძირითად ფორმას მუდმივი დასახლებები წარმოადგენს. მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის არეალებში გვხვდება დასახლებული ადგილების უწყვეტი ჯაჭვი. ამ შემთხვევაში რთული დასადგენია, სად გადის მათ შორის საზღვარი. მაგრამ

ასეთი საზღვარი ყველგან არსებობს და ის ხელისუფლების ორგანოს (ორგანოების) მიერ დგინდება. გარდა ამისა, დასახლებას გააჩნია სამართლებრივი (ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული) სტატუსი.

სამართლებრივი თვალსაზრისით, დასახლებები ორი ძირითადი კატეგორიისაა: ქალაქი და სოფელი. ცალკეულ ქვეყანაში არსებობს სხვა სტატუსის მქონე დასახლებები (დაბა, თაუნშიფი და ა.შ.).

მეცნიერებაში ქალაქის ერთიანი განმარტება არ არსებობს. მეცნიერები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რა განსხვავებებია ქალაქსა და სოფელს შორის. მიუხედავად ამისა, შესაძლოა დასახელდეს ქალაქისა და სოფლის განმასხვავებელი რამდენიმე ძირითადი ნიშანი. ქართველი მეცნიერი ალექსანდრე რონდელი გვთავაზობს ქალაქის შემდეგ დეფინიციას: "*ქალაქი მოსახლეობის სოციალური და სივრცობრივი ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა, წარმოქმნილი და განვითარებული სამრეწველო, ადმინისტრაციული, სავაჭრო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული და სხვა ფუნქციების კონცენტრაციის ბაზაზე. ქალაქისთვის დამახასიათებელია დასახლების მაღალი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა*" (*რონდელი, 1990: 6*). განმარტებიდან ჩანს, რომ ქალაქებს, სოფელთან შედარებით, ახასიათებს წარმოების, მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და, რაც მთავარია, მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია. რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე შევეცდებით, ერთმანეთისგან განვასხვაოთ მცირე ზომის საქალაქო და სასოფლო დასახლებები (5-დან 20 ათას ადამიანამდე). ხშირად განსხვავების გამოვლენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ საქმეს გავიმარტივებთ, თუ მივიღებთ, რომ ***სოფელი არის ნებისმიერი დასახლება, რომელსაც ქალაქის სტატუსი არ გააჩნია.***

კონკრეტულ ტერიტორიაზე **დასახლებების ერთობლიობა ქმნის დასახლებათა ქსელს ე.ი. განსახლებას.** ხშირად ქვეყნის რაიონის, ქვეყნის, მსოფლიოს რეგიონის მასშტაბით იქმნება განსახლების, ანუ დასახლებათა ერთიანი სისტემა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ განსახლების სისტემა არ არის დასახლებათა მექანიკური ერთობლიობა. ზოგადად სისტემის, კერძოდ კი, განსახლების სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შემდეგი:

- სისტემის ელემენტების (კომპონენტების) არსებობა; სისტემას უნდა გააჩნდეს ყველა ის ელემენტი, რომლებიც მას ერთიან, დასრულებულ სახეს მისცემენ;

- სისტემის ელემენტებს შორის ურთიერთკავშირი და ბალანსი, რაც შესაძლებელი ხდება სისტემის მართვის საფუძველზე;
- მდგრადობა. სისტემის რომელიმე ელემენტის მწყობრიდან გამოსვლა არ უნდა იწვევდეს სისტემის მოშლას;
- ინოვაციურობა. სისტემას მთლიანად და მის ცალკეულ ელემენტს უნდა გააჩნდეს განახლებისა და განვითარების უნარი;
- სხვა სისტემასთან (განსახლების სისტემის შემთხვევაში, აგრეთვე გარემოსთან) ურთიერთკავშირი.

განსახლების სისტემის ფორმირებისთვის უმნიშვნელოვანესია დასახლებულ ადგილებს შორის ურთიერთკავშირის არსებობა. ეს კავშირები საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს იძენს დასახლებათა ქსელში ქალაქის (ქალაქების) არსებობის შემთხვევაში. ***დასახლებათა ქსელი, რომლის ფარგლებშიც სოციალურ-ეკონომიკური და/ან სხვა სახის კავშირები მოქმედებს ,განსახლების ერთიან სისტემას წარმოადგენს***.

განსახლების ერთიანი სისტემა თავისი შემადგენლობით საკმაოდ ჭრელია. ის შეიძლება მოიცავდეს როგორც პატარა სასოფლო დასახლებებს, ისე მრავალფუნქციურ მილიონიან ქალაქებსაც. შესაბამისად განსახლების სისტემაში არსებობს დასახლებულ ადგილთა იერარქია. შრომის დანაწილების პროცესში თითოეული დასახლება, განურჩევლად მისი სიდიდისა და ეკონომიკური მნიშვნელობისა, მთავარ როლს ასრულებს განსახლების სისტემის ფუნქციონირებაში.

განსახლების სისტემები შეიძლება იყოს ორი სახის – ტერიტორიული და სპეციალიზებული. თანამედროვე შრომის დანაწილების პროცესი დიდი ხანია გასცდა ქვეყნის მასშტაბებს და მან გლობალური ხასიათი მიიღო. ცალკეული პროდუქციის ან მომსახურების წარმოების პროცესში მონაწილეობენ ერთმანეთისგან დიდი მანძილით დაშორებული დასახლებული პუნქტები, უფრო კონკრეტულად კი მათში განლაგებული საწარმოები და ორგანიზაციები. შესაბამისად, მათ შორის ყალიბდება მჭიდრო კავშირები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დასახლებული პუნქტების განვითარება-გაფართოებას. კონკრეტული პროდუქციის ან მომსახურების წარმოებაზე ორიენტირებული დასახლებების ერთობლიობა წარმოადგენს განსახლების სპეციალიზებულ სისტემას. განსახლების ამგვარი სისტემის შემადგენელი ელემენტი (ამ შემთხვევაში დასახლება), იმავდროულად, განსახლების რომელიმე ტერიტორიული სისტემის ნაწილიც არის.

განსახლების ტერიტორიული სისტემისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, მოსახლეობის კომპაქტური განსახლება, მეორე მხრივ კი, მასში შემავალ დასახლებულ პუნქტებს შორის მრავალფეროვანი ურთიერთკავშირების არსებობა. განსახლების ტერიტორიული სისტემა ყალიბდება რომელიმე იმ ცენტრის ირგვლივ, რომელიც, როგორც წესი, მსხვილ ქალაქს წარმოადგენს. განსახლების ტერიტორიული სისტემის ფარგლებში დასახლებათა შორის არსებული კავშირები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- *ადმინისტრაციული;*
- *სატრანსპორტო-სამეურნეო;*
- *შრომითი;*
- *მომსახურებაზე ორიენტირებული (მათ შორის კადრების მომზადება) (Ковалев & Ковальская, 1980: 174).*

განსახლების სისტემაში ადმინისტრირების ფუნქცია ხორციელდება რამდენიმე დონეზე, კერძოდ, ქვეყნის, ავტონომიური წარმონაქმნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა (მაგ., მხარის, რაიონის, მუნიციპალიტეტის) და რამდენიმე მცირე ზომის დასახლებულ პუნქტთა გაერთიანების (მაგ., საკრებულოს) დონეებზე. ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელება ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ხოლო ქვედა დონეებზე – მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაა.

განსახლების ტერიტორიული სისტემის ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს სატრანსპორტო-სამეურნეო კავშირები ასრულებს. მსხვილი ქალაქები განსახლების სისტემის სატრანსპორტო-სამეურნეო ფუნქციის მთავარ მატარებელს წარმოადგენენ. ეკონომიკურად განვითარებული მსხვილი ქალაქი შეიძლება, არა მარტო განსახლების ტერიტორიული სისტემის, ასევე განსახლების სპეციალიზირებული სისტემის ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს.

განსახლების სისტემის ნორმალური ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილი და მრავალმხრივია მოსახლეობის მომსახურების კავშირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მრავალფეროვან მოთხოვნილებებს, მათ შორის კულტურულ, საგანმანათლებლო, რეკრეაციულ, კომუნალურ და ა.შ.

შრომითი კავშირები, რომლებიც სისტემის ფარგლებში მიმდინარე ქანქარისებურ მიგრაციებს მოიცავენ, განსახლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს. ასეთი სისტემის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს შრომითი და სატრანსპორტო-სამეურნეო კავშირები წარმოადგენს.

მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი ჯერ კიდევ სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს. სასოფლო დასახლების სტატუსის განსაზღვრის სირთულის გამო მსოფლიოში სასოფლო დასახლებების ზუსტი რიცხვის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. სავარაუდოდ, ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 20 მილიონი სასოფლო დასახლებაა. მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყნებში განსხვავებული სასოფლო განსახლების ფორმები და სასოფლო დასახლებათა ტიპები გვხვდება. არასწორი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერი სასოფლო დასახლების არსებობა აგრარულ წარმოებასთანაა დაკავშირებული. ევროპაში აგრარულ სექტორში სასოფლო მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებია დასაქმებული. გარდა ამისა, განვითარებულ სამყაროში ძალიან ბევრმა სასოფლო დასახლებამ სატრანსპორტო, ტურისტული, საბანკო, თვით სამრეწველო ფუნქციაც კი შეიძინა, ხოლო მათი სასოფლო-სამეურნეო ფუნქცია ან მეორეხარისხოვანი გახდა ან საერთოდ დაიკარგა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში მრავალი სასოფლო განსახლება გვხვდება. თითოეული მათგანი გარკვეულ ტერიტორიაზე მდებარე სოფლების ერთობლიობას წარმოადგენს.

სასოფლო განსახლების ხასიათის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნები შესაძლოა ოთხ ძირითად ჯგუფად დავყოთ:

- *ევროპისა და აზიის განვითარებული ქვეყნები;*
- *"გადასახლებული კაპიტალიზმის" ქვეყნები;*
- *ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები;*
- *განვითარებადი ქვეყნები.*

ევროპისა და აზიის (იაპონია, სამხრეთ კორეა) განვითარებულ ქვეყნებს განსახლების დიდი ხნის ისტორია აქვთ. აქ ფართოდაა წარმოდგენილი ფეოდალური ეპოქისთვის დამახასიათებელი სასოფლო დასახლებები, კერძოდ კი, დიდი სოფლები მეურნეობის ექსტენსიური ფორმებით. ამგვარი სასოფლო დასახლებები უპირატესად სამხრეთ ევროპასა და აზიაშია გავრცელებული. მეორე მხრივ, ცენ-

ტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში ჭარბობს კაპიტალისტური ტიპის სასოფლო დასახლებები – ფერმები და ხუტორები, წარმოების ინტენსიური ფორმებით. ორივე ტიპის დასახლებებში დიდგვაროვანთა საკუთრებაში არსებული ციხე-დარბაზები და მამულები გვხვდება.

"გადასახლებული კაპიტალიზმის" ქვეყნებმა (კანადამ, აშშ-მა, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ) ევროპასთან შედარებით ისტორიული განვითარების განსხვავებული გზა გაიარეს. ამ ქვეყნებში წარმოდგენილია სასოფლო განსახლების დისპერსიული ფორმა ფართოდ გავრცელებული ფერმების სახით. ფერმის მცხოვრებთა რიცხვი რამდენიმე ადამიანიდან რამდენიმე ასეულ ადამიანამდე მერყეობს. ფერმების მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად იზრდება მოსავლის აღებისა და დაბინავების პერიოდში, როდესაც აქ სამუშაოდ სეზონური მიგრანტები ჩამოდიან. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის კვალდაკვალ მცირდება ფერმერული მეურნეობების რაოდენობაც.

ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში სასოფლო დასახლებები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ რეგიონების, (განსაკუთრებით კი აზიის) ბევრ სოფელში რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი ცხოვრობს. განვითარებადი სამყაროს სოფლების დიდ ნაწილში მიწები თემის ან სანათესავოს მფლობელობაშია. კოლონიურ პერიოდში ბევრი სათემო საკუთრება ფეოდალური საკუთრებით იცვლებოდა, აღმოცენდა ახალი ტიპის სასოფლო დასახლებები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება იმ სოფლებს, რომლებიც გაშენდა პლანტაციების მახლობლად. იქვე ფუძნდებოდა ახალ მემამულეთა (ლატიფუნდისტთა) კარ-მიდამო. განვითარებადი ქვეყნების სასოფლო განსახლებისათვის დამახასიათებელია მწირი და დასახლებებს შორის სუსტი კავშირები.

ყოფილი სოციალისტური ბანაკის სასოფლო განსახლების სისტემის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა კოლექტიური მეურნეობების (კოლმეურნეობების) და საბჭოთა მეურნეობების შექმნა-განვითარებამ იქონია. გლეხთა ოჯახებს კერძო საკუთრებაში მიწის უმნიშვნელო ("საკარმიდამო") ნაკვეთები დაუტოვეს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო მფლობელობაში გადავიდა. ამასთანავე, ყოველ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია განისაზღვრებოდა არა მეურნეობის წევრების, არამედ რაიონის ან ოლქის მმართველობის ორგანოების მიერ. სოციალისტური განვითარების

პერიოდში მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, უპირველეს ყოვლისა კი, მეცხოველეობის დეგრადაცია, რაც უარყოფითად აისახა სასოფლო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მეორე მხრივ, აღნიშნულ პერიოდში მეტ-ნაკლებად განვითარდა სასოფლო დასახლებების საცხოვრებელი, საკომუნიკაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა. საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, სოფლის ცხოვრებაზე აისახა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მცხოვრებთ საკუთრებაში გადაეცათ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიწის ნაკვეთები, აღმოჩნდა, რომ ბევრ ყოფილ რესპუბლიკაში გლეხებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებისთვის აუცილებელი მატერიალური და წარმოების საშუალებები არ გააჩნდათ. მატერიალურმა გაჭირვებამ სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, ქალაქებში ან სხვა ქვეყნებში გადასახლებულიყო. დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს სასოფლო დასახლებების მოსახლეობის დეპოპულაცია, რიგ შემთხვევებში სოფლების დაცლაც კი. ამ პროცესმა განსახლების არსებული სისტემა მოშალა, რაც უარყოფითად აისახა აგრარული ორიენტაციის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც.

5.2 ურბანიზაცია

ტერმინი ურბანიზაცია წარმოდგება ლათინური სიტყვისგან *Urbs*, რაც ნიშნავს ქალაქს. ურბანიზაცია ერთ-ერთი უძველესი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მოვლენაა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანების კომპაქტური განსახლების ადგილებში ქალაქების შექმნასა და მათ შემდგომ განვითარებასთან. ურბანიზაციის პროცესი სათავეს იღებს მონათმფლობელური ეპოქიდან, როდესაც შეიქმნა პირველი ანტიკური ქალაქები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-I ათასწლეულებში პირველი ქალაქები გაჩნდა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, მოგვიანებით ჩინეთში, ინდოჩინეთსა და ევროპის ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამერიკელმა მეცნიერმა, თერთიუს ჩანდლერმა, გამოიკვლია ქალაქების აღმოცენებისა და განვითარების 4 000-წლიანი ისტორია და დაასკვნა, რომ მსოფლიოში ყველაზე ადრე დაარსდა ქალაქი მემფისი (ეგვიპტე), რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3100 წელს დაახლოებით 30 ათას მცხოვრებს ითვლიდა (*Chandler, 1987*: 15). შემდგომი ათასწლეულის განმავლობაში დიდი ქალაქები გამოჩნდა დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე, კერძოდ, ბაბილონი, აქადი, ლავაში და ური. ძველი წელთაღრიცხვის 612 წელს ქალაქ ბაბილონის მოსახლეობამ 200 ათასი ადამიანი შეადგინა. სავარაუდოა, რომ იგი მსოფლიოში პირველი მსხვილი ქალაქი იყო. პირველი "მილიონერი" ქალაქი ფეოდალურ ეპოქაში ჩამოყალიბდა. ვარაუდობენ, რომ VIII ს.-ში, ბაღდადში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ანტიკურ და ფეოდალურ ეპოქებში ქალაქების, განსაკუთრებით მსხვილი ქალაქების, მოსახლეობის ზრდას პერმანენტული ხასიათი არ ჰქონდა. ხშირი ომებისა და ეპიდემიების გამო ქალაქების მოსახლეობა მნიშვნელოვნად მცირდებოდა.

ქალაქების ზრდის ბუმი კაპიტალიზმის განვითარებასთან არის დაკავშირებული. XIX ს.-დან მოყოლებული ქალაქების სწრაფმა ზრდამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, განუხრელად იზრდება მსხვილი ქალაქების მოსახლეობა, მეორე მხრივ კი, იზრდება საქალაქო მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მოსახლეობაში. ფეოდალურ ეპოქაში დიდი ქალაქების უმრავლესობა ძირითადად აზიაში იყო თავმოყრილი. 1000 წელს მსოფლი-

ოს 10 უდიდეს ქალაქს შორის 9 აზიაში მდებარეობდა და მხოლოდ ერთი – ევროპაში; 1800 წელს – შესაბამისად 8 და 2. უკვე 1900 წელს მსოფლიოს უდიდეს 10 ქალაქს შორის 7 ევროპული იყო, ხოლო ორი – ამერიკული და მხოლოდ ერთი (ტოკიო) – აზიური. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 5-მილიონიან ზღვარს პირველად მსოფლიოში ლონდონმა გადააბიჯა, რაც XIX ს.-ის ბოლოს მოხდა, ხოლო 10-მილიონიანი ბარიერი პირველად, 1940-იან წლებში, ნიუ-იორკმა გადალახა, ხოლო 20 მილიონზე მეტი მოსახლე პირველად ტოკიოში დაფიქსირდა, 1960-იან წლებში (*Chandler, 1987: 45*)..

XX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ქალაქების სწრაფი ზრდით განვითარებადი სამყარო გამოირჩეოდა. ეს გარემოება ორმა ძირითადმა მიზეზმა განაპირობა. უპირველეს ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი მატება მაღალია. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო განვითარებას სასოფლო დასახლებებიდან ქალაქებში მოსახლეობის დიდი რაოდენობის გადასახლება მოჰყვა.

ქალაქების გეოგრაფიის შესწავლაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ქალაქის დეფინიციის საკითხს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დასახლებას ქალაქის სტატუსი სხვადასხვაგვარად ენიჭება. ქვეყნების უმრავლესობაში გამოიყენება რაოდენობრივი მიდგომა. ამ შემთხვევაში ქალაქად ითვლება ყველა ის დასახლება, სადაც ცხოვრობს ქალაქისთვის მოსახლეობის დადგენილ რაოდენობაზე მეტი (მაგ., 5 ათასი, ან 10 ათასი და მეტი ადამიანი). სხვა ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად გათვალისწინებულია დასახლებული პუნქტის ძირითადი ფუნქცია. იმ შემთხვევაში, თუ დასახლებას გააჩნია მნიშვნელოვანი სამრეწველო და/ან ადმინისტრაციული ფუნქცია, მას ქალაქის სტატუსს ანიჭებენ. ამგვარი მიდგომისას შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთ ქალაქში უფრო ცოტა ადამიანი ცხოვრობდეს, ვიდრე რიგ სოფლებში. საქართველოში ქალაქის სტატუსი გააჩნია ვანს, ლანჩხუთს, ბაღდათს, თუმცა თითოეული მათგანის მოსახლეობის რაოდენობა 6-8 ათასი ადამიანია, იმ დროს, როდესაც საქართველოს ზოგიერთ სოფელში, მაგ., ველისციხეში, მარტყოფში, იორმუღანლოში ანდა ყარაჯალაში 8 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. როგორც ვხედავთ, ქალაქების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მათი ფუნქციების დადგენას. ამ მხრივ, აუცილებელია ქალაქის წამყვანი ფუნქციის (ფუნქციების) დადგენა. თუ, ქალაქს არ გააჩნია ისეთი ფუნქცია, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეყნის ან რეგიონის განსახლების სისტემისთვის, მაშინ იგი მომა-

კვდავ დასახლებულ პუნქტად უნდა ჩაითვალოს. ისტორიაში ბევრი მაგალითია იმისა, თუ, როგორ კარგავდნენ ქალაქები ფუნქციებს, რის შედეგადაც დეპოპულაციას განიცდიდნენ და არსებობას წყვეტ-დნენ. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენენ ის სამთო-მოპოვებითი ცენტრები, რომლებმაც მადნის ამოწურვამდე ვერ შეძლეს ახალი ფუნქციის შეძენა.

ფრანგმა მეცნიერებმა - ჟაკლინ ბოჟე-გარნიემ და ჟორჟ შაბომ ჯერ კიდევ 1960-იან წლებში შემოგვთავაზეს ქალაქების კლასიფი-კაცია ფუნქციების მიხედვით (*Боже-Гарнье & Шабо, 1967: 115-116*), რასაც მეცნიერული ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს. ამ კლა-სიფიკაციის მიხედვით, ქალაქებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი ფუნ-ქციები და ქვეფუნქციები:

- სამხედრო
- სავაჭრო
- ვაჭრობის მარტივი ფორმების
- მსხვილი კონტინენტთაშორისი ვაჭრობის
- საზღვაო პორტის
- აეროპორტების
- მსოფლიო ბაზრების
- სამრეწველო ფუნქცია
- სამთო-მოპოვებითი ცენტრების
- გადამამუშავებელი მრეწველობის
- კულტურული
- რელიგიური ცენტრის
- საუნივერსიტეტო ქალაქების
- სალიტერატურო და სამხატვრო ცენტრების
- ქალაქი-მუზეუმების
- კონგრესებისა და საფესტივალო ცენტრის
- გართობის
- გამაჯანსაღებელი ცენტრებისა და კურორტების
- დასასვენებელი ქალაქის
- ქალაქები ხანდაზმული ადამიანებისათვის
- ადმინისტრაციული და პოლიტიკური ფუნქცია
- ადმინისტრაციული ცენტრის

- დედაქალაქის
- ზედედაქალაქის

ფუნქციების განხორციელების რაოდენობის მიხედვით, განარჩევენ მონოფუნქციურ და პოლიფუნქციურ ქალაქებს. მონოფუნქციურია, როგორც წესი, საშუალო და პატარა ქალაქები. მსხვილი ქალაქები ბევრ ფუნქციას ასრულებენ, ხოლო მილიონერი ქალაქები – თითქმის ყველა ფუნქციას. დედაქალაქს განსაკუთრებული მისია აკისრია. ის ქვეყნის მართვის (ადმინისტრირების) წამყვანი ცენტრია. ამ ფუნქციის მნიშვნელოვანი ხასიათის გათვალისწინებით, გამოყოფენ ქალაქის "დედაქალაქურ" ტიპსაც.

მსხვილი ქალაქების განვითარების პროცესი აისახება მათი ტერიტორიული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. თანამედროვე ქალაქებში გამოიკვეთა სხვადასხვა დანიშნულების და ფუნქციების მატარებელი ზონები (ტერიტორიები) (რონდელი, 1990: 75-88). საქალაქო ტერიტორიის უმნიშვნელოვანეს არეალს წარმოადგენს სამოსახლო ზონა. ეს არის მოსახლეობის ცხოვრებისთვის განკუთვნილი ადგილები, რომლებსაც ქალაქის მთელი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ფართობი (ზოგჯერ ნახევარიც კი) უკავია.

ქალაქის არსებობა წარმოუდგენელია წარმოების გარეშე. ტერიტორიას, სადაც ასეთი საქმიანობაა კონცენტრირებული, სამრეწველო ზონას უწოდებენ. მაღალგანვითარებული ქვეყნების თითქმის ყველა მსხვილ ქალაქში უკანასკნელი 2-3 ათეული წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა სამრეწველო ტერიტორიები. ტრადიციული ტიპის მატერიალური წარმოება ადგილს უთმობს მაღალი ტექნოლოგიების პროდუქციის წარმოებას და სამომხმარებლო სექტორს.

ქალაქების მომსახურებისა და საწარმოო ფუნქციების განვითარება დიდი მოცულობის პროდუქციის დროებით განთავსებას მოითხოვს. ამ მიზნით ყველა ქალაქში გამოყოფილია ტერიტორიები, რომელთა ერთობლიობა ქალაქის სასაწყობო ზონას ქმნის.

ქალაქის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრება და ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვანწილად სატრანსპორტო საშუალებების ოპერატიულ და ხარისხიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ტრანსპორტი მუშაობს სატრანსპორტო ტერიტორიებზე, რომელიც ქალაქის ინფრასტრუქტურის ხერხემალს წარმოადენს.

ურბანული არეალების მოსახლეობის მომსახურების მოცულობის გაფართოების კვალდაკვალ იზრდება ამ სექტორის როლი ქალა-

ქის ეკონომიკაში და შესაბამისად ქალაქების სამომხმარებლო ზონა ფართოვდება. თანამედროვე ქალაქებში სამომხმარებლო ზონა ხშირად სამრეწველო ზონასთანაა შეწყვილებული, რაც ხელს უწყობს მათში განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიან მუშაობას.

როგორც აღინიშნა, ქალაქების ზრდა და განვითარება დაკავშირებულია ურბანიზაციის პროცესთან. ურბანიზაცია მრავალმხრივი ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული პროცესია. მისი უნივერსალური განსაზღვრება არ არსებობს, თუმცა მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ ურბანიზაციას გააჩნია ორი ძირითადი მახასიათებელი:

პირველია ურბანიზაციის დონე – რაოდენობრივი მახასიათებელი. კერძოდ, **ურბანიზაციის დონე არის ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი ქვეყნის (რეგიონის) მთელ მოსახლეობაში.**

მეორე მახასიათებელი ხარისხობრივია და ის უკავშირდება მოცემულ ტერიტორიაზე ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელებას. ამ მახასიათებლის გაზომვა ან შეფასება უაღრესად რთული საქმეა, რადგან ჯერ კიდევ არ არის ზუსტად განსაზღვრული, რა იგულისხმება ქალაქური ცხოვრების წესში.

ცხრილი №27

ურბანიზაციის დონე მსოფლიოს მსხვილ რეგიონებში

რეგიონი	წლები			
	1950	1970	1990	2018
მსოფლიო	29,1	37,4	43,0	55,3
აფრიკა	14,9	22,9	32,0	43,4
აზია	16,6	24,5	31,0	49,7
ევროპა	51,2	62,9	71,5	74,2
ლათინური ამერიკა	41,9	57,3	72,0	78,6
ჩრდილოეთ ამერიკა	63,6	73,8	75,0	82,2
ავსტრალია და ოკეანეთი	60,6	70,9	71,0	67,4

წყარო: Degree of urbanization by continent (2018). https://www.statista.com/statistics/270860/urbanization-by-continent/

მსოფლიოში საქალაქო მოსახლეობამ სასოფლოს დაახლოებით 10 წლის წინ გადააჭარბა. ნახევარი საუკუნის წინ ქალაქებში მსოფლიოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 30%-მდე ცხოვრობდა. ამჟამად ეს მაჩვენებელი 55%-ის ტოლია.

მსოფლიოს მსხვილი რეგიონები და ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ურბანიზაციის დონით. მაღალურბანიზებულია განვითარებული სამყარო და ლათინური ამერიკა, სადაც მთელი მოსახლეობის 70%-ზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. ჩვენი პლანეტის 2 უმსხვილესი რეგიონი ჯერ კიდევ სასოფლო მოსახლეობის სიჭარბით გამოირჩევა (*იხ. ცხრილი №27*). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში ურბანიზაციის ტემპები შენელდა, რაც გამოწვეულია ამ რეგიონების მოსახლეობის დაბალი ბუნებრივი მატებით, ხოლო განვითარებად სამყაროში ქალაქების მოსახლეობის ზრდა სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, უპირატესად სოფლებიდან ქალაქებში მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის გამო.

ურბანიზაცია და ფსევდო ურბანიზაცია ერთ ქალაქში: მუმბაი (ინდოეთი)

წყარო: https://www.google.ge/search?q=mumbai+photo&tbm=isch&source

ქალაქისთვის დამახასიათებელია არა მარტო მოსახლეობის რაოდენობის, არამედ ტერიტორიული ზრდაც. სივრცობრივი განვითარების პროცესში ქალაქი იკავებს მოსაზღვრე აუთვისებელ ტერიტორიას, რომელიც დროთა განმავლობაში მისი გარეუბანი ხდება. ამ პროცესს სუბურბანიზაცია ეწოდება[1]. შემდგომ ეტაპზე ქალაქის საზღვრებში ექცევა მის მახლობლად მდებარე სასოფლო დასახლებები. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რურურბანიზაციასთან[2].

ნახ. №23

ლონდონის აგლომერაცია: სივრცითი ხედვა



წყარო: www.google.ge/search?q=agglomeration+photo&tbm=isch&source

მსხვილი ქალაქის ტერიტორიული გაფართოებისას მისი გავლენის ფარგლებში, გარდა სასოფლო დასახლებებისა, ექცევა პატარა და საშუალო ქალაქები. ასე ყალიბდება **აგლომერაცია.** ეს არის ტერიტორიული წარმონაქმნი, რომლის შემადგენლობაში შედის, სულ მცირე, ერთი მსხვილი ქალაქი, სასოფლო დასახლებები, რამდენიმე

[1] ტერმინ სუბურბანიზაციაში "სუბ" არის ინგლისური სიტყვის Suburb (გარეუბანი) შემოკლებული ვარიანტი

[2] ტერმინ რურურბანიზაციაში "რურ" არის ინგლისური სიტყვის Rural (სასოფლო) შემოკლებული ვარიანტი

საშუალო და პატარა ქალაქი. აგლომერაციაში შემავალ ერთეულებს შორის მჭიდრო სატრანსპორტო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული კავშირები ყალიბდება. იმ შემთხვევაში, თუ აგლომერაციაში ერთდროულად რამდენიმე თანაბარი სიდიდისა და ეკონომიკური მნიშვნელობის საქალაქო ცენტრია წარმოდგენილი, მაშინ დასახლებათა ასეთი გაერთიანება არის **კონურბაცია.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონურბაცია პოლიცენტრული აგლომერაციაა.

აშშ-ის რამდენიმე რეგიონში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა აგლომერაციებისა და კონურბაციების ტერიტორიული დაახლოების პროცესი. ქვეყნის სამ რეგიონში ასეულობით კილომეტრზე ქალაქების უწყვეტი ზოლი წარმოიქმნა. საქალაქო დასახლებათა ამგვარ არეალს **მეგაპოლისს** უწოდებენ. აშშ-ში სამი მეგაპოლისია: ბოსვაში (ბოსტონი–ვაშინგტონი, რომელშიც სხვა მსხვილ ქალაქებთან ერთად ნიუ-იორკიც შედის), ჩიპიტსი (ჩიკაგო–პიტსბურგი) და სანსანი (სან ფრანცისკო–სან დიეგო).

ტოკიო

წყარო: www.google.ge/search?q=densely+populated+area+photo&tbm=isch&source

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მსხვილი ქალაქების უმრავლესობის ტერიტორიების

სწრაფი ზრდის შედეგად პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მათი საზღვრებისა და შესაბამისად მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა. ამგვარი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით დასავლეთში უკვე დამკვიდრდა ტერმინი **მეტროპოლიტენური არეალი**[3]. ამ ტერმინით მოიხსენიებენ ყველა მაღალურბანიზებულ ტერიტორიას, რაც ამარტივებს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ქალაქების რანჟირების საკითხს.

ცხრილი №28

მსოფლიოს უდიდესი მეტროპოლიტენური არეალები (2015 წ., შეფასება)

მეტროპოლიტენური არეალი	ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა
ტოკიო	იაპონია	37,832,892
შანხაი	ჩინეთი	34,865,252
ჯაკარტა	ინდონეზია	31,689,592
დელი	ინდოეთი	26,454,000
სეული	სამხ. კორეა	25,514,000
ყარაჩი	პაკისტანი	25,100,000
გუანჯოუ	ჩინეთი	25,000,000
პეკინი	ჩინეთი	24,900,000
მეხიკო	მექსიკა	21,650,668
სან პაულუ	ბრაზილია	21,242,939
ლაგოსი	ნიგერია	21,000,000
მუმბაი (ბომბეი)	ინდოეთი	20,748,395
კაირო	ეგვიპტე	20,500,000
ნიუ იორკი	აშშ	20,320,876

წყარო: List of Metropolitan Areas by Population. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_metropolitan_areas_by_population

აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მსოფლიოში 100 მეტროპო-

[3] ინგლისური ტერმინი *Metropolitan Area* სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც *საქალაქო არეალი.*

ლიტენური არეალია, რომლებშიც თითოეულის მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონს აღემატება; მათგან 50 მეტროპოლიტენურ არეალში 5 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო 14 მეტროპოლიტენურ არეალში 20 მილიონზე მეტი მცხოვრებია (*იხ. ცხრილი №28*).

ცხრილიდან ჩანს, რომ მსოფლიოს უმსხვილესი მეტროპოლიტენური არეალებიდან მხოლოდ 1 (ნიუ იორკი) წარმოადგენს მაღალგანვითარებულ სამყაროს. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი 13–დან 9 აზიაში მდებარეობს. ურბანიზაციის პროცესის ინტენსიური განვითარება ჩინეთში, ინდოეთში, ბრაზილიაში, ინდონეზიასა და რიგ ნახევრად პერიფერიულ ქვეყნებში რამდენიმე ფაქტორით აიხსნება. კერძოდ, ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ მაღალია ბუნებრივი მოძრაობა. ძალზე ინტენსიურია მიგრაცია სოფელი–ქალაქი. მილიონერ ქალაქებში, მრეწველობისა და მომსახურების სფეროების სწრაფი განვითარების წყალობით, ახალი სამუშაო ადგილები იქმნება. შედეგად, ამ ქვეყნებში იზრდება არსებული ან იქმნება ახალი მილიონერი ქალაქები. სავარაუდოა, რომ მეგაქალაქების ზრდა, მომავალი 2–3 ათწლეული მაინც, მსოფლიოს საშუალო განვითარებული რეგიონებისთვის იქნება დამახასიათებელი.

5.3 მსოფლიოს მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

მოსახლეობა დედამიწის ზედაპირზე არათანაბრადაა განაწილებული (*იხ. ნახ. №24*). მსოფლიოს მოსახლეობის 80% - აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, ხოლო დანარჩენი 20% დასავლეთ ნახევარსფეროში ცხოვრობს. მოსახლეობის განლაგების თვალსაზრისით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია უთანაბრობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის – შესაბამისად 90% და 10% (*Максаковский, 2004: 134*).

მოსახლეობის სივრცით განლაგებაზე მოქმედებს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, დემოგრაფიული ვითარება, მიგრაციები, ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებები, რაც მთავარია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.

მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელია წყლის და სითბოს არსებობა. ამის გამო, ისტორიულად ადამიანები ითვისებდნენ თბილ და ნოტიო ადგილებს, სადაც შესაძლებელი იყო მიწათმოქმედების განვითარება. დღესაც კი, როდესაც სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა განვითარების მწვერვალს მიაღწია, ბუნებრივ-კლიმატური პირობები მოსახლეობის განსახლებაში კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მსოფლიოს მთელი მოსახლეობა დაახლოებით 15-20 მილიონ დასახლებაში ცხოვრობს (*Максаковский, 2004: 132*). ეს დასახლებები განლაგებულია ჩრდილოეთ განედის 72 და სამხრეთ განედის 54 გრადუსებს შორის, ზღვის დონიდან 5 000 მეტრ სიმაღლემდე (გამონაკლისს წარმოადგენს უფრო მაღლა მდებარე რიგი დასახლებებისა ტიბეტსა და ანდებში). დედამიწის სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენს კაცობრიობის განსახლების თანამედროვე არეალს, რასაც სხვაგვარად **ოიკუმენა** ეწოდება. ამასთან, ადამიანები ცდილობენ, იცხოვრონ დაბლობ ადგილებში, კერძოდ, ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლემდე. ამ ვერტიკალში მსოფლიოს მთელ დასახლებათა 80% თავმოყრილი (*Алисов & Хорев, 2000:95*)

ჩვენს პლანეტაზე განსახლების სისტემაში არსებული სხვადასხვაობის გამოსავლენად გამოიყენება **მოსახლეობის სიმჭიდროვის**

მაჩვენებელი. *მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლის დასადგენად საჭიროა მოცემული ტერიტორიის (კონტინენტის, რეგიონის, ქვეყნის, რაიონის და ა.შ.) მოსახლეობის რაოდენობა გავყოთ ამავე ტერიტორიის ფართობზე*. მიღებული სიმჭიდროვის მაჩვენებელი გვაჩვენებს, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს საშუალოდ 1 კვადრატულ კილომეტრზე.

ნახ. №24

მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვე



წყარო: www.google.ge/search?tbm=isch&sa=1&ei=ejflW4HBAorQwQKhip6wDg&q=world+density+map&oq=world

ზოგადად აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევიან "ჯუჯა" ქვეყნები და ქალაქი-სახელმწიფოები. მაგ., მონაკოში ყოველ 1 კმ|კვ-ზე საშუალოდ 23 ათას ადამიანზე მეტი ცხოვრობს. ასევე მაღალია სიმჭიდროვე მაკაოში, ჰონკონგში, სინგაპურში, გიბრალტარში.

ჰონკონგი: მაღალი სიმჭიდროვე

წყარო: www.google.ge/search?q=crowded+streets+of+hong+kong&tbm=isch&source

ისლანდია : დაბალი სიმჭიდროვე

წყარო: www.google.ge/search?tbm=isch&sa=1&ei=ejflW4HBAorQwQKhip6wDg&q=least+populated+area

ამ ტიპის ქვეყნების (რომლებიც სინამდვილეში ქალაქებს წარმოადგენენ) შედარება "კლასიკურ" ქვეყნებთან არასწორი იქნებოდა. ამიტომ გთავაზობთ ცხრილს (იხ. ცხრილი №29), რომელში წარმოდგენილი ქვეყნების ტერიტორია 5 ათას კმ|კვ-ზე მეტია. მოსახლეობის სიმჭიდროვით ასეთი ტიპის ქვეყნებს შორის გამოირჩევა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ბანგლადეში ერთადერთი დიდი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ²-ზე 1000 ადამიანს აჭარბებს.

ცხრილი №29

მსოფლიოს ქვეყნები[4] მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით (2017 წ., შეფასება)

ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით		ქვეყნები მოსახლეობის სიმჭიდროვის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით	
ქვეყანა	სიმჭიდროვე (ადამიანი/1კმ²-ზე)	ქვეყანა	სიმჭიდროვე (ადამიანი/1 კმ²-ზე)
ბანგლადეში	1 118	გრენლანდია	0,026
ტაივანი	639	მონღოლეთი	1,3
მავრიკია	631	დასავლეთ საჰარა	1,9
სამხ. კორეა	487	საფრანგეთის გვიანა	2,1
პუერტო რიკო	449	ნამიბია	2,6
ნიდერლანდები	417	ისლანდია	3.1
ლიბანი	404	სურინამი	3,2
რუანდა	380	მავრიტანია	3,2
ისრაელი	371	ბოტსვანა	3,4
ინდოეთი	364	კანადა	3,4
ჰაიტი	362	ავსტრალია	3,6
მსოფლიო	**58,7**		

წყარო: List of countries by population density (2018). https://simple.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_population_density

[4] ცხრილში მოცემული არ არის იმ ქვეყნების მაჩვენებლები, რომელთა ფართობი 1000 კმ²-ზე ნაკლებია.

მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვე დამახასიათებელია არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე ქვეყნებისათვის. 29-ე ცხრილის მარჯვენა სვეტში მოცემული 11 ქვეყნიდან 9 უდაბნოს წარმოადგენს, მათ შორის 6 ტროპიკული უდაბნოა, ხოლო 3 ქვეყანა: გრენლანდია, კანადა, ისლანდია არქტიკული უდაბნოების სარტყელში მდებარეობს. სურინამისა და საფრანგეთის გვიანას ფართობის დიდი ნაწილი ჭაობებსა და მიწათმოქმედებისთვის გამოუსადეგარ ტერიტორიებს უკავიათ.

მსოფლიოს მოსახლეობა ჩვენს პლანეტაზე ძალზე არათანაბრად არის განაწილებული. მაღალი სიმჭიდროვით (1 კმ²-ზე 100-ზე მეტი ადამიანი) მხოლოდ ევროპისა და აზიის რეგიონები გამოირჩევიან. მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე დამახასიათებელია განსახლების ტრადიციული რეგიონებისათვის, ისეთებისათვის როგორებიცაა სამხრეთ ევროპა, დასავლეთ ევროპა, აღმოსავლეთ აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და სამხრეთ აზია.

თუ განვიხილავთ მოსახლეობის რაოდენობას ქვეყნების მიხედვით (*იხ. ცხრილი №30*), აღმოვაჩენთ, რომ ამჟამად მთელი მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 2/3 მხოლოდ 14 ქვეყანაში ცხოვრობს. ჩინეთსა და ინდოეთში ერთად თავმოყრილია ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 36%, თუმცა 10 წლის წინ მათი წილი თითქმის 40% იყო. მოცემულ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი დამახასიათებელი იყო ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებული სახელმწიფოებისთვის (რუსეთი, იაპონია, აშშ).

XX საუკუნის მეორე ნახევარში და XXI საუკუნის დასაწყისში აშშ-ს მოსახლეობა ძირითადად მასშტაბური იმიგრაციის ხარჯზე იზრდებოდა და ეს ტენდენცია შემდგომი ათწლეულების განმავლობაშიც გაგრძელდება. რაც შეეხება იაპონიასა და რუსეთს, გაეროს ექსპერტების შეფასებით, 2050 წლის შემდეგ მათ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ათეულში ვერასდროს ვიხილავთ. მათ ადგილებს ამ სიაში აფრიკის ან აზიის ქვეყნები დაიკავებენ.

ცხრილი №30

მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

№	ქვეყნები	მოსახლეობის რაოდენობა (მილიონი ადამიანი)		ქვეყნის მოსახ-ის % მსოფლიოს მოსახლეობაში (2018 წ.)
		1950 წ.	2018 წ.	
1	ჩინეთი	554,8	1,415,0	18,5
2	ინდოეთი	371,9	1,354,1	17,6
3	აშშ	157,8	326,8	4,2
4	ინდონეზია	79,5	266,8	3,5
5	ბრაზილია	54,0	210,9	2,7
6	პაკისტანი	36,9	200,8	2,6
7	ნიგერია	34,0	195,8	2,5
8	ბანგლადეში	43,9	166,4	2,2
9	რუსეთი	102,7	144,0	1,9
10	მექსიკა	27,7	130,8	1,7
11	იაპონია	83,6	127,2	1,7
12	ეთიოპია	18,1	107,5	1,4
13	ფილიპინები	18,6	106,5	1,4
14	ეგვიპტე	20,7	99,4	1,3
	მსოფლიო	2 535,0	7 662,4	

წყაროები: UN DESA (2017). https://www.un.org/development/desa/ publications/world-population- prospects-the-2017-revision.html და *Countries in the World by population (2018). http://www.worldometers.info/world-population/population-by-country/*

მომავალში განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიოს მოსახლეობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება. გაეროს დემოგრაფების პროგნოზით, შემდგომი 45-50 წლის განმავლობაში განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა დაახლოებით 4%-ით (დაახლოებით 50 მილიონი ადამიანით) გაიზრდება, იმ დროს, როდესაც განვითარებადი სამყაროს მოსახლეობა 60%-ით მოიმატებს. მოსალოდნელია, რომ 2050 წელს მსოფლიოს მოსახლეობის 85-87% განვი-

თარებად ქვეყნებში იცხოვრებს. ცხადია, მოსალოდნელი ტენდენციები კიდევ უფრო დაამძიმებს სიტუაციას მოსახლეობის მაღალი კონცენტრაციის არეალებში (*UN DESA, 2017*).

მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია მსხვილ ქალაქებში. ამასთან, ქალაქებისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის დიდი "ტევადობა", რაც განპირობებულია მათი შესაბამისი განაშენიანებით, აგრეთვე მაღალი ბიზნეს და ეკონომიკური პოტენციალით.

მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია განსაკუთრებით კარგად სასოფლო არეალებში ვლინდება. მსოფლიოში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე რეგიონი, რომელთა ფართობი რამდენიმე ასეულ ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავს და სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ძალზე მაღალია (500 ადამიანზე მეტი 1კმ²-ზე). მათგან უდიდესია ინდ-განგის დაბლობი, რომელიც მოიცავს ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილს ქალაქებს დელისა და კოლკატას შორის და ბანგლადეშის თითქმის მთელ ტერიტორიას. მოსახლეობის მჭიდრო განსახლების კიდევ ორი რეგიონი ჩინეთში მდებარეობს. მათ შორის უდიდესია ჩინეთის დიდი დაბლობი, რომელიც პეკინიდან შანხაიმდეა გადაჭიმული. ასევე, მაღალი სიმჭიდროვეა სიჩუანის ქვაბულში, რომელიც ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. მოსახლეობის ძალზე მაღალი კონცენტრაციით გამოირჩევა კუნძული იავაც, რომელიც ინდონეზიის ნაწილია. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე დამახასიათებელია, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო არეალებისთვის, როგორებიცაა მაგ. მდინარე ნილოსის ქვედა წელის მიმდებარე ტერიტორია (ეგვიპტე), მექსიკის ნაწილი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ სიერა-მადრესა და სამხრეთ სიერა-მადრეს მთებს შორის, მდინარე ნიგერის ქვედა წელის მიმდებარე ტერიტორია (ნიგერია), ხოლო, მეორე მხრივ, სამრეწველო არეალებისთვის – ლომბარდიის დაბლობი (იტალია), რურის რაიონი (გერმანია), კალიფორნია (აშშ), აშშ-ში ატლანტის ოკეანის სანაპირო ზოლი ბოსტონიდან ვაშინგტონამდე, ინგლისის ცენტრალური ნაწილი ლივერპულიდან აღმოსავლეთით, შეფილდამდე.

ამასთან, დედამიწის უზარმაზარი ტერიტორიები პრაქტიკულად დაუსახლებელია *(იხ. ნახ. №24)*, კერძოდ, ანტარქტიდა, გრენლანდია, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სანაპირო ზოლი (რუსეთის აზიური ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთი), აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოები, აგრეთვე, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ტროპიკული ტყეების მასივები

გამოყენებული ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. http://parliament.ge/uploads/other/76/76808.pdf

გაჩეჩილაძე რ. (2003). ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი.

გოგსაძე გ. (2008). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი.

დავითაშვილი ზ. (2001). მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია. თბილისი.

დემოგრაფიული ვითარება საქართველოში (2017). სტატისტიკური კრებული. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: თბილისი.

მაქსაკოვსკი ვ. (2002). მსოფლიოს გეოგრაფიული სურათი. თბილისი

მელაძე გ. (2007). საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი,

მელაძე გ. (2013). საქართველო და გლობალური დემოგრაფიული პროცესები. „უნივერსალი“: თბილისი.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. ზოგადი ინფორმაცია (2016). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: თბილისი.

ნეიძე ვ. და სხვა (2004). მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი: ლეგა.

რონდელი ალ. (1990). ქალაქის გეოგრაფია. თბილისი.

(ქსე) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1979). ტომი 3. თბილისი.

(ქსე) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1984). ტომი 8. თბილისი.

(ქსე) ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (1985). ტომი 9. თბილისი.

წულაძე გ.(2006). დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი: თბილისი.

ჯაოშვილი ვ. (1983). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). თბილისი

10 Countries with the highest proportions of immigrant workers (2017). https://engageme.online/immigrant-workers/

Brettell, C. & Hollifield, J. (2000). Migration Theory: Talking Across Disciplines. Routledge: New York, London.

Chandler T. (1987). Four Thousand Years of Urban Growth: An Historical Census. St. David's University Press: Lewiston, N.Y.

Daugherty H. & Kammeyer K. (1995). An Introduction to Population (2nd edition). Guilford Press: New York.

Degree of urbanization by continent (2018). https://www.statista.com/statistics/270860/urbanization-by-continent/

Fassmann H. & Reeger U. (2012). Old' immigration countries in Europe. The concept and empirical examples. In *European Immigrations: Trends, Structures and Policy Implications (pp.65-90)*. Amsterdam University press: Amsterdam**.**

Foreign-born population (2013). https://data.oecd.org/migration/foreign-born-population.htm

Global Employment Trends (2017). International Labour Office. www.ilo.org

King R. (2013). Theories and Typologies of Migration. An Overview and a Primer. MALMÖ University: MALMÖ

ILO: Unemployment and Decent Work Deficits Remain High in 2018. https://www.ilo.org/global/about-the-ilo/newsroom/news/WCMS_615590/lang--en/index.htm

Labor Trafficking in the U.S.: A Closer Look at Temporary Work Visas (2014).

Immigration Numbers Update: 13 Million Mexicans Immigrated to US in 2013, But Chinese Migrants Outnumber Other Latin Americans (2014). http://www.latinpost.com/articles/20628/20140903/immigration-numbers-update-13-million-mexicans-immigrated-2013-chinese-migrants.htm

(IOM) International Organization for Migration; Global Migration Data Analysis Centre GMDAC, 2015). https://gmdac.iom.int/

Literacy Rate: List of Countries. https://www.worldatlas.com/articles/the-highest-literacy-rates-in-the-world.html

McCulloch R. (2010). Races of Humanity. www.racialcompact.com

McNamara R. (1982). Demographic Transition Theory. In Ross JA, ed. International encyclopedia of population. Vol. 1. Pree Press: New York, 146-7.

Models of Classification (1988). www.anthro.palomar.edu

Modern Immigration Wave Brings 59 Million to U.S., Driving Population Growth and Change Through 2065 (2015). http://www.pewhispanic.org/2015/09/28/modern-immigration-wave-brings-59-million-to-u-s-driving-population-growth-and-change-through-2065/

Shirey, Wayne (2015). Immigration waves. Avalable at: http://immigrationinamerica.org/603-immigration-waves.html

Stark O. & Bloom D. (1985). The new economics of labor migration. Harvard University Press: Harvard.

Stark O. (1991). The migration of labor: Basil Blackwell: Oxford.

https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/index.html

The World Factbook (2017). Australia. https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/index.html

UN DESA (2017) (*United Nations Department of economic and social affairs*). https://www.un.org/development/desa/publications/world-population-prospects-the-2017-revision.html

UNESCO Institute for Statistics (2017). Education: Adult Literacy Rate. https://data.unicef.org/topic/education/literacy/

Wallerstein I. (1974). The Rise and Future Demise of the World Capitalist System: Concepts for Comparative Analysis. In *Comparative Studies in Society and History, Vol. 16, No. 4.* Cambridge University Press: Cambridge, pp. 387-415.

Wallerstein I. (1979). The Capitalist World-Economy. Cambridge University Press: Cambridge

Wayne S. (2015) Immigration waves. http://immigrationinamerica.org/603-immigration-waves.html

(WPP, 2017) The World Population Prospects: The 2017 Revision. https://population.un.org/wpp/DataQuery/

(WHO, 2014) World Health Organization. Total expenditure on health per capita, 2014. http://www.who.int/countries/dnk/en/

The World Factbook (2017). Infant Mortality Rate: Country Comparison.

(WHO) The World Health Organization (2016). Africa's Newborns. https://www.who.int/pmnch/media/publications/aonsection_I.pdf

Алисов Н, & Хорев Б.(2000). Экономическая и социальная география (общий обзор). «Мысль»: Москва.

Боже-Гарнье Ж. & Шабо Ж. (1967). Очерки по географии городов. «Мысль»: Москва .

Брук С. (1986). Этнодемографический справочник., «Мысль»: Москва.

(ДЭС) Демографический энциклопедический словарь (1985). «Мысль»: Москва.

Кибрик А. (2008). Лингвистическая география. www.krugosvet.ru/articles/77/1007726/1007726a1.htm

Ковалев С. (1963). Сельское расселение. Наука: Москва.

Ковалев С., Ковальская Н.(1980). География населения СССР. Наука: Москва. , с. 174

Максаковский В. (2004). Географическая картина мира. Книга 1. Москва.

Тишков В. (2011)."Единство и многообразие культур». 2-е изд., перераб. и доп. – Оренбург: Издательский центр ОГАУ. http://static.iea.ras.ru/books/Edinstvo_i_mnogoobrazie_kultur.pdf

Покшишевский В. (1978). Население и география. Наука: Москва,

Саушкин Ю. (1973). Экономическая география: история, теория, методы, практика. Мысль: Москва.

Студопедия - Демография как наука (2015). Определение, объект и предмет демографии, ее цели и задачи. https://studopedia.ru/13_42402_demograficheskie-kontseptsii.html

Страны и народы (1981). Австралия и Океания. Антарктида. Мысль: Москва.

Татищев В. (1950), Избранные труды по географии Росии. Мысль: Москва.

Хорев Б.(1975). Проблемы городов. Мысль: Москва.

გამომცემლობის რედაქტორი:
ქეთევან ქურდოვანიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნინო ებრალიძე

გარეკანის დიზაინი
მარიამ ებრალიძე

გამოცემის მენეჯერი
მარიკა ერქომაიშვილი

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, # *6284; #6278*
www.press.tsu.ge